

იონა მეუნარგია

ქართველი მწერლები

11

1000

საბლიტგამი



b. 06/06/1910 (1130 PM '06) -
d. 07/07/1972 (1972 07-07)

23. 173

Adams, John B.

ბონა მეუნარგია

კუთხი და განვითარება
საქართველოს კულტურული
და სამეცნიერო მუზეუმის
მიერ გადასახლება
კუთხი და განვითარება.

28-11-45.

ჭავჭავაძე

ე ს რ თ ვ ი წ ი ლ ი გ მ ე ბ ი ლ ი

II

ს ფ ლ თ მ ა თ ხ ი ც ა ი ფ ვ ი ლ ი ს

რედაქციით, ჩინასიცყვართა და შენიშვნებით.

4580



საქ. სსრ. განსახოვანის

სამაკავკა და ასალგარენტომას ლიცეიმომცემლობა

თბილისი—1944.

ს ა რ ჩ ი გ ი

	83.
წინასიტყვა	3
გიორგი ერისთავი	7
მამია გურიელი	67
ღავით ერისთავი	105
გ. ჭალადიდელი	151
ილია ჭავჭავაძე (მოგონებანი)	179
შენიშვნები	201

პ/მპ. რედაქტორი პ. ჭარტული ზ 30 ლ. 0

შეკვ. № 2940

უე00381

ტირაჟი 2000

საქართველოს აზგიდობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტამბა,
ფურცელაძის ქ. № 5

ՖՈՆԱՏՈՒՅՑ

ամ յրեթուլուս პօրվել նայեցու, հռմելլ՛ու յարտզելը հռման-
բայուսեծո (ալ. Քաջքաշաճ, գր. ռանձելուն դա ն. ծարառամշակուլո) |
մոյքբնեն, մյուտեզելո սկսո ցայն. դանարիեն նալզաթի ոռնա մյու-
նարցուս կրտուլսնունուսուրո յալմուսա—մռնոցհագութուն դա մռցոնցեծոն,
ամ ֆիցնչո մռտացսդա. ամցարալ, ֆինամցեծարյ յրեթուլուտ մյուտեզելը
ցպնոն ցոռնցո ցրուստացուս, մամու ցուրուելուս, դաշ. ցրուստացուս, ց.
Քալագութելուս ցեղարյեծասա դա մռցաթիւնոն դա դաժաթիւնուտ ավտո-
րուս մռցոնցեծոն օլուս Քաջքաշաճու նեսաեց.

Կովելո մատցանո (Սկանակնելուս ցամոյլեցուտ) ֆարսուլշու-
տաց-տացուս գրանք, մռտացսեծուլո ոյու սեցաճասեցա ցամուրեմեցի, հռ-
մելնու ամյամաց մասունքու մյուտեզելուտատցուս ելմութիւնուլուա.

Տայ. ալքէ ցը սածացման դա ախալցաթիւնունուս լութիւրաթիւնուս
ցամոմւրեմլունուս ցացալեցուտ 1940 թ. սամուալցի մռցարյ մատու ցր-
տաց նեյրեցուսա դա մռտլունու ֆիցնուս սածուտ սածկուտ մյուտեզելուսագմու
թիւնուցուսա.

Ալնունուլո միւրլուցո, ցարճա ց. ցրուստացուս դա օլուսու, նե-
սամլեցի մնունունու ցուցուրեցուս առ ֆարմուացցեն յարտուլ լու-
թիւրաթիւնունու դա ցը սայստար ցույցուս քյմնուն, մացրամ ամուտ հռ-
ունու դա ցույցունու նատու ցույցունու դա ֆուլունու, նեթանունու օմ դունու ցու-
յցուս սալարունու, հռմելուսաւ սեցաճասեցա գրանք քյմնունու յարտուլո
դունու մաթիւրցուս մամամտացարու դա հրացանուս քոյթու ցոռնցո ցրուստացու
դա նեմցուց „սայսարտզելուս մյ-19 սայսունուս մեռնու նաեցրուս նացուո-
նալուր-հրացուլուրունու մռմռանուս սալրեսաց քոպուլարուլուս սածո-
ցալու մռցաթիւնու դժ յարտուլուս միւրլունուս կովելցարու ցանաթլուցուս
մեսակցու օլուս Քաջքաշաճու.

Մամու ցուրուելուա—„առամունուսա“ դա „քոյթուս ցուցուս“ ավտոր-
մա, հռմելու օլուս Քաջքաշաճուսա դա ց. ցրուստացուս տանամեցրուցու
ոյու, տացուսու նոյնուս ալցուլու դա մլուրցի յարտուլ միւրլունունու
տացուտոնցու նեսանունունու ցանսաթլուրու:

... მწადიან მშოლოდ, თქვენს შეშაობას
 შევერთო სუსტი თუ რამ მაქს დალი,
 გაებ მომავალ შონიშომავლობას
 დახვდეს ჩემს მიერ ნატყეპნი კფალი,
 რომ პირუტყებრივ მუცლის ძლებაში
 არ გაჭრეს ფუჭად მრთვლი ცხოვრება
 და ჩენის ერის საყდრის ცებაში
 ჩემგან ჩენდეს ერთი კეის დაშენება.

(პოემიდან — „რაშიდ ვარდან-ოლოი“, გვ. 117).

შამიას ეს აზრი აქვე მოქცეულ დანარჩენ მწერლებზეც (ფავ-
 კოისთავი, ქალადიდელი) უნდა გაერტყელდეს, რომელთა თითო, მავ-
 რამ თავისებური ელვარების მქონე, მკვრივი აგური მუდამ იქნება
 დამამშვენებელი მე-19 საუკუნის ქართული მწერლების დიდი მო-
 ზარკური შენობისა.

სულ სხვაა ამ შენობის მურჯნი — ქართველ მოლიერად წო-
 დებული გიორგი ერისთავი და ეპოქის აზრთა მპყრობელი. დიდი
 ილია.

თეითონ ილიამ განსაზღვრა გ. ერისთავის ლფაშლი და შემო-
 ქმედების უნარი. მისი აზრით „ორი დიდი სამსახური მიუძვის
 ჩვენს წინაშე“ [გიორგი ერისთავს] ერთი ისა, რომ „უურნალი
 შეჰქმნა“ და ამით გაამთლიანა ქართული ლიტერატურული ძალები,
 ხოლო შეორე — „შეჰქმნა ქართული თეატრი და სათეატრო მწერლო-
 ბის მძღმოთავრად მოგვევლინა“. რითაც — დასძენს კვლავ ილია — გან-
 ლტოლვილ ფიქრებში წასული ჩვენი გონება ჩვენს შინაცხოვრებას-
 დააკვირვა“. ამ „შინაცხოვრების“ დაკვირვების შედეგია გ. ერისთა-
 ვის პოეზიაც, რომელიც ილიასავე განმარტებით „იმითია შესანიშნა-
 ვი, რომ ჩვენს პოეზიას ჩაუმატა ის პირველიანი ეკალი, რომელსაც
 „სატირას“ ეძახიან.

ხოლო „მან დაბადა ენა ქართული ახლისა გფარჩსა მწერლო-
 ბისაფის“ — ამბობს ჩვენ სიძფელეთა დაულალავი მყვალივარი და
 სწავლული პლატონ იოსელიანი, მანვე. (გ. ერისთავმა). „დააფუძნა-
 პირველი ქართული თეატრი, მან დააარსა პირველი ქართული უურ-
 ნალი [„ცისკარი“] და სხვა პირადი ღირსებაც რომ არა ჰქონდეს
 რა ამგვარ კაცი, — დასძენს მისი ბიოგრაფი, — მისი ცხოვრების ალ-
 წერა მაინც ღირსსაცნობი იქნებოდაო“. ეს სამართლიანი აზრი გ.
 ერისთავის მიმართ დროთა ვითარებაში უფრო განამტკიცა და გააძ-
 ლიერა.

მართლაც, გ. ერისთავი იყო პირველი ქართველი მწერალთაგა-
 ნი, რომელმაც პირველად გაუსწორა თვალი თავის თანამედროვეობას.

და სიცილი ასტერა თავისი კლასიკური კომედიებით. აქ ის ამხელიდან და ამათრახებდა ცველას, ვისაც კი სწოდებოდა. და ვის არ სწოდებია ეს შეთრახი, რომელ თაობას, რომელ წოდებას? ცველაზე ბევრი ჩვენს თავად აზნაურობასა და ქალაქის მოვაჭრე საზოგადოებას ერგო იყო".

ის, ფეოდალური წრილი გამოსული დოდი ინტელექტუალური ძალა, 1832 წლის მოძრაობის (ამის შესახებ დაწვრილებით ბიოგრაფიაში წაიკითხავთ გვ. 16—23) აქტიური მონაწილე და ახალი მისწრაფებებით გამსჭვალული, საქართველოს კულტურული ცხოვრების ყოველმხრივ განახლებას შეუდგა. მაგრამ ახლადიდამყენიდრობულ ჩატარების კარიზმისაგან უდაბურბდე წცეულ მის სამშობლოში სად იყო ის აპარატი, რომელსაც უნდა გივერცელებინა ეს იდეები. იმდროინდელ საქართველოში არ იყო არც გაზეთი, არც უურნალი, არც სტამბა, თეატრის ზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. გიორგი ერისთავი კი არა, ზექსტირიც რომ დაბადებოდა იმდროინდელ საქართველოს, იძულებული დენებოდა თავისი გენიალური ნაწერები უბით ეტარებინაო, სწორად შეუნიშნავს მკვლევარს. ჩევნი დიდი კლასიკოსების: ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და სხვ. მგზნებარე ლექსები ხელნაწერად კოცელდებოდა მწერლობის მოყვარულ ოჯახებში, ისინი მხოლოდ მწერლის ახლო ნათესავთა და მეგობართა კუთვნილებას შეადგენდნენ. ასეთ უდაბნოში გზის გაკაფებას გ. ერისთავმა უმეთაურა და კიდევაც გაიყვანა იყი, ჩაგდო ის მყარი დუღაბი, რომელიც შეიქნა საუკუნო საფუძველი ქართული მწერლობის შემდგომი აღორძინებისა.

ამგვარად, ქართული კულტურის მდიდარ მემკვიდრეობაში მრავალმხრივ მნიშვნელოვანია გ. ერისთავის მოღვაწეობა და შემოქმედება. მან ცოცხლად, მეტად მიმზრდებოდა მეტყვიო ფერებში ჩამოასხა თავისი დროის საქართველოს ქანდაკება, საცა განსაკუთრებით ხაზგასმულია ფეოდალურ-ბატონყმური წყობის დაშლა.

ამიტომ არის, რომ ინტერესი გ. ერისთავის ლიტერატურული მემკვიდრეობის, როგორც ეპოქალურ თხზულებათა, შესწავლისადმი დღემდე არ შენელებულა. დღეს, როდესაც მარქსისტულ-ლენინური თეალისაზრისით ხდება წარსულის კულტურული მონაპოვრების შესწავლა და გადაფასება, გ. ერისთავის მოღვაწეობისადმი ინტერესიც უფრო ცხოველია და თვალსაჩინო.


ამ ინტერესის დაკმაყოფილებას ნაწილობრივ უთუოდ შესძლება ამ კრებულში მოყვანილი ნარკევი გ. ერისთავის შესახებ. სამწუხა-როდ, ამას ვერ ვიტყვით ილია ჭავჭავაძის გარშემო ძველ დამატების.

სახით მოყვანილ მოგონებაზე (ბიბლიოგრაფიული ცნობები იხ. შენიშვნებში). როგორც თვითონვე აღნიშნავს, ავტორს განზრახულა ჰქონია დაეწერა „ცხოვრება ილიასი, აკაკისა, ნიკოლაძის, გოგებაშვილის, სანდრო ყაზბეგისა“ და სხვ. და ამიტომ „მე ყოველს შეყრაზე—ამბობს ავტორი—ილიას ვუყურებდი და ვუსმენდი, როგორც მსხვერპლს „მუშტრის თვალით“ და როცა იმისგან მოვდიოდი შინ, მის ნალაპარაკეცს ვწერდი ჩემს სამახსოვრო წიგნში“-ო.

ავტორს ვერ მიუღწევია, სხვადასხვა საპატიო მიზეზთა გამო, ყველა აქ ჩამოთვლილ მწერალთა ცხოვრების აღწერისათვის. მათი ცხოვრების წვრილმანები შემოდგომის ფოთლებივით მიმობნეულადარჩენ სამახსოვრო წიგნთა ფურცლებზე. აქედან, 1908 წ. გამართულ ილიას სალამოზე, სპეციალური დავალებით ამოკრეფილი მოგონებანი—„ნანა და განაგონი ილიას ცხოვრებიდან“ ავტორისაგან მოხსენების სახით იქნა წაკითხული (იხ. შენიშვნები). მისი აქ დართვა დამატების სახით მაინც საჭიროდ ვცანით, როგორც დიდი ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის რამდენიმე დამახასრათებელი მომენტისა და საყურადღებო დეტალების—შემცველისა.

სოლ. ცაიშვილი

გიორგი ერისთავი



800680 0606280

გიორგი დავითის-ქა მრისთაგი

ჩვენი ერის სულიერი ძალ-ღონე, სულიერი მეტნაკლებობა ჯერ სახსარს არ გვაძლევს- თითოეულ ჩვენს საზოგადო საქმეს თუ მოთხოვნილებას თავისი დახელოვნებული, ცალკე მიჩემებული მუშაკი შევურჩიოთ. ეს სანატრელი დრო ჯერ კიდევ შორსაა ჩვენზე. საქართველოს წარსული ცხოვრების გამოსარკვევად, მაგალითებრ, ჩვენისე ცოტა გონებითი საგზალი გვაქვს, რომ არც კი ღირს კაცმა მისი სახელი ახსენოს, ის ძალი, რომელმაც უნდა ფარდა-აჭხადოს ჩვენს წარსულს და გვაცოდინოს რაც ყოფილან ის კაცნი; ვის სახელთაც ჩვენამდე მოუღწევია, რა მნიშვნელობა ჰქონიათ და აქვთ იმ გარემოებათა, რომელთაც მოგვითხრობენ მატიანენი, ერთი სიტყვით, ძალი, რომელმაც უტყუარი, ნამდვილი ხატი ჩვენი წარსულისა უნდა ხელთ მოგვცეს, დღეს ჩვენში არ არის; ჩვენს შემდეგ თაობათა შორის თუ აღმოჩნდება სადმე...

მაფრაშ რაც უნდა ნაკლებ ვიცოდეთ ჩვენი წარსული, ჩვენი მწერლობის და გონებითი მოძრაობის თავგადასავალი, ერთი საზოგადო აზრი, რომელსაც ვიმეორებთ ეხლა მცოდნენი და უმეცარნა მართალ აზრად დარჩება იმ დროისათვისაც, როცა მერმისი ძალი არც ერთ უხეირო „ანბანთ-ქებასაც“ არ დააგდებს უყურადღებოდ და გაურჩეველად.

ეს საზოგადო აზრი ის არის, რომ ჩვენი გონებითი განვითარება და მწერლობა ეკლესიის საფარქვეშ იყო შეხიზნული საუკუნიდან საუკუნემდე. დიდი მონასტრები იგივე მაღალი სასწავლებელნი იყვნენ; ბერ-დიაკვანნი იგივე მწერალნი; სამღვდელონი იგივე სოფლის მასწავლებელნი. მონასტრიდან, როგორც სტამბილან, წიგნები ვრცელდებოდა სოფლიდან-სოფლად. მათ გაპქონდათ საქვეყნოდ სამღვთო სიტყვა, სიბრძნისმოყვარეობა, რიტორება, ლექსთათხზეა და სხვა მეცნიერებანი, რომელთაც დიდი ფასი ჰქონდა საშუალო საუკუნეთა განმავლობაში. თავი ეკლესიისა, ამ ღროს, თანასწორი იყო თვით მეუისა; ყოველგვარ ქვეყნიურ განზრაზვაზე, ყოველგვარ გონებით აღმაფრენაზე ღმერთი სუფევდა გონებამიუწვდომელი, საზღვარგარდუვალი. ამიტომაც უველა ის წარჩინებულნი მწერალნი, რომელთაც წარსულში დაუმშვენებიათ ჩვენი ენა, ეკუთვ-

ნოდნენ სასულიერო წოდებას. სულხან-საბა, ამბროსი ნეკრესელი, ანტონ ჭყონდიდელი, გაიოზ, დავით რექტორი—სასულიერო პირნი იყვნენ. ძველი დიდება ქართული მწერლობისა: გიორგი მთაწმინდელი, ექვთიმე, პეტრიწი, არსენ იყალთოელი, თეოფილე, დიმიტრი, დავით გარეჯელი ბერებნი იყვნენ. თვით რუსთველმაც შეიმოსა, თამარის შემდეგ, ბერ-მონაზობა და იერუსალიმის გზას გაუდგა.

გონების განვითარება მარტო ჩვენში არ იყო ეკლესიის ამ-გვარ მორჩილებაში. მთელს განათლებულ ევროპაშიაც ასე იყო. უველგან იგივე ლვისმეტყველება და მასთან განუყოფელი ფილოსოფია, რომელთაც ჰქონდათ სადგურად სასულიერო სასწავლებლები და მონასტრები; განაგებდნენ გონებით მოძრაობას.

მაგრამ დროთა ვითარების გამო, როდესაც მსოფლიო განათლებამ სული მოიდგა და ნამდვილმა სამოქალაქო ცხოვრებაშ ფეხი აიდგა ევროპაში, იქ კაცის გონებამაც თავი დაიხსნა; საჭირო შეიქნა ამისთვის არა მარტო დიადი გონების მექონი კაცნი და ფილოსოფოსნი, არა მარტო ცხოვრების ღალადება და უოველდლიური საჭიროების მოთხოვნილება,—საჭირო შეიქნა იარალის ხმარება და სისხლის ღვრა. ვინც დააკვირდება ამ წარსულს, ის დაინახავს, რომ ეზლანდელ ევროპის ცხოვრებასა და იმ ეკლესიურ ხანას შუა, რომელზედაც აქ ვლაპარაკობთ, დიდი სისხლის ხევი ჩამოდის თავისუფლებისათვის დატანჯულ და წამებულ მოღვაწეთა.

ჩვენში კი ეკლესიის უფლება უსისხლოდ და უბრძოლველად გათავდა. მეცხრამეტე საუკუნემ მზამზარეულად მოგვიტანა ჩვენ ახალი პოლიტიკური წყობა და ახალი-გონებითი ცხოვრება. უეცრივ, მოულოდნელად, უცილოდ, ერის განათლება და მწერლობა სასულიერო უწყების ხელიდან სამოქალაქო უწყების ხელში გადავიდა. ტფილისში დაფუძნდა ეგრედწოდებული „კეთილშობილთა სასწავლებელი“, რომლის პროგრამას პირველად დაეტყო ჩვენში ცხოვრების საჭიროებასთან შესაბამება. ამ სასწავლებელში დაუყოვნებლივ მიაბარეს თავიანთი შვილები იმ დროის თავად-აზნაურებმა, რომელთაც მაშინვე იგრძნეს სწავლა-განათლების საჭიროება. აქ მიიღო პირველი განათლება სამმა ჩვენმა სასიქადულო პოეტმა: გრ. ორბელიანმა, ნიკ. ბარათაშვილმა და გიორგი ერისთავმა; აქვე აღიზარდნენ უპირველესნი ჩვენი სამოქალაქო და სამხედრო მოღვაწენიცა.

ქვეყნის ახალმა მმართველობამ და უცხო ქვეყნიდან გადმოხერგილმა განათლებამ ცოტ-ცოტად ახალი ცხოვრება გამოიწვიეს ჩვენს საზოგადოებაში. პირველ დროში ეს ახალი ცხოვრება მარტო

ზოგიერთ ქალაქში მცხოვრებთ დაეტყო და ისიც მხოლოდ გარეგნობით; სოფლებში კი ისევ მეთვრამეტე საუკუნე იყო, ისევ სასულიერო განათლება ბატონობდა, ისევ ქოშები და ლეჩაქები მეფობდენ.

განათლება და ახალი ცხოვრება სოფლებშიაც რომ გავრცელებულიყო, დრო იყო საჭირო და მასთან ერთად შესაბამი გარემოებანი, რომელზედაც დამოკიდებულია ერის წარმატება, ე. ი. გზები, სკოლები, ვაჭრობა, მეურნეობა და სხ. საჭირო იყო, სხვათა შორის, ერთი რამ ახალი, მანამდის ჩვენთვის უცნობი, ვითარებაც, რომელსაც ყოველ განათლებულ ერის წარმატებაში დიდი ადგილი უჭირავს, საჭირო იყო—ახალი ცხოვრების და განათლების ხალხში გავრცელება ბეჭდვის საშუალებით, ეურნალებისა და გაზეთების შემწეობით. საჭირო იყო ნიჭიერი და ენერგიული მწერალი, რომელსაც შესძლებოდა შეეთვისებინა, აეწერა და გაევრცელებინა ხალხში ახალი დროის მოხმოვნილება, რომელსაც საკმაო გამბედოვნება ჰქონოდა აღჭურვილიყო ხალხის ნაკლულევანების წინააღმდეგ და დაცინვით მოეკლა მისი ფუჭი თავმოყვარეობა და ცრუმორწმუნეობა. ერთი სიტყვით, საჭირო იყო ისეთი კაცი, რომელსაც უნდა შეეჭრა სარკმელი და შეეტანა სანათური იმ ბნელ საღვრუში, საცანებივრობდნენ ჩვენი მამები, და მოეფინა იქ ახალი განათლების სხივი. ასეთი მწერალი, გარდა იმისა, რომ გაუწევდა ამით სამსახურს ერის კეთილდღეობას, თვითონ მწერლობასაც ჩამოიყვანდა. იმ ღრუბლიანი მწევრვალიდან, საცანები მარტო ლერთსა და სიყვარულს უგალობდა, და პირველად დაანახებდა ჩვენს ქვეყანას ახალს, კაცისათვის გულშემატკივარს, სამოქალაქო მწერლობასაც, რომლის მამად და დამაარსებლად შერაცხდა მას შთამომავლობა.

ამგვარ მწერლად და მოღვაწედ აღმოუჩნდა ქართულ საზოგადოებას თავადი გიორგი დავითის-ჭე ერისთავი.

„მან დაბადა ენა ქართული ხელისა გვარისა მწერლობისათვის“, როგორც ამბობს პლატონ იოსელიანი, მან დააფუძნა პირველი ქართული თეატრი, მან დააარსა პირველი ქართული უურნალი... სხვა პირადი ლირსება რომ არა ჰქონდეს რა ამგრად კაცს, მისი ცხოვრების აღწერა თეატრისა და მწერლობისათვის მაინც იქნებოდა და ლირსსაცნობი, მაგრამ გიორგი ერისთავის ცხოვრება უფრო იმიტომ არის საყურადღებო, რომ ის წარმოგვიდგენს ცოცხალ სურათს იმ თაობისას, რომელიც აღზარდა ახალს, რუსებისაგან განშზადებულ ნიადაგზე, ყოველი მისი ნაკლულევანებითა და ლირსებით. ამის გამო, ვიდრე მის ლვაწლზე და მნიშვნელობაზე ვიტყოდეთ რასმე, ვიდრე მის მწერლობას დავათასებდეთ, ჩვენ მდს ცხოვრების აღწერას ვკიდებთ ხელსა.

გროვგი ერისთავი დაიბადა 1811 წელს*. მამაშისი, დავით, იყო ქართლის მებატონე, —უფროსი წილობა ქსნის ერისთვიანთ ოჯახისა, რომელიც უწინდელ დროში იქნებოდა საერისთავოს გამგედ. დედა, ივანე მდივნის ქობულაშვილის ასული, მარიამ, იყო დიდი ღვთის-მოყვარე ადამიანი, წყნარი, კეთილი, კაცომლყვარე. პოეტი ამათი შუათანა შვილი იყო.

შუაგულს ქართლში, წარჩინებული თავადიშვილის ოჯახში ახალგაზრდა გიორგის გზა გახსნილი ჰქონდა სოფლის ზნისა და ჩევეულებისათვის ეთვალყურნა, სოფლის ავკარგიანობა შეეცნო, შეესწავლა და მისი უტყუარი სურათი ლრმად ჩაერჩინა გულში სიყრმითვე, ამასთან, დედაც ჰყავდა ქართული ენის და მწიგნობრობის ზედძიწევნით მცოდნე და სოფლის ცხოვრებასთან ერთად პოეტმა კარგად შეისწავლა ქართული ენაცა და ქართული მწერლობა ხომ სიყრმიდანვე შეიმსპევალა. ვიდრე ათი წლის არ გახდებოდა, გიორგი არ განშორებია დედ-მაშის ყურადღებას. ათი წლისა კი იგი ჩამოიყვანეს ქალაქში და მიაბარეს კეთილშობილთა სასწავლებელში.

პირველად აქ გამოიჩინა გიორგიმ ლექსთამთქმელობის ნიჭი. ათორმეტის წლისა იგი უკვე წერდა ლექსებს და უკითხავდა თავის ამხანაგებს, რომელთა შორის ქართული ენის სიყვარული მაშინ ძალიან გავრცელებული იყო.

კეთილშობილთა სასწავლებლი არ შეუსრულებია პოეტს. როცა გადავიდა მეხუთე კლასში, მისმა ბიძამ, მიტრობოლიტმა* ვარლამმა, რომელიც ცხოვრობდა მოსკოვში, მოსწერა მის მშობელს, გაეგზავნათ მისთვის ერთ-ერთი შვილი. ასეთივე სათხოვარი მოუვიდა დავითის მეორე ძმას, მირმანოზ * ერისთავსაც. დავითის შვილებში წილი ხვდა გიორგის, რომელიც მის ბიძაშვილთან, ესტატესთან ერთად გაგზავნეს მოსკოვს 1825 წელს. მოსკოვს ყოვლადსამღვდელო ვარლამმა თვისი ახალგაზრდა ნათესავები კერძო პანსიონში მიაბარა.

მაგრამ არც ამ პანსიონის დამთავრება ხვდა ახალგაზრდა გიორგის. შემდეგ ორი წლის სწავლისა, გიორგის გაუხდა ავარ მისი ბიძაშვილი და ექამებმა არჩიეს ავადმყოფის სამშობლოში გაგზავნა. ჯაშინებულმა ვარლამმა ვერც გიორგის დატოვება გაბედა მოსკოვში და 1828 წელს გიორგი ისევ სამშობლოში გამოისტუმრა.

*. გიორგი ერისთავის საფლავის ქვაზე (სოფ. იკორთას) აღნიშნულია, რომ ის გარდაიცვალა 1864 წ. 9 სექტემბერს „შობიდგან 51 წლისა“, რაც სწორი უნდა იყოს, რადგან გიორგის უფროსი ძმის როსტომის საჭლაზე (ოძისში) წერია: იგი გარდაიცვალა 1847 წ. „შობიდგან 36 წლისა“. აქედან ჩაას, რომ 1811 წელს ჯაბაშებულა უფროსი ძმა — როსტომი, ხოლო გიორგი 1813 წ.. მასალები (საფლავის ქვის ფოტოპირები და სხვა საოჯახო საბუთები) მოგვაწოდა გიორგის შვილებილმა ელისაბედ დავითის ასულ ერისთავმა.

ს. ც.

**. ვარლამი პაპის ძმა იყო გიორგისა. — გიორგი — დავითი — როსტომი. ამ უკანასკნელის ძმა იყო მიტროპ. ვარლამი. (იბ. გენეალ. ქსნის ერისთავებისა).

ს. ც.

***. მირმანოზიც ჰაპის ძმა იყო. — როსტომ, ვარლამ, მიხეილ მირმანოზ და სოლომონ დავითის-ძენი იყვნენ. (იქვე) — ს. ც.

აქ გიორგი წელახლა არ შესულა სასწავლებელში, თუმცა ასაკი სკოლისა ჰქონდა. რამდენსამე ხანს იყო უსაქმოდ იყო, ე. ი. სკოლასა და სამსახურს გარეთ, და ლექსთათქმით იჯერებდა გულს მოძრაობისა და მოქმედებისათვის გაჩენილი მისი ბუნება. ეს ის დრო იყო, როცა რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდნენ ჩვენებური ახალგაზრდა ყმაწვილებაცნი, რომელთაც ჩამოიტანეს თან ქართული მწერლობის სიყვარული, საქართველოს ბატონიშვილებისადაცა მათ გარეშე პირთაგან შეძენილი პეტერბურგსა და მოსკოვში. ამ ყმაწვილებაცნა ზედ დაერთო ის თაობაც, რომელიც გამოიზარდა ქეთილშობილთა სკოლაში, და ცოტ-ცოტათი ტფილისში დაარსდა ქართული მწერლობის მოყვარეთა წრე, საცა დაიბადა. შემდეგში ქართული უურნალის გამოცემის აზრი. ამათში გიორგი ერისთავს პირველი ადგილი ეჭირა.

ჯერ კი ვიდრე დრო არ მოსულიყო, გიორგი განწესდა სამსახურში ტფილისის გუბერნატორ სტრეკალოვთან. შემდეგ, როცა კავკასიის მთავარმართებლად დაინიშნა ბარონი. როზენი, გიორგი იმის ამაღლაში გადავიდა.

აქ საჭიროდ ვრაცხთ ჩავურთოთ ერთი ეპიზოდი გიორგი ერისთავის ცხოვრებიდან, რომელიც ამ დროს ეკუთვნის.

1828 წელს, ორდესაც რუსეთის გამოჩენილმა მწერალმა გრიბოედოვმა ჯვარი დაიწერა* ქალაქში, მაშინდელმა მთავარმართებელმა პასკევიჩმა, რომელიც გრიბოედოვის ნათესავი იყო, ქორწილოთავის სასახლეში გადაიხადა და ამ ქორწილზე მიიწვია საქართველოს ბევრი თავად-აზნაური და სხვათა შორის ახალგაზრდა გიორგიც. დანიშნულ დროზე გიორგი ქართული ტანისამოსით მორთული შივიდა სასახლეში და შეუდგა კიბეს, მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება... კიბეზე ასელის დროს კალთაში სწვდა მას პოლიციის ერთი მოხელე და დარბაზში შესვლის ნება არ მისცა ქართული ტანისამოსით. გიორგიმ ითაკილა ამგვარი შეურაცხყოფა და შინ დაბრუნდა. თავმოყვარეობამ ნება არ მისცა მას სხვა ტანისამოსი ჩაეცვა და ისე დასწრებოდა ქორწილს**.

ეს უბრალო, მაგრამ შესამჩნევი ამბავი ცხადად გვიხატავს ქალაქის მმართველობის ზნეს იმ ხანებში. ჩვენები არ იყვნენ იმ დროს პატივში და ამ უპატიობას ძლიერ აშკარად აგრძნობინებდნენ მათ არამც თუ სასახლეში, მთავარმართებლის ბალშიაც ქართული ტანისამოსით არავის არ ატარებდა პოლიცია. კრძალვით თუ მორიდებით საზოგადოებასაც ხმა ვერ ამოელო, ყაფლანიანთ უბანში, ამ დროს, ერთი საშინელი ბერუა „დესეტნიკი“ იყო თურმე, რომლის წინაშე მთელი ქალაქი თრთოდა. თვით ყაფლან ღრმელიანის მამას ეშინოდა

* წინო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძეზე, ჩვენი პოეტის უფროს ქალზე. —ს. ც.

**. შესაძლებელია ეს-ფაქტი სხვა რომელიმე გიორგის (აშ-სახელის მატარებელი მათს გვარში იმ ხანებში ხუთამდე პირი იყო) ეკუთხოდეს, რადგან დრამატურგი მაშინ მეტად ახალგაზრდა იყო და საეჭვოა ამ ქორწილზე ყოფილიყო მიწვეული.

თურმე იმისი, „ბერუა მოდისო“ რომ იტყოდნენ, ყველას წარმოუდგებოდა მისი, ქამარში გარჭობილი მათრახი და ყველა ფრთხოდა და ერიდებოდა თავს ვუშველოო.

ამგვარი გულსმოდგინება პოლიციის მოხელეთა ცუდად მოქმედებდა ქალაქის მოწინავე ქართველობაზე. საზოგადოება უიმისოდაც დაქსაქსული იყო ნაწილ-ნაწილად. ნათესაობითი კავშირი, პირადი თანაგრძნობა და ჩვეულება სხვადასხვა მხრისაკენ იწვევდნენ მას, დრო იყო საჭირო, რომ ეს ჩვეულება გამქრალიყო, ამ ნაწილ-ნაწილად დაყოფას ბოლო მოღებოდა, რომ წარსულ აჯანყებათა მოგონებაც წაშლილიყო და ბატონიშვილების დინასტიური მეცადინეობა დავიწყებოდა საზოგადოებას. მხოლოდ მაშინ შეადგენდა ეს საზოგადოება ერთ მჭიდრო პოლიტიკურ წყობას. ამისათვის კი საჭირო იყო ისეთი მშეიდობიანი მმართველობა, როგორიც იყო შემდეგში თავ. ვორონცოვისა; საჭირო იყო თავაზიანი ქცევა და პატივი ქართველების „ისტორიული სიამაყისა და ზეპირგადმოცემათა“, როგორც ამბობს განსვენებული ფადეევი. მაგრამ, ნაცვლად ამისა, ნაციონალური ქართული გრძნობა ხშირად რჩებოდა შეურაცხყოფრი კავკასიის აღმინისტრაციის წერილ მოხელეთაგან.

ამ გარემოებაში საზოგადოებაში უკმაყოფილება დაბადა. 1829 წელს ამ უკმაყოფილებას მოჰყვა ოცნებითი სურვილი საქართველოს განთავისუფლებისა რუსეთის დამოკიდებულებიდან. ტფილისში დაარსდა ფარული საზოგადოება, რომელსაც უნდოდა რუსების განდევნა საქართველოდან—ერთის, მხოლოდ „მამულის სიყვარულითა და ერის სიამაყით“. ეს საზოგადოება იყო შემდგარი უმეტეს ნაწილად გატაცებულ ყმაწვილკაცობისაგან, რომელსაც ამ საქმეში საზოგადოების თანაგრძნობა არა ჰქონდა. იმათ განზრახვას მიეცა განსაზღვრული ფორმა ფარული საზოგადოებისა 1830 წელს, პოლონეთის მეომართა მიხედვით. ამ დროს მოსკოვიდან ქალაქს ჩამოვიდა ბატონიშვილი ოქროპირი, რომელიც, როგორც აღმოჩნდა შემდეგში გამოძიებიდან, მონაწილე იყო ამ ფარული საზოგადოებისა. იმისმა მოსვლამ უფრო წააქეზა ახალგაზრდა შეთქმულები. გიორგი ერისთავს ამ ფარულ საზოგადოებაში ისე დიდი მონაწილეობა ჰქონდა, რომ მისი ცხოვრების აღწერა არ იქნება სრული, თუ არ მოვიხსენიეთ აქ, რა მონაწილეობა ჰქონდა იმას ამ საზოგადოებაში და რა სასჯელი შეახვედრა მას ბედმა დანაშაულისათვის, ე. ი. თუ არ ვუჩვენეთ ის წრე, რომელშიაც ცხოვრობდა ამ დროს პოეტი, ის იდეალები, რომელნიც სულს უდგამდნენ მას. ჩვენ იძულებული ვართ შევეხოთ შეთქმულების ამბავს, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს საჭი-

რო იქნება გ. ერისთავის ცხოვრების აღსაწერად. ერთადერთი ჩვენი წყარო ამ საგნისათვის არის არქეოგრაფიული აქტები, საიდანაც შოგვყავს სულ ყველაფერი, რაც კი შეეხება ამ შეთქმულებას და გაერისთავის მასში მონაწილეობას*.

ფარული საზოგადოების მომავლინებელ უმთავრეს შიზეზად აღმოჩნდნენ მეფე ერეკლეს შვილები და შვილის შვილები. ესენი არ იყვნენ მადლიერნი რუსეთის მმართველობისა. გიორგის შვილები—იმიტომ, რომ შემდეგ საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, რუსეთის მართებლობამ არ იცნო საჭიროდ დაეცვა დაურღვევლად მეფე გიორგისთან შეკრული ტრაქტატი, რომლის ძალითაც საქართველოს სამეფო ტახტზე უნდა მჯდარიყო გიორგის. შთამომავლობა, და იულონის შვილები კი იმიტომ, რომ მეფე გიორგიმ, მათდა დაუკითხავად შეუერთა საქართველო რუსეთს. ამასთან ბატონიშვილები, როგორც ამბობდა შემდეგ გამოძიება, სულ უსაქმოდ იყვნენ, ოცნებაში გართულნი, მოკლე ჭიუისანი და ემდუროდნენ რუსეთის მმართველობას, რომ მათ საქმაო ფულს არ აძლევდა.

ამ ბატონიშვილებში ყველაზე უფრო უქმაყოფილო იყო დიმიტრი, ბატონიშვილის იულონის ძე, ოცდაათის წლის ყმაწვილი კაცი. ეს ცხოვრობდა პეტერბურგში და ყოველ კვირას თუ დღესასწაულს მის სახლში იკრიბებოდა რაც რამ ქართული ახალგაზრდობა იყო იმ ჟამად პეტერბურგში. ამ ყმაწვილთა ყრილობებზე დაიბადა პირველად ის უქმაყოფილება, რომელსაც ბოლოს ეს შეთქმულება მოჰყვა. ოქროპირ ბატონიშვილის გარშემოც მოსკოვში მზადდებოდა საქართველოს განთავისუფლება. 1829 წელს ეს დაეთხოვა მოსკოვის გუბერნატორს კავკასიის წყლებზე წასასვლელად და, წყლების მაგიერ, ჩამოვიდა ტფილისს და აქ ხშირი მისვლა-მოსვლა გამართა ალექსანდრე ორბელიანთან, ელიზბარ ერისთავთან, სოლომონ დოდაშვილთან და ბერ ფილადელფოს კიკნაძესთან. ამ უკანასკნელმა, უეჭველია, ოქროპირის რჩევით, დაწერა „ფარულის მეგობრობის“ წესი. ამ წესში დალაგებით იყო მოხსენებული, თუ როგორ უნდა ემოქმედა „მეგობრობის“ თითოეულ წევრს. უნდა ჩაეგონებინათ ყმაწვილებისათვის მამულისა და ბაგრატიონების სიყვარული, უნდა გაეხსენებინათ ხალხისთვის ძველი საქართველოს მეფეები, რომელთა დროს ყოველ კაცს ჰქონდა შეძლება მისულიყო მეფესთან და ეთხოვა მსწრაფლი სამართალი; უნდა ექადაგნათ ფარულად და უეჭველად ორს ერთმანეთთან, მესამის დაუსწრებლად.

* იხ. კავკას. არქეოგრ. კომ. აქტ. ტომი VIII, გვ. 394. — ს. 5.

1829 წელს, ივნისში, როცა ბატონიშვილი ოქროპირი დაბრუნდა მოსკოვს, ელიზბარ ერისთავმა, ალექსანდრე ორბელიანმა და სოლომონ დოდაშვილმა ხელი მიჰყვეს პროპაგანდას. 1830 წ. პოლონეთში აჯანყება მოხდა და ამან უფრო წააქეშა შეთქმულები. პირველი კაცი, რომელსაც ელიზბარ ერისთავმა გაანდო საიდუმლო, იყო ია ფალავანდიშვილი, კაცი, რომელმაც შემდეგში გასცა ყველა შეთქმული. ამათ რამდენიმე თვე უსაქმობაში გაატარეს. დოდაშვილმა შეთქმულების აზრის გასავრცელებლად განიზრახა ქართული გაზეთის გამოცემა და შემდეგში, 1832 წელს, მართლა გამოსცა ხუთიოდე ნომერი.

შეთქმულთა ამხანაგობამ ამ დროს შეიძინა ერთი ახალგაზრდა, 17 წლის, ყმაწვილი * კაცი რომელმაც პირველ დღიდანვე გულმხურვალედ მოსჭიდა ხელი მამულის განთავისუფლებას. ეს ყმაწვილი კაცი იყო გიორგი დავითის-ძე ერისთავი, ჩვენი პოეტი. საიდუმლოება გაანდო იმას ელიზბარ ერისთავმა. როგორც გამოძიებიდან აღმოჩნდა, ის იცნობდა ბატონიშვილ ოქროპირსაც და ხშირად დადიოდა მასთან, როდესაც ბატონიშვილი ტფილისში ბრძანდებოდა, მაგრამ გაანდო იმას ოქროპირმა საიდუმლოება თუ არა, ეს გამოძიებამ ვერ შეიტყო. თვითონ გიორგი კი უარზე იდგა; — არა უთქვამს რა ბატონიშვილს ჩემთვისაო, და შესაძლებელიც არის, მართლა, რომ ოქროპირს, რომელსაც საზოგადოდ ძლიერ ფრთხილად ეჭირა თავი, არა ეთქვა რა ჩვიდმეტი წლის ყმაწვილისათვის.

ელიზბარმა და გიორგიმ შეთქმულება გაანდვეს თავ. მამუკა ორბელიანს. მამუკამ თანაგრძნობით მიიღო წინადატება და ამ სამთა რჩევაში გადაწყდა, რომ შეთქმულთ მოეხდინათ აჯანყება. ელიზბარმა და მამუკამ არჩიეს, რომ არეულობა მომხდარიყო შემოდგომას, როცა მკა გათავებული იქნებოდა. ამ დროისათვის თითოეულ შეთქმულს უნდა ეშოვა საკრიალ დაიარალებული ხალხი, ბორჩალოდან ჩამოერეკათ თათრები (ამას მამუკა ორბელიანი კის რულობდა). და, როცა ყველაფერი მზად იქნებოდა, უნდა გაემართათ ტფილისში ბალი, რომელზედაც მოწვეული უნდა ყოფილიყო ტფილისში მყოფი ყველა წარჩინებული რუსი და ამათი დახოცვით დაეწყოთ არეულობა... ეს დაწყობილობა სხვებსაც აცნობეს. ელიზბარი ყოველ თავის ნაბიჯს ატყობინებდა პეტერბურგში ბატონიშვილ დიმიტრის. ერთი წიგნი თვითონ პირადად გიორგიმ წაიღო 1831 წლის დამდეგს.

შეთქმულთა რიცხვი თანდათან მატულობდა. ელიზბარ ურის თავმა ლუარსაბ ორბელიანის პირით შეთქმულთა განზრახვა აცნობა.

* თუ ეს „ახლად შეძრნილი ყმაწვილი კაცი“ 1830 წ. 17 წლისა. იყო დადგინდა, ის 1813 წელს ყოფილა დაბადებული.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს. ჭავჭავაძემ თანაგრძნობა — გამოუცხადა ლუარსაბ ორბელიანს და რჩევა მისცა — ბატონიშვილი ალექსანდრე* მოეწვიათ სპარსეთიდან. ეს რჩევა აასრულეს, მაგრამ ბატონიშვილმა უარი შემოთვალა: მოხუცებულიც ვარ და ქართველების ნდობაც დამეკარგაო.

შეთქმულები დაბრკოლებას ვერა ხედავდნენ თვალწინ. იმათ ეგონათ, რომ მათ დაძახილზე მთელი საქართველო აღიჭურვებოდა რუსების წინააღმდეგ.

1831 წელს ა. ორბელიანის ბალში სადილი გამართეს და როცა ცოტა შეზარხოშდნენ, აშკარად და ხმამაღლა დაიწყეს ლაპარაკი თავიანთ განზრახვაზე და საქართველოს განთავისუფლების სადლე-გრძელოც სვეს. ამავე წელს, გერისთობის დღესასწაულზე, არბოში, საიდუმლოება განუზიარეს სოფლის ბევრ თავად-აზნაურს.

მაგრამ ერთმა გარემოებამ ფრთხები დააჭრა შეთქმულთა. პოლონეთის ტრეულობას ბოლო მოუღო რუსეთის ძლიერებამ, ვარშავა დაემხო. აქამდის პოლონეთის მაგალითით სულდგმულნი, ქართველი შეთქმულნი, ახლა იმედმიხდილნი შეიქმნენ და განზრახული არეულობის განხორციელებაზე ლაპარაკიც შეწყდა.

შემდეგ, 1832 წელს, შეთქმულება ხელახლად აღფრთოვანდა. ამ წლის გაზაფხულს შეთქმულებს შორის გავრცელდა კიკნაძე ბერის „ფარული მეგობრობა“. ამ წესდების გავრცელების მიზეზი იყო ჩვენი პოეტი, გიორგი. ის ამ დროს კახეთს წავიდა ვიღაც ნათესავის დასაფლავებაზე და იქ გაიცნო ფილადელფოსი ბერი; რომელსაც ბატონიშვილის ოქროპირის ცნობა ჰქონდა, როგორც ზემოთა ვთქვით. ეს ბერი დაუმეგობრდა გიორგის. ოქროპირის ძველმა შეგირდმა ახალგაზრდა შეთქმული იცნო და ესენი ერთმანეთს გამოუტყდნენ. ფილადელფოსმა მაშინ დასწერა თავისი ფარული მეგობრობის წესდება და გიორგის ჩააბარა სახელმძღვანელოდ. ეს წესდება, როგორც ეტყობოდა, მასონების წესდებიდან იყო გადმოღემული. საზოგადოების წევრთ არ უნდა სცოდნოდათ ერთმანეთი; ურთიერთ შორის ფიცით და აღთქმით შეკრულნი; ისინი უნდა ყოფილიყვნენ შორჩილნი ერთი უმაღლესი და უხილავი ძალისა. ეს წესდება ჩვენმა პოეტმა ქალაქს ჩამოიტანა და, როგორც რიგი იყო, შეთქმულებს უჩვენა... ფიცევეშ. მაგრამ საქმიანი შედეგი კი არა მოჰყვა. რა ამ წესდებას!

* მეტე ერვყლეს შე, რომელიც დიდხანს ებრძოდა რუსეთის ცარიზმის დამყრებას საქართველოში — ს. ც.

შეთქმულების საქმე კარგად მაინც ვერ მიღიოდა. რაზმაძე სპარსეთს გაემგზავრო რაღაც დიპლომატიური მინდობილობით ინგლისის ელჩთან და ბატონიშვილ ალექსანდრესთან. ელიზბარ ერისთავი დიდი ხნით სოფელში წავიდა, ჩვენი პოვტი და ზოგიერთი სხვები ჯარს გაჰყვნენ დაღესტანში, ყაზი-მულასთან საომრად. მამულის განთავისუფლება ხელახლა შეფერხდა.

როცა ელიზბარი დაბრუნდა სოფლიდან, საზოგადო მდგომარეობა ქალაქისა ისეთი იყო, რომ თუ ოდესმე მარჯვე დრო ენატრებოდათ შეთქმულებს აჯანყებისა, ის დრო უთუოდ ეს იყო, როდესაც კავკასიის მმართველი დაღესტანში იყო ჯარით, ყაზი-მულასთან შესაბმელად; კახეთს გამზათ-ბეგის ლეკები შემოესივნენ და ჩაჩნებმა ვოლეინსკის გუნდი დაამარცხეს. ტფილისში ძლიერ დიდი შიში იყო და ხშა დაჰყარეს რუსეთის ჯარის საქმე ცუდად არისო. შეთქმულები შეიკრიბნენ თავ. აფხაზთან და გადასწყვიტეს აეჩქარებინათ აჯანყება.

აჯანყების ვადად დასდვეს 20 ნოემბერი. ამ დღეს ქალაქში უნდა მომზდარიყო თავად-აზნაურთა კრება და შეთქმულთაც ამათი იმედი ჰქონდათ. მაგრამ როდესაც თავად-აზნაურთა კრება ქრისტე-ჭობისთვისათვის გადასდვეს, ამათაც აღრევის დღე იმ დროისთვის გადაიტანეს. თუ გუბერნიის მარშალი თავ. ბუხრანბატონი, ან გუბერნატორი, ფალავანდოვი, წინააღმდეგობას გაუწევდა, ისინი უნდა მოეკლათ. გუბერნატორის მოკვლა თვით 'ძმამ, ია ფალავანდიშვილმა, იკისრა.

დრო რომ დანიშნეს არეულობისა, ბევრი იყო თუ ცოტა მომზრებიც რომ დაიმარავეს, აღრევის თავდარიგის ცოდნა შეიქნა საკირო. ეს თავდარიგი შეადგინა ფალავანდიშვილმა. თითოეულ მონაწილეთაგანს ამის ძალით მიუჩინეს თავიანთი საქმე. დანიშნულ დროს უნდა დასცემოდნენ ხაზინას, არსენალს, მაღაზიებს... არეულობის დღისთვის, ამას გარდა, დაბალ ხალხში უნდა გაევრცელებინათ ხმა, რომ ქართველების სალდათად გაყვანა მოინდომეს რუსებმა და თავადები იმიტომ ჩხუბობენო; ამასთან ტფილისში მყოფი პოლონელებიც უნდა მოემხროთ. აჯანყება უნდა დაწყებულიყო თავად-აზნაურთა ბალში, რომელზედაც აპირებდნენ მოეწვიათ ტფილისში მყოფი მმართველობის უმაღლესნი წევრნი რუსთავან. ყველა ესენი და ამათი მომხრე ქართველები უნდა დაეხოცათ ამ ბალში. მერე უნდა შეექნათ ქალაქში ზარების რეკა, გამოესვენებინაო ხატები. ეკლესი-იდან, დაეფიცებინათ ხალხი და ამ სახით მოეხდინათ არეულობა საქართველოს განთავისუფლებისათვის.

როცა სიტყვა საქმეზე მიღვა და არეულობის დღემ მოაღწია, შევრ მონაწილეთაგანს შიში მიეცა და შეთქმულებს განუდგნენ. ეს შიში უფრო გავრცელდა, როცა ალექსანდრე ჭავჭავაძე ჩამოვიდა ქალაქში და უკანასკნელი რჩევა ჰქითხეს მას. ჭავჭავაძემ დააჯერა შეთქმულების, რომ არეულობა უსარგებლო სისხლის ღვრა იქნებოდა, რომ იმათ არც ძალი ჰქონდათ საქმაო, არც ცოდნა, არც სიმართლე რუსების საქართველოდან გარეკისა. ვამოცდილი და სწავლული კაცის რჩევამ იმოქმედა შეთქმულებზე და აჯანყების განზრახვას თავი ანებეს.

ამ ყოფაში იყო საქმე ქრისტეშობისთვის დამწყებს, როდესაც ერთმა უმთავრესმა შექმულმა, ია ფალავანდოვმა, 9 ქრისტეშობისთვეს ყოველივე ამ საქმის გარემოება მოახსენა შტაბის უფროს ვოლკოვსკის.

10-ს იმავე თვისას უმთავრესი მონაწილენი შეთქმისა და შათ შორის გიორგი ერისთავიც ცაიხის კედლებს შორის სწყევლიდნენ როგორც თავიანთ გამოუცდელობას, ისე მოღალატე ამხანაგს.

მთავრობამ—მაშინ ბარონ როჩენი იყო კავკასიის მმართველად—მეცარი ყურადღება მიაქცია ამ საქმეს. დაპერინა თუ არა ამ საქმის უმთავრესნი მონაწილენი, როჩენმა დანიშნა საგანგებო კომისია, რომელსაც ამ საქმის გამოძიება მიანდო და იმავე დროს დაწვრილებითი მოხსენება აფრინა შიკრიკით პეტერბურგს სამხედრო მინისტრ ჩერნიშვილთან და ჩერნიშვილისაგან საქმე ხელმწიფე იმპერატორს მოხსენდა. როჩენის მოხსენება იმგვარად იყო შეღვენილი და პოლონეთის გამო ხელმწიფე ისე იყო აღელვებული, რომ კავკასიის მხარეში ამჟამად მთავრობის წინააღმდეგ მოძრაობა, რაც უნდა სუსტი და უვნებელი ყოფილიყო ის, შეუნიშნავად და დაუსჯელად არ უნდა დარჩენილიყო. ხელმწიფემ როჩენის განკარგულება მოიწონა და უბრძანა კავკასიის მმართველს განეგრძო მისგან დაწყებული ფიცხელი გამოძიება.

უმაღლესი ბრძანება წამოილო კავკასიაში გენერალმა ჩევკინმა, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა საგანგებოდ ქართველ თავად-აზნაურობასთან გამოგზავნა იმის გამოსაცხადებლად, რომ მისი დღებულება მეტად მოხარული იყო, რომ ქართველი თავად-აზნაურობა არ იყო მონაწილე იმ ორგულობისა, რომელიც შეამჩნია მთავრობაშ ზოგიერთ მათგანს. საგანგებოდ ხელმწიფის ბრძანების მოსასმენად შეკრებილ თავად-აზნაურობას ჩევკინმა სხვათა შორის ეს სიტყვები უთხრა:

„Его Величество, принимая горестное для сердца Его событие личным только делом нескольких безумцев, не изменяет

чувств своих к прочему грузинскому дворянству и, напротив того, удостоверяет оное в постоянном Высочайшем Своем благоволении за верность и усердие к Престолу, как в сем случае, так и во многих других и даже в самом недавнем еще времени им оказанныя».

«Шеффе и Фюнда:

„Ознакомясь с грузинами среди боев последней персидской войны, я привык их считать братьями и полагаю, что преданный Государю своему русский также точно должен быть по чувствам хорошим грузином, как верный грузин должен быть добрым россиянином“ (394 83.)

გამოძიებამ ამ საგანზე სრული ერთი წელიშვადი გასტანა. ამ დროის განმავლობაში გიორგი ერისთავი ავლაბრის ყაზარმებში იყო დამშეცდეული, იქ, საკა ისხდნენ გრიგოლ ორბელიანი, სიმონ მანაბელი, ელიზბარ ერისთავი და სხვ. მონაწილენი ამ შეთქმულებისა დამნაშავეთა გასამართლებაზე და დასჯაზე ჩვენ აქ არას ვიტყვით, რადგანაც საქმის მიმდინარეობა საზოგადოდ შეწყდა და თითოეულის პასუხისვება განკერძებულდა. ამას იქით შეგვიძლია განსაკუთრებით გიორგი ერისთავზე ვილაპარაკოთ.

როდესაც დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს გიორგი ერისთავი, მან დაინახა, რომ ამ შეთქმულების ამბავი, რაც ასმა კაცმა მაინც იცოდა, ისეთი საიდუმლო არ იყო, რომელიც კვლავ დაიფარებოდა, და საგამომძიებლო კომისიის წინ აღიარა თავისი სრული დანაშაული.

დაბოლოებითი გამოძიება... მაგრამ ჯერ ორიოდე სიტყვა ამ გამოძიებაზე. მართალი უნდა თქვას კაცმა, იმდროინდელმა მმართველმა ბარ. როჩენშა დიდი გამჭრიახობა გამოიჩინა ამ საქმეში და შეთქმულებას პირდაპირი მნიშვნელობა არ მისცა. თვით იმპერატორმა ნიკოლოზმა წყალობის თვალით შეხედა ამ საქმეს და თავისებური რაინდული ხასიათით არავინ დასაჯა კანონისამებრ. შემდეგში ამ შეთქმულების მონაწილეებმა გაამართლეს „ესე ვითარი ხელმწიფის მოწყალება“ და სამაგალითო ერთგულებით სახელმწიფო რჩევის წევრობაც დაიმსახურეს და სხვა. უმაღლესი იერარქიული ადგილებიც.

ბოლოს, 2 ოქტომბერს, 1833 წელს, როჩენშა წარადგინა ხელმწიფე იმპერატორთან. კომისიის გამოძიება და მასთან საკუთარი აზრი დამნაშავეთა გასამართლებაზე. ამ აზრით, დამნაშავენი იყვნენ დაყუთულნი ათ წყობად, დანაშაულობის კვალობაზე. ზოგიერთი ჟათგანი უნდა მიეცათ სამართალში და ზოგი კი გაუსამართლებლივ.

მხოლოდ აღმინისტრაციის განკარგულებით, დაესაჯათ ციხეში ჩა-
სმით, თუ სადმეუშიდა რუსეთში გადასახლებით. გიორგი ერისთავი
ამ უკანასკნელ კატეგორიას მოჰყვა, რადგანაც ის „უმაწვილი იყო
და სულ ყველაფერი გულწრფელად აღიარა“. დამნაშავე უმაწვილი
უნდა გაემწესებიათ სამსახურში, რომელსამე რუსეთის არმიის პოლკ-
ში. ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა როზენის აზრი და გიორ-
გი ერისთავის შესახებ გადაწყვიტა, რომ ის გადაეყვანათ რუსეთის
I ქვეითა კორპუსში.

ამ განკარგულების თანახმად, ქავალერიაში მყოფი პრაპორ-
შჩიკი გიორგი დავითის-ძე ერისთავი 1834 წლის 9 იანვარს, შემ-
დეგ ცამეტი თვის პატიმრობისა, გაიგზავნა ქალაქ ვილნოს შესამგ-
ქვეითა დივიზიის კობანდირთან.

მივალ, გარნა-და სული აქ მრჩების.

სწერდა პოეტი რუსეთში წასვლის წინათ თავის შეგობარს
სკომონ მაჩაბელს.

შორეულს, უცნობ ქვეყანაში, მეგობრებსა და ნაცნობებს მო-
შორებული ახალგაზრდა პოლიტიკური დამნაშავე ბევრს ითხენდა,
სანამ შეეჩეოდა იქაურობას, სანამ ისწავლიდა პოლონურ ენას და
შეიძენდა მეგობრებს. გრიგოლ ორბელიანისაგან შეგვიტყვია: ერთ-
ხელ ვილნოში ვიყავი და ნაცნობ პოლკის კომანდირს შევხდი, რო-
მელმაც ქართული პრაპორშჩიკის ყოფნა მითხრა მის პოლკშიო.
პოლკი თურმე ბანაკად იყო ვილნოს გარეშე გასული, და ცნობის-
შოყვარე პოეტი წავიდა ამ უცნობი პრაპორშჩიკის საძებნელად. ბევ-
რი ვეძებე, სთქვა პოეტმა, და ბოლოს ერთი კარავი მიჩვენეს, რო-
მელშიაც უნდა ყოფილიყო ეს პრაპორშჩიკი. შევედი და რა ვნახე?
შალამოს პირზედ, დღის მუშაობისაგან დამაშვრალი, წამოწოლილ
იყო ლოგინზე გიორგი ერისთავი და ლრმად ეძინაო.

— გიორგი!

— გრიგოლ!

გაისმა თურმე ძახილი და ორი მეგობარი გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ეს პირველი შემთხვევა იყო გიორგისათვის. ქართველი კაცის
ხახვისა ამ უცხოეთში, და ადვილი წარმოსადგენია, რა ბედნიერება
იქნებოდა მისთვის ჩვენი დიდებული პოეტის ნახვა. როგორც მის-
თვის, ისე. გრიგოლ ორბელიანისათვისაც ეს შეყრა სამუდამოდ სა-
სიამოვნო სახსოვრად დარჩა.

როდესაც გიორგიმ შეითვისა უცხოთა ცხოვრება და ისწავლა-
უცხო უნა, გარეშე ქვეყანაში ყოფნა უფრო ადვილი შეიქნა მისთვის.

ის დაუბახლოვდა ბევრ პოლონურ ოჯახს და ერთ დროს ისმენდ ლექციებს ვილნოს უნივერსიტეტში. მან შეისწავლა და შეიყვარა მათი პოეტი მიცევიჩი, რომლისაგან სთარგმნა რამდენიმე ლექსი და მოცლილობაში ვანაგრძობდა ქართული ლექსების წერას. მისი ლექსების საგანი სხვა რა იქნებოდა ამ დროს, თუ არ „მტკვარი, მდინარე მისი მამულის“, „ყაბახი“ და სხვა ადგილები მამულისა, რომელნიც არ ამოღიოდნენ მისი ხსოვნიდან. ის მადლობელი იყო პოლონელებისა, რომელთაც ალერსით მდელოთ პოეტი, და სწერდა „უცხო ქვეყნის კაცს“.

სიღრმითა გულით გრძნობიულით ვარ მადლობელი
ჩემის ესრეთისა ალერსისა მიღებასათვის,
მარამ არ ძალ-მის დავიგიწყო მხარე მშობელი
და სიხარულად მიმაჩნია ვიტირო მისთვის.
სად დავიბადე, სად აღვიზარდე, სად ვიყავ ჩჩვილი,
სად სიჭაბუკის განვატარე დღენი ნეტარნი,
სადა მსუროდა მომეწყვიტა ტრფობის ყვავილი,
გლახ, მის მხარისთვის მეფრქვევიან ცრემლნი მდუღარნი.

ოთხი წელიწადი და შვიდი თვე იყო გიორგი ამ „მშობელ მხარის“ ნატვრაში. ბოლოს, როგორც იყო, აგვისტოს დამდეგს, 1838 წელს, „განელო მას რახშული კარი მამულისა“. 25 აგვისტოს ის უკვე დაბრუნებული იყო სოფელ არცევს და იქიდან სწერდა თავის მეგობარს სვიმონ მაჩაბელს, რომ მას „ბედმან კვალად ხშული ვანულო კარი“!

გიორგი ამ დროს იყო 27 წლისა, იგზვე მამაცი, იგივე მამულის შოუვარე, იგივე ნიჭიერი, იგივე საყვარელი, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით რუსეთიდან დაბრუნებულს. ასაკი მოუახლოვდა მას, რომ უნდა გამოეჩინა თავისი ნიჭი რომელსამე ასპარეზე.. მან აირჩია სამწერლო ასპარეზი და მიჰყო ხელი შრომას ნამდვილი პოეტური აღტაცებითა და სიყვარულით.

პირველი მისი ვრცელი პოეტური თხზულებაა პოემა „შეშლილი“, რომელშიაც შეუდარებელი სურათებით გამოხატა მან—ეს პოეტების საზოგადო ხვედრია—თავისი არ შეწყნარებული სიყვარული. ერთი თავადიშვილის ქალი მოსწონდა, რომელიც უნდა შეერთო, მაგრამ რაღაცა უთანხმოება მოუვიდა მშობლებთან და ქორწილი ჩაიშალა. „შეშლილს“ მოჰყვნენ კომედიები „გაყრა“ და „დავა“ და ბევრი სხვა მცირე ლექსი, რომელნიც ხელნაწერად გავრცელდა ქალაქ-ქალაქ და სოფელ-სოფელ. ამათი მწერალი, უეჭველი იყო, ლიტერატურულ ძალას წარმოადგენდა, რომელსაც

შეეძლო იმ დროს სხვა ჩვენზე უფრო მდიდარ მწერლობისათვისაც დაემშვენებინა მხარი.

გიორგის გვერდით უდგნენ გრიგოლ ორბელიანი და ნიკ. ბარათაშვილი, ზემოთ — ალექსანდრე ჭავჭავაძე, ყველანი ერთად — თავადნი ჩვენი მწერლობისა. ამათ გარშემო იყვნენ ბევრი სხვა ახალგაზრდა ყმაშვილები და მწერლობის მოყვარე ქალები. ყველა ესენი იქრიბებოდნენ ან ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, ან კნ. მანანა ორბელიანთან, ან მამუკა ორბელიანთან და კითხულობდნენ სხვადასხვა ქართულ ნაწერებს. მწერლობის თანაგრძნობა საყოველთაო იყო. კარგი ალოს ამოები კაცი უეჭველად იგრძნობდა ამ დროს, რომ ეს საზოგადო ინტერესი მწერლობისადმი ჟურნალ-გაზეთების შემოღებით გათავდებოდა, რომ ეს კომედიების წერა თეატრის დაფუძნებით დაგვირგვინდებოდა.

მართლადაც ასე მოხდა.

თეატრის დაარსება

1844 წელს ხელმწიფე იშპერატორმა ნიკოლოზ პავლეს-ძემ კავკასიის მმართველად, თვისდა ნაცვალ კაცად ამ მხარეში, თვის alter-ego-დ დანიშნა თავადი მ. ს. ვორონცოვი.

სახალხო განათლებამ და მწერლობამ ბევრი მოიგეს ამ გონიერი მმართველის დანიშვნით, იმდენივე, რამდენიც მოიგო კავკასიის სამოქალაქო აღორძინებამ.

მოსვლისათანავე ვორონცოვმა დაარსა ტფილისში რუსული გაზეთი „კავკაზი“ და დაუდვა საფუძველი რუსულ თეატრს.

ქალაქის ხალხი, არ იყო დაჩვეული არც ერთსა და არც მეორეს. დოდაშვილის ქართული გაზეთი ხუთი ნომერილა გამოვიდა და შეუმჩნევლად გაქრა, პ. იოსელიანის რუსული გაზეთი „ამიერკავკასიის უწყება“ მარტო მთავრობის განკარგულებას ბეჭდავდა და თვითონ რედაქტორის არქეოლოგიურ სტატიებს. თეატრზე ხომ სულ არ ყოფილა ხსენება. ის რამდენიმე წარმოდგენა, რომელიც გაუმართნიათ ქალაქში ვორონცოვის წინათ, როგორც მაგ. გრიბოედოვის კომედიის წარმოდგენა პეტრე ბაგრატიონთან (იქ, საცა ახლა არწრუნის ქარვასლაა*) და ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, ან კიდევ მუხრანიანთ ქუჩაზე, დიდ დარბაზში, აფიცრებისა და ჩინოვნიკთა—გან გამართული სპექტაკლები—ხალხისთვის არ იყო. ერთადერთი ადგილი, საცა ხალხს შეეძლო თავის მოყრა და დროს გატარება. იყო ახლანდელი ქალაქის კლუბი, რომელიც დაარსდა 1839 წელს.

* ამჟამად ამ შენობაში აღ. გრიბოედოვის სას. თეატრია როთავსებული—ს. ც.

ამიტომაც ხალხი დიდი სიხარულით მიეგება თეატრის და გა-
ზეთის დაარსებას, მეტადრე თეატრისას. თეატრი (რუსული) გაი-
მართა 20 სექტემბერს 1845 წ. იმ შენობაში, საცა ანლა არის
მთავარმართველის თავლა, სასახლის გვერდით. წარმოდგენაზე იმ-
დენი ხალხი დაესწრო, რამდენის დატვიცაც კი შეიძლებოდა მცირე
თეატრში. ყველა ეწაფებოდა ახალი გართვის შემთხვევას. რუსუ-
ლი თეატრის დაარსებილან ქართული თეატრის დაფუძნებამდის
ბევრ დროს არ უნდა გაევლო. დროის გატარების ახალი გზა რომ
შეიგნეს ჩვენებმა, მაშ რის ქართველები იქნებოდნენ თუ, თვითონაც
არ შემოიღებდნენ თავისებურად ამ დროის გატარებას?

სხვა რომ არა ყოფილიყო რა, საზოგადოების უმეტესმა ნა-
წილმა რუსული არ იცოდა და ამათთვის თეატრის კმაყოფილება
სრულიად დახშული იყო. ბედზე, ვორონცოვის მმართველობაც ამ
უმეტესობაზე უფრო ფიქრობდა, კინემ იმ განათლებულ საზოგა-
დოებაზე, რომელიც რუსულ თეატრში დადიოდა. თავადი მიხეილ
თუმანიშვილი წერდა 1852 წ. „კავკაზის“ ნომრებში (№ 10, 11): „თა-
ვადი მეფის ნაცვალი დარწმუნდა, რომ ქართული თეატრის დაარსე-
ბას საუკუნო მნიშვნელობა ექნებოდა ხალხისათვის, რომ ეს თეატრი,
რუსულ თეატრთან ერთად, გააადვილებდა იმ ზნეობითი სარგებლო-
ბის მიღწევას, რომელიც აქვს საგნად ყოველ თეატრს. იმისი აზრით,
თუ რუსული წარმოდგენები საჭირო იყო საზოგადოების ერთი ნა-
წილისათვის, ქართულ ენაზე გამართული წარმოდგენები იმათზე უფ-
რო საჭირო იყო, რომ საზოგადოების უმეტესობა განცავისუფლე-
ბულიყო იმ ამაოთმორწმუნეობისაგან, რომელშიაც ხალხი განისვენებ-
და. ამის გამო ვორონცოვმა განიზრახა დაწესებინა ტფილისში-
ქართული თეატრი“.

ტფილისში ამ დროს საქმაოდ იყო განათლებული ქართველი
საზოგადოება, რომლის განწყობილებას ეძიებდა გონიერი მმართვე-
ლი. ის ხშირად მოიწვევდა თავისთან იმ საზოგადოების წევრებს და
თვითონაც დადაოდა ქართულ ოჯახებში. ამ ხშირ მისვლა-მოსვლის
დროს ცნობისმოყვარე ვორონცოვი ჰკრეფდა სხვადასხვა ამბებს შესა-
ხებ ქართველების მდგომარეობისა და სხვათა შორის ქართულ
მწერლობაზე. აქ შეიტყო იმან პირველად, რომ ქართულ ენაზედაც
ყოფილი დაწერილი კომედია, რომელიც ხელნაწერად იყო გავრცე-
ლებული ტფილისსა და ქართლ-კახეთში და აქ განაცხადა იმან პირ-
ველად სურვილი ქართული თეატრის დანახვისა.

გიორგი ერისთავი, რომელიც ამ დროს ხილისთავში მსახუ-
რობდა, საქართველო-დაიბარეს ქალაქში და წარუდგინეს ვორონცოვს.
ვორონცოვმა დიდი ალერსით და დიდი სიამოვნებით მიიღო პოეტი,
რომელმაც წარუდგინა მას „გაყრის“ ხელნაწერი.

— „ვიდრე გადავათარგმნინებდე ამ თქვენს კომედიას რუსულ და
უთხრა ვორონცოვმა გიორგის, თქვენ სთხოვეთ ჩემს მაგივრად სცე-
ნისმოყვარე ქართველებს დაისწავლონ როლები და თქვენი თაოს-
ნობით გამართეთ წარმოდგენა ტფილისის გიმნაზიის სცენაზე. ვნა-

ხოთ როგორი კომედია დაგიწერიათ, ან რაგვარ სცენიურ ნიჭი აღმოჩენთ ქართველები".

დაგვავიწყდა მოგვეხსენებინა ზემოთ, რომ გიმნაზიის დარბაზში ვორონცოვმა გააწყო შინაური სცენა, რომელზედაც კუირაში ერთხელ თამაშობდნენ მისი პირუტანტები და სხვა კაცები, რომელთა რიცხვში იყვნენ გრაფი ვორონცოვი-დაშვილი, თ. დონდუკოვ-კორსაკოვი, თავადი გალიციი, თავადი გაგარინი, გრაფინია შუაზელი და სხვენიერი სცენა აყთ, გაგარინისაგან დახატული. ამ წარმოდგენება ჟარტო ტფილისის მაღალი საზოგადოება დადიოდა.

გიორგი ერისთავი გულმხურვალედ შეუდგა ვორონცოვის ბრძანების ასრულებას. მისი სამარადისო წატვრა სრულდებოდა, ქარ. თული თეატრი არსდებოდა და „გაყრა“ უნდა დადგმულიყო მის კურთხევაზე, მის საძირკვლის ჩაყრაზე. სცენისმოყვარეებთან იმას ბევრი ხევწნა არ დასჭირდა, ყველამ დიდი სიხარულით მიიღო მონაწილეობა კომედიაში. გიორგი, რომელიც თვითონ მიკირტუმას როლს თამაშობდა, რეჟისორის მოვალეობას ასრულებდა და სწროვიდა უჩვევ მოთამაშეთა.

პირველი წარმოდგენა მოხდა 2 იანვარს 1850 წ.

გიმნაზიის პატარა დარბაზი... მაგრამ ჯერ ამ აფიშას გადა- ავლეთ თვალი და დაინახეთ, თუ ვინ იყვნენ ამ პირველ წარმოდგენის მონაწილენი. აი ეს აფიშა:

თბილისის გიმნაზიის ზალაში

ქ ა ლ ა ქ ი ს დ ა რ ი ბ ჩ ა ლ ხ ი ს ა თ ვ ი ს
თარშაბაოს 2-ს იანვარს 1850 წელსა წარმოდგენილი იქმნება-

I

მ ი ს ე ი ლ დ ა ქ რ ი ს ტ ი ნ ე
(ფრანციულად)

ითამაშებენ! თ. დონ დუკოვი - კარსაკოვი, ბარონესა შეინდორჭ.

მინჩაკი და ბაშმაკოვი.

შემდეგ წარმოდგენილი იქმნება პირველკერ ქართულად

II

გ ა ყ რ ა.

კომედია სამ მოქმედებად, თხს. თ. ერისთავისა

მოქმედნი პირნი:

თავადი ანდუყაფარ თ. ილ. ორბელიანი.

პავლე, ძმა მისი თ. ოქ. ერისთავი.

ივანე დ. ი. ყიფიანი.

კრეინა მაკრინე ბ. გ. ანდრეევსკისა.

კნიაუნა ნინო კ. ა. ორბელიანისა

მიკირტუმ გასპარინი თ. გ. ერისთავი.

თათელა, ცოლი მისი კ. ჭ. ორბელიანისა.

შუშანა, ქალი მათი კ. ან. ორბელიანისა.

თავადი რამაზ, სეკრეტარი.	გ. ლ. შანშიევი.
თავადი ბარძიმ.	თ. ა. ერისთავი.
ბარამ, მოურავი	თ. ნ. ერისთავი.
გატრიელ.	მ. გ. ჭილავევი.
იმერელი.	თ. გრ. ერისთავი.
ყარდაშვერდი.	კნ. მ. ერისთავისა.

გიმნაზიის პატარა დარბაზი ვერც კი იტევდა თურმე მაყურებლებს, იმდენი ხალხი დაესწრო ამ პირველ წარმოდგენას. ვორონცოვიც თავის სახლობით და ამალით თეატრში იყო და უველაშე უფრო გაცხარებულად ტაშს უკრავდა სცენისმოყვარეთა. ნამეტნავად კომედიის დამწერი მოიწონეს, როგორც აქტიორი და ავტორი. რამდენიმე დღის შემდეგ ვორონცოვმა. გიორგი ერისთავი დანიშნა თავის ამალაში „საგანგებო მინდობილების უმცროს ჩინოვიკად“.

3 მაისს, იმავე წლისას, ხელახლა გაიმართა წარმოდგენა ახლად აშენებულ მშენებელს თეატრში, თამამშევის ქარვასლაში*. ითამაშეს „დავა“. მოთამაშენი იყვნენ:

თავადი ამირინდო	კ. ოქ. დ. ერისთავი.
ბეგლარ.	კ. ვახ. ვ. ორბელიანი.
თავადი ონოფრე	პლ. ეგ. იოსელიანი.
სიდონია	ს. ი. სულხანოვისა.
მიხეილ	მ. გ. ჭილავევი.
ნინა:	ბარ. გ. ანდრეევსკისა.
თავ. იაია ჭიორელი	დ. ივ. ყიფიანი.
ლომინ გოდობრელიძე	კ. რევ. ერისთავი.
ზალ არზიმანოვი	კ. სოლ. ერისთავი.
სარქის ბულდანიჩი	კ. გ. დავ. ერისთავი.
ზარიტონ ფილიპიჩი	მ. პ. შერბინინი.
მდივანბეგი.	კ. რ. დ. თარ.-მოურავი.
სოროზან, ნაზირი	ნ. დ. ერისთავი.
ლომისეული, გამდელი	კ. ქ. გ. ორბელიანისა-
მოწყალისეული, გამდელი.	კნ. მ. გ. ერისთავისა.
ნენე, აზალგაზდა გამდელი	კ. ეპ. ი. ორბელიანისა.
მარქრიტა	გ. იოს. შანშიევი.
აბრამა, ბიჭი.	მ. ტ. ლორის-მელიქოვი.
ბერჭა.	კ. გ. სუმბათოვი.
იგანე	კ. ე. ბულლაკოვი.

* ბერჭეს ცნობით 1850 წ. 3 მაისს წარმოდგენა გაიმართა არა აღნიშნულს თეატრში, არამედ სამანეულ (მანეჟნის) თეატრში. იხ. Акты Кавк. Арх-комис. т. XI, стр. 919—б. 3.

ორმა პირველმა წარმოდგენამ დაარწმუნა ვორონცოვი და მისი ახლო პირები, რომ ქართული თეატრის სამუდამოდ დაფუძნება შეუძლებელი საქმე არ ყოფილა ტფილისში. მაგრამ თეატრის დაფუძნებისათვის ფული იყო საჭირო. ხაზინა უიმისოდაც ბევრს ხარჯავდა რუსულ თეატრზე, და მომავალ 1851 წლიდან იტალიური ოპერაც იწყებოდა ქალაქში. ამ ორი თეატრის ტრუპებს თავიანთი ორკესტრით და ბალეტით 5 ათას თუმნამდის უნდებოდა. ვორონცოვის ქართული სცენის მოყვარეობამ, რაღაც ბედი იყო, ამ დაბრკოლებას ყური არ ათხოვა. იმან გადაწყვიტა ქართული სცენის დაფუძნება ტფილისში, რაც უნდა დახარჯულიყო, და თაოსნობა ამა საქმისა მიანდო გიორგი ერისთავს.

მაგრამ სად და როგორ უნდა ეშოვა მომავალი თეატრის დირექტორს ქართული სცენისათვის საჭირო აქტიორები და ნამეტზავად აქტრისები? მაშინ ჯერ კიდევ დაკატილებში ისხდნენ ჩეენი ქალები და ვინ იქნებოდა ისეთი გულადი, რომელიც თავის ასულის მიცემას გაბედავდა თეატრში. და მამა-პაპურ ლეჩაქს აქტრისის წოდებაზე გასცვლიდა? ქალაქში მეტადრე აქტრისობა და უნამუსობა სინონიმები იყო და მოციქულებრივი თავგანწირულება ძნელად-და იყო მოსალოდნელი.

გიორგიმ ამის გამო სოფლის შეუბლალავ ბუნებას მოსთხოვა შემწეობა. იქ მაინც არ იყო ცნობილი თეატრი და აქტრისების წინააღმდეგაც არავინ იბრძოდა. ის წავიდა სოფელში 1850 წელს, გაზაფხულზე, და იქ მიჰყო ხელი ტრუპის შედგენას. წასვლის წინათ ვორონცოვმა მისცა მას ორასი თუმანი აქტიორების დასასაჩუქრებლად და გადაწყვიტა, რომ ქართულ ტრუპას ექნება წლის თავზე ოთხას-ოთხასი თუმანი ჯამაგირად.

სოფელში იმდენი იმეცადინა გიორგიმ, რომ ორ-სამ თვეზე ჩინებული ტრუპა მოაწყო. ტფილისში ჩასვლა, საზოგადოების გაცნობა, ჯამაგირი, პატივი, ვორონცოვის მოწყალება — ეს ისეთი საბუთები შეიქნა ხელოვანი პოეტის ხელში, რომ არამც თუ კაცებს, ქალებსაც კი არ დამძიმებიათ სცენაზე შესვლა. პირველ აქტრისებად ჩაეწერნენ: სააკაძისა, ტატიევისა, ანტონოვისა და ბაფეროვისა; პირველ აქტიორებად: დვანაძე, ტატიშვილი, რჩეულიშვილი (ძმა მწერლისა*), კორძაია, კინაძე და ელიოზიშვილი. ესენი ჯერ სოფელში მზადდებოდნენ პოეტის ხელქვეშ და მერე, იმავე წლის შემოდგომაზე, ქალაქში ჩამოვიდნენ.

აქ ახალი ტრუპა ** განაგრძოდა სათეატროდ წრთვენას. ვორონცოვი, რომელსაც მოახსენა გ. ერისთავმა ტრუპის შედგენა, მო-

* გრიგოლ რჩეულიშვილისა (1820—1877).

** ტრუპა — დასი, წრე მსახიობთა. — ს. ც.

ზარული იყო მათი წარმატებისა, რამდენჯერმე დაესჭრო კიდეც რეპეტიციებს. ბ. ივანე კერესელიძე, გიორგი ერისთავის ლიტერატურული და თეატრალური მემკვიდრე, რომელსაც ჩვენ ვსთხოვთ დაეწერა ჩვენთვის, რაც ახსოვდა ამ დროის შესახებ, წერს ახალ ტრუპაზე და საზოგადოდ თეატრზე და მის დირექტორზე:

„ზოგიერთი აქტიორები და აქტრისები გიორგი ერისთავმა თავის სახლში დააყენა; ეშინოდა გული არავის შეეცვალა და თეატრიდან ხელი არ ცელებინებინა. პოეტი მაშინ იდგა კუკიაში იმ ალაგს, საცა ახლა მესამე ნაწილის მომრიგებელი სასამართლო არის. მე რომ შევიტყო ქართული ტრუპის დაარსება, ავიღე ჩემგან ნათარგმნი პიესა „მოჯადოებული თავადი“ (ეს ის პიესაა, რომლითაც დაიწყო რუსული წარმოდგენები ტფილისში) და წაულე პოეტს. მე მანამდის არ მენახა გიორგი ერისთავი და პირველისავე ნახვით ის შემაყვარა თავი, რომ არაფერს დავიშურებდი მისთვის. მიმილო დიდი ალერსით და ღიმილით შადლობა მითხრა პიესისთვის და მოთხოვა მივშველებოდი პიესის წერაში! თუ სხვა თეატრის საქმეში. ამის შემდეგ მე თითქმის ყოველდღე დავდიოდი მასთან და შეძლებისდა გვარად ვეხმარებოდი. გიორგის ამ ხანებში გაცხარებული რეპეტიციები ჰქონდა, რომლებზედაც ხანდახან ვორონცოვიც დადიოდა.

„სხვათა შორის, მახსოვს ერთი მისი ვიზიტი ქართული პიესების რეპეტიციებზე. აქტიორები და აქტრისები პოეტის სახლში ვიყავით შეყრილნი ერთს შემოდგომის ნასაღილვებზე და „ძუნწსა“ ვსწავლობდით, რომელიც ის-ის იყო დაეწერა ავტორს. ცოტა ცხელი დღე იყო და გიორგი შინაურულად იყო მორთული, ახალუხით და ჩუსტებით. უცებ ფეხის ხმა შემოგვესმა კიბიდან, გავიხედეთ ფანჯარაში და რა ვნახეთ? ჩერქეზულ ნაბადში გახვეული, გრძელის ჯოხით, ამოდიოდა ბალკონზე ვორონცოვი. „ნამესტნიკი მოდის, კნიაზო, ნამესტნიკი“ წასჩურჩულეს გიორგის აქტიორებმა. ოთახის კარები შორს იყო, რომ იქითკენ გაქცეულიყო მასპინძელი თავისი კაბითა და ჩუსტებით და მეტი რო არა გაეწყობოდა რა, ერთის თვალის დახამხამებაზე პოეტი წალოში გადახტა და კარები მიიხურა. ერთი კი წაგვიჩურჩულა: უთხარით შინ არ არისო. ამის თქმა იყო და ვორონცოვის ზალაში შემოსვლა. იმან ყველას ჩამოგვართვა ხელი და გამოგველაპარაკა. როცა ერისთავი იკითხა, მე მოვახსენე მისი შინ არ ყოფნა“.

— „არაფერია, უიმისოდაც შემიძლია ვნახო თქვენი ხელოვნება, განაგრძეთ რეპეტიცია, — სთქვა ვორონცოვმა და ჩამოჯდა დიკანზე“.

„ჩვენ განვაგრძეთ რეპეტიცია და სანამ სრულად არ გავათავებდით, ვორონცოვი არ მოგვშორებია. გიორგი კი იმ დროს წალოში იჯდა სულგანაბული“.

„საზოგადოდ, დიდად უყვარდა გიორგი ერისთავი და მისი ქართული ტრუპა ვორონცოვს. როდესაც განსვენებული იმპერატორი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ჩამობრძანდა ქალაქში, მემკვიდრეობის დროს, 1850 წელს, გიორგი ძლიერ ავად იყო. ვორონცოვი დიდად შეწუხებული იყო ამ ავადმყოფობით; მან დაიბარა დოქტორი პელეცი და უბრძანა: ეცადე ქართველების პოეტი მალე მომირჩინო, ცესარევიჩს უნდა წარვუდგინოთ. გიორგი, მართლაც, მალე მორჩა. როდესაც „შეეძლო გარეთ გამოსვლა, მას მოუვიდა ბრძანება ვორონცოვის ამალასთან ერთად დიდუბეს წასულიყო, როცა მემკვიდრეს უნდა დაეხედა ჯარები. გათავდა თუ არა „რაზოდი“, ვორონცოვმა დაუჭირა ხელი გიორგის, მიიყვანა ცესარევიჩთან და მოახსენა: „Рекомендую, Ваше Высочество, грузинского Молчера“ (წარმომიდგენია თქვენის უმაღლესობისათვის ქართველთა მოლიერი). მემკვიდრემ ჩამოართვა ხელი ერისთავს და ღიმილით უთხრა: „ძლიერ შიხარის, რომ ქართველებსაც ჰყოლიათ თავიანთი მოლიერი“.

„სხვა ქართველი მწერლები და არტისტები თანასწორადვე უყვარდა ვორონცოვს. ისე პიესებს არ დასწერდნენ ანტონოვი, დვანაძე და სხ., ისე ქართულ წარმოდგენაზე არ მობრძანდებოდა ნაშესტრიკი, რომ ამ მწერლებისათვის და არტისტებისათვის საჩუქრი არ მიეცა განსვენებულს. ერთხელ, წვიმიან დღესა, ვორონცოვს მემორია ქუჩაზე ქართული აქტიორები, რომელნიც რეპეტიციაზე მიდიოდნენ ფეხით, იმ საშინელს ტლაპოში. მეორე დღეს განსვენებულმა დაიბარა გიორგი ერისთავი და ჰკიოთხა: გუშინ აქტრისები ფეხით რათ მიდიოდნენ, ხომ ცოდვანი არიანო? ერისთავს ეპასუხნა: ცოტა ჯამაგირი აქვთ, ძლივსლა ჰყოფნითო და იმდენი სადა რჩებათ, დროშეით იარონო. ამ სიტყვებზე ვორონცოვმა დროშეის ფულად კიდევ ასი თუმანი მოუმატა ტრუპას წელიწადში“ *.

1851 წლისათვის ტრუპა იმდენად გაიწროვნა, რომ გიორგი ერისთავს შეეძლო დაეწყო ქართული სპექტაკლები. პირველი წარმოდგუნა დანიშნეს 1851 წლის 1 იანვრისთვის. დასდგეს იგივე „გაყრა“, რომელიც ერთი წლის წინათ ითამაშეს გიმნაზიის დარბაზში ტფილისის მაღალი საზოგადოება, ვორონცოვისა და მისი სახლობი. დან დაწყებული, უკლისად დაესწრო ამ წარმოდგენას. ყველას მოს-

* ამ „დროშკის ფულზე“ არსად არ არის ხსენება თეატრალურ არქივში შეიძლება ვორონცოვმა თავის ჯიბიდან მისცა რამე არტისტებს (ავტორის შენიშვნა).

წონდა „შინგაზრდილი“ არტისტების თამაშობა, ყველა ტაშს უკრავდა როგორც აქტიორებს, ისე დირექტორს. ვორონცოვი ნამეტნავად იყო გახარებული. ბატონი კერესელიძე წერს: „ყოველ მოქმედების შემდეგ ვორონცოვი იბარებდა აქტიორებს თავის ლოუაში და მაღლობას ეუბნებოდა თამაშობისათვის და მეორე დღეს ზოგს ფულები აჩუქა და ზოგს ნივთებით. უყვარდა იმ ნეტარხსენებულს და შეჰაროდა ჩვენს ტრუპასათ“.

გაზეთ „კავკაზის“ რეცენზენტმაც დიდი ქება შეასხა ქართველი არტისტების ხელოვნებას. იმ წლის გაზეთის პირველს ნომერში (5 იანვ. 1851 წ.) ეს რეცენზენტი წერდა: „В первый день второй половины текущего столетия, на сцене тифлисского театра, была розыграна комедия кн. Эристова „Раздел“... Играли грузинские актеры, играли на грузинском языке, играли пьесу, написанную грузином... Комедия явилась вовремя; она попала, так сказать, в тakt. Посеяно семя, которое со временем принесет цветы и плод...“ და შემდეგ აქტდა რჩეულოვის, ჯაფარიძის და სხვათა თამაშობას.

ახალი ტრუპა, ახალი რეჟისორით, ვორონცოვმა გადასცა ტფილისის თეატრის დირექციას. ქართულ კომედიას ყველაფერი თავისი პქონდა: ჯამაგირი, ტანისამოსი, რეპერტუარი. თუ დირექცია აღმოუჩენდა მას იმავე თანაგრძნობას, რა თანაგრძნობითაც ექცეოდა მას თავადი ვორონცოვი, მისი საქმე უეჭველად კარგად უნდა წასულიყო. მაგრამ... ზოგიერთმა მთავარმართებლის ხელშვეითებმა სულ სხვანაირად შეხედეს ქართულ თეატრს იმ თავიდანვე, ეგებ განზრას არ ყოფილიყო, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ქართული თეატრის საქმე ისე წაიყვანა მაშინდელმა თეატრის დირექციამ, რომ ტფილისის ხალხმა მაშინვე გული აიცრუვა ჩვენს თეატრზე. ქართულ წარმოდგენებს დირექციამ ცალკე საღამოები როდი აღირსა თეატრში. ისინი რუსულ და იტალიურ სპექტაკლებს მიაკერა, თავსა და ბოლოს; როდესაც ქართული წარმოდგენა რუსულს მოჰყვებოდა, თეატრში თითქმის აღარავინ რჩებოდა და როდესაც რუსული ქართულს მოსდევდა, ხალხი იგვიანებდა. ჩინოვნიკობა უფრო დადიოდა თეატრში და ამათ რუსული დრამა და ოპერები უფრო მოსწონდათ. მათგან თეატრში უდროო დროს შემოსვლა და გასვლა სხვასაც უცრუვებდა გულს. ამას გარდა, ჩვენი ტრუპისათვის კიდევ სხვა-გვარად იყო სავნებელი რუსულ ტრუპასთან ერთსა და იმავე ხალ-შოს წარმოდგენა. რაც უნდა ნიჭიერები ყოფილიყვნენ. ჩვენი არტისტები, იმათა თამაშობა ისე დაზელოვნებული არასოდეს არ იქნე-

ზოდა, როგორც რუსების და თუალიელების არტისტებისა, რომელთაც სკოლი ჰქონდათ გამოვლილი; რუსებს ამასთან წარმოსატენი დრამებიც სხვა რიგი ღირსებისა ჰქონდათ. მაყურებლები ორ სპექტაკლს ადარებდნენ ერთმანეთს და წაგებაში ჩვენები რჩებოდნენ. თავადი მიხეილ თუმანიშვილი, რომელიც ძლიერ ახლო უდგა ამ ქართულ თეატრის საქმეს, ამგვარად ხსნიდა ქართული წარმოდგენების ერთბაშად დაცემას, შემდევ ჩინებულის დასაწყისისა (იხ. გაზ. „კავკაზი“ 1855 წ. № 8). ამავე აზრისა იყო განსვენებული ნ. ბერძენოვი, რომელიც წერდა „კავკაზში“ 1854 წელს, (№ 48).

უეჭველია, აქ მოყვანილ მიზეზებს ჰქონდათ ცუდი გავლენა ჩვენი სპექტაკლების წარმატებაზე, მაგრამ ეს რომ სულ თეატრის აღმინისტრაციას დავაბრალოთ, ეს მიზეზის მიზეზი იქნება. უმთავრესი მიზეზი თეატრის შესუსტებისა ისევ ის იყო, რის წყალობითაც დღესაცა ჭლეჭია ქართული თეატრი—საზოგადო გულგრილობა, გულგრილობა, რომელიც წარმოდგება არა მარტო ჩვენი უდარდელობისაგან, არამედ რეპერტუარის სიღარიბისაგანაც, როგორც დაგვარწმუნა ზოგიერთმა ახალი პიესების სცენაზე დადგმამ, რომელზედაც ხალხი საქმაოდ დადიოდა.

როგორც ჩანს თეატრის დირექციის ანგარიშიდან, 1851 წელს ოცდაორი ქართული წარმოდგენა იყო, რუსულ სპექტაკლებთან შეერთებული. ქართულ ტრუპაზე ამ ანგარიშით დახარჯულა ამ წელს 4666 მანეთი.

შემდეგ 1852, 1853 და 1854 წლებში ჩვენი სცენა ისევე იმ პირობით დარჩა, როგორც პირველ წელიწადში. ტრუპას განაგებდა იგივე გიორგი ერისთავი, აქტიორ-აქტრისებს ეძლეოდათ იგივე ოთხას-ოთხასი თუმანი.

ამ ხანებში გიორგიმ ბევრი ახალი პიესა შესძინა ქართულ რეპერტუარს. თვითონ დასწერა „ძუნწი“, „თილისმის-ხანი“, „უჩინ-შაჩინის ქუდი“, „კომისარი შტატ-გარეშე ქალაქისა“, „კარაპეტა ქვევრში“, „ბებიას თუთიყუში“ და „ყვარელყვარე ათაბაგი“. მისმა მაგალითმა და წაქეზებამ გამოიწვია ლიტერატურულ ასპარეზზე ისეთი ნიჭიერი მწერალი, როგორიც იყო ზ. ანტონოვი და გაადრამატურგა (მაპატივეთ ეს სიტყვა) თვით აქტიორები: ჯაფარიძე, დვანაძე, მეტაფარიანი. ამ სამ წელში იმათ დასწერეს: ანტონოვმა: „მზის დაბნელება“, „მე მინდა კნეინა გავხდე“, „ქორწილი ხევსურებისა“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“, „ქმარი ხუთი ცოლისა“, „ქოროლი“, „ტივით მოგზაურობა“ და „ორი მდგმური“; ჯაფარიძემ: „მაიკო“ და „იჭვიანი ქმარი“; დვანაძემ: „სახლი კუკიაში“; მეტაფა-

რიანმა: „ქმრები გავაბით მახეში“. ყველა ეს პიესა, გარდა „ყვარ-ყვარე ათაბაგისა“ და ჯაფარიძის „მაიკოსი“, ითამაშა ქართულმა ტრუპამ. ითამაშეს ეგრეთვე: „პაპა და შვილები“, „ავაზაკი თათა-რი“ და „რათ მინდა შენი დიდება“ უცნობი ავტორებისა.

ქართული პიესების ცენზორად, ვორონცოვის განკარგულებით, დანიშნული იყო „ამიერ-კავკასიის უწყების“ რედაქტორი, სტატსკო-სოვეტნიკი პ. ე. იოსელიანი.

სამწუხაროდ, ჩვენი არტისტების გულსმოდგინებამ და ნიჭმა, ჩვენი შწერლების კომედიებმა და დრამებმა ვერა გააწყვეს რა ქარ-თულ თეატრთან. ჩვენი წარმოდგენები სულ მუდამ ცარიელი იყო და თეატრს შემოსავალი არა ჰქონდა რა. დირექტივის აშის გამო სუ-ლით და გულით უნდოდა ქართული ტრუპის დათხოვნა და რამ-დენჯერმე განიზრახა კიდევ იმის თავიდან მოშორება, მაგრამ იმათ სურვილს ვორონცოვის ნება დაუხვდა წინ და ვეღარ აღსრულდა.

ბოლოს, 1854 წელს, ქართულ ტრუპას ჯამაგრის მიცემაც გაუჭირეს. მთავარმართებლის არქივი, საიდანაც ჩვენ ამოვკრიფეთ აქ მოყვანილი ცნობები თეატრის შესახებ შეიცავს, სხვათა შორის, ორ საჩივარს თავადის გიორგისას ამ ჯამაგრის შესახებ. ერთ სა-ჩივარში გ. ერისთავი ითხოვს ტრუპისთვის საში თვის ჯამაგრის, ივნისის, ივლისის და აგვისტოსას, სრულიად 999 მანეთს. დირექ-ტია ამ საჩივრის გამო სწერს ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორს შეერბინის, რომ ეს ფულები ქალაქიდან უნდა შემოუვიდეს თეატრს და როცა ქალაქი შემოიტანს, ტრუპას მაშინ დაურიგდებაო. ამას-თან იმ დროის თეატრის დირექტორი ბოლდანოვი სწერს შეერბი-ნის: „ამასთანავე მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ სამერმისოდ ჩვენ არ დაგვრჩა არავითარი წყარო ქართული ტრუპის შესანახავად. ამ ტრუპის წარმოდგენისაგან არა არის რა შემოსავალი, რადგანაც საზოგადოების თანაგრძნობა აკლია ქართულ თეატრს“. ამ მოხსენე-ბის ბოლოს ბატ. ბოლდანოვი სთხოვდა შეერბინის ან დაეთხოვ-ნათ სულ ქართული ტრუპა, ან მომეტებული ფული მიეცათ დი-რექტიისათვის. ამაზე პასუხად შეერბინინმა სამი თვის ჯამაგრი გამოუგზავნა და შემოუთვალა, რომ ტრუპის დათხოვნა შეუძლებე-ლი იყო, რადგანაც „ვორონცოვის სურვილი ეგრეთიაო“.

მეორე საჩივარი თვითონ გიორგის ხელით არის დაწერილი. აი ეს წერილი:

Господину директору канцелярии Наместника Кавказского
Щербинину. Младшаго чиновника особых поручений при Намес-
нике Кавказском, коллежского ассесора кн. Эристова, рапорт-

Вашему Превосходительству известно, что, по воле Его Свет-
ности, отпускались мне четыре тысячи рублей на содержание
грузинской труппы. Сверх этих денег князь Наместник отпускал
меня до 1852 года на костюмы особая деньги, но я в последствии
устроил так, что обходился 4000 руб. С прошлаго года осталось
у меня около 300 руб. для костюмов, но г. директор тифлисского
театра тайный советник Богданов удерживает мне эти 300 рублей
и я не имею теперь средств построить костюмы для грузинской
театральной труппы... ბოლოს სთხოვდა ებრძანებინა დირექტორი-
სათვის მიეცა ეს სამასი მანეთი. ეს რაბორტი დაწერილია 6 ოქ-
ტომბერს, 1854 წელს; შეეჩინინდა მაშინვე დაკმაყოფილა გიორ-
გის თხოვნა და მოსწერა ბოლდანოვს მიეცათ დაჭრილი ფული.

1855 წელს ქართული თეატრიც გათავდა. კორონცოვი გადაიყვა-
ნეს ქავკასიიდან და ტრუპას ჯამაგირიც მოუწოდეს. ვორონცოვის დროე-
ბითმა მოადგილემ რეადმა ვერაფერი შემწეობა აღმოუჩინა იმ საქმეს,
რომელსაც მისი წინამოადგილე ასე დიდ მნიშვნელობას აძლევდა.

ამას იქით ტრუპის რიგიანი შენახვა შეუძლებელი იყო. და
გიორგიმ თავი ანება ქართული სცენის თაოსნობას. აღვილი არ იყო
მისთვის სცენის დატოვება. ის ხედავდა, რომ მისგან დაწყებული
და ფეხზე დაყენებული საქმე იშლებოდა, თუ არ სამუდამოდ, დიდი
ხნით მაინც. ამასთან ის შორდებოდა იმ ტრუპას, რომელთანაც
თხი წელიწადი გაატარა, რომელიც იმას სულითა და გულით უ-
ვარდა და სულყველა ეს დიდად სამძიმო იყო მისთვის.

„ვერც ერთი მამა ჟერ გვიზამდა, რაც მან ჩვენზე ღვაწლი სთესაო“
ამბობს ერთი მისი თანამშრომელი აქტიორი, გიორგი დვანაძე, თა-
ვის ცხოვრების აღწერაში. იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ
ზრუნავდა გიორგი თავის არტისტებზე, მომყავს აქ ორი ამბავი,
რომელიც მოხსენებულია ამ ცხოვრების აღწერაში. ერთი მათგანი
ნამდვილი რომანია, მეტისმეტად საინტერესო.

ჟერ აი რას ამბობს დვანაძე. როცა სოფლიდან ჩამოვედით
პირველად აქტიორები, ექვსნი ჩვენგანი ერთად ვედექითო, ყველა-
ნი „ქეითის მოყვარულნი“, და ერთ ლამეს, ლვინით ძლეულებმა, ისე
ვეჩუბეთ ერთმანეთს, რომ ყველანი სისხლში გავისვარენითო.

„ეს გაიგო ერთსთავმა, კბილებიდამ ცეცხლი ჰყარა,
გაცასწყრა და გაფულისდა, ახლოს აღარ შეგვიყარა“

დამავიწყდა მეთქვა, რომ დვანაძის ავტობიოგრაფია ლექსად
არის თქმული. — ჩვენ მოციქულობა გავუმართეთო გიორგის და რო-
გორც იყო:

ვ. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II.

შეგვირიგდა, გვაპატივა, დაიმშვიდა ჩვენსებ გული.

მერე პიიტიკოსი განაგრძობს:

პირველ აქტიორი ვიყავ, ხალხმა დიდათ შემიყვარა,
ერთს დღეს ერისთავის პირით ვარანცოვმა დამიბარა,
ვითა შვილსა, მიალერსა, ის ალერსიც არ მაკბარა,
ოქროს საათი მაჩუქა, გული ჩემი გაახარა.

ერისთავსაც უხაროდა, საკვენურად ყველგან ვყვანდი,
რასაც ვთხოვდი, მისრულებდა, ვითა შვილი შევუყვარდი,
მოელოდა, რომ თანდათან საქმეს რიგზედ წავიყვანდი,
მაგრამ კიდევ წავფორხილდი, ხელმეორედ კლდეზედ ვვარდი.

მე შემიყვარდა იქ ქალი, თეატრის წარმომდგენელი,
ლექსების წერა დავუწყე, შევიტენ უკან მდევნელი;
მე გულში მქონდა სხვა საქმე, სინდისის შემარცხვენელი,
ეს ერისთავმა შეიტყო, გაშმაგდა ამის მსმენელი.

მე შევუთვალე: რათ ჯავრობ, ქალია გასათხოვარი,
დამშვიდდი, შემივედრიე, მისმინე ეს სათხოვარი:
მე ცოლის შერთვა არ მსურდა, რამდენჭერ გითხარ უარი,
რადგან მიწყრები, შეგირთავ, ის ცოლი იყოს, მე ქმარი.

მოსწონებოდა ეს სიტყვა, მაგრამ კი არ დაეჯერა,
დამიძახა, მიმიყვანა, ფიცით გული შეიჯერა,
ფიცხლავ მღვდელი დაიბარა, მან ობისკი დაგვიწერა,
იმავ დამეს კურახევითა მოვანდინეთ ჯვარის წერა.

მაგრამ ქმარა...

გიორგიმ დაუტევა თეატრი, გამოვიდა სამსახურიდან და წა-
ვიდა თავის მამულში, ხიდისთავს.

მგონი, ცოტა მომეტებული ვილაპარაკეთ ქართულ თეატრზე,
მაგრამ რადგანაც ამდენი ვთქვით, ბარემ ორიოდე სიტყვაც მოისმი-
ნეთ იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია თეატრს ვიორგის შემდეგ.

ჯამაგირის მოსპობის შემდეგ, ერთ ხანს, ჩვენს ტრუპას თე-
ატრი მუქთად აძლეხს და მაჟიან მუსიკა, სანთელი და სხვა წვრილ-
შანი ხარჯი. შემდეგ, როცა ხელმწიფე იმპერიულორი გარდაიცვალა
და თეატრები ექვსი თვით გაუქმების შემდეგ ხელახლად გაიხსნა,
ჩვენს ტრუპას თეატრზელაც უარი უთხრეს. ტრუპამ მაშინ თხოვნა
მისცა ვ. ი. ბებუთოვს შემწეობა აღმოებინა რამე. აქტიორები სწერდ-
ნენ, სხვათა შორის, „ჩვენ ვორონცოვის თხოვნით ვამოვედით სცე-
ნაზეო, იმედი გვქონდა, რომ სულ ჯამაგირები გვექნებოდა და აქ-
ტიორებზე დავთხოვდებოდითო, მაგრამ ებლა აქტიორებსაც და ჩვენც

ჯაშაგირი ქოგვისპეს და გვიშველეთ რაიულ . ცეკვით კუთხით უ ზად უხერა მთხოვნელებს: „ახლა თეატრი კონტრაქტით გაცემული გვაქვს ექვსი თვითათ და ამ ნახევარი წლის შემდეგ მომავონეთ და შეგეწევითო“. მაგრამ ოცა, ნახევარ წლის შემდეგ, ბ. კერესელიძემ ტრუპის სახელობაზე ხელმეორედ მისცა თხოვნა, სიკეთის მაგიერ, შემდეგი პასუხი მოუვიდა გამოჩენილ დიპლომატისაგან: „так как просьба написана на простой бумаге и в оной не обозначено имя сочинителя и переписчика, то оная на основании циркулярного предписания г. Наместника Кавказского от 6 мая 1855 г. за № 909, оставлена без последствия“.

ამ უსიამოვნო მოთხრობის ბოლო ისევ ბატ. ივ. კერესელიძის კალამს უნდა დავაწერინოთ: „საშველი არსათ იყო, — აშბობს კერესელიძე გულდამწვარი, — ჩვენ შეეყარეთ მთელი ტრუპა, ზოგიერთი გარეშე პირებიც მოვიპატიუეთ და ბევრი ბაასის შემდეგ გადავწყვიტეთ გვექირავნა დიდი სახლი, გაგვეკეთებინა იქ სცენა და გაგვემართა წარმოდგენები. მე მოვიპოვე სათეატროდ დიდი მამაპაპური დარბაზი, მეფის ირაკლის დროს გაკეთებული და სახელგანთქმული ქალაქში, როგორც პირველი შენობა. ამ დარბაზს უწოდებდნენ შარმაზანოვის დარბაზსა და თითქმის სიღიღით ჩვენი ზაფხულის თეატრშე ნაკლები არ იყო. ვისესხე ფული, ორასი თუმანი, გავაკეთებინე ერთი იარუსი ლოუები, დავადგმევანე სკამები, დავაზატვინე დეკორაციები და დავიწყეთ წარმოდგენები, იმ პირობით, რომ ნახევარი შემოსავალი უნდა დარიგებოდა აქტიორ-აქტრისებს და მეორე ნახევრით გასტუმრებულიყო ვალი. ტრუპა იყო ჩინებული; სომხის როლს თამაშობდა აბრამიძე, შესანიშნავი კომიკი, რომელიც გამოვიდოდა თუ არა სცენაზე, ჯერ ხმაც არ ამოელო, რომ ხალხი სიცილს დაიწყებდა. ძველი ტრუპიდან ზოგნი დარჩნენ, ზოგნი კი გავიდნენ და დათხოვდნენ. ანტონოვი მოკვდა, ახალ აქტიორებს შორის იყვნენ: აბრამიძე, აბრამიძისა, უზხაძისა (ეს შეიქნა ბოლოს ჩემი ცოლი), ზენკლოვი, კორძაიას ცოლი და სხვ. ექვს თვემდის მიღიოდა საქმე კარგად, შემოსავალი ურიგდებოდათ აქტიორ-აქტრისებს თავის ლირსების-და კვალად. მაგრამ ვალს კი არა ეძლეოდა რა. ბოლოს, როგორც იცით, ჩვენი საზოგადოების თანაგრძნობაც ცოტა გვქონდა. ხშირად, როდესაც გიორგი ერისთავი ქალაქში ჩამოვიდოდა, დადიოდა თეატრში და გვაქეზებდა, მაგრამ ამით რა იქნებოდა: ვალი თავისას თხოულობდა. სახლის ქირა თავს დაგვაწყდა, საჩივარი აგვიტეხეს: ლოუები, სკამები, დეკორაციები დაგვიყიდეს ნახევარ ფასადი და ჩემი ტრუპა დარჩა ცარიელი. რო არა დაგვრჩა რა, ტრუპა დაი-

შალა, ზოგი სად წავიდა და ზოგი სად. მე დავრჩი ვალში ჩაფლული. გიმნაზიაში გმსახურობდი და ჩემი ჯამაგირი სამი წლის განმავლობაში სულ მოვალეებს მიჰქონდა“.

ასე და ამგვარად მისწყდა ქართული თეატრი!

„ცისძრის“ დაპრემიერა.

ქართულ თეატრს ქართული უურნალის დაარსება მოჰყვა.

ცხოვრებამ და სკოლამ უიმისოდაც ფეხშე დააყენა ჩვენი საზოგადოება იმ ნახევარი საუკუნის განმავლობაში, რომელსაც ვაეფლო ამ დროს, რუსების შემოსვლიდან. როდესაც ამ საზოგადოებას ერთს დარბაზში მოუყარა თავი თეატრმა და მის სხვადასხვანაში შორის ჭირისა და ლხინის ხიდი გასდო, საჯაროდ მოლაპარაკე ხმაც უფრო გამბედავი შეიქნა და ცხოვრებამ მოითხოვა ახალი ორგანო სულიერი ურთიერთობისა—უურნალი. ეს აზრებისა და ამბების დრო-დროზე მიმტან-მომტანი უურნალი შეიქმნა დღის ღალადებად და ეს ღალადება თავისას ითხოვდა.

როგორც ზემოთ ვთქვით, ლიტერატურული ძალაც საკმაოდ იყო ამ დროს ტფილისში. ხშირად ერთი და იგივე ოჯახი, ერთ-სავე და იმავე დღეს, ხედავდა ერთად შეყრილად ისეთ მწერლებს, როგორნიც იყვნენ: გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, პლატონ იოსელიანი; დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ თუმანიშვილი და სხვ. ალექსანდრე ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი თუმცი ცოცხალნი არ იყვნენ ამ დროს, მაგრამ მათი ნიჭიერი ქმნილება, სიკვდილით განწენდილი, ხელდახელ დადიოდა „ვით მარგალიტი თბოლი, ხელისხელ საგოგმანები“. ამათ გარდა, ბევრი სხვა უცნობი მწერლებიც იყვნენ, რომელთაც საკმაო „ორიგინალები“ ეწყოთ შინ სტამბისთვის.

სამკალი მოსული იყო, შომკალნიც იყვნენ; საჭირო იყო მხოლოდ ერთი გამბედავი მესვეური, რომ რიგი დაეწყო და პირველი სევ გაეტანა. ამისთანა მესვეურად აღმოჩნდა იგივე თეატრის დარექტორი გ. დ. ერისთავი.

ვორონცოვმა დიდი სიამოვნებით მიიღო გიორგის ახოვნა ქართული უურნალის გამოცემის შესახებ. რაც უნდა მცირედი ბედი სწვეოდა ქართულ მწერლობას მომავალში, რაც უნდა მცირედი მნიშვნელობა პქონოდა თვითონ საქართველოს ერსისტორიაში, საქართველოს მმართველისათვის მაინც დიდი სახელი იყო, რომ შის დროს უდისი შემწეობით პირველი ქართული უურნალი დაარსებულ იყო. ეს

ქარგად ესმოდა იმისთანა განათლებულ შეართველს, როგორიც ვორონცოვი იყო. მაგრამ სათავედ მისი თანაგრძნობისა ქართულ მწერლობისა და ენისადმი არა მარტო სახელის მოხვეჭის სურვილი ყოფილა. ორივე ვორონცოვები—ცოლ-ქმარი—დიდის ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ქართული ენის წარმატებას ტფილისის სასწავლებლებში.

აი ჭრთი წერილი კნეინა ელისაბედ ვორონცოვისა, მიწერილი თვით გიორგი ერისთავისადმი:

„დღეს, 2^{1/2}, საათზე, იქნება წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებელში ქართული ენის ექზამენი. ჩემი დასწრება. ამ ექზამენზედ სრულიად უსარგებლო იქნება და რადგანაც ზინდა შევიტყო როგორ შეისწავლეს ქალებმა თავისი სამშობლო ენა, ამიტომ გთხოვთ, პატივცემულო კნიაზო, გიორგი ლავრის-ძევ, თქვენ დაესწროთ იმ ექზამენზედ.—ორშაბათი, 18 დეკ. 1850 წ.“

როდესაც უურნალის გამოცემა შეიტყო ვორონცოვმა, იმან შოაწერა ხელი 100 ექზემპლარზე სასარგებლოდ წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებლისა, რომელიც ის-ის იყო დაეფუძნებინა მის მეუღლეს. ასი ექზემპლარი ლირდა ორმოცდათი თუმანი და ეს დიდი შემწეობა იყო უურნალისათვის.

ახალ უურნალს, რომელსაც უნდა გაეთენებინა ახალი ბრწყინვალე დღე ქართული მწერლობისათვის, გიორგი ერისთავმა დაარქვა „ცისკარი“. * შისი გამოცემის ნებართვა ვორონცოვმა თვით ხელშითვე იმპერატორს ნიკოლოზ პავლეს-ძეს სთხოვა.

როდესაც უურნალის გამოცემის ნებართვა მოვიდა პეტერბურგიდან, გიორგი ერისთავმა შემდეგი განცხადებით ბურცია ქართველ საზოგადოებას „ცისკრის“ გამოცემა. ეს განცხადება დაბეჭდა რმან პირველად გაზეთ „კავკაზში“ 27 აპრილს, 1851 წელსა (№ 32.)

განცხადება

ამტ ჩყანა წლისათვის, თანაჩმად უმაღლესი ნებისა იქნება, გამოცემული, სასარგებლოდ წმინდა ნინოს საველენისა, ქართულ ენაზე სიტყვიერებითი უურთალი „ცისკარი“ ყოველს თვეში თითო წიგნად; რომელსა შინაცა იქნების შეცვლ, ქართული სიტყვაფრება, თარგმანი, სწავლა, ხელოვნება და სახლის პატიონობა. ფასი წელიწადში ჭ (ნ) ზანეთი, ხოლო გაგზავნით ხ (ნ) მანეთი თეთრი)

* „ცისკარზე“ ადრეც ჰქონდა ქანირაზული ქართველ ახალგაზრდობას გამოვცა პეტერბურგში უურნალი, რომელსაც უნდა ჰრქმეოდა სახელად „არე“ (ამის შესახებ ი. გ. დადიანის ლექსი: „არეს“ გროდა აწლა „ცისკარი“. უურნ. „ცისკარის“ 1852 წ. № 8).—ს. ც.

ფული: მშურველთა ამა უურნალისა ძალუძსთ მიიქცნენ თავიანთის თხოვნითა დროშედ ამა უურნალის რედაქტირაში თფილის, საბლა შინა წმინდა ნინოს ზავე-დენისასა კუკიაში, რათა რედაქტირამ ძალიდვას დაბეჭდვა მისი საჭირო რიცხვთ განხემპლისართა. ამასთანავე რედაქტირას აქვს პატივი დაუმატოს, რომელ მსურველთა ამა უურნალში სტატიის დაწეჭვდისა, ძალუძსთ გამოგზავნონ ესე ვითარი რედაქტირაში.—Редактор ე. მრისოვ.

პირვე ლი ნომერი „ცისკრისა“ გამოვიდა იანვარში, 1852 წელს.

უურნალი ორ ნაწილად არის გაყოფილი. პირველში, რომელსაც სათაურად აქვს „ქართული სიტყვიერებითი უურნალი“, დაბეჭდილია ყქვესი ლექსი თვით გიორგი ერისთავისა; მეორეში—„რუსულ სიტყვიერებაში“ დაბეჭდილია დასაწყისი მარლინსკის მოთხოვნისა „მოლანურ“, თვითონ გიორგი ერისთავის ნათარგმნი, როგორც მოწმობს ხელის მოწერა.

ეს ლექსები ყველა იბეჭდება ამ წიგნში, „მოლანური“ კი არა. ამის გამო უკანასკნელზე საჭიროდ ვრაცხთ ორიოდე სიტყვა ვსთქვათ. მოლანური დაღესტნელი სახელგანთქმული ყაჩალია, რომელიც ხანდისხან სიკეთესაც შვრება, არსენასავით. რუსულად მოთხოვნისა დაწერილია ვიქტორ ჭიუგოს ჭილოთი—მოკლე, მაღლა მყვირალა ფრაზებით. აღმოსავლეთის ზნე და ხასიათი ამ მოთხოვნის ძლიერ შესამჩნევად არის გამოხატული. „ცისკრის“ ახალი რედაქტირა ამ მოთხოვნის თარგმნით ცოტათი დღის ვარამსაც შეეხო, რადგანაც დაღესტანი და მისი ლექები ამ დროს ყველას-თვის საყურადღებო იყო. თარგმანი, თუმცა ხელმოწერილია, მაგრამ; როგორც ვიცით, სრულიად არ არის გ. ერისთავისა. ენა მთარგმნელისა ზოგან კარგია, ზოგან კი ძლიერ დამონებია რუსულ ლექსთწყობას. აი მისი ნიმუში:

„დერბენდელთა ძლივ იდღესასწაულეს ხათილი, სარწმუნო ტრადედიული მოგონება შახუსეინის შემთხვევისათვის, რომელ იყო პირველი მოწამე ხალიფისა, ილიას სჯულისა, მოცემული ყმაწვილურისა ქცევითა წვრილის ზრუნვისაღმი მხოლოდითის ზექცევისაღმი მრთელსა წელსა“. და სხვაგან: „თქვენ განაშრევით ძირადმდე მოთმინება უფლისა ბიწიერისა თქვენისა სურვილისა ცეცხლითა, ეგ არის თქვენი ბე, შემაწუხებლისა წყურვილისა...“ „უყურებ ქვეშ გაუშვი... ისკანდარმა შენიშნულებითის აღსრულებით უთხრა...“ და სხვა.

ენის ამგვარი დამახინჯება იმ დროში, ეტყრბა, ცოდვად არ მიაჩნდათ, საქართველო-იმერეთის უწმინდესი სინოდის კანტორაში მინახავს თვით ტარასი არხიმანდრიტის ხელით დაწერილი წიგნი,

რომელშიც ის წერდა ქართული დაბადების შესახებ: „ამ პერევოლში ბევრი აშიბკები არისო“.

უურნალის გამოცემის აქტავი რომ უფრო სრული იყოს, ჩვენ მოგვყავს აქ მისი ნომრების შინაარსი იმ ორი წლის განმავლობაში, როდესაც გიორგი ერისთავი იყო „ცისკრის“ გამომცემლად და რედაქტორად.

1852

ი ა ნ ვ ა რ ი. ლექსები გ. ერისთავისა; მოლანური, მოთხრობა მარლინსკისა, თარგ. გ. ერისთავისა.

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი. თეოდოსები ლექსი ალ. ჭავჭავაძისა, გ. ერისთავისა და გ. ორბელიანისა; მოლანური; სხვადასხვა ამბავი.

მ ა რ ტ ი. ლექსები გ. ერისთავისა; სოფლის მდურვა სიბერისათვის, თქმული დ. ბაგრატიონისა: „მეფის ვახტანგისაგან“, ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთ სახელნი, შაირად ნათქვამი მეფის თეომურაზ პირველისა; პეტრებაგრატიონისთვის სიტყვა, ალ. აჩვერდოვისა; განგრძლება მოთხრ. „მოლანურისა“; მურაბის და უელს გაცეტება; უქალლესი რესკრიპტი სახელსა ზედა კავკასიის ნამესტნიკისასა; წინა-სიტყვაობა ტიმოთეს მოგზაურობისა, პლ. იოსელიანისა.

ა პ რ ი ლ ი. ლექსები ალ. ჭავჭავაძისა, ნიკ. ბარათაშვილისა და გ. ერისთავისა; ამალათ-ბეგ, მოთხრობა მარლინსკისა; როგორ უნდა გაკეთდეს ბატიშმრით.

მ ა ი ს ი. ლექსები გ. ერისთავისა და ლუკა ისარლოვისა; ამალათ-ბეგ; სიტყვა გარლამ არხიეპისკოპოსისა; უკონ, მოთხრობა ფრანციცულიდამ ნათარგმნი.

ი ვ ნ ი ს ი. ლექსები ალ. ჭავჭავაძისა; მაჯამა, ბატონის თეომურაზისაგან თქმული; ამალათ-ბეგი; დღისა და ღამის სამართლის ამბავი ქართველთ ზნეობაზე.

ი ვ ლ ი ს ი. ლექსები რაფ. ერისთავისა და ალ. ჭავჭავაძისა; ამალათ-ბეგი; შობის დღესასწაულის მილოცვა მეფის ირაკლისადმი, ვარლაამ ქსნის ერისთავისა; ქართველთა ზნეობა.

ა გ ვ ი ს ტ ი. ლექსები ალ. ჭავჭავაძისა; ამალათ-ბეგ. „არეს“ ეჭიოდა აწლაცისკარი“, ლექსი გრ. დადიანისა.

ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი. ლექსები ოთარ ქობულოვისა, თამაზ ქობულოვისა, ბარამ ბარათოვისა; სიძე ამისთანა უნდა, მოთხრობა ბერნარისა, თარგმნილი.

ო ქ ტ ი მ ბ ე რ ი. საწუთა სოფლის მდურვა, დ. გურამოვისა; სოფლური სიმღერა; ქორწილი სახჩობელაზედ, მოთხრობა თარგმნილი ფრანციცულიდამ ოქრო ერისთავისა; რუს წელწილეთაგან ქართველთა მეფის ვახტანგის მიპატიუება თავისთან.

ნ ი კ ე მ ბ ე რ ი. ფრანცუზი წანის ჰარამხანაში, ოქრო ერისთავისა; სწავლა მოსწავლეთა ათთა სახმართა საქმეთა, დ. გურამიშვილისა. სსხვადასხვა ლექსები დ. გურამიშვილისა.

დ ე კ ე მ ბ ე რ ი. ლექსი დ. გურამიშვილისა; სიძე ამისთანა უნდა“, შოთა რობა ბერნარისა; მეფის ვახტანგის ამბავი.

ი ა წ ე რ ი. ლექსები ალექსანდრე ორბელიანისა და დარია ერისთავისა, ელისაბედიანი, დიმიტრი ბაგრატიონისა; ანბანთ-ქება, გალექსული შესაქმეთა, ზოდება ადამისა და სხ. მისივე.

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი. ქეთევან დედოფლის წამება, ლექსად თქმული დიმ. ბაგრატიონისა; ღამის ალექსი, მისივე; სხვადასხვა ანდაზანი, ხმარებულნი ხალწთა-გან, მისივე; მაჯამა, ლექსი, თქმული დიდის მეფის თემურაზისა.

მ ა რ ტ ი. ღამე ხომალდში, მოთხრობა მარლინსკისა; ძველნი სხვადასხვა ანეგდოტინი; სხვადასხვა ამბები: ნადირშაპის წიგნი შვილთან; ჟეენისაგან მიწე-რილი თავის სპასალართან ოდეს ყანდაარი დაიჭირა; ხვანთქრისაგან მიწერილი ჟეენთან, ქართველ მეფეთა მოკითხვის წიგნის ფორმა; მეფისაგან მიწერილი კათა-ლიკოზთან; მეფისაგან მიწერილი ეპისკო პოსთან; თამარ დედოფლისაგან მიწე-რილი შეფე ალექსანდრესთან; დედოფლისაგან მიწერილი ვეზირთან.

ა პ რ ი ლ ი. ლექსები დ. მაჩატლისა; ზარე და ყანიმათ, პოემა გ. ერისთა-ვისა; შლიმე სასაფლაოს იქით, მოთხრობა, თარგმნილი გ. ბარათოვისა; მოკლე სიტყვის გება სოფრატისა.

მ ა ი ს ი. ცინნა, ტრაგედია რასინისა, ფრანციცულიზამ თარგმნილი ალ-ჭავჭავაძისა:

ი გ ნ ი ს ი. ცინნა; სოკრატის სიტყვის გება.

ი ვ ლ ი ს ი. საფია, რომანი უფლისა როუე-დე-ბოვოარისა, თარგ. სარდიონ ალექსეევ-მესხიერისა.

ა გ ჭ ი ს ტ ა. საფია.

ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი. საფია; ლექსი სვიმონ მაჩაბლისა; კალიოსტრო ლერცოლ-რიშელიესთან.

ო ქ ტ ა მ ბ ე რ ი. კალიოსტრო; მასკარადის შეცდომილება, გრ. რჩეულო-ვისა.

ნ ო ფ მ ბ ე რ ი. მასკარადის შეცდომილება; ყვარყვარე ათაბაგი, გ. ერისთა-ვისა.

დ ე კ ე მ ბ ე რ ი. ყვარყვარე ათაბაგი; სასიამოვნო აშანაგი, მოთხრობა ანგლიჩანისა, თარგ. ალ. სავანელისა; ბრძანება ახალციხის ატრიადში-მიცემული ლენირალ ლეიტენანტის თავადის ანდრონიკოვისა, ჩ დეკემბერს.

იმავე ცნობების სისრულისათვის უნდა მოვიხსენიოთ აქ, რომ „ცისკარი“ იბეჭდებოდა საკუთარს, რედაქტორისავე სტამბაში; უურ-ნალის ცენზორად იყო მეტეხის მღვდელი, დეკანოზი ეფრემ ალე-ქსევი-მესხიერი *

ამ 1853 წ. დეკემბრის წიგნით გათავდა „ცისკრის“ გამოცემა, უურნალი ისევ მისწყდა უგანცხადებოდ, უმიზეზოდ. მიზეზი, ეჭვი არ არის, ხელისმომწერლების სიმცირე იქნებოდა, მაგრამ ამაზედ რედაქციის არა უთქვამს რა. ივანე კერესელიძე წერს, ვითომ „ცის-კრის“ შეწყვეტის მიზეზი ცენზორი. ალექსი-მესხიევი ყოფილიყოს, რომელიც ძლიერ ფიცხლად თურმე ეკიდებოდა თავის მოვალეო-

* ალექსი-მესხიშვილი

ზას, მაგრამ ეს ძნელი დასაჯერებელია. ადვილი საქმე არ იყო ერთ თუმნად ოცდაოთხი წიგნის დაბეჭდვა. როგორც იყო, დიდი ვაის-ყოფით, ეს ოცდაოთხი წიგნი კი გაავრცელა. გიორგიმ საქართველოში და მერე, მეტი ლონე რომ არ დარჩა, „თავისთავად ვალმოხდილმა პოეტმა“, როგორც ამბობს აკაკი, უურნალის გამოცემას თავი გაანება.

ერთი წლის შემდეგ, ე. ი. 1855 წლის დამდეგს, გიორგიმ თეატრსაც მიანება თავი და, როგორც ვთქვით, დაუტევა ქალაქი და ისევ იმ ხიდისთავის მამულს მიჰმართა, საიდანაც ჩამოვიდა ქალაქს ხუთი წლის წინათ. „რომ ვერ გააშუო თავისი გრძნობა ჩვენ-ზედაო, ამბობს მიხეილ თუმანიშვილი პოეტზე, გიორგი ერისთავმა დაანება თავი უურნალსაც, თეატრსაც და თითქო ასე გვითხრაო გულამოხვრით: „როგორც გიწირავთ, ისე სწირეთო!..“ მას აქეთ პოეტი სულ სოფელში ცხოვრობდა, ტფილისის ხმაურობის მოშორებული. ათასში ერთხელ თუ ჩამოვიდოდა ქალაქში და გააგონებდა აქ თავის შოსწრებულ და ტკბილად მოუბარ ენას თავად-აზნაურობის კრებაზე, ან სხვაგან საღმე კერძო საზოგადოებაში...

სამწუხაროდ, ჩვენ არ დაგვრჩა მისი მჭევრმეტყველების ნიმუშები და აქ იძულებული ვართ შევწყვიტოთ თვითონ ბიოგრაფიაც რადგანაც ამაზე მეტი ცნობები არა გვაქვს რა პოეტის ცხოვრებაზე.

თ. გიორგი ერისთავი გარდაიცვალა ქალაქ გორს, 9 სექტემბერს*, 1864 წელსა. იგი დასაფლავებულ იქნა სოფელ იკორთას.

გ. ერისთავის თხზულებანი

1884 წელს ცალკე წიგნად დაბეჭდილ ლექსებსა და კომედიებს გარდა გიორგი ერისთავს სხვა თხზულებებიც ჰქონია, რომელიც აღნიშნულ გამოცემაში არ მოჰყვა. ** ეს თხზულებანი არის: კომედიები: „კომისარი შტატ-გარეშე ქალაქისა“, „გარაპეტა ქვევრში“, „სვიმონ დიდ-სულოვანი“ და „ბებიას თუთიყუში“; პოემა: „ზარე და ყანიმათ“ და სცენისათვის გადაკეთებული ხუთმოქმედებიანი დრამა „ვეფხისტყაოსანი“. ამათ გარდა ერთი რუსული კომედიაც „Искатель первобытных красот, или ученик дурак.“

* თარიღები ყველგან ძველი სტილით არის ნაჩვენები — ს. ც.

** ეს ბიოგრაფიული ნარკვევიც სპეციალურად აღნიშნულ გამოცემისათვის არის დაწერილი, ამის შესახებ იხ. შენიშვნებში.— ს. ც.

ოთხი კომედია, რომელიც ახლა დავასახელეთ ჩვენ, როგორც ჩანს თეატრალური არქივიდან, დაწერილია ავტორის მიერ თეატრის დაარსების შემდეგ და მთავრობის ნებართვით წარმოდგენილია ტფილისის „სცენაზე“. სამწუხაროდ, ეს პიესები სამუდამოდ დაიყარგა ჩვენთვის. გვეგონა, ცენზურის კომიტეტის არქივში მაინც ვიპოვნიდით თითო ეგზეპლარს, მაგრამ, როდესაც წარდგენის № ვიშოვეთ და არქივში მოვდებნეთ საქმე, ულმოჩნდა უურნალით, რომ ეს საქმეები დაწვათ, როგორც უხმარი და უსარგებლო.

პოემა „ზარე და ყანიმათ“ დაბეჭდილია „ცისკრის“ აპრილის ნომერში, 1853 წელს. ეს პოემა დაწერილია პოეტის ყმაწვილობაში.

„ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვა პოეტის თხზულებათა კრებულში შეუძლებელი იყო, რადგანაც თვითონ პოეტისა აქ თითქმის არა არის რა, გარდა მაკრატლისა, რომლითაც ამოსჭრა მან რუსთველის ქმნილებიდან სხვადასხვა სცენები და ისე ხელოვნურად შეუთანხმა ისინი ერთმანეთს, რომ პოემიდან გაკეთებულიყო დრამა, რომლის წარმოდგენა შესაძლებელია სცენაზე.

რუსული კომედია, რომელიც ზემოთ დავასახელეთ, რამდენ-ჯერმი წარმოუდგენიათ ტფილისში, მაგრამ ჩვეთვის ესეც დაკარგულია. როგორც ამბობენ, ამ კომედიაში სომხის მშვენიერი როლი თურმე იყო.

ზოგიერთი ლექსებისა და ერთი დაუმთავრებელი კომედიის გარდა („თევზის ქანტორა“), გიორგი ერისთავის თხზულება თითქმის ყველა დაბეჭდილი იყო, სხვადასხვა დროს.

პირველად დაიბეჭდა:

„გაყრა“, კომედია, ქმნილი თავადის გიორგი ერისთავისაგან. ტფილისს, 1850.

იმ დროებშივე, ე. ი. მაშინ, როდესაც გიორგი ერისთავი განაგებდა ქართულ თეატრს, დაიბეჭდა ცალცალკე: „ძუნწი“, „უჩინ-მაჩინის ქუდი“, „თილისმის-ხანი“ და მათთვის შესაფერი ლიბრეტოები რუსულ ენაზე.

„ყვარყვარე ათაბაგი“ დაიბეჭდა „ცისკრის“ ნომრებში (№ 11 და 12) 1853 წ; „დავა“ დაიბეჭდა ჯერ „კრებულში“ და შემდეგ ცალკე წიგნად, 1871 წ., დუბელირის სტამბაში. ამათ გარდა 1867 წელს თავადმა ალექსანდრე ესტატეს-ძე ერისთავმა, რომელსაც „სურდა მიეღო ცოტაოდენი, მისი ლონის შესაფერი მონაწილეობა საზოგადო სალიტერატურო საქმეში“, გამოსცა მელიქიშვილისა და ამხ. სტამბაში „თავადი გიორგი ერისთავის თხზულება“

ნი“, ორ ნაწილად. სამი კომედია, რომელიც ამ გამოცემაში დაიბეჭდა, არ ეკუთვნის გ. ერისთავის კალამს: „მაიკო“, კომედია, თარგმნილი ბ. ჯაფარიძისა, „ძალათ-ექიმი“, კომედია, გადმოგეთებული ოქრო ერისთავისაგან, და „თილისმის მოარშიყე“.

ახალ გამოცემაში * პირველად იბეჭდება ლექსები: „წიგნი მიწერილი მეგობართან“, „მე შენ არ გეტრფი“, „ერთი კაცი წვა სნეული“, „ვისთვის ვსთქვა ლექსნი“, „ჩემს ძმას ი...“ „უცხო ქვეყნის კაცს“ და დასაწყისი კომედიისა „თევზის კანტორა“.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა საზოგადოდ გიორგი ერისთავის ნაწერებზე, მისი ნიჭის ხასიათზე და მნიშვნელობაზე ქართულ მწერლობაში. პოეტის თხზულება და ცხოვრების აღწერა, მართალია, თვით საზღვრავენ ამ ნიჭისა და მნიშვნელობას, მაგრამ ჩვენ აქ გვინდა მისივე სხვადასხვაგვარი ნაწერები შევადაროთ ერთმანეთს და თვით ცხოვრების აღწერა შევავსოთ ჰოგიერთი ცნობებით, რომელნიც მას უფრო სრულად წარმოუდგენენ მკითხველებს. ჩვენი კრიტიკული შემეცნება ამაზე იქით არ გვინდა განვავრცოთ, რადგანაც ეს წერილი უამისოთაც დიდი გამოვიდა.

ჩვენ უნდა მოვიგონოთ, რა მდგომარეობაში იყო ქართული მწერლობა, და მწერლობაზე უფრო ქართული საზოგადოება იმ დროს, როდესაც გიორგი ერისთავმა შემოსდგა ფეხი ლიტერატურაში. შემდეგ უნდა მივყვეთ მწერლობის მოძრაობას გიორგი ერისთავის დროს და დავინახოთ, რა მდგომარეობაში დარჩა იგი პოეტის სიკვდილის შემდეგ. ყოველი კაცი თავის დროის შვილიაო, ნათქვამია; გიორგი ერისთავის ნიჭის ხასიათსა და თვით ნაწერსაც აზის ამ დროის ბეჭედი, რომელმაც უფრო ნათლად უნდა წარმოგვიდგინოს პოეტის გონებითი და ზნეობითი შეტ-ნაკლებობა.

ჯერ მწერლობა ვნახოთ.

ჩვენში კი დარჩეს და, რა უნდა ითქვას იმ მწერლობაზე, რომელიც ამ საუკუნის პირველ ნახევარში არც საქმით საღმე არსებობდა და არც სიტყვით! ჩვენი საქმები ძველი ეკლესიური მწიგნობრობა წარსულ მეთვრამეტე საუკუნეს თან გაჰყოლოდა და ახალ ცხოვრებას, რომელსაც ბევრი რამ კარგი შეემატნა განახლებულ ქართველთა საზოგადოებისათვის, მწერლობისათვის დაეგვიანებია, დროებით, თვისი კეთილი ზედმოქმედება. ქართული მწერლობა არ არსებობდა. იყვნენ ზოგიერთი კარვი მწერლები, თითქმის დიდებულნი, როგორიც

* 1884. წელს მეუნარგიას რედაქციით გამოცემულ გ. ერისთავის თხზულებათა კრებულში—ს. ც.

არიან მაგ. ალ. ჭავჭავაძე, ნიკ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, შაგრამ განა ორიოდ-სამიოდ მოლექსენი, რომელთაც თავიანთი ნაშერები გაევრკელებიათ თავის ნაცნობ-ნათესავებში, შეადგენენ მწერლობას? განა შევიძლიან ჩვენ წარმოვიდგინოთ ეხლა, ეხლანდელს ჩვენს საზოგადოებრივ წყობაში, მწერლობა უსტამბოდ, უგაზეთოდ, უფურნალოდ, უწიგნოდ? ყველა მწერლობაში მოქმედებს ხალხის საერთო გონიერი ძალა, რომელიც მუშაობს შეუწყვეტლად, ყოველ დღე, რომელიც არ შედგება, როგორც არ შედგება კაცის გონიერი მოძრაობა, და თუ ნაცვლად ამ ცოცხალის და მოძრავის საერთო კალმისა მარტო ერთი-ორი მოლექსე იქნება, რაც უნდა კარგნი იყვნენ ისინი, მათზე დამყარებულ მწერლობას შეუძლიან განა მოითხოვოს ადგილი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში?

ჩვენი კლასიფიკაციის მოყვარე მწერლები სულ სხვა აზრისანი არიან. ისინი, საცა არა მგონია, პერიოდსა და ეპოქას ხედავენ ქართულს მწერლობაში. მათთვის ალექსანდრე ჭავჭავაძე, ბესარიონ გაბაშვილით, ერთ პერიოდს შეადგენს, ნიკო ბარათაშვილი- მეორე პერიოდს, გიორგი ერისთავი მესამე პერიოდს, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მეოთხე პერიოდს და სხვ: ამგვარი აზრისა არის, სხვათა შორის, ბატ. ალ. ცაგარელი (ნახე „დროება“, № 4, 1870 წ.). სოკრატის მცნება რომ გულში დაემარხათ ჩვენს მწერლებს და სიტყვების მნიშვნელობისათვის ყური უფრო ეგდოთ, ისინი არც პერიოდს იხმარდნენ, არც ეპოქას, არც მიმართულებას ასე მოუფიქრებლათ. რის მიმართულება, რის პერიოდი, რის ეპოქა, როდესაც მწერლობა არც კი არსებობდა. ეპოქას და პერიოდს შეადგენს ლიტერატურაში ისეთი მწერალი, რომელიც, გარდა იმისა, რომ თვითონ შესანიშნავი მწერალია, ლიტერატურული სკოლის თავსა სდგას და აძლევს ტონს მის თანამედროვე მწერლებს. საცა ეს სკოლა არ არის, იქ არც ლიტერატურული მოძღვრება. შეიძლება ითქვას: პუშკინის პერიოდი, გოგოლის პერიოდი, მაგრამ, ერთი მიბრძანეთ, რა უნდა იყოს ალექსანდრე ჭავჭავაძის პერიოდი; ნიკ. ბარათაშვილის პერიოდი, სადა არის მათი სკოლა, მათი მიმდევარი მწერლები, რომელთაც თავისი საკუთარი ლიტერატურული ხასიათი აქვთ, თავისი ნავალი გზა აღუბეჭდნიათ ქართულ მწერლობაში? უნდა გამოვტყდეთ, ჩვენ ვერსად ვერ ვხედავთ ვერც ამ სკოლას, ვერც ამ პერიოდს.

შესანიშნავი მწერლები კი გვყავდნენ ჩვენ, შაგრამ ისინი სულ ცალ-ცალკე იდგნენ, ისე, როგორც ჩვენი პატარა მთავრები, და მაშინ შარტო ჭალობდნენ, როცა მათ სურვილი ჰქონდათ, „როცა მათი მუზის ჭეიფი“ იყო, როგორც ამბობს ნეკრასოვი. სხვა მწერ-

ლების გალობის საგნად ან კარგი ლხინი იყო, ან დროს-გასატა-
რებელი ინდანთქება, ან ღვინო, ან სიყვარული; ყველა თავისებუ-
რად წერდა ამ საგნებზე; ერთი მწერლის ღირსებით და ნაკლულე-
ვანებით მეორე ვერ სარგებლობდა, რადგანაც ბეჭდვა არ იყო და,
მაშასადამე, არც ლიტერატურა იყო, როგორც განუშევეტელი გონე-
ბითი წარმატება, როგორც დაუსრულებელი მოძრაობა მიმართუ-
ლებათა და სკოლათა.

ცხადია, რომ ამგვარ მდგომარეობაში გიორგი ერისთავი ვერ
მიიღებდა დიდ ლიტერატურულ განძს ანდერძად. იგი დაიბადა გარეშე
სკოლისა და მიმართულებისა; იმან თვითონ გაიგნო გზა, თვითონ გადკვ-
ლია მიმართულება, რომელმაც პირველსავე წლებში იშოვნა რამდენიმე
მიმდევარი, როცა ეს პირველი ნაბიჯი გადაიდგა, ე. ს. როცა
ურთი და იმავე მიმართულებით ხუთი-ექვსი ერთად მოქმედნი
მწერალნი გამოჩნდნენ და მათის მეონებით თეატრი და ჟურნალი
დაარსდა, მწერლობასაც დაედო საფუძველი, პერიოდსაცა და ეპო-
ქასაც. ოცი, ოცდაათი წლის წინათ, შეიძლება, გიორგი ერისთა-
ვიც იმ განცალკევებულ მწერალთაგანი გამოსულიყო, რომელთაც
ლიტერატურული შემკვიდრე არა ჰყავდათ. მაგრამ, ბედზე, ამ საუ-
კუნის შეორე ნახევრისათვის ისეთი ნაყოფიერი ნიაღაგი მოუმშადა
მას გარემოებამ, რომ გიორგი ერისთავმა შესძლო აქა-იქ გაფან-
ტული ლიტერატურული ძალები ერთად შეეყარა და ერთ გზაზე
დაეყენებინა.

აწლა საზოგადოება ვნახოთ.

მწერლობაზე უკეთესი პირობა ვერც საზოგადოებას აღმოუ-
ჩენია პოეტის წარმატებისათვის. ყოველ ქვეყანაში, სადაც კი დიდი
ქალაქი არის განათლებისა და სამოქალაქო აღორძინების ცენტრიად,
მწერლებისა და მეცნიერთა გონებით განვითარებაზე და ხასიათზე
ჯერ ამ ქალაქის საზოგადოებას აქვს გავლენა და შემდეგ, თუ შეს-
თხვევა არის, სოფლისასაც. ყოველი კერძო პირი, ქალაქში მცხოვ-
რები, უნებლიერ ამ საზოგადოების გავლენის ქვეშ არის, ამ საზო-
გადოების წევრია, მისი ღირსებისა და ნაკლულევანების მონაწი-
ლეა. საზოგადოების სულიერი სიმდიდრე, მისი სიმცირე და სისუ-
სტე კერძო პირის სიმდიდრეც არის და სიღარიბეც. ძველმა ფი-
ლოსოფოსმა, რომელსაც კარგად ესმოდა ამგვარი ურთიერთობა
საზოგადოებისა და კერძო პირისა, ტყუილად არა თქვა: „დიდი
კაცი უთუოდ დიდ ქალაქში უნდა დაიბადოს“.

იმ დროს, როდესაც გიორგი ერისთავის გონებისა და ხასია-
თისათვის საჭირო იყო კარგი გავლენა, ჩვენს საზოგადოებას არა-

ვითარი სიკეთის მოტანა არ შეეძლო აზალგაზრდა პოეტისათვის. ერთობ სუსტი და უსახო რამ იყო ეს საზოგადოება. სოფლის კაცის სურვილი ამ დროს ზასედატლობის და მდივანბეგობის შოვნას არ სცილდებოდა; მის დღიურ ზრუნვის ან არჩების წერა შეადგენდა, ან ნადირობა, ან სამოციანის მოხდა, ან კავალქვეშ წამოწოლა ჩიბუხით და ქეიფი. სულიერ საზრდოშე და საზოგადოების საერთო წარმატებაზე მოღვაწე არსათ სჩანდა:

თითქმის იგივე უსაქმობა სჭირდა ქალაქის საზოგადოებასაც. ჯერ თვითონ ეს საზოგადოება ვერ იყო დიდი განძი და მერე, საუბედუროდ, იგი დაყოფილ იყო ნაწილ-ნაწილად. თითოეულ მათგანს თავისი საკუთარი ცხოვრების იდეალი ჰქონდა, თავისი საკუთარი მიმართულება. ტფილისის წარმატება, როგორც ქალაქისა, დიდ დაბრკოლებაში იყო (და არის კიდეცა) ამ გარემოებით. ყველგან ქალაქის საზოგადოება ერთს დიდ მჭიდრო სახლობას შეადგენს, რომელსაც თავისი განსაზღვრული პირისახე აქვს, რომლის ცხოვრებაში ერთი რამ საზოგადო აზრია, ერთი სიცოცხლის მიზანი. ეს საზოგადოება მთელი ერის წარმომადგენელია; მას ამ ერის მაჯა აქვს, ამ ერის პირისახე. ასეა ყველგან: რომში, პარიზში, ლონდონში, ბერლინში...

ტფილისში კი სულ სხვაგვარად არის. ნაცვლად ერთისა, აქ მთელი სამი საზოგადოებაა, რომელსაც საერთო არც გვარ-ტომობა აქვს, არც გონების ვითარება, არც სურვილი, არც ზნე და არც ჩვეულება. ამგვარი სხვადასხვა ელემენტებისაგან შეუძლებელია ერთი შრთელი საზოგადოება შედგეს. ყველას თავისი საკუთარი ინტერესი აქვს, რომელიც ერთობას ძირს უთხრის; თავისი ენა, თავისი სკოლა, თავისი მწერლობა, თავისი თეატრი.

მაშასადამე, ცხადია, რომ ამგვარ ქალაქს და ამგვარ საზოგადოებას არ შეეძლო ჰქონდა ახალგაზრდა პოეტზე ისეთი. გავლენა, რომელიც შეიქმნა კაცს ნაციონალურ მწერლად. ჩვენი საზოგადოება ამ შემთხვევაში იმ უფერო არსებათ მოაგონებდა კაცს, რომელთაც არც გარგის ქმნა შესძლებიათ და არც ცუდისა და რომელთათვისაც დანტეს ვერ უპოვნია ადგილი თავის „ღვთაებრივ კომედიაში“. ერთადერთი გავლენა ქალაქის მოწინავე საზოგადოებისა შდგომარეობდა იმაში, რომ ზოგიერთ ოჯახებში, საცა. დადიოდა გ. ერთსთავი, ქართული მწერლობის სიყვარული იყო გავრცელებული და დაიბადა ის შეთქმულება, რომლის მონაწილედ გახდა ახალგაზრდა პოეტი და რომელმაც სულ მოულოდნელად წარმართა მისი ცხოვრების გზა და კვალი.

როგორც ზემოთ ვნახეთ, გიორგი ერისთავს ძვირიად დაუჯდა ამ შეთქმულებაში მონაწილეობა. პირველი მისი თხზულება არის ნაყოფი იმ ზნეობითის განსაცდელისა, რომელიც ეწია მას ამ დანაშაულისათვის: ძლიერი შთაბეჭდილება და მწუხარება ეწვივნენ პოეტის გულს და სიმებმა უღერა იწყეს. ამ დროიდან დამკიდებული, სანამ მისი პატიმრობა და ძალაუნებურად პოლონეთში ყოფნა არ გათავდებოდა, გიორგი ერისთავის ხვედრი გლოვა და გოდება იყო. თვითონ პოეტი ეუბნება თავის გულს ერთ ლექსში: „აკი სიყრ-მიდან შეჩვეულხარ თხვრას და ჭმუნვასო“.

შემდეგ, როდესაც ჭმუნვის დრომ განვლო და გიორგი ერის-თავს დაუდგა უკეთესი დრო, პოეტმა ქნარი განხე გადასდევა და საზოგადოების ზნეობისათვის მოლვაწე კალამი ხელთ-ილო, სიბორო-ტისა და უსამართლობის მკაფიოვს კომედიას დაუწყო წერა.

ამისდა შესაბამად მთელი მისი მწერლობა განიყოფება ორ ჰაწილად: ლირიულ პოეზიად და დრამად:

საზოგადო ხასიათი გიორგი ერისთავის ლექსებისა თვით შის-მა ცხოვრებამ განსაზღვრა. უმეტესი ნაწილი ამ ლექსებისა ჭმუნ-ვითა და მწუხარებით. არის აღსავსე. ზოგან ეს მწუხარება პირდაპირ-არის გამოთქმული, ზოგან გადაკვრით და დაცინვით, მაგრამ ყველ-გან კი, რაც უნდა მხიარული იყოს მისი ლექსები, პოეტის გრძნო-ბის სარჩული მწუხარებაა. ეს მწუხარება ისე მწარებდ, ისე ძლიერად და ნაღვლიანად არ არის გამოთქმული, როგორც მაგ. ნიკ. ბარა-თაშვილის და ვახტანგ ორბელიანის ლექსებში, რომელთაც ურვა და დრტვინვა წყევის მოსაზღვრედ გაუხდიათ. გიორგის ლექსების მწუხარება უფრო ნელთბილია, რომელიც დამშვიდებულ კილოზე „ცრემლს აფრქვევს“ იმ მხარისათვის, „სად დაბადებულა“ პოეტი, სად „მტკვარი ნელად მიმდინარეობს“.

ლექსების საგანი უფრო მამულის სიყვარულია და მისი წარ-სული დიდება. უმეტესი ნაწილი ამ ლექსებისა დაწერილია იმ დროს, როდესაც პოეტი პოლონეთში იყო გაგზავნილი, — ტყუილად არ უთქვამთ, სამშობლო მაშინ უფრო შეუყვარდება კაცს, როდესაც მას მოშორდება... სხვა ლექსებში პოეტი სხვადასხვა გრძნობებს ხა-ტავს: „უპასუხო სიყვარულს“, ქალის უგულობას, მეგობრის სიკვ-დილს, დაკარგულ ბედნიერებას, საზოგადო უკმაყოფილებას. ორ-მოცდაექვნ ლექსში, რომელიც დაუწერია პოეტს, ოცდათოთხმეტი ლექსი მისგან არის დაწერილი ამ შინაარსით და თოთხმეტი გად-მოთარგმნილია სხვადასხვა პოეტებიდან. ამ პოეტთ შორის არის: მიცეკვიჩი, ვიქტორ ჰიუგო, პეტრარკა, ბერანჟე, პუშკინი და ლერ-მონტოვი.

ამ პოეტების თხზულებიდან გიორგი ერისთავმა ისეთი ლექ-
სები აირჩია, რომელთაც მისი ლექსების ხასიათი ჰქონდა, ე. ი.
მწუხარების ბეჭედი აჯდა.

ანაკრონი ამბობს: ყოველ მიჯნურს ერთი რამ ნიშანი აქვთ
პირისახეზე, რომლითაც კაცს შეუძლია შეატყოს; რომ ის შეყვარე-
ბულიათ. ეს ერთი რამ ნიშანი გიორგი ერისთავის ქნარსაც აქვს
რომლითაც ნამდვილ პოეტს ვცნობთ ჩვენ „შეშლილის“ ავტორში.

მას არა აქვს ისე ძლიერი, ენერგიული ხაზები, რომელიც გა-
ხურებულ შანთივით ჩაიჭრება კაცის მეხსიერებაში და იქ რჩება
სამუღამოდ და განუშორებლად, რომელსაც „დრო ვერ შემუსრავს,
თუ ვერ შემუსრავს თვით კლდესა“, როგორც ამბობს გრიგ. ორბე-
ლიანი; მისი ენა უფრო დარბაისლურია, უფრო ნაზი, უფრო თბი-
ლი, რომელიც მხოლოდ მაშინ ატყობს კაცს, როდესაც მას კითხუ-
ლობს. ეს, თუ გინდათ, ნაკლულევანება არის მისი ქნარისა. მაგრამ
ხელოვნურად მოფიქრებული პლანი ამ ლექსებისა ფარავს ამ ნაკ-
ლულევანებას. ყველა ეს ლექსი ისეთგვარად არის დაწერილი, თი-
თიქო საგანგებოდ სცენაზე წასაკითხად არის შუდგენილიო. წრფელი
გრძნობები, მშვენიერი შედარება, მოულოდნელი დასასრული, დროე-
ბის და ზნეობის დაცინვა ხშირად არის გაფანტული ამ ლექსებში და
უცხოთ ამკობენ პოეტის ლირის. რა სჯობს, მაგ. ამ შედარებას:

- მისი გული არს შეგავსება დარღვეულისა ტაძარის,
- ლმერთოთაგან განტევებულის, შესვერპლი ქარისა, აფლარის.

ან ამას:

სიჭაბუკე შენი მთვარეს ჯერეთ აზალს ემსგავსების,
სიტურფე და ელვარება ყოველს უამსა ემატების;
გრძელენის ჩემი, მზისა სხივიც მაშინ ბრელად გვეჩენების,
თუ გულშია ტრაფობის ალი, მცირეც არის არ გვენობის.

ასეთივე კარგი შედარებაა ლექსებში: „დარია ბეგთაბეგოვი-
სას“, „პელაგია არციმოვიჩის ქალს“ და სხ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილმა ეს მშვენიერი ტაეპება
შთაპერა პოეტი:

თითქო გხედავ შენ, მოარულსა რძისა გზახედან,
ანგელოზთ დასნი გეხვევიან, ყურს დაგიგდებონ.
მერე ცის სივრცეს, ლაუვარდოვანს განავარდებენ!
ვგონებ, ჭმუნვითა ჭმე დამზერი ჩვენსა ცხოვრებას,
ჰწფლავ რა შენ ძმათ და მათ შორის შურსა, მტერობას.

ეს ტაეპები ლექსის სიმდიდრით ვერ არიან მაინცა და ჩაინც შესა-
ნიშნავნი, მაგრამ სურათი კი აქ მშვენიერია. ნიკ. ბარათაშვილის

აჩრდილი, რძის გზაზე მოარული, რომელსაც ანგელოსნი გარს შემო-
ხვევიან და ყურს უგდებენ! ამ ოთხ-ხუთ სტრიქონს შეუძლია პოე-
ტის თაყვანისძებელ კაცს აღუძრას სურვილი გადაატანინოს ტი-
ლოზე ეს სურათი... რომ პოეტის ნათესავებს შეენახათ შთამომავ-
ლობისათვის ნიკ. ბარათაშვილის პორტრეტი! მარტო სიტყვა „გა-
ნავარდებენ“ რამდენადა ლირს! თუ ბუალის სიტყვა მართალია და
ერთ უშინო სიტყვას შეუძლია დაამახინჯოს მთელი პოემა, ისიც
უნდა მართალი იყოს, რომ ერთსამშვენიერ პოეტურ სიტყვას შეუ-
ძლია მთელი სურათი გაანათლოს! სიტყვა „განავარდებენ“ ამათ-
განი არის.

საუკეთესო ლექსები გიორგი ერისთავისა არის: „გაქსუებული“
„თოვლი“, „კნიაჟნა სოფიო ერის...“, „ალბომში“, „ყაბახისადმი“
„სოფლური სიმღერა“.

ამათ ლირსებაზე ჩვენ არას ვიტყვით. მაგრამ არის ერთი შე-
სანიშნავი ლირიული ქმნილება გიორგი ერისთავისა, რომელზედაც
ლირს, რომ კაცმა დაწვრილებით მოილაპარაკოს. ეს არის საუკეთე-
სო მისი თხზულება, მისი chef-d'oeuvre, პოემა „შეშლილი“. ეს იმ-
დენად შესანიშნავი ლიტერატურული ქმნილებაა პოეტისა, რომ გი-
ორგი ერისთავს ამის შეტი რომ არა დაეწერა რა, მარტო ეს პოე-
მა გახდიდა მის სახელს უკვდავად ქართული მწერლობისათვის. ამ
პოემაზე უფრო სრული ლიტერატურული თხზულება არა შეუქმნია
რა მრს კალამს. ჩვენს თანამედროვე მწერლობაში არა ერთი პოემა
დაწერილა „შეშლილზე“ უფრო მწიფე, უფრო კარგი ლექსით შედ-
გენილი, უფრო სახელგანთქმული, მაგრამ არც ერთს მათგანში არ
არის იმდენი ხელოვნება, იმდენი სითბო და სიჭაბუკე, იმდენი წრფე-
ლი ხაზები, რამდენიც „შეშლილშია“. ამ მხრით „შეშლილი“ საუკე-
თესო თხზულებაა მთელ ჩვენს მწერლობაში. შიგ პოემაში ნამდვილი
ჩვენი ქართული ტიპები რომ არ იყოს გამოხატული თავისი მკითხა-
ვებით, შელოცვით, მარხვის შენახვით, ლოტოთი, „შეშლილი“ იმ-
დენად კარგი ქმნილება არის, იმდენად გაირჩევა პოეტის სხვა ნაწე-
რებიდან, რომ, შეიძლება, ბევრს ეფიქრნა კიდეც; რომ ეს პოემა
სხვა ენიდან არის გადმოღებული.

მაგრამ ეს ეთნოგრაფიული თვისება პოემისა, ეს მშვენიერი
აღწერა საქართველოს გაზაფხულისა, უეჭველად ხდის პოემის სინამ-
დვილეს. გადაიკითხეთ პოემა თავიდან ბოლომდის და დასტუბით
მისი მშვენიერებით. ნახეთ, მაგ ალითად, მეხუთე სცენა პირველი ნა-
წილისა

4. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II.

კიდევ მოქვეთი, გაზაფხულო, ჩვენო სტუმარო.

და დააკვირდით, რაგვარი ხელოვნებით არის ის დაწერილი. ავტორს გამოჰყავს სცენაზე ოთხი თვის დანიშნული ახალგაზრდა მიჯნური, და ისიც პოეტი, რომელსაც უნდა შეატყობინოს მისი. სიყვარულის უარყოფა დანიშნულის მშობელთაგან. რაგვარად ასრულებს იგი ამ განზრახვას? პოეტი ჯერ ატკბობს ბეგლარს გაზაფხულის დილით, როდესაც ყოველი სულდგმული ხარობს, და მერე თითქო წინასწარ აგრძნობინებს მას რაღაცნაირ განუსაზღვრელ უსიამოვნებას, რომლის გამო „ბინდი ჭმუნვისა მოეფინების მის გულს“, მაგრამ ბუნების მშვენიერება, როგორც მზის შარავანდედა, უკუ ჰყავის იმ ტრუბელს, რომელიც გადაფარვია ბეგლარის გულს, და იგი ხელახლა ვიშობს „მშვენიერის კეთილისა ჰაერისათვის“, მაგრამ ის უცნობი, უსიამოვნო წინათგრძნობა ხელახლა უფანტავს მას ბედნიერებას: ლაუგვარდოვანმა ცამ აღძრა მასში სურვილი აღფრუნილიყო მაღლა, ძლიერ მაღლა, რომ ქვეყანა ვერც კი დაენახა! „გარნაღა, ვახ! ის ლვთისა ქმნილი არს ამა მიწას მაგრად მიკრული“ (სწორედ ამგვარივე ფრაზა აქვს ბაირონს „ჩაილდ-ჰაროლდში“, „მიწას მიკრული მე როგორ აღვიდე ცათ მიმართო“) და კვირობს, რად მისცა მას ლმერთმა „გონება, ნება, თუ რომ სიკვდილით სულ დასრულდება!“ ამ შავ ფიქრებს ხელახლა ბუნების სიმშვენიერე მოსდევს და შემდეგ თვით ის უსიამოვნო ამბავი, რომელმაც უნდა გაუმწაროს მას ბედნიერება. ამ ამბავმა იმდენად განარისხა პოეტი, რომ მისმა აღბორგებულმა სულმა ის შესანიშნავი მონოლოგი წამოცეცხლა, რომელსაც ქართულ მწერლობაში სხვა არა უდრის. რა, რომელსაც ჯერჯერობით იგივე ადგილი უჭირავს ჩვენში, რა ადგილიც ქორნელის დრამაში უჭირავს კამილის მონოლოგს. „გველებრივ ჭრელის“ ქალის დაუდგრომლობაზე რომ მოიჯერებს გულს, განბოროტებული პოეტი მიუბრუნდება ხალხის გულგრილობას და უსაყვედურებს მას „მომღერალთ მტრობას“. ხალხის უმაღურობა, რომელიც დასკინოდა ბათრონს, რომელმაც ტორქეატო, ტასო პყრობილზ ჰქმნა, კამოენსი შიმშილით მოჰკლა და ოვიდია რომისაგან განაძო, უმაღლეს ხარისხამდის შეაწუხებს მას და ახალგაზრდა მიჯნურს გულს შემოყრება...

ამგვარი თავდაჭერილი და გამოზოგვილი ფრქვევა გრძნობისა, რომელშიაც სიხარული და მწუხარება ერთმანეთს ართმევენ სიტყვას და წინდაწინ აფრთხილებენ მკითხველს, საცაა ჰექტ-ქუხილი ატყდება და ახალგაზრდა პოეტი თავისითავს დაიწყევლისო, — დიდ ხელოვანს ამხელს „შეშლილის“ ავტორში. ხელოვნებაც იმაში მდგომარეობს, რომ ხელოვანმა ასე გამოზოგვით ილაპარაკოს, ასე თავს ევ-

ლოს და ეტრიუიალოს ერთს ომელსამე გრძნობას. იშან უნდა თი-
თქო აგრძნობინოს მკითხველებს, რომ მისი ხელოვნების საგანი ერ-
თობ დიდი და მძუშვდომელი რამ არის, რომლის სრული გამოხატვა
შეუძლებელია კაცთავან, რომლის ერთ მხარეზე, ერთ წერტილზე
მარტო კაღნიერობს იგი ლაპარაკს და ისიც სუსტად და უსრულოდ.
მის აღწერილობაზე უფრო ნათლად ის უნდა უუბნებოდეს. ჩვენს გო-
ნებას, რაც მისი აწერილობის ზურგს უკან არის დამალული. ამის
გამო უკეთესი პოეტური თხზულებაც ის არის, რომელიც არამც თუ
დაგვატებობს ჩვენ რომელისამე გრძნობის გამოხატვით, არამედ ისეთ-
გვარად აღძრავს ჩვენს არსებას, რომ თხზულების წაკითხვის შემ-
დეგაც რჩება ჩვენში ერთჯერ გამოწვეული ზნეობითი სიტკბო, თი.
თქო თვით შშვენიერება უხილავსო კაცს თვალით, თითქო პლატო-
ნისაგან აღთქმული ფრთხები გამოსხმიაო ამ თხზულების წაკითხვით.

ამგვარი გრძნობა ზომიერებისა შეაღგენს გიორგი ერისთავის
თხზულების საზოგადო ლირსებას და განსაკუთრებით „შეშლილი-
სას“.

თვითონ შეშლილი, ბეგლარის საცოლო ტასო, ბეგლარზე
უფრო კარგად არის გამოსახული პოეტის მიერ. პოემის პირველ ნა-
წილში ტასო სიცოცხლით და ბეღნიერებით სავსე ახალგაზრდა
ქალია, რომელიც საყვარლის ლექსებს მღერის თავის ტოლ-ამხანა-
გებში. შეორე ნაწილში ტასო სცენაზე გამოდის შეშლილად, თეთ-
რის კაბით მორთულო, თმაგაშლილი, ფერმიხდილი (სცენის მორ-
თვა მაშინაც კარგად სმენია. პოეტს). დედას გაუმჯდავნებია მისითვის,
რომ არა სურს ბეგლარისთანა მესტვირეს მიათხოვოს ქალი და სა-
სიძოსთვის უკანვე გაუგზავნია მისი ბარგი—„ოთხი წიგნი და ერთი
ფარდაგი“. ამ ამბავს ისე ძლიერად უმოქმედნია ტასოზე, რომ ის
ჰქონდა შემცდარა. გულის გაზომვამ, გამდლის შელოცვამ და ეჭი-
მის ხელობამ ვერა უყვეს რა სულით ავადმყოფს.

მაგის წაშალი სხვა არსად არის.

იქნება მორჩეს, თუ შერთეთ ქმარი!

უქვა ბოლოს ეჭიმმა და ავადმყოფის მოკეთეებმა. გადაწყვიტეს
მიათხოვონ ტასო ვილაც კაპიტანს, ელენეს შვილს, და არა ბეგლარს.
ქორწილის დღეც დანიშნეს. იმ დღეს ტასო საქორწილოდ მორთეს.
მიტენების წასვლის დრო რომ მოახლოვდა და ფაიტონი მოპგვა-
რეს წასასვლელად, ტასო წამოდგა ცრემლიანი, აკოცა დედას ხელ-
ზე, გამოესალმა სხვა ქალებს და კარების ნაცვლად აივნისაკენ გა-
ეშურა, შეხტა მოაჯირზე და მტკვარში გადავარდა. შეშლილს ტა-

სოს იმდენი გონება კიდევ შერჩენოდა, რომ ბეგლარის სიყვარული ჭაპიტნის სიყვარულზე არ გაეცვალა...

როგორ გავკადნიერდეთ და ქართული გონების ნაწარმოები როგორ შევადაროთ დიდი პოეტების ქმნილებას, თორემ გიორგი ერისთავის „შეშლილსა“ და იმ შეშლილებს შორის, რომელიც გამოჰყავთ სცენაზე ევროპის ორ უდიდეს პოეტთა, ბევრი რამ არის საერთო, რაც უნებლიერ აგონდება კაცს „შეშლილის“ კითხვის დროს. როგორც ოკეანის გემს ვერ შეედრება ჩვენი პატარა მტკვრის ნავი, რომლითაც, უკეთესობისა, უნდა გამოეტანათ წყლიდან ტასოს გვამი, ისე ვერც შექსპირსა და გიორგეს შეედრება გიორგი ერისთავი პოეტური ნიჭის ძლიერებითა და აღმაფრუნით, მაგრამ სიყვარული და სიჭაბუქე, სურვილი და გულისთქმა, რომელიც თანასწორად დაურიგებია ბუნებას ქვეყანაზე, გიორგი ერისთავსაც ჰქონდა, მისი ბუნებითი ნიჭიც დიდი იყო და სანამ ჩვენი ხალხის საზოგადო ულომნბამ და უმეცრებამ არ შეაშოვეს მისი ნიჭი, ისე როგორც „თესლი დავარდნილი ეკალთა შორის“, პოეტის შეუბლალავმა ბუნებამ „შეშლილში“ ის საყოველქვეყნო ხმა ამოიღო, რომელიც მარტო დიდი პოეტების ხვედრია. ჩვენთვის ტასოს სიმღერაა:

მოვა ჩემი საყვარელი.

მე დავხვდები თავშიშველი.

ლა, ლა, ლა, ლა...

იგივე შეშლილი ოჭელიას სიმღერაა, რომელიც მამის სიკვდილს გაუგიუებია. ოფელიასვე სიტყვებს და გულწრფელობას აგონებს კაცს მისი:

თვალი ავიხილე

და რა გიხილე?

აღარ მქონდა გული,

იყო მოპარული,

თვისთან შეინახა,

გულში დაიმარხა!

ის ადგილი პოემისა, საკა შეშლილი იგონებს თავის საყვარელს:

მახსოვა, აქ ვიჯექ, ამ ზონარს ვქსოვდი,

„მიშველე ბეჭება“ მე იმას ვთხოვდი,

„ქარგი, მითხრა მან, თითო ბეჭვაში.

შენ მაკოცნინე მაგ ლამაზ თვალში“

განა უნებლიერ არ იჭვევს თქვენს მეხსიერებაში: იმ საზარელ სცენას „ფაუსტიდან“ როდესაც შეშლილი მარგარიტა, საპყრობილები დამწყვდებლი, იგონებს პირველ შეყრას თავის საყვარელთან?

კიმეორებთ, კალნიერებაა ჩვენგნით ამგვარი შედარება, მაგრამ, ბაირონის თქმისა არ იყოს, რა მამაცობა იქნება გაექცეს კაცი რა შედარებას, რომელიც უნდღიერ მოსდის მას თავში?

მთელი პოემა სავსეა ამგვარი შვენიერებით. ის კიდევ უკეთესი იქნებოდა, რომ პოეტს აეცვინა თვისი ქმნილებისათვის ზოგიერთი სასაცილო, კომიკური სცენები, რომელიც არ უხდება ამისთანა გულის სიმღერას, როგორიც არა „შეშლილი“. პოემის შინაური ქართული ნასიათი თვისის ზნეობის აღწერით, თვისის შელოცვით, გიშრის ჯვარით, აბრეშუმის ზონარით, არზების წერით, დაუკითხავად ქალის გათხოვებით, თვით „შეშლილში“ ნახეთ. ამ მხრითაც შესანიშნავია ეს ჩინებული პოემა.

თუმცა ეს პოემა საუკეთესო თხზულებაა გიორგი ერისთავისა, მაგრამ პოეტი არ არის ცნობილი ჩვენში როგორც ლირიკული მწერალი; მაგრამ სახელი განთქმულია ჩვენს შორის უფრო როგორც კომედიების მწერლისა, როგორც დრამატურგისა. ამგვარი რეპუტაცია ლირსულად დამსახურებულია პოეტისაგან. გ. ერისთავი თვით ბუნებისაგან იყო დაბადებული კომიკად. დაცინვა, „წარმოდგენა“, ნაკლულევანების შემჩნევა მის ხასიათში იყო, მის მიმართულებაში; მისი გონების თვისებაში. როგორც ვთქვით, ამ დაცინვიდან და სასკილო კილოდან იგი ვერც ლირიკულ თხზულებაში ჩვერდა ხშირად თავს. კომედიებში კი მთელი მისი გონებითი ძალ-ღონე და ზნეობითი ვინაობა გაიშალა ყველასათვის ცხადად და თვალსაჩინოდ.

მაგრამ ვიდრე ამ კომედიებზე დავიწყებდეთ ბაასს, ნებას ვითხოვთ ორიოდე სიტყვა ვთქვათ საზოგადოდ დრამატიულ თხზულებაზე. ამ სახით უფრო კარგად დაფასდება ჩვენი პოეტის სასკილო ლირსება და ლვაწლი.

კომედია და საზოგადოდ დრამა ყოველგვარ ლიტერატურულ თხზულებაზე უფრო ძნელია დასაწერად. თვით საგანი ამრიგ თხზულებათა არის ძნელი და მიუვალი. ეს ის უხილავი, უცნობი და განუზომელი ადამიანის სულია, რომლის სილრმეშიც უნდა ჩაეშვას. დრამატურგი და უთვალყუროს ყოველგვარ სულის მოძრაობას, ყოველგვარ მის სურვილს და განზრახვას. როდესაც იგი შეიგნებს ამ სულის საზოგადო თვისებას და მოისურვებს იმის სცენაზე გამოყვანას, მან უნდა წარმოადგინოს აშკარად, რა დაბრკოლება შეხვდება ამგვარ სულს თავისი სურვილის განზორციელების დროს, რა ხელს შეუშლის მას მისივე ჩვეულება, მისი ტოლები, შისი მტრები, რარიგად გაიმარჯვებს იგი ამ დაბრკოლების წინააღმდეგ, ან

რაროგად იქნება ძლეული და მისი სურვილი დარჩება. შეუსრულებელი. პოემა, რომანი, მოთხრობა, ბალადა იმავე ფსიქოლოგიურ მიზანს მისდევენ, რასაც ეს დრამა, მაგრამ დრამაში მარტო მოქმედი ხასიათია გამოყვანილი, რომელიც თქვენს თვალწინ უნდა ებრძოდეს გარემოებას და დაბრკოლებას, რომელმაც უთუოდ თქვენ თვალწინ უნდა ილაპარაკოს. მოთხრობაში მწერალი უმეტეს ნაწილად თვითონ ლაპარაკობს მოქმედი პირის მაგივრად; მას შეუძლია, მაგ. სთქვას: „ამ კაცმა ამა და ამ მიზეზის გამო თავი მოიკლაო“; რიგიან დრამატურგს კი არა აქვს ნება იგივე ათქმევინოს რომელსამე მოქმედ პირს თავისი დრამის უმთავრეს პირზე. იმან თვითონ მოქმედებაში საქმით უნდა წარმოადგინოს ეს მიზეზები, თვითონ უნდა დასჭიდოს თქვენს თვალწინ გარემოება და კაცი, და როდესაც ეს გარემოება ამ კაცს წააქცევს, თქვენ თვალწინვე უნდა აკვრევინოს დამბაჩა შუბლში და თქვენს თვალწინვე უნდა დაალევინოს სული. ამას ბევრი შრომა და ცოდნა სჭირდება დრამატურგის მხრით. იმან არამც თუ კარგად უნდა შეისწავლოს კაცის სული და შეიძლოს ყოველგვარი გრძნობის ანალიზი, არამედ უნდა შეიძლოს თვითონ შევიდეს იმ კაცის მდგომარეობაში: ხან მდიდრის ენით ილაპარაკოს, ხან ღარიბისა, ხან მამულისათვის თავგანწირული სულის სიმაღლე წარმოადგინოს, ხან მამულის გამცუმის სიმდაბლე, ხან მოხუცი იყოს, ხან კაბუკი, ხან კაცი, ხან ქალი, ხან უწყალო ბარბაროსივით ტანჯვიდეს მასზე სუსტ ქმნილებას, ხან კეთილი და უმანგო ანგელოზივით თავს ევლებოდეს ყოველ კაცს და სხ. მწერალმა თვითონ უნდა ჩააგდოს თავის თავი ყოველ ამგვარ ჭირში და ლხინში, რომლის გამოხატვაც მას მოუსურვებია.

ამიტომ დრამას ყოველგვარ პოეტურ თხზულებაზე უფრო მაღალი ადგილი უჭირავს მწერლობაში. ამიტომაც ჩვენს ლიტერატურაში, რომელშიაც არა ერთი ჩინებული პოემა, მოთხრობა და ლექსები არსებობს, არც ერთი ხეირიანი დრამა არ დაწერილა ჯერდროებით. რაღა მარტო ჩვენი მწერლობა, მთელი აღმოსავლეთის ლიტერატურა მოკლებულია. ამ დრამას დასავლეთშიაც მხოლოდ მაშინ აიღებდა მაღლა თავს დრამა, როდესაც საზოგადო განათლება და სამოქალაქო აღორძინება საუკეთესო პირობაში იქნებოდა ხოლმე.

საკუთრად კომედია იმგვარ წვრილმანს, უმსგავსოს და უმნიშვნელო მოქმედ პირებს იღებს თვისდა შინაარსად, რომელთა სურვილი და საქციელი იმდენად დამახინჯებულნი არიან, რომ უნებლიერ სიცილს აუტეხნ. კაცს. კომედიის მწერლის სამკალი სულ ყოველგან არის, საცა სულელს თავისი თავი ფილოსოფოსად მიაჩნია,

საცა ულირსი პირველობას ჩემობს, საცა უბრალო შემთხვევას და-
დი მნიშვნელობა ეძლევა, საცა ძლიერს წინ მშიშარა ქვეშევრდო-
მების მტარვალია, საცა არის ფარისევლობა, თავისმოყვარეობა, ან-
გარება, შური, ზაკვა. ამისთანა მდიდარი შინაარსით კომედიის მწე-
რალი სხვადასხვაგვარად სარგებლობს. ზოგი იმგვარ კომედიებს
წერს, რომელშიაც საზოგადო ნაკლულევანება არის გამოხატული
მთელი კაცობრიობისა; ზოგი კომედიის შინაარსად მხოლოდ ერ-
თი რომლისამე ერის ნაკლულევანებას იღებს; ზოგი კი მხოლოდ
ერთი რომლისამე საზოგადოების ზნეობით სიმახინჯეს; სხვა მწე-
რალი ან ისტორიაში ეძებს კომედიის შინაარსს, ან ფაქტების სხვა-
დასხვაგვარად ერთმანეთთან შეწყობაში, ან სცენების ხელოვნურად
შეკავშირებაში. ამათდა შესაბამად სიტყვიერებაში ბევრი სხვადა-
სხვაგვარი კომედიები არსებობს: ხასიათის კომედია, ზნეობის კომე-
დია, ისტორიული კომედია, ინტრიგის კომედია, ეპიზოდური კო-
მედია და სხ.

ამათში უპირატესი ადგილი უჭირავს ხასიათის კომედიებს.
საუკეთესო კომედიების მწერლები: შინანდრი, პლავტი, მოლიერი
კაცობრიობის საზოგადო ნაკლულევანებას იგდებდნენ სასაცილოდ.

ხასიათის კომედიის შემდეგ პირველი ადგილი ზნეობის კომე-
დიისა არის, იმ კომედიისა, რომელსაც ეკუთვნის ერისთავის დრა-
მატიული თხზულებანიც.

გიორგი ერისთავის კომედიის შინაარსი ჩვენი ერის ნაკლულე-
ვანებაა. ეს ნაკლულევანება არის ამაოთმორწმუნეობა, დაუდევრობა,
უქმად დროს გატარება, ძმისა არ განკითხვა, შეძლებაზედ გარდამე-
ტებულის ხარჯვა, ვალის სიყვარული, ბაქიაობა, სიზარმარე, მეტის-
შეტი მარტივსულობა და სხ. პოეტი გამოვიდა სამწერლო ასპარეზ-
შე იმ დროს, როცა სუყველა ეს ნაკლულევანება პქონდა ჩვენს სა-
ზოგადოებას და ლირსება კი თითქმის არავითარი, გარდა ვაჟკა-
ცობისა და რაინდული ხასიათისა, რომელნიც ყოველთვის განუ-
შორებელნი ყოფილან ქართველებისაგან. ამგვარი უსულო და უაზ-
რო საზოგადოება დაცემული საზოგადოება იყო, რომელსაც ფეხზე
დაყენება სჭიროდა. დაცემულ და გატრივნილ საზოგადოებას ძვე-
ლიდ წინასწარმეტყველი იყენებდა ფეხზე; ის ამხილებდა ხალხის
ბიწიერებას და სასჯელს უქადდა ბოროტმოქმედებას. ჩვენს დრო-
ში ეს დიდი ვალი კომედიამ იკისრა. ქართველი ერის წარმატებით
სულდგმულმა ახალგაზრდა გიორგიმ ყოველგვარი მისი ნაკლულევა-
ნება ხელზე დაიხვია და ისე ხელოვნურად გამოსახა ეს ნაკლულევა-
ნება; ისე დასცინა მას, ისე უწყალოდ ჰგვემა, რომ შემდეგში, რო-

დესაც-საზოგადოებამ დაინახა მისი კომედიები თეატრში, ხალხმა თავისთავი იცნო, დაცინვამ თავისი კეთილი შედეგი მოიტანა და საზოგადოება რამდენადაც იყო გამოფხიზლდა. ბევრს თავის ნაკლულევანებას თავი ააშორა კომედიის შურდულით დაწყლულებულმა გმირება.

ასეთია ჭეშმარიტების ძლიერება. საცა უნდა ითქვას ჭეშმარიტი სიტყვა, მას ყოველთვის კეთილი ნაყოფი მოაქვს,. ადრე თუ გვიან, დიდად თუ პატარად, და ეს სარკე, რომელშიაც დაანახა საზოგადოებას გიორგი ერისთავმა მისი ზნეობითი პირისახე, ჩვენი საზოგადოების მეისტორიესათვის ერთი იმ პირობათაგანი უნდა იყოს, რომელთაც ხელი მისცეს ქართული საზოგადოების წარმატებას ამ საუკუნის მეორე ნახევარში. ტყუილად არ ამბობს ვოლტერი, კომედია ისეთი ხელოვნებაა, რომელიც კეთილ ზნეობას ასწავლის ფარსაო!

ვის ათა სწვდა გიორგი ერისთავის მათრახი? რომელ თაობას, რომელ წოდებას, რომელ ნაციას? ყველაზე უფრო ბევრი ჩვენს თავად-აზნაურობას ერგო და ქალაქის მოვაჭრე საზოგადოებას. ქართველი თავადი და ქალაქელი სომეხი არის ორი უმთავრესი მოქმედი. პირი ყველა მისი კომედიებისა. სხვა პირები იმათ ემორჩილებიან, იმათ ამაღლას შეადგენენ.

ორ თაობად განიყოფება ამ კომედიებში მონაწილე თავად-აზნაურობა: ძველი, დარბაისლურ, მამაპაპურ თავადობად, რომლის ამპარტავნება და დაუდევრობა სურს მოსტეხოს პოეტმა, და ახალგაზრდა, რუსეთში ნამყოფ, „თერგდალეულ“ თაობად, რომლის „გრძნობიერ, მაღალ გულს“ ვერ აფასებენ სამშობლოში და რომლისკენაც სქევს პოეტის პირადი თანაგრძნობა.

ძველი თაობა, აგიაშვილის მოახლესავით, ვერც ძველი ჩვენი ლირსების მოზიარეა და ვერც ახალი დროებისა. იმას არც შრომა უყვარს დიდი და არც ოჯახის მოვლა ესმის; უმეტეს ნაწილად იგი მწევარ-მექებრებს დასდევს; სწრაფია და ყორანა აგონდება იმას იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ოჯახი ელუბება და ცოლ-შვილი შიმშილით ეხოცება (პავლე); სადაო ქონების პატრონი, ის სულ საჩივარ-ში ატარებს თავის სიცოცხლესა და ამ საჩივრების გარჩევას თითო მდივანბეგი უნდება (ონოფრე); მის ჯიუტობას საზღვარი არა აქვს: იმას ის ურჩევნია, რომ დაღუპოს თავისთავი და თავისი მეზობელიც, ვიდრე მორიგებით გაათავოს იმასთან საქმე (ამირინდო); ბუნებით მშვიდი და კაცომოვარე, ის ხანდახან ძლიერ ცხარია და იქამდის. ივიწყებს თავისთავს, რომ არც საწყალი გლეხკაცის აკ-

ლება მიაჩნია ჩალად და არც საკუთარი ქმის მოკვლა სულ უბრალო მიზეზისათვის (ანდუყაფარ); თუ სამსახურშია, ის ქრთამს იღებს (რამაზ); თუ სამსახურში არ არის, თვითონ აძლევს ქრთამს (ამირინდო და ონოფრე) და საქმე ისე უნდა მოიგოს... ცხოვრების დევიზია იმას ერთადერთი მცნება შეუთვისებია რუსთველისა: „სმა-ჭამა დიდად სავარგი“. ამაზე კი ის მარდად არის. ბოზბაში, ჩიხირთმა, მწვადები, ფლავი, ბატკის ლულა-ქაბაბი, აფხაზური, სამოციანიდან ამოლებული ლვინო „ააჭრელებენ მის სუფრას“. თუ ეს ყველა აქვს უკლისად, თუნდ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა... მისი მამულის და შეზობლების გარეშე მისთვის მარტო უეზდის ქალაქია, საცა ზასე-დატლები და პრავნიკები არიან და თვითონ ქალაქი, საცა შუადლეს ზარბაზანს ისევრიან. მისი გეოგრაფიის ცოდნა ამ ადგილებს არ გა-სცილებია; მარტო ერთხელ მიაღწია მოზღოვამდის ანდუყაფარმა და ისიც რის ვაის-ყოფით! გონებითი მისი ვითარება ხომ სულ უმეც-რების წყვდიადისაგან არის დაფარული. სინათლის შარავანდელი მას ჯერ არ მიჰყარებია!

ახალ თაობას გ. ერისთავის კომედიებში. საპატიო ადგილი უჭირავს. ეს თაობა რუსეთში ყოფილა და სწავლა-განათლება მიუღია. საქმეში კი ვერ გამოუყენებია ეს სწავლა, თუმცა სურვილი დიდი აქვს კეთილი საქმისა; მას თავი ახალშობილად მიაჩნია, რო-მელმაც „ახლად უნდა დაიწყოს სოფლის ცხოვრება და ზღვის მღე-ჭლვარებაში ბრძოლა“; იმან კარგად იცის თავის ერის ხასიათი, იცის, რომ მისი თანამემამულენი ნდობით არ უყურებენ „ახალმოდის“ კა-ცებს, რომ ისინი დიდი სკეპტიკები არიან, და ცდილობს თავი კა-რგად დაიჭიროს, „სამასხარო არა ქნას რა“. შრომა უნდა, უნდა ახალი სისტემით მიწის შემუშავება და თვის ყმებთან კეთილი გან-წყობილების დაჭერა (გლეხების განთავისუფლების აზრი ჯერ არ არის ყმაწვილკაცობაში); თუ საქმისთვის საჭირო იქნება, ბანკიდან აპირებს ფულების აღებას... მაგრამ დალოცვილი ერთობ აჩვარებული რამ არის და მისგან აღთქმული სიურთხილე საქმით ვერ გა-ამართლა. ხალხში წამოსცდენია, რომ ზვარში ვაზების დაჭრას აპი-რებს და „ვაზების წილად თუთების ჩაყრას“; ამასთან ღერბის ქა-ლალდზე არზის, მაგივრად ლექსები დაეწერა, სხვა მეტი არაფური იყო საჭირო, რომ ძველ თაობას სასაცილოდ აეგდო ახალი თაობა, სულელი დაეძახა მისთვის, მესტვირე და საზანდარი დაერქმია, ჩა-ცკის ბედი ეწივნა... „ზღვის მღელვარებასთან ბრძოლაში“ ეს თაო-ბა ძლეული დარჩა და ორ საუკეთესო მის წარმომადგენლებს ჩვენ

ვხედავთ... სტრიაპნის ოთახში, მათგან მიტანილის ქრთამებით! (ბე-
გლარი და მიხეილი).

სომეხი სულ სხვაგვარი კაცია, სხვა აზრითა და სხვა სურვი-
ლით. ამისთვის, „ხაზაინ-მაზაინობა სულ ფუჭ! ეს სოფელმა. სულ
ფული, ფული, ფული!“ ვერცხლი არის მისი ღმერთი, მისი სოფლის-
ბომონი, როგორც ამბობს სოროზანი. მისი ვერცხლისმოყვარეობა
მაინც ისე შორს ვერ წასულა, როგორც მაგ. გ. სუნდუკიანცის კო-
მედიებში; იმას ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია კაცობა, არ გაჰქვავებია
გული ისე, როგორც „დარღვეული ოჯახის“ მოქმედ პირებს. იმისი-
სარგებელი სამი შაურია და იმაზედაც უღმერთოს ეძახის უმაღური
თაობა, რომელსაც ამ შემთხვევაში ვერ გამოუჩენია დიდი შორს-
გამჭვრეტლობა. თუ გაჭირდება, „კუზუნ პრუცენტსაც“ სჯერდება.
ყოველი მისი გზა ფულისკენ მიდის, როგორც ყოველ გზას რომში
მიჰყავს ლოიოლას მოწაფეები. „შენ რომ საქმე გაუკეთო კაცს და
შენის ოფლისთვის ოცი ოქრო აიღო, ეს ქრთამე?“ ამ ეხლანდელ
სომხობასთან შედარებით კეთილ კაცს არც ქართველობა დაშორე-
ბია ჯერ დროებით. არჩილმა კარაპეტას ქალზე დაიწერა ჯვარი და
ჯვრის დაწერის წინათ ამას ეუბნება თავის ხასიათმროს, „დრო არის
დაინახოთ, რომ ჩვენ ვართ ერთი ხალხი, არ უნდა იყოს ჩვენში
ერთმანეთის სიძულვილით და სხ.

სხვა მოქმედი პირები, როგორცა ვთქვით, ამ თავად-აზნაუ-
რობას და სომხობას უკან არის დამალული, აქაიქ ზოგიეროის კა-
რგად ამოლებული პირისახე ჩანს, კარგად განსაზღვრული ხასიათი
მოქმედობს: ცბიერი იმერელი, მექრთამე ჩინოვნიკი, ქურდი მოუ-
რავი... ქალები, როგორც შეშვენის ნამდვილს აღმოსავლეთის ავ-
ტორს, ერისთავის კომედიებში. მეორე პლაზე დგანან. მათი ხასიათი
მაინც ცხადად მოჩანს იმ სიშორიდან, საცა პოეტმა და ჩვეულებაშ
განაკერძოვა ისინი საზოგადოებისაგან. ყველაზე კარგად ბრწყინვას
ძველი მეგობარი ქართული ოჯახისა—გამდელი. ძველი ჩვეულებისა
და ზნეობის ერთგული, გამდელი ოჯახის სიკეთისათვის იღვწის და
მებატონის პატიოსნებას იცავს. იმას არაფრად მოსწონს ქალბატო-
ნის „ინტიტუტში მიცემა“; იქ სხვა სიკეთის მაგიერ მიჯნურობას;
ასწავლიან, ნესტან-ტარიელობას, საარშიყო უსტრების წერას. რო-
დესაც ბეგლარის წიგნი მიუვიდა მის საცოლეს, ნინოს („დავა“),
ნინოს გამდელმა მუხლებზე დაიშინა ხელები და სულ „ლაფის დას-
ხმა, სირცხვილი, ჩაქოლვა და თავისმოჭრა“ იძახა. ბეგლარის გამ-
დელიც ამგვარათვეა. იმას ერთი სხვა ლირსებაც აქვს, ცუდი ენა-
ნინოს, იმისი სიტყვებით; „თვალის უკან კილოები დაწეული აქვს;

ზეითა ტუჩი მოკლე აქვს და ამასთან ისეთი ბრძუვია, რომ კაცუბ-
თან ფეხზე ფეხს შემოიდებს“. კნეინებში ყველაზე უფრო კარგად
მაკრინე არის გამოსახული, პავლეს ცოლი („გაყრა“). ეს ერთობ
ძლიერი და ენერგიული ქალია, რომელსაც თვითონ მარტო შეეძლო
კომედიის უმთავრესი პირის ადგილის დაჭრა. მისი ქმარი იმ აზრი-
საა, რომ იგი ევაზე უფრო ჰქვიანია; ის დარწმუნებულია, მაკრინე
თამარ მეფის დროს ცოცხალი რომ ყოფილიყო, ვეზირობას მისცემ-
დნენ. როცა ძმები იყრებოდნენ, მაკრინე ამხნევებდა თავის ქმარს, რომ
იმას რაც შეიძლება მეტი აეწაფა; არ დაანებო, თორემ ლეჩაქს
დაგხურავო, — ეუბნებოდა ის ქმარს. შემდეგ, როდესაც საქმე სადი-
ვანბეგოდ გახდა, ეს ცბიერი დედაკაცი სულის სეკრეტარს პირ-
დებოდა თავის ქალს, თუ ის მის სასარგებლოდ გაათავებდა საქმეს...

აი ყველა ის პირები, ყველა ის ზნეობითი სიმახინჯე, რომელ-
თაც შეადგინეს გიორგი ერისთავის კომედიების შინაარსი.

ჩვენი ერის მომავალი ისტორიკოსი, რომელსაც შეეძლება ამ
კომედიების საშუალებით შეადგინოს აზრი პოეტის თანამედროვე
საზოგადოებაზე, ამ პირებსა და ნაკლულევანებათა გარდა, ბევრს
სხვა ცნობასაც იპოვის პოეტის ნაწერებში, რომელიც ძვირფასი იქ-
ნება ჩვენი კულტურის ისტორიისათვის. ამ დროს ჯერ კიდევ ზეზე
იყო ჩინური სალამი, გულის გაზომვა, შელოცვა, დაუკითხავად ქა-
ლების გათხოვება, მათი „პატიოსნების დამფარველი ჩადრი!“ ჩვენი
ყრმანი, გულგრილები და პირ-ბრინჯ-შეგლესილები ცოლს არ ირ-
თავდნენ, უდროოდ სნეულდებოდნენ და ლანცკნეტის თამაშით კო-
ტრდებოდნენ; ჩვენი ვაჭრების შეილები ჩინოვნიკებად ხდებოდნენ
და მამისაგან მოგებულ ფულებს ჩალა-ბზესავით ფანტავდნენ. „ბო-
ბრის ერტნიკი“. ჯერ ახალი შემოსული იყო და ქალაქის მანდი-
ლოსნებს დარდებს უშლიდა, სომხის მდიდარი ვაჭრები ის-ის იყო
გამოჩეკილ იყო ქვეყნად; ისინი წინადღეს ქუჩის ბიჭებად იყვნენ
და ხიზილალის ბოჩაზე იცემებოდნენ... საზოგადოება ძველ დროს
ეთხოვებოდა და ახალ წესებს ეჩვეოდა...

როგორც ვთქვით, კომედიის წერა ახალი საქმე იყო ამ დროს
ჩვენში. ქართულად ერთი „სინნას“ თარგმანი-ლა იყო ალ. ჭავჭა-
ძისა და თვით რუსული დრამატიული მწერლობიდან მარტო გრი-
შოედოვის კომედია იყო ცნობილი ტფილისში (დაგვავიწყდა მო-
გვეხსენებინა ზემოთ) რომ იმ დროს, როდესაც გრიბოედოვი ქალა-
ქში იყო, გ. ერისთავი წარუდგინეს იმას, როგორც კომედიის მწე-
რალი, და შესანიშნავმა კაცმა განზრახვა უქო ჩვენს პოეტს). მაგრამ
პირველი ცდა პოეტისა, პირველი მისი დრამატიული თხზულება

შედნიერად გადაურჩა ახალი ნაბიჯის გამოუცდელობას. თუმცა საზოგადო პლანი გ. ერისთავის ორიგინალური კომედიებისა უნაკლო არ არის ჩვენი დროებისათვის, როგორც დრამატიული მოსაზრება, მაგრამ სამაგიეროდ ამ ქართული კომედიის აღაშმა იმგვარად გაანაწილა კომედიაში სულყველა ეს ზემოთალრიცხული საშინაარსო მასალა, იმგვარის ხელოვნებით აირჩია ტიპები და აიცდინა თავი-დან პირველი ნაბიჯისაგან განკუშორებელი მრავალსიტყვაობა და მონოლოგები, იმგვარად შეკუმშა აზრები მოკლე, ლაზათიან ფრა-ზებში, რომ „გაყრაშივე“ გამოჩნდა მისი სრული დრამატიული ტა-ლანტი. განსაკუთრებით მოქმედების მხრით არის საქები მისი კო-მედია. ჩვენში ბევრი ისეთი პიესაა, რომ მეორე, მესამე მოქმედების შემდეგ ჯერ კიდევ არა ხარ მიხვედრილი კაცი, რაზეა დამ-ყარებული დრამა. „გაყრაში“ კი პირველისავე სცენიდან, პირველი-სავე სიტყვიდან ვიგებთ, რომ დედააზრი კომედიისა არის ძმების გაყო-ფა. ეს მოქმედება არ შეფორხილდება არსად გ. ერისთავის კომე-დიებში (გარდა ორიოდე ეპიზოდური სცენებისა „დავაში“, რო-შელიც სულ გამოსარიცხია ამ კომედიიდან). ყოველი სცენა წინ ეწევა კომედიას, როგორც ყოველი იხალი სადგური აახლოვებს კაცს მისი მოგზაურობის მიზანთან. თუ საყვედური რამე ეთქმის მას ამ მხრით, ეს ის არის, რომ გ. ერისთავი ძლიერ ჩქარობს კომედიის გათავებას, იმდენად ჩქარობს, რომ ბევრი საჭირო სცენა გამო-ტოვებულია. ეს ნაკლულევანება—სჯობს ზოგ კომედიების მე-ორე ნაკლულევანებას—დაწვრილებით ლაპარაკს იმ საგანზე, რომე-ლიც სულ არ არის საჭირო მოქმედების მსვლელობისათვის.

როგორც შეეფერება ნამდვილს ზეობის კომედიის მწერალს, გიორგი ერისთავის ღაცინვა დაფუძნებულია მხოლოდ სხვადასხვა ზასიათების და ნაკლულევანების ერთმანეთთან შედარებაზე და არა მარტო სასაცილო ეპიზოდების და სიტყვების ხელოვნურად შეწყო-ბაზე. აშ ხასიათებსა და ნაკლულევანებას ისეთ გარემოებაში შეჰქ-რის პოეტი ერთმანეთთან, ისეთ ჩარჩოში ჩასვამს იმათ, რომ ეფექ-ტი აუცილენელია და სიცილი უჰქველი. სიცილიც აუტყდება კაცს და მოქმედი პირების დასჯაც არის, მაგ., იმ სცენაში, საცა მაკრი-ნე, გამწარებული ძმების გაყოფით, როგორც მართა „ზრუნავს და შფოთავს მრავლისათვის“ და მისი უდარიდელი ქმარი კი გაიძახის: „ოო! ოო! ერთი შეხედეთ-და ჯერანას ნავარდსა! ეი, შენი გულისა, ტა, ტა, ტა! ბიჭო! შენ, ეი, ბონჯურავ, დქვენი ტრუ-ტრუ მექება-რი სჯობს ჩემს ხალიასა თუ?!“ და სხ. სასაცილო აქ ორი სხვადასხვა ზასიათის ერთად დაბმა არის და არა მარტო სიტყვები. სიტყვებზე

დამყარებული სიმახვილე და დაცინვა თუმცა კი არის იქააქ გ-ერისთავის ორიგინალურ კომედიებში, მაგრამ ეს იშვიათია. ცხოვ-რების ამწერი კალაში პოეტისა თითქმ განგებ ერიდებაო არ მის-ცეს კომედიას უბრალო ხუმრობის ხასიათი და გადაჭარბებით არ დაამსგავსოს: იგი იმ კომედია-ფარსებს, რომელნიც თუმცა სასაცი-ლონი არიან, მაგრამ ხალხზე გავლენით ვერ იჩენენ თავს. ეს სა-ზოგადო თვისებაა გიორგი ერისთავის უმთავრესი კომედიებისა, უნდა თქვას კაცმა მისი გემოვნების და ხელოვნების პატივსაცემად.

მარტო „ძუნწში“ და „უჩინ-მაჩინის ქუდში“ გამოიცვალა პო-ეტმა ხასიათი და ზნეობის აღწერის სიმაღლეზე დააყენა საზოგადო კომედიების თვისება—სასაცილო მდგომარეობა. ეს იმისაგანაა, რომ „ძუნწში“ და „უჩინ-მაჩინის ქუდი“, თუმცა კი ქალაქის სომხობას-გვიხატავენ, მაგრამ იმავე დროს კაცის საზოგადო თვისების წარმო-მადგენელნი არიან. „ძუნწის“ უმთავრესი პირი კარაპეტ დაბადოვი განხორციელებული სიძუნწე და კრიფანგობაა; „უჩინ-მაჩინის ქუდის“ გმირი კი—მარტირუზ რიბნიკოვი—განხორციელებული იჭვიანობაა. ამათი ხასიათების აწერას სულ სხვაგვარი კალამი დასჭირდა, სულ სხვა ლიტერატურული საწყალი მოუნდა.

სწორედ მოლიერის სცენებს აგონებენ კაცს ის ადგილი „და-ვისა“, საცა რაფაელ უხსნის ამირინდოს, თუ რა არის ზაპეტაია; ის სცენები „ძუნწისა“, საცა იშერელი სკაპენი, ივანიკა, უხსნის ზრ-ჩილს, როგორ უნდა დაუმალონ კარაპეტას ფული და როგორ უნდა მოჰვარონ შემდეგ „თანთარი“ კენჭების შესალოცავად. ეგრეთვა ის მოკლე კითხვა-პასუხები, საცა კარაპეტას უნდა შეიტყოს, რათ უნდა ცოლი არჩილს და რატომ არ უნდა კარაპეტას ქალი ქართ-ველს მიათხოვოს; ის სცენა „უჩინ-მაჩინის ქუდისა“, საცა მარტი-რუზა შეასწრებს თვალს იმერელს, როდესაც იგი მის ცოლს კოც-ნის; ის ადგილები „თილასმის ხანიდან“, სადაც მოჯადოებული ხანი ამბობს ასანა ხარაზზე (თავის თავზე): „გააღვიძეთ, თუ ეძინოს, არც აგრე დიდი ბატონიაო!“ და სადაც, გამოფხიზლებული, ის ვერა სცნობს თავის დედას, რომელსაც ეუბნება: „წვრილი ფული არა მაქვს, ბებერო“ და სხვ...

სხვა ლიტერატურული ლირიკება გ. ერისთავის კომედიებისა არის: მოკლედ, მაგრამ ძლიერი ფრაზებით გამოხატვა თავისი აზ-რებისა. ბევრი მისი ფრაზა ისეთგვარად ჩაეჭრა ქართულ მეხ-სიერებას, რომ იქ დარჩა სამუდამოდ და ანდაზების ადგილი დაი-ჭირა. ვის არ წამოედება ენაზე ყოველ შემთხვევაში პოეტის სიტ-ყვები: „ქართული სიყვარული, სულ გინება გახლავთ“; აჟეიჭ. დროვ

იარაღი ჩალის ფასად აღარა ლირს“; „საკურველია, მოზდოკს მეც ვიყავ, მაგრამ კი არ გავგიშებულვარ“. ამგვარათვე სახსენებელნი არიან სიტყვები: „მაშ, მაგის ცხოვრება სულ ძალლებს უჭამია“ „რკინის ფასი ფუთი რვა აბაზია“; „ქართული ლვინო—ეტო გლუპოსტ“; „ბეგლარის ბარგი ოთხი წიგნია, ერთი ფარდაგი“; „პეტერბურგში რომ არ წასულიყო, მესტვირობას აქ ვერ ვასწავლიდით?“ და სხ.

კომედიების ტექნიკური ლირუსების გარჩევას ჩვენ თავს ვანებებთ ამ მოკლე კონსპექტურ შენიშვნაში; ჩვენ არას ვიტყვით არც მოქმედების განაწილებაზე სხვადასხვა აქტებში, არც სცენების სისრულეზე, არც დიალოგზე და არც იმ ენაზე, რომელიც „დაბადა მან ახლისა გვარისა მწერლობისათვის“, როგორც ამბობს—პლ. იოსელიანი და ამით ვათავებთ ჩვენს მცირე შენიშვნასაც გიორგი ერისთავის კომედიების საზოგადო ხასიათზე.

ორიოდე სიტყვა, ეხლა, თითოულ მის დრამატიულ თხზულებაზე საკუთრად.

სულ დაუწერია პოეტს: ოთხი სრული კომედია ჩვენი საზოგადოების ცხოვრებიდან—„გაყრა“, „დავა“, „ძუნწი“, „უჩინ-მაჩინის ქუდი“ და ერთი შეუსრულებელი კომედია—„თევზის კანტორა“; ორი სრული გადმოკეთებული კომედია და დრამა—„თილისმის ხანი“ და „ყვარეყვარე ათაბაგი“ და ერთი ნაწყვეტი, თარგმანი გრიბოედოვის კომედიისა „უბედური ჭკუისაგან“.

„გაყრა“—მამამთავარი ქართული დრამისა—არის ოთხმოქმედებიანი კომედია პოეტისა, რომლის საზოგადო სცენიურ ლირუსებაზე ჩვენ საკმაოდ ვილაპარაკეთ ზემოთ: მცირე რამ შენიშვნა მის სუსტ მხარეზე. კომედიის მთელ უკანასკნელ მოქმედებას და თითქმის მის მესამე მოქმედების. მეორე ნახევარს არა აქვს კავშირი მის დედააზრთან. ეხლანდელი მწერალი ამ კომედიას იქ გაათავებდა, სადაც ძმების გაყოფა თავდება, მაგრამ 40. წლის წინათ; და მეტად-რე იმგვარ კომედიაში, რომელსაც ზნეობის მხატვრობა ჰქონდა მიზნად, ამგვარი სხვადასხვა საცენების ერთად მოთავსება, ჩანს, ცოდვა არ ყრიცილა. ამასთან ბოლო სცენებში ივანეს დანიშვნა და მის-გან ალთქმული პატარძლის ნახვა ერთობ აჩქარებულად არის წაყვანილი. სცენაზე ქორწილის გაჩაღებას ნამდვილ ქორწილზე ნაკლები შრომა არ სჭირდება; ამას ბევრი სხვა მოსამზადებელი: სცენა უნდა; ბევრი. ხელოვნება. არ არის აგრეთვე კარგად გამოყვანილი გაბრიელის და ყარდაშვერდის სიყვარულის დასკვნა... მოქმედი პირები, მაგიერად, მშვენივრად არის ამოღებული: ანდუყარარ—ძველი თავადი შეელი სახელით, ვალე, ივანე, მიკირტუმ, მაკრინე,

ყარდაშვერდი საუკეთესო ტიპებია ჩვენი დრამატიული რეპერტუა-
რისა. ზნეობის აღწერა და მოქმედების ტარება, როგორც ეთქვით
ზემოთა, დიდი ხელოვნებით არის ასრულებული.

„დავა“. ამ კომედიას მარტო სახელი აქვს გამოცვლილი;
თორემ საქმით იგივე „გაყრა“ არის. განსხვავება მხოლოდ იმაში
მდგომარეობს, რომ აქ სადათ მამულია „ცილობის ვაშლად“ და იქ
მამა-პაპეული ქრება. პლანით და პოეტური ლირსებით ეს კომედია
„გაყრაზე“ მაღლა თუ დადგება, თორემ არაფერში ჩამორჩება. აქ და-
სკვნა კომედიასთან თავდება და მოქმედების დასაწყისი კომე-
დიის თავშია. ამ კომედიის მოქმედი პირები ბეგლარ და მიხეილი
ის ყმაწვილკაცები, არიან, რომლის დროიდანაც ქართული ლექსი-
კონი გამდიდრებული ორი ახალი სიტყვით „ახალი თაობა“ და
„ძველი თაობა“. ამ კომედიაში მესამე, მეოთხე და მეხუთე გამოსვ-
ლა შესამე მოქმედებისა, და მეშვიდე სცენა მეოთხე აქტისა კომე-
დიის მოთხოვნილებას არ შეესაბამებიან.

„ძუნწი“ ნუ ვის ეგონება სხვა ენიდან გადმოკეთებულ კო-
მედიად იმისთვის, რომ ამ კომედიას იგივე სახელი ჰქვიან, რა სა-
ხელიც მოლიერის კომედიასა აქვს. მოლიერისა ისე არ არის ეს „ძუნ-
წი“, როგორც თვითონ მოლიერის L'avare არ არის პლავტის Aulularia.
საზოგადო აქ მხოლოდ კომედიის დედააზრია, ძუნწი მამის
ფულების დამალვა ქალისაგან. შეიძლება გიორგი ერისთავმა წაი-
კითხა ეს კომედია და დედააზრი აიღო. იქედან, მაგრამ მისგან და-
წერილი დრამა სრულიად მისი გონების ნაყოფია და არა უცხო ენე-
ბის ცოდნისა, ისე როგორც L'avare-ი არ არის მოლიერისაგან დაწე-
რილი კომედია, თუმცა იმასაც დედააზრი ნასესხები აქვს პლავტისა-
გან. აქ მხოლოდ ერთი სცენაა გადმოკეთებული პუშკინიდან, ის სცე-
ნა, რომელშიაც კარაპეტა, მარტო, შუალამის სიბნელეში, ეტრფი-
ალება თავის ოქროებს. ეს სცენა ის შესანიშნავი სცენაა პუშკინის
„ძუნწი რაინდისა“, რომელშიაც გარონი სარდალში იმყოფება და
ოქროებს სანთელს უნთებს... „ძუნწი“ გიორგი ერისთავისა ყველა
მის კომედიებზე უფრო კომიკურია, თუ შეიძლება ასე ითქვას. თვი-
თონ კარაპეტას გარდა, იმერელი ივანიკა და გოგო მონავარდისა
არიან ამ კომედიაში ჩინებულად გამოსახულნი. საუკეთესო ადგი-
ლები კომედიისა არის: ივანიკას მოთხოვნა აღას ლოცვაზე და მი-
სივე ნატვრა და „თანთრის“ მოგონება; კარაპეტასაგან შეშის მი-
ღება საჩუქრად და მისი გამოანგარიშება პურის გაკეთებისათვის
საჭირო ხარჯისა; კარაპეტასივე საბუთები, რატომ არ უნდა მიათ-
ხოვოს ქალი ქართველს. მაგრამ სულ ყველა ამათზე უკეთესი სცენა

თს არის, როდესაც გარაპეტა ოქროს მაგიერ კინჭებს დაინახავს თავის ყუთში და თავს მოიმძინარებს მელასავით... „ძუნწს“ რომ ჩაიკითხავთ ამ წიგნში, შემდეგ „გაყრისა“ და „დავისა“, მაშინ მიაქცევთ განსაკუთრებით ყურადღებას იმ გარემოებას, რომ სულ ყველა ეს კომედიები ქორწილით თავდება, როგორც სულ ყველა ქართული წარმოდგენა ლეკურით თავდებოდა აქამდის.

„უჩინ-მაჩინის ქუდი“ პატარა, კოხტა ვოდევილია, მეტისმეტად მხიარული და სასაცილო. შიგ სომხის ოჯახობაა გამოხატული, თვისის მდგმურებითა, მოარშიყე აფიცრებით, იმერელი ბიჭით და სხვ. ერთი სიტყვით, ნამდვილი სურათია ტფილისის მოქალაქისა.

„თილისმის ხანი“ შესანიშნავია თავისი პლანით. ეს კომედია არის გადმოკეთებული რუსულიდან და ისეთის ხელოვნებით არის შედგენილი, რომ არც ერთ თეატრს არ მოსწყინდება მისი ზედიზედ მრავალჯერ სცენაზე წარმოდგენა.

„ყვარლუვარე ათაბაგი“ გადმოკეთებულია ჰალმის ტრაგედიიდან. ბ-ნი პეტრე უმიკაშვილი წერს გაზეთ „დროებაში“ (№ 40, 1870 წ.), რომ ალ. ვახ. ორბელიანი ამ დრამის დაწერლად დეკანოზ ეფ. ალექსეევ-მესხიევს სცნობდაო და არა გიორგი ერისთავსა... შეიძლება, ამ დრამის დაწერაში მართლა ჰქონდა მონაწილეობა მამა ალექსეევ-მესხიევს, მაგრამ ეხლანდელი თავისი პირის სახე დრამას, უეჭველია, ვიორგი ერისთავისაგან აქვს მიღებული... გვიმტკიცებს ამას, სხვათა შორის, ის, რომ „ყვარლუვარე ათაბაგი“ ბევრს უნახავს პოეტის ხელში, მისივე ხელით დაწერილი. ეს ასე რომ არ იყოს და დეკანოზი მართლა „გულნაკლედ ყოფილიყო პოეტზე“, განა არ შეეძლო იმას, როგორც ცენზორს, არ მიეცა ნება პოეტისთვის მისი სახელით დაებეჭდა ეს დრამა „ცისკარში“? მაგრამ ეტყობა, რომ ეს დრამა უფრო გიორგი ერისთავისაა, ვიდრე ალექსეევ-მესხიევისა. ჰალმის პიესას, ეტყობა, დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია პოეტზე. ამ დრამის მოქმედების გადმოსატანად ჩვენში მას აურჩევია საუკეთესო ეპოქა. ჩვენი ისტორიისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორიული ამ დრამაში არა არის რა, გარდა მოქმედი პირების სახელებისა; არც ხასიათი, არც ზნეობა, არც ჰარამხანის ღლწერა, არც კარისკაცები. ერთ ადგილზე ანაქრონიზმიც წასცდენია ავტორს, ეს იქ, საცა სარგის თმოგველი უზნება ყვარლუვარე ათაბაგს: „საკურველი ხასიათი გაქვს, მაშინვე წამალივით იფეთქებო“.

„თევზის კანტო რაზე“, რომელშიაც მკითხველები დაინახავენ ბევრს ქალაქის ნაცნობ პირებს, და მსუბუქი ლექსით თარგმნილ გრიბოედოვის კომედიის დასაწყისზე ჩვენ არა გვაქვს. რა ცალკე სათქმელი.

დასასრულ ორიოდე სიტყვა „ცისკარზე დაც“. „ცისკარს“ არა ჰქონდა ახლანდელი უურნალის ხასიათი; ის არ ეხებოდა დღის ვარამს, არ არჩევდა თანამედროვე საერთ და საპოლიტიკო კითხვებს, არ იყო წარმომადგენელი არც ერთი თაობისა, არც ერთი პარტიისა, არც ერთი საზოგადო აზრისა. ის უტრალო, ყოველთვიური კრებული იყო, რომელშიაც სხვადასხვა ბელეტრისტული ნაწერები იბეჭდებოდა რედაქციისაგან, გიორგი ერისთავის დამსახურება ქართული მწერლობისა და საზოგადოების წინაშე ის იყო, რომ იმან, როგორც რედაქტორმა, სინათლეში გამოიწვია ბევრი უცნობი და კერძო ადგილებში მიმალული მწერლები მათი ნაწერებითა და ამ ნაწერების დაბეჭდვით. ზოგიერთს გასართობი საკითხავი მისცა და ზოგიერთს სურვილი აღუძრა ლიტერატურული შრომისა. პირველი ნომერი მისი უურნალისა, ჩვენს ხალხში გავრცელებული, ის პირველი კენჭი იყო, რომელიც დაგუბებულ წყალში გადავარდნილა და რომლისაგან მთელი წყლის ზედაპირი მოძრაობაში მოსულა. რაკი ერთხელ დაიბადა ლიტერატურული მოძრაობა ჩვენს საზოგადოებაში, მერე იმისი ხელახლა დაგუბება შეუძლებელი ბუ. თანამედროვე კითხვებს არ ეხებოდა ეს ახალი მწერლობა, მაგრამ რა უნდა ექნა ჩვენს რედაქტორს, რომ ადათი არ იყო ამ კითხვებზე საზოგადოდ ლაპარაკისა? არამცუთუ ეს კითხვები, მთელი ორი წლის განმავლობაში ერთჯერაც არ დაბეჭდილა არც თვითონ უურნალში და არც მის ყდაზე, რა ღირდა უურნალი წელიწიდში „გაგზავნით და გაუგზავნელად“. ადათი არ იყო და!

თეატრსაც იმდენი გავლენა ჰქონდა საზოგადოების გონიერის წარმატებაზე და თვით მწერლობაზე, რამდენიც უურნალს. შესანიშნავი რუსი პოეტის ი. პოლონსკის აზრით (რომელიც ამ თეატრის დაფუძნების დროს ქალაქში ცხოვრობდა) ნამდვილი ქართული მწერლობაც იმ დღეს არის დაბადებული საქართველოში, რა დღესაც დაიბადა ქართული თეატრი. იმ რას ამბობს პოეტი ამ საქმის შესახებ:

„... День появления комедии „Раздел“ на сцене—2-ое января—смело можно назвать первым днем творения, началом истинно грузинской литературы, благодатным вестником, что царство хаоса в литературе миновало, что настуцило время,


ნ. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II.

когда могут больше и больше возрастать науки, процветать искусства...“

ამით ვათავებთ გიორგი ერისთავის ცხოვრების აღწერას და მის ლიტერატურულ ღვაწლზე მუსაიფს. შეიძლება ყველა მკითხველი არ იყოს თანახმა ჩვენის აზრისა პოეტის ნიჭის და ნაწერების შესახებ, მაგრამ ის კი უკველია, რომ მის მნიშვნელობას ყველანი ურთხმად ოლიარებენ ჩვენთან. ბ-ნი ალ. ცაგარელი წერს 1870 წლის „დროებაში“ (№ 4), რომ საქართველოში რუსთველის შემდეგ ძრავის პქონოდეს ხალხზე იმდენი გავლენა, რამდენიც გ. ერისთავსა ჰქონდა. ჩვენ ვერ ვბედავთ ამოვუყენოთ რუსთველის სახელს გ. ერისთავის სახელი, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვირთ, რომ როდესაც ქართულა მწერლობის მომავალი მეისტორიე სათავეს მოუქებნის ჩვენს მწერლობას და ჩვენი საუკუნის „შესანიშნავთა მწერალთა პანთეონს“ შეადგენს, ამ „პანთეონში“ გ. ერისთავსაც ექნება მიჩემებული საკუთარი ადგილი დიდების ტაძარი, რომელშიაც გამობრწყინდება დიდებული სახე ალ. ჭავჭავაძისა, გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილისა, ერთს სხვა ძეგლსაც აღმართავს ამათ გვერდით, რომლის საფუძველზე წარწერილი იქნება სასიქადულო სიტყვები: „კაცი, დამფუძნებელი ქართული სცენისა და ქართული ჭურნალისა“. ეს ძეგლი იქნება გიორგი დავითის-ძის ერისთავისა.

6 აპრილს - 1884 წ.

ტულისი.





ခာမော ဘုရားရဟန်

მამია გურიელი

(ფიზელი)

I

შემიას დაბაჟება—გურიელებისა და ვარდანიძეების გვაროვნობა.—
მამიას დედ-მამა.

შ. გურიელი დაიბაჟა 16 (28) იანვარს 1836 წ. სოფ. ლესაა.

მე სახელ-გვარად,
ვინ იყო მთავრად,
მპყრობი გურიის, ჩაქვ-აჭარისა...
ვგვარ მას, მარა
არვინ მამთავრა...

შწერდა პოეტი თავის ჩამომავლობაზე ბიძამის პეტრე დადიანს,
იმ კილოზე, რა კილოზედაც ერთი დადიანთაგანი წერდა ზუგდი-
დის ტახტზე:

ვინ აღმქვნა ცანი მარადიანი,
მით ვფლობ ქვეყანას მე, დადიანი...

გურიელების გვარი არის ერთი უძველესთაგანი მოელ საქარ-
თველოში. პირველი გურიელი, რომელსაც იხსენიებს ისტორია,
ცხოვრობდა მე-XIII საუკუნეში, რუსუდან მეფის დროს. მე-XV საუ-
კუნეში ამ გვაროვნობამ მისცა საქართველოს ის შესანიშნავი „კახა-
ბერი, სხვა კაცი“, რომელიც იყო ღვთაება მამიასი, როგორც იდეა-
ლი მამულის ერთგულებისა. კახაბერის ცოტა წინადროებში—მე-XIV
საუკუნეს—როცა სვანებმა დაწვეს და ააოხრეს ქუთაისი, მეფე ბაგ-
რატ V-მ, გურიელის მაგიერ, დასვა გურიის ერისთავად სვანეთის
ერისთავი ვარდანიძე და ამის. შემდეგ ვარდან ერისთავის * ჩამო-
მავალთა შიიღეს გურიაში წოდება გურიელთა. ბატონიშვილი ვა-
ზუშტი იტყვის თვასი დროების გურიელებზე: გურიას არს გურიე-
ლი; იგიცა თვით ფლობს და იტყვის ვარდანის ძეობასა **.

* „ვარდან, ერისთავი სვანია“ პირველად იხსენიება გიორგი მეფის დროს (1072—1089). ქ. ც. გვ. 235.

** იხ. დეოლო. აღწერა საქართველოსი, გვ. 48.

შაშიას მაშა დავით, იგივე დათა, ვახტანგის-ძე, იყო შვილის-შვილი გურიის მთავრის გიორგი V-სა და, მაშასადამე, ბიძაშვილი უკანასკნელი მთავრის მამია სიმონის-ძისა. რომ მთავრობა არ მოს-პობილიყო გურიაში, დავით უნდა დამჯდარიყო გურიის ტახტზე მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა გურიის მთავრის მემკვიდრე დავით მამიას-ძე.

როცა 1828 წელს გურიის მთავრინა სოფიო წულუკიძის ასუ-ლი, მმართებლობისაგან დანიშნული გურიის მმართველად, გადავი-და თურქეთში, მამიას მამა და ბევრნი სხვანი გურიის თავადნი და აზნაურნი გადავიდნენ მასთან ოსმალოს იმპერიაში რშ იმედით, რომ ხონთქარი სძლევდა რუსეთის იმპერატორს და უფრო დიდ პატივს მიაგებდა ამათ, ვიდრე უკანასკნელი, რომლის კავკასიის მოხელეთა-გან არ იყო კმაყოფილი მთავრინა. აჭარა-ქობულეთის სიახლოვე რომელშიაც ცხოვრობდნენ გურიის თავად-აზნაურთა ნათესავნი და მოგვარენი და დიდი ხნის რეპუტაცია ხვანთქრის ულურისა უძლეველ, საბუთად შეექმნათ იმათ, ვისიც მიზეზით მთავრინა და მისი ერთ-გულნი განშორდნენ სამშობლო ქვეყანას..

მაგრამ, მათდა საუბედუროდ, გურიის ემიგრანტებს იმედები გაუცრუვდათ. ოსმალეთი დამარცხდა (ამ წელს ოსმალოსა და რუ-სეთს ომი ჰქონდათ ერთმანეთთან), მთავრის ქვრივი მოკვდა უბატ-რონოდ ერთს რომელიალაც ანატოლიის ქალაქში * და მისი ამალა-დარჩა უცხო ქვეყანაში ულუკმაპუროდ და უნუგეშოდ. ექსორია-ქმნილთა მდგომარეობა შეიქნა უფრო შესაბრალისი მას შემდეგ, რაც მთავრობამ ჩამოართვა მათ ადგილ-მამული და გამოუცხადა ტრაპიზონის კონსულის საშუალებით. უმაღლესი წყრომა ხელ-შწიფე იმპერატორის ნიკოლოზ I-ისა. მამიას მამა ამ მიზეზების გამო ლითხი-თუ ხუთი წელიშადი ცხოვრობდა ჭუირე აზიის სხვადასხვა-ქალაქებში და სტამბოლს, საცა იმას რამდენჯერმე მიეცა შემთხვევა წარმდგარიყო ხონთქართან, როგორც წევრი გურიის მთავრის ოჯა-ხისა. შემდეგ, 1832 წელს, როცა ხელმწიფე იმპერატორმა ამნისტია მიანიჭა მთავრინასთან წასულ გურულებს და მამულები დაუბრუნა მათ, ის დაბრუნდა თავის სამშობლოში.

აქ დავით გურიელმა დაიჭირა ის ადგილი, რომელიც იყო და-ცარიელებული მთავრის ოჯახის გურიიდან წასკლით. მისი სახლი შეიქნა პირველი სახლი ვურიაში და ერთი უპირველესთაგანი მთელს დასავლეთ საქართველოში.

* მთავრინა სოფიო გარდაიცვალა 1829 წელს.

რომ სრული აზრი შევადგინოთ. მაშიას ცხოვრებაზე, უნდა ერთი კარი მაინც შევალოთ ამ სახლისა და თვალი გადავავლოთ საღ, რა ალაგას დგას მამიას აკვანი, ვინ უმღერის იმას „ნანინას“, ვის ზღაპარს შეუპყრია ასე უწყალოდ მისი ყურადღება და საზოგადოდ, შევიტყოთ, ვის რა გავლენა ჰქონია მასზე დაბადებიდან დამკიდებული იმ დრომდის, როცა ყმაშვილი გამოვიდა ამ ოჯახიდან და შევიდა სკოლის გავლენის სფეროში.

ამისათვის ჯერ უნდა გავეცნოთ პირადად თვით ოჯახის პატ-რონს, პოეტის მამას.

ყველანი, ვისაც კი ვკითხე რამე დავით გურიელის პიროვნებაზე, ერთხმად სახავენ მას: ზნეობითად — კაცად, მშვიდობიანად, კეთილად, თავმდაბლად, ზრდილად, ღვოისმოშიშად, ხოლო ფიზიკურად — გამოჩენილ ვაჟკაცად, რომელსაც გულადობაში, ცხენოსნობაში, * სროლაში, ჯირითში ** მთელს გურიაში ბადალი არ ჰყავდა. თვითონ მამია წერს იმაზე:

ლომსა ჰვავეს სწორედ მხარ-მყერფით,
აპოლონ ღმერთსა თვალადა.. *

ყველა ამასთან ის იყო კარგი მწიგნობარი, კარგი მომღერალი, კარგი მგალობელი და ჩინებულად უკრავდა საზს; ჭიანურს, ქნარს, ჩონგურს და დაირას.

მისი სასახლე დაწყობილი იყო ისე; როგორც ეს უნდოდა ძველ ჩვენს ჩეოულებას საზოგადოდ საქართველო-იმერეთში. ეზოში იდგა სასახლის ეკლესია, რომელშიაც კვირა-უქმე დღეს წირვა-ლოცვა ასრულებდა კარის ეკლესიის მღვდელი. ისებ გიგინეიშვილი, თქვენ თვითონ მიხვდებით, რა კარგი მგალობლებით, იმ ქვეყანაში, საცა ყოველი კაცი მგალობელია. დავით, რაც უნდა საჭირო საქმე ჰქონდა იმას, არც ერთ წირვას, არც ერთ ლოცვას არ დააკლდებოდა, როგორც ამბობენ, თითქო თათრებში ესწავლოს თავ-თავის დროს ლოცვის გადაუცდენლობა. ეკლესიის მოშორებით იდგა დავითის საღვამი სახლი, ძველებური დიდი ოდა, და იმის გვერდით სასტუმრო „სააზნაურო სახლი“, რომლის სიდიდეზე იტყვიან „შიგ ცხენი გაჭენ-

*. მირიან ჭყონიასაგან გამიგონია — ხონთქარს უნდა ეთქვას დავით გურიელის შესახებ: იმისთანა ცხენოსანი კაცის მნახველი არა ვარო.

** იმისგანვე გამიგონია: დათა გურიელის ჯირითი ას საჟენზე მიდიოდაო ლესას ჭიშკრიდან რომ გაისროდა ჯირითს, ეზოს ბოლოში დიდ ოდას გადაავლებდაო.

*** იხ. თხზულებანი მ. გურიელისა გვ. 149—ს. ვ.

დებოდათ“. სხვა შენობათაგან, რომელთაც გადაეჭრელებინათ დავითის ეზო, მეტი ყურადღების ლირსი იყო საჯინიბო, რომელშიაც ება მისრეტის ფაშისაგან გამოგზავნილი მშვენიერი არაბული მერანი.

სასახლეს განაგებდა კაცი, რომელსაც, რუსთველის ოქმისა არ იყოს, „მართ ოდენ“ სახლთუხუცესობა აკლდა. ამის ხელქვეით იყვნენ: მსახურთ უფროსი, ფარეშთ-უფროსი, მესტუმრე, მწლე, მოლარე, მეჯინიბე, ბაზიერი, კურძუალები, ქეშიკები, მოახლეები, გამდლები, სხვადასხვა მოსამსახურენი და ერთიც „სასახლის დალაქი“—თანამდებობა, რომელსაც მე არ შევყრივარ ჯერ სხვა დიდი ოჯახების აღწერაში.

სასახლეში სტუმრობა გამოულეველი იყო. „დარბაზის ერს“ შეადგენდნენ თავადნი გუგუნავები და თავდგირიძეები; დავითის კარისკაცი და აზნაურნი: ჰყონიები, გიგინეიშვილები, თავართქილაძეები, კობახიძეები—მისი შინაუმანი. ამათ გარდა სულ მუდამ იყვნენ სასახლეში: უცხო სტუმრები, სამეგრელო-იმერეთიდან მოსულნი, სამლელობი და სამონაზვნო პირნი, ნათესავნი—გურიელნი და დადიანნი, ძიძიშვილნი და სხვანი და სხვანი.

— დღეში ორი ძროხა იკვლოდა და ძლივს ყოფნიდა, იმდენი ხალხი ტრიალებდა სასახლეშიო,—თქვა მირიან ჰყონიამ.

— შეძლება კი აძლევდა წებას, რომ ასე გაშლილად ეცხოვრა გურიელს?—ვკითხე მე.

— თქვენ თვითონ გასინჯეთ: იმას ჰყავდა 80 აზნაური თავისი ყმებით და მისი მიწები ზღვამდის აღწევდნენ 17 ვერსის სივრცეზე. ამას გარდა მთელი გურიის სანაპირო მისი იყო და ნავების ბაჟის შემოსავალი გრიგოლეთს და მალთაყვას. ლევან გურიელის მამა იყო გადაფარდნილი და თუმცა მისი ადგილ-მამული სახელმწიფოდ იყო შერაცხული, მაგრამ სარგებლობა დავითს მიჰქონდა. მის წლიურ შემოსავალს ესეც ბევრს უმატებდა.

მაშიას დედაზე ეკატერინე (შინაურობაში ბათუს ეძახდნენ) მოკლედ არის ნათქვამი: „ისეთი ტკბილი ქალი იყო, რომ შაქარი ამოდიოდა პირიდანო“. ეკატერინე იყო დიდი ნიკო დადიანის—სამეგრელოს კანონშდებლის—ქალი, და შესანიშნავთა სამთა ძმათა: გიორგის, ბესარიონის და პეტრესი. ეკატერინეც მამასა და ძმებივით კარგი მწიგნობარი ქალი იყო და ჩინებული მოლაპარაკე. როცა ქუთათურმა ქალებმა „ქართული ბიბლიოთეკის“ გამოცემა დაიწყეს, მამიას დედამ ამ უურნალის მოთავეს კატო ჰყონიას ასულს მადლობის წიგნი მისწერა ასეთი ენით, რომ მისი ბარათი დიდხანს დაკონდათ ხელი-ხელ წასაკითხავად, როგორც შესანიშნავი წერილი.

ოჯახში საგანგებო თავდარიგის ქალი, ეკატერინე, როგორც ამბობენ, იყო შვილებისათვის თავგადადებული დედა, თუმცა—ბოლო მაკვირვებს,—იმას არც ერთი შვილი თვითონ არ გამოუჩრდია. ელეონორა გურიელისა, მამიას რძალი, და ივლითი თავდგირიძისა—იმისი დისწული, რომელთაც შემიგროვეს მე მასალა მამიას ცხოვრების აღსაწერად და რომელთა კამერტონის ხმაზეა ასხმული მამიას დედ-მამის ეს პანეგირიკი, ამგვარად ამართლებენ დადიანის ქალის საქციელს. „დაზიანის ქალმა—წერენ ისინი—მისი შვილები ყველა ძიძებს დააზრდევინა. პირველად ძიძას სახლში მოაყანიებდა და რამდენიმე თვეს ბავშვს თავის თვალის წინ აზრდევინებდა, მაგრამ მერე კი ძიძას შინ გაატანდა გაზრდილს და რამდენიმე წლით დაარჩენდა იმასთან, იმიტომ რომ ამბობდა: გლეხისას გაზრდილი დიდი კაცის შვილი ზომიერი ხასიათის კაცი გამოდგებაო, უფრო მრთელიც იქნება და კარგი მებატონეცაო, რადგან მისი ძიძას და ძიძას მეზობლის შვილებს ნახავს ლარიბებს, შიშვლებს და გაჭირვებულებს და, ამით გამოცდილი, თვითონ გულშოწყალე მებატონე შეიქნებაო“. შეიძლება ეს გამართლება კი არა, სიმართლე იყოს, მაგრამ ის უფრო შეიძლება, რომ, იტალიელების ანდაზის არ იყოს, ეს მართალი არ იყოს, ეს მხოლოდ კარგი გამართლება იყოს.

მამიას ძარღვებში, გარდა გურიელისა და დადიანის სისხლისა, ტრიალებდა ორბელიანთა გვარის სისხლიც. ბებია მამიასი, მეუღლე ვახტანგ გურიელისა, იყო ზაალ ორბელიანის ქალი, სარდლიანთ ოჯახის შვილი. ამ მხრით მამიას დაახლოებულნი ნათესავნი არიან მამუკა ორბელიანის შვილნი და შვილის შვილნი, ორბელიანნი და მელიქი შვილნი.

დედის მხრით მამიას დიდი ნათესაობა ჰყავდა დადიანებში, შარვაშიძეებში, დადეშქელიანებში. ამათ შორის ყველაზე უფრო მასთან შეთვისებული ნათესავი იყო თავ. გიორგი შარვაშიძე, იფხაზეთის მთავრის ჰამუთ-ბეის შვილი, ქართული მოშაირე და მწერალი, შვილის შვილი თავ. ნიკო დადიანისა*, მამიას პაპისა.

მამიას გარდა, დავით გურიელს დარჩა ოთხი სხვა ვაჟი, ოთხნივე შესამჩნევნი წევრნი გურიის საზოგადოებისა: ჯამბაკურ, ვახტანგ, ტელემაკ და ვარდენი, და ორიც ქალი—ივლითი და მაქა.

დავით გურიელი გარდაიცვალა 1856 წ. 19 ნოემბერს, ხოლო მისი ცოლი ეკატერინე დადიანის ასული—1884 წ.

* გიორგი შარვაშიძე ნამდვილად შვილის შვილი იყო ნიკო დადიანისა და ისიც ორმაგ, — პავამისს აფხაზეთის მთავარს საფარ-ალი-ბეგს მეუღლედ ყავდა ნიკოს ქალი კესარია (დეიდა მამიასი), რომლის შვილი იყო გიორგის მამა ბინეილი (ჰმუთ-ბეი), ხოლო მიხეილის შეუღლე იყო გიორგი ნიკოს-ძე დადიანის ქალი. აძგვარად, გილოგი შარვაშიძე მამითაც და დედითაც ნიკო დადიანის შვილის შვილი იყო.—ს. ც.

პირველი წლები მამიას ცხოვრებისა.—ჯანვერდი.—წერა-კითხვის სწავლება.—დარბაზის ერი.—შაშიას პირველი ლექსები.—ოზურგეთში ჭასვლა.—გიმნაზიაში შეყვანა.

აბა „იავ ნანა“ და „მზე-შინაო“-ს სიმღერა დავით გურიელის ძეობაზე გაიმართა და მახარებლებისათვის ხალათის გაცემა და თოვლის სროლა, როცა ლესაში დაიბადა ოჯახის პირმშო ვაჟი მამია, რომელსაც, ბებიამისის სურვილის თანახმად, დაერქვა გურულებისთვის უჩვეულო ქართულ-სომხური სახელი მამიკონი, შემდეგ მამიად გადაკეთებული.

ახალდაბადებული ბებიამისმა თვითონ აიყვანა აღსაზრდელად და, სანამ ცოცხალი იყო, შვილისშვილი თავის მზრუნველობის ქვეშ ჰყავდა, თავისავე საწოლში. ამან მამიას მოუყვანა ძიძად (სალამი, მკითხველო, ამ წმინდა არსებას, რომელიც ჩვეულებას მეორე დედად შეუქმნია გურია-სამეგრელო-აფხაზეთში) სასახლეში მსახურის ჯორბენაძის ცოლი, სულ ყმაწვილი ქალი, რომელიც ახლაც ცოცხალია * და მამიას სიკვდილს შემდეგ მონაზვნად აღიკვეცა დედათა მონასტერში. გამდლად მიუჩინეს მამიას კახელი ქალი ჯანვერდი, ბებიის ნამზითვი, რომელიც აღრე თვითონ დავით გურიელის გამზრდელიც იყო.

როცა 1841 წელს ორბელიანის ქალი გარდაიცვალა, მამია გადაიყვანეს ჯანვერდის სადგომში. დიდ სტუმრიან სახლში, საცა დედ-მამას ხშირად არც კი აქვს მოცალეობა ყურადღება მიაქციოს შვილებს. ჯანვერდი ნამდვილი დედა შეიქნა მამიასთვის და მამიაც ძლიერ შეეთვისა ამ კეთილ დედაკაცს, რომლის ალერსი დიდხანს ათბობდა იმას. თუ მამია პოეტია და არა უბრალო მოშაირე და ლექსების მწერალი, როგორც უმრავლესობა ჩვენი მოლექსებისა, და თუ, როგორც ძველად ამბობდნენ, „პოეტები იბადებიანი“ (poetae nascuntur), ჯანვერდის ამ პოეტის ნიჭის დაბადებაში წილი აქვს. ჯანვერდის აუჩქარებელი სიტყვით ნაამბობი ზღაპრები იმ საზოგადოებაში, საცა ყოველი კაცი მიუღწეველი სხაპასხუპით ლაპარაკობს, მამიას გონებას ატყვევებდა და მის ნორჩ გამოხატულებაში შეუნიშნავად ანოყიერებდა ნიაზაგს, საცა შემდეგ უნდა ამოსულიყო და გაშლილიყო საუკეთესო პოეტური ძალა გურიისა.

ჯანვერდისთან პატარა მამიკონს—ასე ეძახდნენ მამიას პატარაობისას—საკუთარი დარბაზი ჰქონდა და ამასთანავე საკუთარი

* ამ ნარკვევის დაწერის დროს—რედ.

թմալաւ չկյացված է. ամ ամալա՛մի յշտքրամքը եղլ-քորուս դաժանունց է չյօնութեան մոհենուն, պյունուս—բանուսամուսուս հաւմա, Ծյուլուտաս—սացանցեծուն գայտեցնուլու սյուրուս ցամլու և սայչմուս մորտմեցա, ցիցոնցունցուլու—մերուիցուն է. սայչմե հռմ ցատազւցեծուն, ծարոնունցուլու (աս յետք ճնշեցն լացունուս շցուլուն) յութիութ մորտյուլ-մոյանմուլու պյուրեցնուլու հայցուրու բանուսամուսուտ, մուզուն չաձաստան (չամծայուր), ուզուուտան, և այս ցամցւցեծուսաս, ան տցուուն սպուլուն ումատ ցունչուտ. Շեմցւու ցամարտեցնուն տամա՛մու, հռմելունց մոնաթուլունուս ուղեծճնշեն ծարոնունցուլուն ցարլա ծարուա-ծուկուն-ծուկուն, մատու մելունցնուն օսպարուն. մամուս սայցարելու տամա՛մու ույու լամշիրունուս տամա՛մու և ցունչունուս ցրեցն.

Հռուս մամու Շեյվինա 6—7 թլուսա, մամու լասթյունուն անածանաս սթավլա. մուսու քորչուլու մասթավլունցու ույու յարուս յշուլուսուս մուցւուլու ցուցունցուլուն. աման չեր եղուրու լասթյունուն մամուս և „ամտն, ճուլցեծ Շենուա“ անցետուն և Շեմցւու մեջուրուլու թուշնու օսպարուն. Սյուլա՛մու Շեյսաւլուս լրուն ույու մուսուլու, մացրամ սանամ 15 թյուլու առ Շեյսարուլուն մամուս, սյուլա՛մու արացուն ուղույնու հա. ամ ասայմու, հռմելունց աթլանցուլու յարտուլու մոնիարուն տառնա յարցա Մորու ծռուս ծաթինայուրեցնուլու սեցածասեցա ցենցուսա և մեցնուրեցնուս սթավլա՛մու, ու ենանչու, հռուս ցրութուցու սնուցերուսունութեւու չյօնութա տուութմուս լամտաց-րեցնուլու և պյուշունու և լուրմոնթու ցանատլունցու պյանցուլուն յաւունուն յաւուն ուցնեն, մամու սուցու-սուցու լաարծենունց պյենց և ցուցունցուն ցուցունց լուսլուսուտ լուսլունց սուցմաթցուլուս լուցեցն.

Յուն օտպուս, Ցինայրու ալթիրու, ու յաւու Շեմցւուն օյցու լու ուրուս, հռութու մոաթմարուս յու Շեմցւուն տացուս Շեմցւուն ալթիրուս, սպյուտեսու կուցու Շեմցւուն տացուս, մացրամ ու Շեմցւուն արուս և մոցնեցնա արա, Շեմցւուն արլուսուլու ոարալուս, հռմելունց սարցեծլունուս մացուր ցնեցն մոայցու Շեմցւուն տացուս. Ըացուտ սայմառ մուզութարու յաւուն ույու և, սպյուտուս, սպյուտուս Շեմցւուն տացուս եարչու առ լու պյուշ-րեցնու. մացրամ պուրնա առ չյօնութա մուսու, հռմ 15 թլամդուս ծացշուս սուցու-սուցու ցահերեցն յայուլուն, սպյուտունուու, յութավլունու, մլուցլուսա և Ցինայմեցնուս ամարուա, մացնեցլու ույու Շեմցւուն տացուս և մուսու սպյուտունուարունուս ցամու Շեմցւունու պուրնամոյլունցու լուցուն. մամու ծամունարունուս ցամու Շեմցւունու պուրնամոյլունցու լուցուն.

մացրամ սամթյարու մարտու ու յու առ ույու, հռմ սյուլա՛մու լրութեա Շեյսավլունուտ մամում պուրութ ութավլա, սամթյարու ու ույու, հռմ մամու յրտուն լութեանս լարիա. „լաարծանուս յրուս“ լա Ցինայմեցնուս ցալունուս յաւու և աման պյուլու ցալունուս ոյտուս մուս պյուրութեա. մամում ծեցրու համ պյուլու Շեյտուս ամատ եղլու և ամ պյուլու,

როგორც დავინახავთ შემდეგ, მეგრელების თქმისა არ იყოს, შუაზე გაჰყო მისი კაცობა.

მამიას ჭირნებასა და ზნეობას არავითარი საზრდო არ ჰქონდა. ამათ ხელში, სამაგიეროდ მის პოეტურ მიღრეკილებას, ებრაელის არ იყოს, გზა ამათკენ ჰქონდა. ერთ ლექსში, რომელიც შიწერილია მამიასაგან დედისადმი 1873 წელს, პოეტი იგონებს იმ შორეულ დროს, როცა მამამისის სასახლე სავსე იყო ამ საზოგადოების უმაურობითა და შექცევით. აქ შეხვდებით თქვენ: გურიის შესანიშნავ მომღერალს დათა გუგუნავას ჩონგურით ხელში; სამანდალა კუნიას, „მეტყველს“, მთელს გურიაში განთქმულს თავის მოსწრებული სიტყვით; ქალთა, ნაზად მომღერალთ; კაცთა, რომელნიც ერთმანეთს სწრაფად ესვრიან ზმებს და მოსწრებულ ლექსებს, ზეპირად იმეორებენ „რუსთველის ნაანდერძევს“; თამაშობენ ჭადრაკს და თამაშობაში აშლილნი ხმალამოლებით ებრძვიან ერთმანეთს; ნადირობენ, სმენ, მღერიან... ერთი ვიღაც ივლიანე გიგინეიშვილის ხმა მოისმის ამ ეზოდან, რომელიც თავისთავად სურათია აქ შეყრილის საზოგადოებისა. „აბა, ჩემსავით დალიონო“ — იძეხის ეს მამაცხონებული. ამათ გარდა შინაურ კაცად არიან გამოხატულნი ამ ლექსში: ასალო თავის 4-წყრთიანი ხმლით; იულონ, რომელიც ძალით კამბეჩია დაუძრავი და კიდევ ვიღაცები: კოსტა, ალექსი, მაქსიმე, ედიშერი, გოგი, შუხუ, ერდიშხან, ყათრან, ტაია, ჯათულან.

ზემოთ ნახსენები მამიას ბიოგრაფიის მასალა, მისი ნათესავი ქალების პირით, დასძენს ამას შემდეგს: დათა გურიელის სასახლეში ჩვეულება იყო, როცა აზნაურიშვილები მოიყრიდნენ თავს და დაიწყებდნენ ხორუმის თამაშს და სიმღერას, ისინი გაიყოფებოდნენ ორ დასად და დაუწყებდნენ ერთმანეთს დაობას ლექსით, ექსპრომტად. სხვაზე უფრო შესანიშნავნი მოლექსენი იყვნენ მათ შორის ტიფონია გიგინეიშვილი და ბეკოლია ჭყონია, რომელნიც არჩევან-არადანით აყოფლნენ შუაზე მთელ კრებას და შემდეგ შეუტევდნენ ერთმანეთს მოსწრებული სიტყვის ცეცხლს...

ასეთ დიდს, მოსწრებულს, მოთამაშეს, მომღერალს და მოლექსე სასახლის ერს შეუძლებელი იყო. მამიუც არ აეყოლია და, მართლა, როგორც ამბობენ, მამიამ 7 წლისამ დაიწყო ლექსების გამოთქმა. ის მალე დახელოვნდა ისე, რომ როცა არჩევანი და არა-დანი გაიმართებოდა, ორივე მხარე იმას ცდილობდა, მამია მათკენ ჟოფილიყო. ნიმუშად მამიას ადრეული მოსწრებული სიტყვისა „მდსალას“ მოყავს შემდეგი მაგალითი: ორ ძმას თავართქილადეს, დიმიტრის და ოტიას, უყვარდათ პირველს შესანიშნავი ლამაზი ქალი

მაკოია და მეორეს ირინე. არჩევან-არადანში მამიას მხრისაკენ უკლიმიტრი, მაკოიას სატრფო — ჩინოვნიკი და მოწინააღმდეგე დასში ოტია. როცა გაიმართეს ხმა მოლექსეებმა, მამიას მოწინააღმდეგე პარტიამ გადაპკრა რალაც დიმიტრის და გამოურია ლექსში:

ამას ამბობს ირინე:

ეს რომ შამიამ გაიგონა, პასუხად შეუტია:

ირინემ თქვა: არ მეგონა,
თუ თქვენგან ეს ითქმებოდა,
მე რომ ბედი მქონებოდა,
მაკოია მერქმეოდა.

ე. ი. ლამაზი ვიქნებოდი და ჩინოვნიკის სატრფოო. ეს უკანასკნელი „მე რომ ბედი მქონებოდა, მაკოია მერქმეოდა“ იშლენად მოეწონათ მამიასაგან, რომ დღემდის მამიას ძმობაში, როცა ბედს იწყევლიან, ამ ლექსს ამოიოხრებენ გულიდან. მეც ამისათვის გაძლევ ადგილს მამიას ცხოვრების აღწერაში ამ თავისთავად უმნიშვნელოესპრომტს.

წერა-კითხვა რომ ისწავლა მამიამ, ლექსების წერა დაწიწყო. ეს ასე იყო კუველგან საქართველოში და რატომ გურიაშიც ასე არ უნდა მოშხდარიყო? 1848 წელს, როცა მამია იყო 11 წლისა, იმან მისწერა ბიძამის პეტრე დადიანს სახუმარო ლექსი, რომელშიც ის სთხოვდა ძიას ერთ კარგ ცხენს. ამ ლექსის პასუხად ბიძამისმა გამოუგზავნა ახალგაზრდა პოეტს ერთი მშვენიერი ლურჯა, ვეჭობ, ერთადერთი სამწერლო გასამრჯელო, რომელიც ოდესმე მიულია განსვენებულს მთელი თავისი პოეზიისათვის.

1848 წ. მამია წაიყვანეს ოზურგეთს პოლქოვნიკ არსენიევთან, „კორდონის ნაჩალნიკთან“. ამ კაცს ჰყავდა ცოლად განათლებული ქალი და ამას უნდა ესწავლებონა მისთვის რუსული წერა-კითხვა. ერთს თუ ორს წელში, რომელიც იმან გაატარა ამ ოჯახში, მამიამ იმდენად საქმაოდ ისწავლა რუსული, რომ შეეძლო დაუბრკოლებლად სასწავლებელში შესასვლელი გამოცდა დაეჭირა.

1851 წლის 1 იანვარს გაიხსნა ქუთაისში გიმნაზია და მამია შევიდა ამ სასწავლებელში. ის აქ არ დარჩენილა დიდხანს, რომ ლირდეს რამედ დაუწყო ჩხრეკა მის სკოლაში ცხოვრებას. საღლაც კი მომიკრავს ყური: კარვად სწავლობდა, მაგრამ ყოფაქცევა არ ჰქონდა კარგიო.

მეორე თუ მესამე კლასში რომ იყო, მამია გაიყვანეს აქედან
და გაგზავნეს ტფილის, საცა ის უნდა შესულიყო სამხედრო სამ-
სახურში.

III

მამიას ტფილისში წაყვანა.—მისი საჩხედრო სამსახურში შესვლა.—სხვადასხვა
ომებში ყოფნა.—მოგონებანი.—სამხედრო სამართალი.—მითქმა-მოთქმა პრო-
ცესის გამო.

1851 წელს დავით გურიელს ესტუმრა მალთაყვას მაშინდელი
კავკასიის მთავარმართებელი თავ. ვორონცოვი. მასპინძელმა გაუმარ-
თა დიდებულ სტუმარს ნამდვილი როსტევანისებური ნადირობა,
რომელსაც დაესწრო მთელი გურიის მაღალი საზოგადოება. მამია
ამ შემთხვევის გამო წარუდგინეს მთავარმართებელს ჩვეულებრივად,
ჩაქვურად გამოწყობილი.

ვორონცოვმა ისარგებლა ამ შემთხვევით, რომ მოენადირნა
მთავრობისთვის დავით გურიელის გულიც. იმან სთხოვა გურიელს
გაეგზავნა მასთან ტფილისში მისი პირმშო შვილი. დავითმა სია-
მოვნებით აღასრულა ეს სურვილი, მით უმეტეს, რომ ტფილისში
ეგულებოდა თავისი დედის ნათესაობა, და 1853 წ. გაგზავნა ქალაქს.

მაგრამ მამიას მოსვლა იყო ტფილისში და თათრების ომის
გამოცხადება, რომელმაც შეცვალა ჩვეულებრივი მდინარეობა სა-
ხოვადო ცხოვრებისა მთელს კავკასიაში. 1853 წ. 1 ნოემბერს ვო-
რონცოვს მოუვიდა უმაღლესი მანიფესტი, რომლითაც გამოეცხადა
იმპერიის ომი თათრებთან * და ამავე 1 ნოემბერს მამია განწესე-
ბულ იქნა გრენადერების პოლკში უნტერ-ოფიცირად.

გრენადერის პოლკს, რომელიც შეადგენდა ამ წელს ალექსანდ-
რეპოლის რაზმის ნაწილს, მამია გაჰყევა ბრძოლის ველზე ოსმალეთ-
ში და სხვათა შორის ის გახდა მონაწილე ბაშკადიკლარის ბრძო-
ლისა, საცა თავ. ვასილ ბებუთოვია. 19 ნოემბერს 9 ათასი კაცით
დაამარცხა 37 ათასი მტრის ჯარი და დაირჩინა მტრის მთელი ბა-
ნაკი 24 ზარბაზნით. ** მამია ამ დღეს ივანე მუხრანბატონის ხელ-
ჭერით ჯარში იმყოფებოდა.

შემდეგ, 1854 წელს (24 ივნისს), მამია იღებდა მონაწილეობას
კიურუკ-დარას ბრძოლაში, საცა ალექსანდრეპოლის რაზმა, რო-
მელშიაც 20 ათასი კაცი იყო, იმავე ბებუთოვის თაოსნობით და-
ამარცხა თათრების 60 ათასიანი კორპუსი.

* იხ. Биогр. Воронцова, М. П. Щербаний. გვ. 296.

** იხ. „Кавказ и кавказская война, Романовского“ გვ. 161—168.

1855 წელს, შაისის თვითდან სექტემბრამდე, მამია იყო ყარსის გარშემო დაბარგებულ ჯარის რიცხვში, შაგრამ ყარსის აღებას ვერ-მოესწრო, რადგანაც 17 სექტემბერს, როცა ჩვენმა ჯარმა იერიში შირტანა ციხეზე, ის დაჭრეს მარჯვენა ფეხში. შტუცერის ტყვიით და სამი თვე საავადმყოფოში იწვა.

ამბობენ, ამ ძრძოლის შემდეგ მამიას წიგნი გამოუგზავნია მა-მისათვის მისი კრილობის შესახებ დაწვრილებით, და რომ ეჩვენები-ნა, რა გაცხარებული ომი იყო ამ დღეს რუსებსა და თურქებს შორის, მოეწერ ა მისათვის: ერთმა რუსში 12 იანიჩარი მოპკლა ხიშტითო.

ეს რომ წაეკითხა, გურიელს ეთქვა:

— თათრის პური კი მიჰამია, მაგრამ ვენაცვალე მის (რუსის) ხიშტსო*.

1857 და 1859 წ. მამია ლეკის ოტრიადში იყო დიდოს საზო-გადოებაში და ყოისუს მარჯვენა ნაპირზე. 1860 წ. ადაგუნის ატ-რიადში, რომელსაც უნდა გაეყვანა გზა ეკატერინოდარიდან ზემო-აღაგუნამდის. ამ წელს ჩვენს სალდათებს თოფების მაგიერ 35 ათასი ამერიკიდან მოტანილი ნაჯახები ეკავა ხელში და კრიდა გზას ხელ-უხლებელ ტყეში. პოეტისათვის არაფერი შეიღი საქმე იყო, ეს, მაგრამ სამსახურის მოთხოვნილება ასეთი იყო, და ისიც მორჩილებ-და ამ მოთხოვნილებას.

აი ჩვენი საქმობა:

სახამთრო თივის ხმობა.

ტყის ჭრა, ზიდვა შეშისა,

შენება კარვებისა: —

წერდა პოეტი ადაგუნის რაზმში ყოფნაზე სატროფოსთან მიწერილ ლექსში, რომელსაც შესჩიოდა ლიმილით:

ნახე, შენსა მწერალსა

როგორ იმსახურებენ,

შენს ბულბულს, შენს მღერალსა

შემას აწიდვინებენ!

ამ რაზმში ყოფნის დროს მოცლილ მამიას ერთი რომანი გა-დაეღობა წინ. სადღაც, აულში თუ, არ ვიცი, სტანიცაში, მამიას მოეწონა ერთი „ქანდიტერის“ მშვენიერი ცოლი. რასაკვირველია, ვებერთელა „ატრიადში“ მამია მარტო არ იყო, რომლის გულში ლამაზ ქალს, რომელთანაც ყველას შეეძლო შესვლა სიტკბოების სასყიდლად, იღეგზნო სიყვარული, მაგრამ ლამაზმა ქალმა მაგიერის

* ილია ჭყონიასაგან გაგონილი.

გრძნობით დააჯილდოვა მხოლოდ ჩვენი ახალგაზრდა პოდპორუ-
ჩიკი. რაც იყო და არ იყო იმათ შორის, ეს იმათი საიდუმლოებაა,
მხოლოდ ეს კია, რომ ერთხელ, როდესაც ესენი ოთახში იყვნენ და
ეალერსებოდნენ ერთმანეთს, შეუცვივდა იმათ ყირიმის პოლკის
ორი ოფიცერი, რომელთაგან ერთი იყო გვარად ს—კი. მამიამ ეს
იუკადრისა და სილა შემოჰკრა. ამის გამო მეორე დღეს გაიმართა
დუელი, მაგრამ ს—კიმ, დუელის ადგილზე მოსვლის მაგიერ, ბოდი-
ში გამოგზავნა და, ორივეს საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად
გათავდა.

პოლკში მამია ყველასგან საყვარელი ოფიცერი იყო, ყველას-
თან ზრდილი, თავაზიანი. ერთხელ სევერსკის პოლკის ესკადრონის-
კომანდირმა ჩერნიშევ-კრუგლიკვამა იმას ხმალი მოუწონა.

— ფეშქეშ! — უთხრა პასუხად მამიამ და იქვე მიართვა იმას
მამისეული ძვირფასი ხმალი.

დიდხანს არ გაუვლია ამის შემდეგ, მამიას გზაზე ცხენი დაუდ-
გა, მაგრამ ჩერნიშევმა, რომელსაც მარქაფად „ზავოდის“ ცხენები-
მოჰკავდა, ნაცვალი არ მიაგო, არ ათხოვაო, — გვიამბო ბებურ ბებუ-
რიშვილმა, მამიას იმ, დროინდელმა ამხანავმა.

როცა ადაგუნის ოტრიადიდან დაბრუნდა ჩვენი ჯარი, მამიამ
სამსახურს თავი დაანება. რაც იმას მამა მოუკვდა — ეს იყო 1856-
წელს — იმას თანდათან გული აუცრუვდა სამხედრო სამსახურზე.
მის ნაშაბურებით სიაში ვკითხულობთ: 1858 წელს 28 დღით იყო
დათხოვნილი შინ და დარჩა 6 თვე, და 15 დღეო; 1859 წ. თოთხ-
მეტის დღის მაგიერ ერთი თვე და 5 დღე დარჩაო; 1860 წ. 28
დღით იყო დათხოვნილი და 5 თვე და 17 დღე დაიგვიანაო. იმას-
სულ შინ უთქმიდა გული ყოფნას. ჯერ ადაგუნის ოტრიადი საქმეში
იყო, რომ ის სწერდა დედამისს აბინიდან: „ხვალ ზევით, ანუ ზეგ
(ასე სჯობს რომ ვსთქვათ, რა მექართლელება ნეტაი სწორედ გუ-
რულს) მივდივართ გზის საკეთებლად ზღვისკენ და ასე მგონია, თქვენ
გიახლოვდებით, როცა ზღვას ვნახავ, რაღაც სიამოვნებასა ვგრძნობ
და თითქოს კუნისავ ჩემი სამშობლოს ჰაერს. მალთაყვა, იქაური
დროს გატარება, შეელი, ირმები, მიმინები, ლაუოები, ხუმრობა,
სიცილი, თამაში, მხიარულება დახტიან ჩემს თვალწინ, როგორც
აჩრდილი. დაფიქრებული ამაებზედ არა ერთხელ ამოვიოხრებ ხოლ-
მე მწარედ, გარნა ის ოხერა ბევრად უტკბესია ზოგიერთს ძალით
გამოძახებულს სიცილზედ“. * ასე იცის იმ აღზრდამ, რომელზედაც

* წერილი 29 ივლ.

ჩვენ ზემოთ ქილაბარაკეთ. მამია სულ შინისაკენ იწევდა არა მხოლოდ იმ წმინდა გრძნობით აღვისილი, რომლითაც სამშობლო ადგილი ძვირფასია ყველასთვის, არამედ უფრო იმიტომ, რომ იმას ერჩივნა იმ საზოგადოებაში ლაციონბა, რომელშიაც გაატარო თავისი სიყმაწვილე.

1861 წლიდან უკანასკნელი ომის მოახლოვებამდის მამია სამსახურს გარეშე იყო. მხოლოდ ერთხელ, 1864 წელს, ის ახლდა გენერალ-ადიუტანტს შირსკის, როდესაც ეს წავიდა დასავლეთი კავკასიის დასამორჩილებლად და ამის გამო უმაღლესი ბრძანებით იგი ცნობილ იქნა შტაბს-კაპიტნად სამსახურს გარეშე.

1876 წელს ის ხელახლა შევიდა სამხედრო სამსახურში იმ ცხენოსანთა პოლკში, რომელიც ებარვა ქუთაისს და რომელსაც სახელად ერქვა ძნელად სათარგმნი კონი-ირეგულირების მის შემდეგ ატყდა თათრის ომი, მამია დანიშნეს გურიის ქვეითა დრუჟინის—რიცხვით მესამის—კომანდირად. ეს იყო 17 აპრ. 1877 წ.

ამ დღიდან დაწყებული, სანამ ომი არ გათავდებოდა, მამია და მისი დრუჟინა ბედის შონახვრე იყო ქობულეთის რაზმისა. მუხა-ესტატეს, ხუცუბანს, სამებას, ციხისძირს ამ დრუჟინის გამარჯვების დღეებიც უნახავს და დამარცხების საათებიც უგლოვია.

1878 წ. 17 ნოემბერს დრუჟინა დაიშალა და მამია, ამ უამაღლეს კაპიტანი, ისევ დაუბრუნდა „კონნო-ირრეგულიარნი პოლკს“, რომელშიაც ის იმყოფებოდა 1884 წლამდის. ამ წლის 5 თებერვალს ეს პოლკი გადაკეთდა დივიზიონად და მამია იქნა შერიცხული არმიის კავალერიის „ზაპასში“. ამით სამუდაშოდ მოელო ბოლო მის სამსახურს.

მისი სამსახურის დასასრული ლამის მისდა საუბედუროდ და სასირცხვოდ გათავდა. 4 აპრ. 1880 წ. მამია მისცეს სისხლის სამართალში სხვადასხვა ბოროტმოქმედებათა გამო, რომელიც იმას ვითომ უნდა ჩაედინოს იმ დროს, როდესაც ის იყო დრუჟინის კომანდირად. მას ბრალდებოდა: უფლების გადამეტება; მილიციონერების უკანონოდ და ანგაარებით შინ დათხოვნა; ანგაარებითვე და პირადი სარგებლობისათვის ოფიციალურ დოკუმენტებში ტყუილი ცნობების ჩაწერა; იმავე მიზეზების გამო სამსახურის დოკუმენტების შედგენა უკანა რიცხვებით; სახაზინო ფულების მითვისება; მის ხელქვეითთაგან ჯამაგირის დაჭერა; უსაქმობა; ვადის მოსვლამდის ფულების გაცემა და ჯილდოებზე უსაფუძვლოდ წარდგენა.

მისდა საბედნიეროდ, დროებითმა სამხედრო სასამართლომ, რომელიც იჯდა ოზურგეთს, მამია გაამართლა ამ ბრალდებისაგან და ხელმწიფე იმპერატორმა ეს განაჩენი დაამტკიცა 1881 წ. იანვრის 5-ს.

6. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II.

თავის დროზე საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა იყო ნა-
მიას პროცესის გამო.

დრუებინის ფულს ხარჯავდა თუ თავისას, ეს კია, რომ მამიას ყოველდღე გამოულეველი წვეულება ჰქონდა და უზომოდ ლვინის სმა ოზურგეთში. „სასტუმროში ტიკებით შეატანინებდა ლვინოს და თუ არ დალევდნენ წვეულნი, გულმოსული მივარდებოდა ტიკებს და ხანჯლით აჭრიდაო“, — მითხრა მირიან ჭყონიამ.

მისმა შეიღმა ილიამ ამას დასძინა: ერთხელ, ომის დროს, მამია ჩამოვიდა ქუთაისს და მე წავედი მის სანახავად „ქოლხიდის“ სას-
ტუმროში, საცა ის იყო ჩამომხტარი. სანამ თორმეტი საათი არ შესრულდა, მე ის ვერ ვნახე, რადგანაც მანამდის ეძინა. რომ შევე-
დი და სალამოს შემდეგ ომის ამბები მოვიუბნეთ ცოტაოდნად, მა-
მია წამოდგა საჯდომიდან, ხელები ზურგს უკან დაიწყო და მოჰყვა
ოთახში კუთხიდან კუთხემდე სიარულს ამ სიტყვებით:

აშ განსდის მილი ლვინისა *,
სმა იყო დილით ცისკრამდის. ♦

— ეს ხომ ამის შემდეგაც მოესწრება, ბატონო, — ვუთხარი მე.

— არა, სმაი პირველი საქმეა, — მიპასუხა მამიამ ჩვეულებრივად
თავის დაწევით და სათვალეს ზემოთ გადმოხედვით.

IV

მამია ტფილისის საზოგადოებაში. — მისი ქორწინება და განქირწინება.

მაშიას ნამსახურებითმა სიამ ერთობ აჩქარებული ნაბიჯით
გადმოგვიყვანა 1853 წლიდან 1884 წლამდის და ბევრი რამ დაგვა-
ტოვებინა უკან საჭირო და საინტერესო მისი ბიოგრაფიისათვის.
ჩვენ ამის გამო ისევ უკან უნდა დავბრუნდეთ იმ ღროებისაკენ, რო-
ცა მამია პირველად ჩამოვიდა საქართველოს დედაქალაქში.

მამია ჩამოვიდა ტფილისში იმ დროს, როცა, პოლონესკის თქმი-
სა არ იყოს, ქალაქში გათხედა „პირველი დღე შემოქმედებისა“
ქართული ცეკვისა და მწერლობისათვის. პირველი ქართული წარ-
მოდგენა გაიმართა ტფილისში 2 იანვარს 1850 წელსა და პირველი
№ „ცისკრისა“ გამოიცა იანვარს 1852 წ. ვორონცოვის ხელში ქარ-
თველი საზოგადოების სულიერ ავლადიდებას, რომელსაც აქამდის
გზა არ ჰქონდა გაკაფული მომავალ მოდგმათდღი, ამას იქით ფარ-
თო გზა მიეცა, რომელზედაც თითჯ-თითოდ გამჰოქონდა მაშინდელ
ქართველს ვის კომედია, ვის მოთხრობა, ვის ისტორიული ამბები.

* ი. „ვევგრისტყასნის“ (საქართველოს გამოც.) 1552 სტროფის ორი უკანა-
კული სტრიქონი და შეადარეთ ამ ლექსს. — ს. ც.

და ცოტ-ცოტად, შეუნიშნავად უკეთდებოდა ბალავარი ახალ ქართულ მწერლობას. მომავალი ავტორი „პოეტისა და ჩვენების“, ამ უამად ნორჩი და სუსნით სავსე, ყოველი ახალი შთაბეჭდილებისათვის მზად ყოფილი შემოვიდა ამ ხელადგაღვიძებულ საზოგადოებაში, საცა ქართული ენისა და სცენის სიყვარულის ხმა გაისმა პირველად და ეს სიყვარული სამშობლოს საქმეთა გულში ღრმად ჩაიკვდია.

მაგრამ ტფილისში იმას, როგორც ვნახეთ, დიდხანს არ ხვდენია ყოფნა, რადგანაც სამსახურის მოთხოვნილებამ წაიყვანა იგი ბრძოლის ველზე. აქ კარვის ქვეშ ამოიდგა იმან პირველად პოეტური ხმა, ჩვენამდის მოღწეული. აქ არის დაწერილი პირველი მისი ლექსები „ფარვანა“, „ჯაბას“, „სატრაფოსადმი“.

ბაკუში ცხოვრება, სავსე ნაკლულევანებითა, არ იყო ფუფუნებით აღზრდისლ მამასათვის მოკენვილი სიამოვნებით და იგი ზშირის „ოტპუსკებით“ ეძიებდა შინ გურიაში, ან ქუთაის-ტფილისში კმაყოფილებას და საზოგადოების ცხოვრებაში გართვას. საზოგადოებაც დიდ სიამოვნებას ჰპოებდა მის სიახლოვეში. როცა მამია პირველად დაბრუნდა გურიაში პოდპორუჩიკის მუნიციპით, მამამისმა დაახვედრა იმას ორპირში ორს-სამასი ცხენოსანი კაცი, რომელთაგან ბატონიშვილს ვინ კალთაზე კოცნიდა, ვინ ხელებზე, ვინ მკერდზე*.

1861 წლიდან, ე. ი. იშ დროიდან, როდესაც მამიაშ თავი გაანება სამხედრო სამსახურს, 1870 წლამდის ის ცხოვრობდა ხან თავის მამულში, გურიას, და ზან ქუთაის-ტფილისში, უფრო მომეტებულად კი ტფილისში. თუ სადმე კიდევ გაიგონებდა კაცის ყური სა-ქართველოს მაჯისცემას, თუ სადმე ყმაწვილი კაცი, დაწინაურების მოცადინე და ცნობისმოყვარე, შეეყრებოდა სადმე კმაყოფილების წყაროს — მამია დარწმუნებული იყო — ეს უნდა ყოფილიყო ისევ მტკვრის პირად, ძველთაგან ძველს საქართველოს დედაქალაქში, და ისიც გაერთო ქალაქის ცხოვრებაში.

ტფილისის საზოგადოებასთან დაახლოება მამიას არ გასჭირებია. გურიის მთავრის ჩამომავალი, ორბელიანთა ნათესავი, ახალგაზრდა, ლამაზი პორუჩიკი, რომელსაც მოსწრებული სიტყვა-პასუხი ჰქონდა და პოეტური ნიკის შარავანდედი შნოს აძლევდა, მამია მისვლისათანავე შეიქნა ქალაქის მაღალი საზოგადოების საყვარელ წევრად. „ცისქარში“ ** დაბეჭდილი მისი ლექსებით მამია გახდა შინა-

* მირიან ჭყონიასაგან განაგონი.

** იხ. „ცისქარი“ 1860 წლ. 1 და 6.

კაცალ იმ იშვიათ მწერალთა ჩიცხვს შორისაც, რომელიც იღვწოდნენ იმ დროს ჩვენს სამწერლო ასპარეზზე.

როცა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე დაინიშნა კავკასიის მთავარმართებლად და ტფილისში დაიწყო დიდი მთავრინის შესანიშნავი ბალები, მამია გამოჩნდა ამ ბალებში საუცხოო ტანისამოსით. მაშინ, როდესაც სასახლის დარბაზები ამ ბალების დროს აქრელებული იყო ორდენებით და ოქროქსოვილის ფერად-ფერადი ტანისამოსით, მამია გაჩნდა ამ ბალებში სადად ჩაცმული, იმერული შავი ჩოხით და თეთრი ახალუხით, რომელსაც წელზე მხოლოდ შავი ქამარი ერტყა და შავივე სატევარი.

ამ გზაზე დამდგარ ახალგაზრდა მამიას შორი გზა არ ჰქონდა გასავლელი, რომ სიძე გამხდარიყო. ბევრს აენთო გულში მამიას სიყვარული, მაგრამ მალე მამიას გული მიიტაცა ერთმა მშვენიერმა ახალგაზრდა ქალმა, რომელთანაც ბედისაგან განზრახული ჰქონდა მას ცოლქმრობის კავშირი. ეს იყო თავადის ყორხმაზ მელიქოვის ასული მარიამ, ქალი ზრდილი, მშვენიერი მოთამაშე, მშვენიერი მომღერალი, ფორტეპიანოს მშვენიერი დამკვრელი, რომელსაც თაყვანისმცემელთა გუნდი თავს დასტრიალებდა და ხელს სთხოვდა, სვანეთის მთავრის შვილის ალ. დადეშქელიანიდან დაწყებული. მამია არ ჰყო ამის შესაფერი პარტია. ის თავის დღეში არ ყოფილა ისე-დახელოვნებული ევროპიელი კავალერი, ნაყოფი საფრანგეთის განათლებისა, რომელიც სულ იმას ფიქრობს, ქალს რით ასიამოვნოს, ახ როგორ მიუხვდეს და აუსრულოს უმცირესი მისი წადილი, სანამ ეს წადილი ჯერ კიდევ იმის პირისაგან არ ამოსულა. მამია უფრო „ვეფხისტყაოსნის“ ქვეყნის ჩამონათალი იყო,—ან მეტისმეტად თავ-დაპერილი, გულჩახვეული და წარბებშეკრული, ან წრეს გადასულად მომლენი და მღევიუე, რომლისთვისაც, საუბედუროდ, ლხინი და შექცევა ხშირად სინონიში იყო სმისა და „მძინვარების“.

მაგრამ ბედისწერის ბრძანება აღსრულდა და მამიამ ჯვარი დაიწერა მელიქოვის ქალზე 1868 წელს. გვირგვინის კურთხევაზე მის დედ-მამად იყვნენ გურიის მთავრის ასული ტერეზია დადიანისა* და გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანი.

საუბედუროდ, პირველ დღეებიდანვე აღმოჩნდა, რომ მამია და მისი ცოლი მართლა არ იყვნენ ერთმანეთისთვის გაჩენილნი...

სრული ორი წელიწადი არ გაგრძელებულა მამიას ოჯახის ბედისწერება. ცოლ-ქმარი განშორდნენ ერთმანეთს და რამდენისამე ხნის შემდეგ სრულიად განქორწინდნენ...

* გრ. დადიანის მეუღლე—გურიელის ქალი.—ს. ც.

შამიას მარტოობა სულისა.—ღვინო, მკურნალი სიმწარისა. უწესფ ცხოვჩება. —
სხვადასხვა წვრილმანები მამიას ცხოვრებიდან. მამიას სურათი.

ამას იქით იმდენ ნაცნობ-მეგობრებში და ნაცესავებში, რამ-
დენიც ჰყავდა მამიას, ის გრძნობდა თავის თავს სრულებით დაობლე-
ბულად. ცოლთან ერთად მას დაეკარგა შვილიც, ერთადერთი მისი
იმედი კახაბერი, ერთსახელი მისი „ღვთაების—კახაბერის, სხვა კა-
ცისა“, — რომელიც დედის ალერს და მზრუნველობას ვერ „წაგლი-
ჯა“ მისმა სიყვარულმა და ამან უფრო გააორკეცა მისი მწუხარება.
მამია დარჩა მარტოდმარტო, როგორც ის დემონი, „ზეციდან წყრო-
შით გაღმოვდებული“, რომელიც — სიტყვაზე — ამ დროს მამიამ შეი-
ყვარა, ვით სურათი, გამომხატველი მისი „უამურის“ მდგომარეო-
ბისა და როგორც დემონი დაბორგვიდა ის „უმიზნოდ“ და „უნავთ-
საყუდროდ“, არა მპოვნელი არსად სულიერი სიმშვიდისა და ჭეშმა-
რიტის სიამოვნების, ხან ტფილისს, ხან ქუთაისს, ხან ფოთს,
ხან ოზურგეთს და ხან ლესა-მალთაყვას. მის ლექსთა კრები-
დან და კერძო წერილებიდან ჩანს, რომ სიყვარულს და ფუფუნე-
ბას დაჩვეული ბატონიშვილი ამ ხანებში სრულებით სასოწარკვეთი-
ლი იყო. იმას თითქო ქვეყანა ჩამოსცლოდა და ქვეყანაზე ერთს თუ
ორს შერჩენოდა მისდამი რწმენა და სიყვარული.

ერთ წიგნში ჯაბაშთან, რომელსაც, სამწუხაროდ, თარიღი არა
აქვს დასმული, მამია სწერს თავის ძმას:

„როდესაც გული დამიმწუხრდება ხოლმე, რაიცა, შენ კარგად
იცი, ძლიერ ხშირად შეიძლება მომიხდეს, არა თუ იმისთვის, რომ
შედი ჩემი აწყობდეს მარადის ხავერდიან ბილიკებს ჩემთვინ, არა-
მედ სიმაგრისა გამო ჩემის ხასიათისა, — მაშინვე შენ მომაგონდები!

„როცა დავრწმუნდები, როგორათაც მაკაიაველი, რომ ყოვე-
ლი კაცი ბილწია, უსინდისო და პადლეცი, რომ ისინი ღირსნი არიან
მხოლოდ ზიზღისა და შეფურთხების, რომ არ არის სინიდისი ხალხ-
ში და ჭეშმარიტი განწყობილება და რომ ამაებისათვის საჭიროა
მეტად კარგი კაცი, არ ვიცი, რა მიზეზისა გამო, წარმომიდგები შენ.

„როცა ვფიქრობ, რომ ვარ მარტოდ-მარტო ამ სოფელში,
შეუპოვარი უსიამოვნებისა და გარემოებებისა, ცივი, ამპარტავანი,
უშიშარი და უკანასკნელ, გამბედავი თავხელობამდის, მხოლოდ, გა-
უცნობელი, უამხანაგო, უმეგობრო, — ამ დროშიაც მაგონდები შენ,
ჩემო ჯერ კიდევ ჩეგობარო. ოჯ, ჩემო ჯაბა, ნეტაი ყოველი კაცი

შენ მოგვავდეს, რომ სასიამოვნო გახდეს ცხოვრება ამ წუთისო-
ფელში” *.

თავის რძალს, ულეონორასკ მამია სწერს:

ჩემსა უამურს, დამაზინჯებულს ბედის თუ შეხარბდეს
ორის დღით ჩემი მოძმეთა შორის ქვეყნად ცხოვრება,

გაფიცებ, დაო, თუ რომ კვლავაც გწამს მამათა ღმერთი,
ტკბილ მოგონებით შენ ერთს მაინც ნუ დაგაციცყდები.

„თუ ლმერთი გრწამდეს, ელეონორა, შენ და შენს ქმარს გიყ-
ვარდეთ მაინც ყოველთვის, ნუ შემაძულებთ მთელს ადამიანობას
ნუ შემიყვანთ სრულ სასოწარკვეთილებაში.” **

როდესაც კაცი ამ მდგომარეობაში ჩავარდება, მისი პედინიე-
რების დაბრუნება როგორ უნდა, თუნდ ერთის წამით, ამას ჩვენ
მიზრზაჯანის ეპიტაფიდ გვამცნევს. მამიამ დაიწყო სმა, რომ ყოველ
მისი სიმწარე ლვინოში დაელუპა. ის უმღეროდა ლვინოს:

ლვინოა ერთი მოყვარე
გაგირვებულის ხალხისო,
ცულს დართის გადამფანტველი,
მომალხენელი საწყლისო.

ბედკრულის ნუჯეშმცემელი;
სნეულის გამკურნველიო,
ნიჭია სწორედ ზეცისა,
ულიხსთა დამსაჯველიო.

გამია სვამდა ლვინოს უზომოდ, ყოველთვის და ყოველგან, სა-
ცა კი შეეძლო ან შეესწრებოდა,—სვამდა შინ, ნაცნობ-მეგობრებ-
თან, სასტუმროებში, რესტორანებში, დუქნებში, ბნელსა და ნოტიოს
სარდათებში. როგორც ალფრედ მიუსემ, საყვარლისაგან ხელ-
ალებულმა, მამიამაც მისცა თავი ალკოჰოლს და ნელ-ნელა ყოველ
დღიური ზანგრძლივის სმით თავი მოიწამლა და დალუპა, თავისი
ძლიერი ნიჭებულება.

უწესო ცხოვრებაშ, სასტუმროებსა და რესტორანებში გამოუ-
ლეველმა ლხინმა და ლოთობამ მამიას ყოველი წყარო გაუშრეს
ცხოვრებისა და ის ჩავარდა გადაუხდელს ვალში და უფუ-
ლობაში. მე ის მინახავს ქუთაისში. ჯერ საუკეთესო სასტუმრო

* წერილი უთარილოა.

** წერილი უთარილოა.

„კოლხიდაში“. მცხოვრებად, მერე უფრო დაბალი ხარისხის სასტუმრო „ბათუმში“ და შემდეგ აღანაიას ჩესტორანში, ან, უფრო პირდაპირ რომ ვთქვათ, აღანაიას დუქანში, და ბოლოს კი ერთს რაღაც სოროში, რიონის პირად, ვილაც ბაბალე დედაქაცონ, რომელიც ოდესმე დადიან-გურიელების ნამსახური ყოფილა, საცა არც გზა იყო, არც სინათლე, არც საკმაო ჰაერი. ფული იმას არ ჰქონდა. გოფმანი, მამიაზე უფრო მემთვრალე, წერს ერთს ადგილზე თავის დლიურში: ამ დილას სერთუჭი გავუიდე და სასადილო ფული ამოვივეო. მამიასაც შეეძლო დაეწერა ამის მსგავსად, დლიურის წერის თავი რომ ჰქონდა...

ერთ დიდ კაცს, შორეულ შის ნათესავს და მგოსანს, ის სწერდა 1889 წ. 8 მარტს:

სულ მდიდარო,
გულ-კლდე მყარო,
ერთგულთ ქედო,
მტერთა ზარო,
ზან ტკბილ-წყარო,
სხენის ქნარო,
და ზან მჭვრეტთა
შესაზარო,
ქვეყნის მხარო,
მოსაზმარო,
შითხარ, ვის უნდ
შეგადარო?
მეტი ალარ
გამამწარო,
აზლა უნდა
მომეხმარო.

დახმარება იმას სულ მუდამ სჭირდებოდა, რადგანაც სასტუმროებში ცხოვრებას დიდძალი ფული უნდოდა. მირიან ჭყონის უკითხავს ერთხელ გიორგი ჭილაძისთვის, რომელსაც სასტუმრო „კოლხიდა“ ეჭირა.

— გიორგი, მამია ფულებს გაძლევს?

— არაფერია, ბატონო, მამიასთან ფულები არ დამეკარგება ლექსებში გამომიბრიცეს, — უპასუხნია ხუმრობით სასტუმროს პატრონს.

„ბათუმი“ რომ დაიწვა 1883 წელს, შამია იქ იდგა, ჭავრამ საშუალება არ ჰქონდა სხვაგან გადასულიყო და სასტუმროს ნანგრევის ზემო სართულში გამოაკეთებინა ორი რთახი და იქ დადგა, „რო-

გორუ არბი, კოშკის მწვერვალზე დაბუდებული", როგორც ამბობდნენ შემინ.

— „ბათუმის ნანგრევზე ვდგევარ და „კოლხიდის“ დიდებას შევყურებო, — ამბობდა ის იმ დროს რუსულად, ოსუნჯობის კილოზე. (ეს ორი სასტუმრო ერთმანეთის პირდაპირი იყო).

მამია არ იყო მასწრებული სიტუაციის კაცი. გურული იმის მეტი სხვა არც მინახავს; რომ მახვილი მოლაპარაკე არ ჰოფილიყოს. იმის ნათქვამად გამიგონია მხოლოდ ეს ორი ექსპრომტი: ერთ დარბაისელ საზოგადოებაში ერთი მშვენიერი ახალგაზრდა ქალი, დიდი გვარის შვილი ბ. შ., * დიდხანს ლაპარაკობდა თავი. თათარხან დადეშველიანზე. იქ მყოფმა მამიამ დიდხანს უგდო ყური იმას და, რომ არ გაათავა ბანოვანმა ლაპარაკი, წაიღუდუნა თავისთვის, მაგრამ ისე, რომ სხვებსაც გააგონა:

სულ თათარხან,

სულ თათარხან,

ჩვენც ხანდახან,

ჩვენც ხანდახან!

მეორე ექსპრომტი მამიასი შეეხება ქუთაისის ცნობილ ავტომედონს მელიას.

მამიას ფული ჰქონია ამ პატიოსანი კაცის — ალბათ, ფაეტონის ჭირა იქნებოდა, — და ერთ დილას შესულა მასთან იმ განზრახვით, რომ ეთხოვა. დაენახა შემომავალი მელია თუ არა, მამიას დაუსწრია მისთვის:

შენ რომ გინდა, მელია,

იგი შემომელია.

სწორედ იმგვარად, რაგვარადაც აკაკი წერეთელს უთქვამს ანდრია კაპანაძისათვის, როცა იმას ერთ დილას ფულები უთხოვია პოეტისთვის:

ჩემო ძმაო ანდრია,

ფულის თხოვა ადრეაო.

მუსაიფში მამია ერთ რასმე ისეთს გამოკრავდა, რომ ლურსმანივით ჩაასობდა თქვენს ხსოვნაში.

ერთხელ ინგლისის მინისტრებზე ჰქონდათ სადღაც ლაპარაკი და ვილაც ყმაწვილი კაცი, გლადსტონის თაყვანისმცემელი, ალტა-

* ბაბო შარვაშიძე — ქ. ც.

ცებით აქებდა ამ მაშინდელ პირველ მინისტრს. ეს რომ მამიამ გაი-
გონა, შეუტია იმას:

— ყმაწვილო, ნუ გეწყინება, და მაგ შენს გლადსტონს სალიუს
ბერი როგოს დაჰკრავს.

ერთხელაც ვიღაც ქალი ამტკიცუბდა: თუ ქმრის მოღალატე
ქალი საგინებელი არის, ცოლის მოღალატე კაციც თანასწორ უნდა
საგინებელი იყოს.

— უკაცრავად, ბატონო, — უპასუხა მამიამ, — ეს ასე არ უნდა
იყოს, იმიტომ რომ კაცს გააქვს ტალახი სახლიდან და ქალს შე-
მოაქვსო.

სერბიის ომი რომ ატყდა და ჩერნიაევი წავიდა თავისი დობ-
როვოლცებით თათრის წინააღმდეგ, მამიამ თქვა:

— ჩერნიაევი... ჩერნიაევი... რა უნდა გააკეთოს ჩერნიაევმა?
წამოვა იქიდან გინმე (აქ წარბი უნდა შეიკრათ და პრტყლად და
გრძლად უნდა იყითხოთ) აბ-დულ ქე-რიმ მუ-ქთარ ფა-შა და მტვერს
აადენს მის პატარა ჯარსაო.

საჯარო ლაპარაკში მამიას არასოდეს თავი არ გამოუჩენია,
როგორც არ გამოუჩენია ღიას თავი არავითარ ჩვენს საზოგადო
საქმეში.

ნადიმებსა და წვეულებებში ის, ლაპარაკის მაგიერ, სმას უფ-
რო შეექცეოდა. ერთს ამ შექცევაში ქუთაისს, პლატონ ჩხეიძის
ქორწილზე, იმას მოუვიდა უსიამოვნება ბესარიონ დგებუაძესთან და
ამ ორთა ისე მძიმედ დაჭრეს ერთმანეთი, რომ მამია ტახტრევანით
წაილეს შინ და რამდენიმე თვე ლოგინად იწვა.

მეორეჯერ იმას მოუვიდა უსიამოვნება, სუფრაზედვე, ვიღაც
ჭ-სთან. ამ უკანასკნელს სიტყვა შეებრუნებინა დმისათვის ლაპარაკში
და ეს სწყენია მამიას, ძალზე შეზარხოშებულს.

— როგორ მიბედავ, ყაძახო, ლაპარაკს, მე გურიელი ვარ,
შენი ბატონი, ხელზე მაკოცეო, — უთქვაშს იმას და გაუშვერია მის-
თვის ხელი.

— ნურას უკაცრავად, ბატონო, მე გურიელობით არ გცემ
პატივს, მე იმიტომ გევლები თავს, რომ კარგი კაცი მგონიხარ, კარ-
გი მამის შვილი და, თუ შენ ამას არ გრძნობ, მე თქვენთან ყოფნა
არც კი მსურსო.

რაც უფრო ხანში შეღიოდა მამია, იმას სმის სურვილი თან-
დათან ემატებოდა.

უკანასკნელ ხანებში იმისთვის საქმაო იყო ერთი ბოთლი,
ბოთლნახევარი, რომ იმისთვის ფეხებს ელალატნა.

შესახედავიც ჩემი დროის მამია არ ჰგავდა იმ მამიას, რომლის
სურათიც არის მოქცეული ზო წიგნში,* ამ რამდენიმე წლის წინათ,
როცა საფრანგეთში მოდად შემოიღეს გაზეთებმა პორტ-რეტები
instantane, მამის შესახებ შემდეგი შენიშვნა ჩამიწერია ჩემს სამახ-
სოერო წიგნში:

ჩემი დროის მამია საბერძნეთის იმ მწერალს ჰგავს, რომე-
ლიც იმ ზომამდას ხმელი და დალეული იყო, რომ სულ მუდა
ტყვიას ატარებდა ჯიბეში, ქარმა არ წამილოსო. მის გარეგნობას
შეადგენდნენ: ტანი საშუალი; პირისახე წვეტიანი, ჩავარდნილი შავი
ლოკურით; ქედი ოდნავ დახრილი, თითქო დამძიმებული შავი და
ხუჭუჭა გრუზა თმისაგან, რომელიც მამიას ისეთივე აქვს, როგორც
მის ძმებს; თვალები ძალზე წამოწეული, რომელიც ხშირად ლურჯ
პენსნეს ზემოთ გაღმობლვერის მასთან მოლაპარაკეს; მკლავები ჩე-
რიასაგათ გამხმრები; ხელები სულ მუდამ გაცრცვილი, თითები
ქარგა ლაპაზად შენახული, ვეებერთელა ფრჩხილებით ნეკზე და ცერ-
ზე; ხმა სუსტი, როცა ლაპარაკობს, გასაოცრად ძლიერი, როცა
კიოხულობს. ჩვეულებრივი მისი უესტია ლაპარაკის დროს მარჯვენა
ხელის ჩამოსმა წვერზე და ტუჩებზე. მის ლაპარაკს რომ დააკვირ-
დები, არ შეიძლება არ შენიშვნო, რჩმ შამია ორ ფრაზას ისე ვერ
იტყვის, რომ შიგ „თქმა არ უნდა“ არ გაურიოს. თუ გინდათ არ
შეაწუხოთ, სასაკილოს ნურას ეტყვით, რადგანაც სიცილის დროს
იმას კოველთვის ხველა უტყდება. საათს და პორტმონეს ნუ კით-
ხავთ, ნურც პორტ-სიგარს. თუთუნი იმას დაჭმუჭნილს ქალალდში
უდუვს და წალების კულში აქვს ჩაკვეტებული“.

ოჯახის უბედურებამ და მთვრალობამ ისეთგვარად დასცეს
შამია-ზნეობითად, რომ მას აქეთ, რაც თავის ცოლს გაეყარა,
შამიას ერთი გახარებული დღე არ უნახავს სიკვდილამდის,
ამ უბედურების ბრალი იყო, თუ მისი ცხოვრების საზოგადო პირო-
ბათა მიმდინარეობის, ეს კია, რომ მამიას მნიშვნელობა საზოგა-
დოებაში მის შესაფერი არ იყო ერთი დღეც არსად შეხვედრია,
საცა შესძლებოდა გამოეჩინა თავი სრული პიროვნების შექონ ვაუ-
კაცად, როგორც დამოუკიდებელს, დაუჩაგვრელს და გულმაღალ
წევრს საზოგადოებისა, საშუალ რომლისა ცხოვრობდა.

VI

მამია როგორც მწერალი.—მისი ნიკებულება, შინაარსი და ფორმა მამიას პოე-
ზიისა.—სხვადასხვა შენიშვნები.—საზოგადო დასკვნა.—მამიას აზრი გიორგი წე-
რეთელზე.—ვაოზისტუალისნის განმარტება.

მამიას ნაწერების დაწვრილებით გარჩევა ჩემს მოვალეობას
არ შეადგენს, რადგანაც მე ბიოგრაფიის შემდგენელი ვარ, მკითხვე-

* იგულისმება 1897 წ. გამოცემული მამიას თხზულებათა კრებული.—ს. ც.

ლისათვის ამბების მომაქუჩებელი, და არა მკითხველის წინამდლო-
ლი და მოძღვარი, თავაწეული მსაჯული მწერალთა და სამწერლო
მიმართულებათა.

ნაწერების შაგიერ მე უფრო მწერალზე ვილაპარაკებ.

მამია იმ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც მისი დროის
მკითხველთ უფრო მოსწონთ, ვიდრე სხვა დროის ჩამომავალთა.
ათასში ათი მწერალი არ არის, რომელზედაც ეს არ ითქმოდეს,
მაგრამ თუ მამიას შესახებ ვიმეორებთ ამას, ეს იმიტომ, რომ მამია
იყო შესანიშნავი მკითხველი ქართული ლექსებისა, ისეთი, რომლის
მსგავსი ჯერ არ უნახავს ჩვენს სცენას და ამ კითხვის მომაჯადოე-
ბელი გავლენის ქვეშ სჯიდა მამიას თანამედროვე საზოგადოება მის
ლექსებზე. ტფილისში და ქუთაისში — ამ ჩვენი ქვეყნის პეტერბურგსა
და მოსკოვს, — საცა იბადება ჩვენი მწერლების სამწერლო რეპუტა-
ცია, მამიას არა ერთხელ წაუკითხავს საჯაროდ მისი თუ სხვისი ლექ-
სები და ეს მშვენიერი კითხვა შნოს და აზრს აძლევდა თვით ყვე-
ლაზე უფრო უმნიშვნელოსა და უაზრო მის ლექსებს. მგონი, ნიკო-
ლაძის ნაწერია თუ ნათქვამი: „მამიას ნათარგმნი დემონი ჩვენ იმი-
ტომ მოვიწონეთ, რომ თვითონ მამიამ წაგვიკითხა ეს თარგმანი“.
როცა მისი კითხვის ხსოვნა გაქრება მის თანამედროვე ნაცნობ-მკი-
თხველებთან ერთად, მისი ნაწერებიც იყლებენ. რომელ ხარისხშე
გაჩერდება მისი პოეზიის სიყვარული, ან რა შორს გასწევს მომავალ
მოდგმათა შორის მამიას ხსოვნა, ამის წინასწარ თქმას მე არ ვიღებ
ჩემს თავზე. ჩვენს ძველ მწერალთაგან — რუსთველს გარდა — მხო-
ლოდ ტატო ბარათაშვილის პოეზიამ იცოცხლა 50 წელი შემდეგ.
პოეტის გარდაცვალებისა. სხვების ნაწერებს დღეს არავინ კითხუ-
ლობს, ან თუ კითხულობს, იმიტომ, რომ მხოლოდ ისტორიული ინ-
ტერესი აქვს.

მამიაც ვაითუ შორის გზისა არ იყოს. შორს მხოლოდ იმ კა-
ცის სიტყვა მიდის, რომელსაც, როგორც თამარ მეფეს, ცა ელაპა-
რაკება და ზეგაბრდმო მოცემული ნიჭი აქვს სული ჩაუდგას ყველა-
ფერს, რასაც ხელს მოჰკიდებს. როდესაც წინასწარმეტყველი ეზე-
კილი სულმან ლვითისამან მოიყვანა იმ ველზე, საცა მთელი არემა-
რე სავსე იყო ადამიანის გამხმარის ძვლებით, წინასწარმეტყველმა
შესძახა ამ ძვლებს: „ძვალთა საელთა რსმინეთ სიტყვა უფლისა,
ამას ეტყვის ადონაი უფალი ძვლებსა ამას: აპა, მე მოვიყვანო თქვენ-
ზედა სული სიცოცხლისა და მივსცე თქვენზედა ტყავი და მივსცე
სული ჩემი თქვენზედა და განსცოცხლდეთ“ *. პოეტსაც ეს ლვთაე-

* წინასწარმეტყველება ეზეკიელისა, თავი ლ. მუხლი დ. 9.

შრივი ძალა უნდა ჰქონდეს, ის უნდა აცხოველებდეს ყველაფერს, როსაც კალაში შოავლებს. ის უნდა ორბელიანი იყოს, რომლის მარჯვენის ქვეშ თქვენ წინაშე ჭავლის, თითქო დიდს მოედანზე გამართულ აღლუმში, რაზმი საქართველოს მეფეთა და დიდებულთა და უფით ბუნება საქართველოსი ენას იდგამს და გიმელავნებს თქვენ თავის საუკუნით ხეაშიადს.

შაშიაც ხიჭებული ჩერ ამ ღვთაებრივის ძალით, მაგრამ ეს ძალა, როგორც ის ნაკვერცხალი, რომლითაც შეეხო ანგელოზი ისაიას, შეეხო მამიას მხოლოდ რამდენისამე წამით, მაშინ, როდესაც ქმნიდა იგი „პოეტსა და ჩვენებას“, „ჩემს აღავერდის“, „ქობულეთური ყანის სიმღერას“... უმეტესი ნაწილი კი—ორი მესამედი—თვისი ლექსებისა მამიამ ისე დაწერა, რომ იმათ წერაში ამ ძალას მონაწილეობა არ მიუღია. არ შემიძლია აქ არა ვთქვა: რომ ან თვითონ მამიას შესძლებოდა ყოფილიყო ჯალათი საკუთარი ნაწერებისა და დაეწევა ის უსარგებლო, სხვადასხვა შემთხვევისათვის სალალობოდ დაწერილი ორი მესამედი შისი ექსპრომტებისა და ლექსებისა, რომელშიაც ხშირად ერთი ნაპერწყალიც არ არის პოეზიისა, ან გამომცემლებს მიეღოთ ეს შრომა თავის თავზე,—მამია წარსდგებოდა მომავალ მოდგმათადმი ისეთი ლამაზი და მსუბუქი სამწერლო საუნაზით, როგორც ორბელიანი და ბარათაშვილი, და როგორც ისინი, დიდხანს დარჩებოდა საყვარელ პოეტად ჩვენს მწერლობაში. ეხლა კი მეშინია, ამდენი ლექსების წყალობით მისი პოეზია ერთობ წყალნარევი არ გამოდგეს.

ლექსში „პოემიდან რაშიდ ვარდან-ოლლი“ მამია თვითონ განსაზღვრავს ზომიერად თავის ძალას და მნიშვნელობას ქართულ მწერლობაში, ის ამბობს:

.....ჩემი გამოუცდელი
გალმის ნაღვაწსა თქვენ წარმოგიდგენთ;
მისის შეწევნით სულაც არ ვდლი,
რომ დაუვიწყარ ძეგლსა აღვიდგენ.
არ მინდა გავზდე მე დიდ პოეტად,
საღალადებლად მთელი ხალხისა,
ან ვმსახურებდე ნათლისა სვეტად
დამჭერარის ენის სამშობლოისა.
მწარიან მხოლოდ, თქვენს მუშაობას
შევვერთო სუსტი თუ რამ მაქვს ძალი,
ვგებ მომავალს შთამომავლობას
დაწვდეს ჩემ მიერ ნატკეპნი კვალი,

რომ პირუტყვებრივ მუცლის ძლებაში
არ გაქრდს ფუჭად მთელი უწოდება
და ჩვენის ერის საყდრის გებაში
ჩემგან ჩნდეს ერთო ქვის ზაშენება:

მისი ქალშის ნალვაწი, ამ თქმისა არ იყოს, მართლა რომ წვრილ
არშიად შემოერტყმება ჩვენი მწერლობის შენობას ამ საუკუნეში,
თუ გარშემო არა, დასავლეთის კედლისაკენ მაინც.

მამიას ყველაზე უფრო ემარჯვება პატრიოტული ლექსები.
მისი საუკეთესო თემაა ძველი დროების საქართველო, ივერია თამარ
მეფისა და კახაბერისა.

მხარე უკვდავი გამარჯვებისა,
მიწა, სადაცა უამის ძველისა
დამარწულია საზელოვნება...

ლექსებში „პოეტი და ჩვენება“, „ჩემი ალავერდი“, „ქობულე-
თური ყანის სიმღერა“, „ბაირონის გიაურიდან“, „კარჩხალის მთე-
ბი“, საცა მამულზე არის ბაასი, მამია უდრის ჩვენს საუკეთესო
პოეტებს. ამათში ის სწვდება კეშმარიტ პოეზიას, რომლის კითხვა
სულს უდგამს და აღაფრთოვანებს კაცს, რაც უნდა ჯირკი იყოს ეს
ჭაცი და გულქვა.

სხვა შინაარსით დაწერილ ლექსებში მავიას იმდენი ძლიერება
არა აქვს. ის სულ მაღალი იდეალებისაკენ ეზიდება, ბაირონობს, და-
წვრილმანს, სულიერ მოძრაობას, იმას, რაც შეადგენს ლირიკული
პოეზიის სიმჟღნიერებს, შემოუხაზავად სტოვებს. ჩვენი ქვეყნის ბუ-
ნების მშვენიერება—ეს საუკუნო თემა ქართული პოეზიისა—მის
კალამის ეურჩება. იმის გამოსახატავად „პოეტისა და ჩვენების“ ავ-
ტორს არა აქვს მის განკარგულებაში არც საკმაო ფერადობა და
არც საკმაოდ თამამი და გავარჯიშებული ბეჭვის კალამი. „კარჩხა-
ლის მთებში“ აწერილი „მწვანე ქათიბში გამოპრანჭული „ხელიკი“
და „ყვითელი კაბებით შემოსილი კრაზანები“ კარგნი არიან, მაგ-
რამ არა კმარან, რომ იმათ დამწერს პლასტიური ხელოვნების უფა-
ლი დაერქვას, როგორც გრიგოლ ორბელიანს. სხვა საგანთა შორის
მამიას მუზა ამ სოფლის „კითხვებსაც“ ავლებს ხანდახან ხელს, მაგ-
რამ, ჯერ ერთი, რომ ამ „კითხვებს“, საზოგადოდ, ვერ ეწყობა კარ-
გად მისი პოეზია, და მერმე, მამიამ ვერ დაამჩნია ჩვენს დღიურ ვა-
რამს ძალუმი პიროვნება პოეტისა, რომ საცა ამ დღიურ უბედურე-
ბაზე იქნება ლაპარაკი, იქ მამიას ხსენებაც იყოს.
ეს შინაარსის მხრით.

რაც შეეხება ამ შინაარსის განხორციელებას, ამ მხრით უმ-
თავრესი ლირსება მამიას ლექსებისა არის სიმარტივე, წერის დროს
ძალის დაუტანლობა. არა ჩანს, რომ მამიას მისი ლექსების თხზვა-
ში დიდი შრომა ენახოს, რომ მისი შაირი გაჭირვებით და
წვალებით იყოს ნაშობი, ის ამ ლექსებისათვის არც მაღალ ფრაზებს
ეძებს, არც ტაქტის „მიჯრით მაწყობას“ და კოხტად მორთვას. მაგ-
რამ, მეორეს შხრით, ეს სიმარტივე მის ნაწერებში უზრუნველობას
ესაზღვრება. მამია უმეტეს ხანს არც პლანის სისწორეს დაეძებს,
არც შაირის ზომის დაცვას, არც მეღოდიას, არც მოხდენილ სიტ-
კვებს. „ივერიის“ „დამაკვირდის“ * შემდგენი რომ შეუშვათ მის
ლექსთა კრებაში, მშიერი გამოვა. რომ ჩვენი ბაასი არ გავაგრძე-
ლოთ ამ საგანზე—შორი ლაპარაკი აღკრძალული გვაქვს—მოკლედ
უნდა ვთქვათ: მამია არ არის კარგი ხელოვანი. იმას კარგი გული
იქნება, როგორც პოეტს, მაგრამ ცუდი მარჯვენა, როგორც ხელოვანს.
როგორც ბასში, შამია ლექსებშიაც გამოჰკრავს ხანდახან
ისეთ რასმე, რომ სულ წაუმწარებს კაცს მისგან მიღებულ სიამოვ-
ნებას. ლექსში „შოშია“, ბარათაშვილისებურ ჩინებულ ლექსში, ეს
ხელოვანი უცრრივ წამოისვრის ამგვარ საშინელებას:

სად შემიძლიან მე ყვავსავით
დავიყლოყინო!

მე, ყვავი ჩხაოლა, მეგონა, მართალი უნდა მოგახსენოთ. ლექსში
„ადამიანი“ არ შეიძლება თქვენს ყურს არ ეჩოთირებოდეს:

ქალი, კაცი, გინდ გასათხოვარი.

თითქო გასათხოვარი იგივე ქალი არ იყოს.

გარეგან სიბრვენიერეს მამია ისე ცოტა ყურადღებას აქცივს
რომ ლექსებში გრამატიკულ შეცდომებსაც არ ერიდება. იმავე
„პოეტსა და ჩუქურებაში“ მამია ამბობს:

სამშენებლოს თვისის უმჯობესს შეიღლა
ტალიზ მტრილბს, სდევნის, ეზიზლება, სტურს

აქ „ეზიზლება“ არ არის კარგად შეთანხმებული დამატებით სიტყვას-
თან, როგორც არ არის კარგად შეთანხმებული ქვემდებარე და შე-
მენილი „კარჩხალის მთების“ ტაქტებში:

* ილ. კავჭავაძე თავის გაზეთ „ივერიაში“ სისტემატურად, თითქმის ყო-
ველ ნომერში, ათავსებდა გამოჩენილ მწერალთა და მოღვაწეთა ბრძნულ გამოთ-
ქმებს—აფორიზებს „დამაკვირდის“ სათაურით.—ს. ც.

საცოდაები ეს-ნარა-თუ პრა,
თავმომწყდარივით ფაგში ვარდება.

შაშია უკლის და არ ალამაზებს ლექსს, არ ცდილობს, რომ ეს
ლექსი სმენას ასიამოვნებდეს და მიჯ გულთან გზას იმოკლებდეს. ის
თარგმნის პუშკინის ლექსს და იქ, სადაც დიდი პოეტი შეუდარე-
ბელი ხელოვნებით დასტირის იმ დროს, რომელიც მიმდინარეობს
მისთვის

Без божества, без вдохновения,
Без счастья, без жизни, без любви.

მამია სჯერდება ამგვარ უფერულ თარგმანს:

ჭლვთოდა უნდგოდ უებრო მკერდში
უცრუშლობითა სული მხდებოდა.

მისი რითმა საკმაოდ მდრიდარია. ზომა ათმარცვლოვანი. ჩო-
მარცვლოვანის „ჩვეულებრივად მსუბუქის და გახავონად საამო“
ლექსებით არის დაწერილი: „პოეტი“ და „ჩვენება“, „ბაირონის გია-
ურიდან“, „დემონი“, „ადამიანი“. ორბელიანისა და ბაზათაშვილის
მძიმედ ნაკედ 14—16 მარცვლიან ლექსებზე ის არ ჰსულა, მის საუ-
კეთესო ლექსებში, არც აკაკის სკოლის მცირე ზომების ტაეპზე ჩა-
მოსულა. უკანასკნელ ლექსებს ის „ეო, მეო“-ს ეძახდა და არ თვლი-
და პოეტის საკადრისად, თუმცა მისი „მარაოზედ“, ამ ზომით და-
წერილი, ერთი საუკეთესო ლექსითაგანია მთელ მის ლექსთა კრე-
ბაში.

სხვა წვრილმანებს და შენიშვნებს თავს ვანებები, რაღანაც არც
მასშტაბი მაძლევს მათზე ლაპარაკის ნებას და არც სტილის მოთ-
ხოვნილება.

საზოგადო დასკვნა ამ შემეცნებისა მამიას ნაწერების შესახებ
ეს არის: უმეტესობა მამიას ლექსებისა არ მოახდენს თქვენზე ღრმა
შთაპეჭდილებას, არ გამოიწვევს თქვენში არც დიდ აზრს, არც
დიდ გრძნობას, არც ენთუზიაზმს — იმ უმაღლეს სიამოვნებას, რომე-
ლიც ეძლევა კაცს ჭრარიტი პოეზიისაგან. მთელი მამია, საყვარელი
და სახსოვარი მამია, მარტო ხუთ, ათ ლექსშია. წაიკითხეო მისი:

როცა გული ქმაყოფისა სიამითა დამიტყბება

და თქვენ დაინახავთ, რომ მამია მშვენიერი ხელოვანია; წაიკითხეთ
მისი „ქობულეთური ყანის სიმღერა“ და თქვენ წარმოგიდგებათ
თქვენს წინაშე ჩინებული ლირიკოსი პოეტი, აკაკის ბადალი, რომე-

ლაც ნამდვილი მშვენიერებაა ქართული მწერლობისა; წაიკითხეთ
მისი პოეტის „ფიცი“ და თქვენ იგრძნობთ, რომ ეს მშვენიერი ქმნი-
ლება უძალლესი გრძნობით არის განმსჭვალული და იმავე გრძნო-
ბისაგან ნაკარნახევი; წაიკითხეთ მისი ლექსები: „ჩემს სურათზედ“, „
ჩემს რძალს ელეონორას“, „ქალები“ და თქვენ დარწმუნდებითა
რომ მამია ნამდვილი პოეტია, როგორც ათასი სხვა, ამ სახელის
ღირსი... მისი შეცდომა მხოლოდ ის იყო, რომ ამ კარგის შემძლებე-
ბევრი უნაყოფო და უფერული ლექსიც დაწურა.

თუ ითონ მამია ერთობ დიდი აზრისა იყო თავის თავზე. მის
ლექსთა კრუბაში რამდენჯერ გაიგონებთ მის ნიჭე ლაპარაკს. ლექს-
ში „პოეტი და ჩვენება“ ამ ნიჭე ექვსგან მაინც არის ხსენება...
ლექსში „ჩემს რძალს ელეონორას“ იგი თავის ნიჭს „ასმხრიანად“
უწოდებს. ლექსში „ე. პ. ვ.“ რაღაც „სულიერი“ უწოდებს იმას
„ლვთიურად“ და ბოლოს ლექსში „ნაძლევი“ ის აშკარად აცხადებს

შეც ლშერთო ვარ ვიწრო წრეში —

გონიერისა ნათლის სვეტი.

როცა მამიასაგან პირველად გავიგონე „პოეტისა და ჩვენების“
კითხვა, იმან მითხრა რუსულ ენაზე: კახაბერი თავისთავად დიდი
კაცია, მაგრამ მე ის უფრო დიდად გავხადე და უკვდავვყავიო.

ერთხელ საღამოს, მას შემდეგ, რაც იმან წაიკითხა ბაირონის
„გიაურიდან“ რამდენიმე ნაწყვეტი, ის ეკითხება ნიკო ბადრიძეს:

— ნიკო, ბაირონი გავაცოცხლე?

ერთხელ კოწია ერისთავს მიუტანია მასთან თავისი ლექსები, იმ
განხრახვით, რომ მამიას იქა-აქ კალამი გადაესვა. მამიას ლექსები
წაუკითხავს და მოსწონებია.

— მშვენიერი ლექსებია, ამფერ, კოწიავ! ხვალ დილას მომძ-
ტანე და ერთად წავიკითხოთ ნუშტრის თვალითო, — უთქვამს იმას.

შეორე დილას რომ შესულა ახალგაზრდა მწერალი პოეტთან,
მამიას ასე მიუღია:

— საკვირველია, ლმერთმან იცის, ჩვენში ვინც ანაბანას ის-
წავლის, მაშინვე ლექსების წერას მოყვება...

ადგრლის მწევარს, სილოვან ხუნდაძეს, სხვაზე აღრე შეუნიშ-
ნავს მამიას სისუსტე და დაუწერია მის შესახებ შემდეგი ბოროტა
ეპიგრამა:

ბახუსისგან აღგზნებულმა

თავის ქება იცის ხშირი, —

ასე ამბობს: ჩემთან რაა.

ბაირონი, ან. შექმპირი.

ამ განცოდილების მოსათავებლად ჩემგვან შეკრებილ მასალებში
ორი აზრი მაქვს მამიასი: ერთი გიორგი წერეთლის ჭესახებ და
მეორე — „ვეფხისტყაოსანზე“.

გიორგი წერეთელზე მამია დიდი აზრისა იყო. აი რას სწერ-
და ის „მამდა ასმათის“ ავტორს 3 სუქტ. 1872 წელსა: „ოჟ, რა
გულით მინდა, ერთი გნახო და გამოვიყითხო შენგან ჩევა ამ პოე-
მის (რაღაც ახალ პოემაზე წერს) შესახებ! შენი თხზულებები ისე-
თის ხელოვნებით არიან დაწერილნი და იმდენი ესტეტიკური გემთა
მათში, რომ, ჩემის აზრით, ჩვენ უველანი ვალდებულნი ვართ და-
ვერგა ვაშემ სუდი სვი პრიზენტაციას“.

„ვეფხისტყაოსანის“ შესახებ აი რა ჩამიწერია ოდგვილიც ჩემს
სამახსოვრო წიგნში.

ერთს საზოგადოებაში „ვეფხისტყაოსანზე“ იყო სჯა და ვი-
ლაც ელაპარაკებოდა მამიას: „ვეფხისტყაოსანი“ ძლიერ კარგი რამ
არის, მაგრამ რუსთველმა ეს კი ნამეტანი იცის, რომ სულ ოქრო
და ვერცხლზე და ლალ-მარგალიტებზე ლაპარაკობს და ცხელის
ცრემლით ატირებს პოემის მოქმედ პირებსო. ამის პასუხად მამიამ
თქვა: ყოველი მწერალი იმაზე წერს, რასაც ხედავს. რუსთველის
დროებში ქართველებმა ნახევარი აზია გაკრიხეს და ოქრო-ვერცხ-
ლით და თვალ-მარგალიტით სავსე იყვნენ და რუსთველმაც ამიტომ
დაწერა, ამაში გასაკვირველი არა არის რამ. ცრემლის ლვრა სრუ-
ლებით ნაკლულევანება არ არის: რაც ლესინგმა თქვა ბერძნებზე,
ქართველებზედაც ის ითქმის: ქართველები დიდად მხნენი იყვნენ და
ცრემლის ლვრით იმათი გულის სიჩვილე უჩვენა რუსთველმა.

VII

მამია, როგორც წკითხველი.— ჩემს ალბომში ჩაწერილი აღსარება.

მამია ჩინებული მკითხველი იყო.

კარგი, კითხვა, როგორც კარგი სიმღერა, უნდა თვითონ გაი-
გონოს კაცმა, თორემ ალწერით ძნელია იმის სიმშვენიერის გადა-
ცემა. ალწერას მხოლოდ გარეგანი ნიშნების წარმოდგენა შეუძლია;
კითხვა-გალობის ალი და მომხიბლველი ძალა კი ქრება იმავე წამს,
რა წამსაც დაიხშო პირი მგალობელისა ან მკითხველისა.

მამიას კითხვაში მე ყველაზე უფრო ის მაკვირვებდა, რომ ამ
ჩერიასავით გამხმარ კაცს, როცა იგი დაიწყებდა კითხვას, ფილტ-
ვებში იმდენი ჰაერი მოეძეოდა, რომ თუნდ ერთს გვერდს წაიკით-
ხავდა ისე, რომ ხმა არსად ულალატებდა და აფიქრებინებდა კაცს;

7. o. მეუნაზე, ქართველი მწერლები, II.

რომ იმას კიდევ სხვა იმდენის წაკითხება შეეძლო. ამის გამო ივი
ყოველ სიტყვას ცალ-ცალკე და მკაფიოდ ჩამარცვლავდა, როგორც
მძივს, და ამასთან კითხულობდა მოსვენებით, სულწაუსვლელად,
ღრმად.

მე სანამ მისი კითხვა არ გავიგონე, არ ვიცოდი, რას ნიშნავს
მეფე გიორგის სიტყვა „მსუქნად იტყვი“, რომლითაც იგი უწონებ-
და კითხვას მის კარისკაცს ივანე აფხაზს. მაშინ, როდესაც ჩვეუ-
ლებრივი მკითხველი თუ მოლაპარაკე ტუჩებით და ენით სახავს
სიტყვას და პირს იმდენად ათამაშებს, რამდენიც საჭიროა, რომ
ესენი მოძრაობაში მოვიდნენ, მამიას სიტყვა სადღაც პირის სილრმე-
ში იბადებოდა. საცა თქვენ კითხულობთ ჩვეულებრივის კითხვით:

თამარს? ვინ იტყვის, რა იყო?

შამია თითქო ასე ამბობდა: თამაარს? ვვინ იიტყვის რაა იყო? სწო-
რედ რომ მსუქნად, ღრმად, მთელის პირით.

მამია კითხულობდა მხოლოდ ლექსებს. პროზის კითხვაში კი
ის ვერ უდრიდა მის მასწავლებელს გრიგოლ დადიანს, რომლისა-
გან,—როგორც არა ერთხელ გამიგონია მამიასაგან,—დაუსწავლია
იმას ლექსების კითხვა. მის კითხვაში კაცი ვერც ჩვეულებრივ ქარ-
თულ მონოტონურ ლილინს გაიგონებდა, ვერც ევროპიულ გავარდ-
ნილ დეკლამაციას. ის იყო უებრო მკითხველი, წუნდაუდებელი,
მეტადრე მაშინ, როდესაც ისეთ ლექსს კითხულობდა, საცა დრამა-
ტიული მოძრაობაც იყო. შვენიერი იყო ის, როცა კითხულობდა
„ვეტხისტყაოსნიდან“ ამ ადგილს:

ახლოს მოვე, შემომხედეს, შმაგიო, ესე თქვესა.

მუნ მივჰმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა,

კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მივწდეს მზესა;

შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესა!

შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი.

კაცი კაცსა შემოვსტყორცე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;

კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს, ვითა ტანაჯორი.

ერთობ სრულად ამოვსწყვიტე წინა კერძო რაზმი ორი.

ან როცა გამოსახვიდა იგი ქაჯეთის ციხის იერიშით აღებას
იმ ადგილიდან, საცა რუსთველი ამბობს:

ანაზდად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა ჭრიალი!

იმ ხანამდის, საცა ავთანდილ და ფრიდონ შეეყრებიან. ტარიელის-
გან ნალეწ აბჯარს და რუსთველი იტყვის იმაზე:

ჰსცნეს ნაქმრად ტარიელისად, სთქვეს, საქმე. მისეული.

სანაში შამია ამ ტაეპის პირველ წახუცრამდის ჩამოვიდოდა, მისი ხმა თვითონ ბრძოლის ხატი იყო: ძლიერი, სწრაფი, მრისხანებით სავსე, მაგრამ რა აქ ჩამოაწევდა, ის ცოტა ხანს შეჩერდებოდა, ხმას დაუწევდა და ცოტა აჩქარებულად, სხარტულად, მუსაიფის კილოზე, თითქო განზე, წასევით წაილაპარაკებდა:

• სთჭვეს, საქმეა მისეული.

მამიას კითხვაში შესანიშნავი ის იყო, რომ რაც უნდა გაცხა- ტებული კითხვა ჰქონდა იმას, რაც უნდა დრამატიული მოძრაობა ყოფილიყო ლექსში, ფრაზასა და ფრაზას შეა მამიაში სრულიად დამშვიდებულს და თავისუფალ არტისტს გრძნობდი.

თავის ლექსებიდან მამია განსაკუთრებით კარგად კითხულობდა: „ადამიანს“, „პოეტს და ჩენების“ ფიც, „ქალებს“, „ბაირონის გიაურიდან“ და „ჩემს ალავერდის“. ამ უკანასკნელი ლექსის წაკითხვისათვის ხარაზოვის თეატრის სცენიდან, ქუთაისში, მამია დააპატიმრეს ერთი თვით ქუთაისის სააფიცრო „ნაობახში“ 1889 წელს, რადგანაც ამ კითხვაში შიგა და შიგ ისეთი ლექსებიც ჩაურთო, რომლისთვის ნებართვა არ ჰქონდა მიღებული.

მე თავის დღეში არ დამავიწყდება ეს მშვინიერი სალამო ხა- რაზოვის თეატრში. დარბაზში ტევა აღარ იყო და ოცნებზე კაცი კაცზე იჯდა, რადგანაც წარმოდგენას საქველმოქმედო მიზანი ჰქონდა და ჰქონდა მამიას სახელი იყო დაბეჭდილი. როცა მამია გამოვიდა სცენაზე, თეატრში სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ეს სიჩუმე სწორედ ქარიშხლის მომასწავებელი იყო. პირველისავე ნახტომიდან მამიამ შეიძყრო საზოგადოების ყურადღება და ფრთხები აუსხა მის ხელოვნურ გრძნობას. კარგი კითხვის მოყვარული ძლივსლა ჩერდნენ აღტარკებულთა, რომ ტაშის ცემით და „ბრავოს“ ყვირილით არ შეეშალათ იმისთვის ხელი; მაგრამ როცა მამია ჩავიდა „ჩემს ალავერდში“ იმ ადგილამდის, საცა ის ამბობს:

თქვენ, უებრო მებრძოლებო,
თქვენთანა ვარ, ალავერდი!

ვერც იმათ დაიჭირეს თავი და თეატრი კინალმ დაიმტვრა გარდა- მეტებული აღტაცებისაგან. მამია გრძნობდა, რომ ამ დროს ის უფალი იყო მსმენელებისა და ლამაზი შესახედი.

რამდენჯერ მინატრია და მითქვამს, ვისდამიც რიგი იყო, რომ მამია მოეწვიათ რამდენიმე ხნით ქუთაისის ან ტფილისის სათა- ვად-აზნაურო სკოლებში,* რომ იმდენ ყმაწვრლებში, რამდენიც იქ

* ეს იმიტომ, რომ მაშინ მხოლოდ სათავად-აზნაურო სკოლებში ხერხდე- ბოდა ქართული ენის სწავლება.—ს. ვ.

არიან, ერთ-ორს მაინც შეეთვისებინა მამიას კითხვა, შაგრამ ეს ჩემია წატვრა ამაოდ დამირჩა ისე, როგორც არა ერთი სხვა ჩემი, წატვა რანი სამწერლო ნიადაგზე.

მამიას კითხვაზე ლაპარაკს მე, არ შემიძლია. არ მოვაბა მამიას ალსარება, რომელიც იმან ჩამიწერა ჩემს ალბომში ამ შვიდი წლის წინათ, როდესაც მე ვიყავი გატაცებული მისი კითხვით და როცა თითქმის ყოველ სალამოს შევიყრებოდით ან თვითონ მამიასთან, ან ჩემთან, ან ი. ყაუხხოვისას, ან კოტე მესხთან და უფრო მომეტებულად კი სხვადასხვა რესტორანებში და სასტუმროებში, საცა ყოველი ჩვენი ყრილობა თავდებოდა ვაჭშირით და მამიას დეკლა- მაციით.

ამ ოცდაათი წლის წინათ საფრანგეთში მოდა იყო, ვისთანაც კი უნდა შესულიყავით, გინდოდათ თუ არ გინდოდათ, სახლის პატ- რონის ალბომში პასუხები უნდა ჩავეწერათ იმ კითხვებისა, რომელ- თაც შიგ იპოვიდით ჩაწერილ-ჩაბეჭდილად, ამას ერქვა „jeu des réponses“, ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, „პასუხებით შექცევა“- თუმცა ეს ალსარების თქმა უფრო იყო, ვიდრე შექცევა. ამ შეიდა- წლის წინათ და უახლოდობრ 27 ოქტ. 1889 წ. მე ვთხოვე მამიას, ჩაეწერა ჩემს ალბომში პასუხი იმგვარი კითხვებისა, და აი რა ჩა- მიწერა:

რომელი თვისება უფრო მოგწონს
კაცისა?

გონივრობა სინდისიანობის, ტანსაც-
მელში.

რომელი თვისება მოგწონს ქალისა?

ერთგულება.

რით გამსრვავდება შენი ხასიათი?

ლტოდ ვილებით. იდეალურისაჭმი.

რომელია ყველაზე დიდი ბეჭდიე-
რება?

აღსრულება გაშლითადის სურვილე-
ბისა.

რომელია ყველაზე დიდი უბედუ-
რება?

მონეტა.

რა ფერი უფრო გიყვარს?

ყველა ფერი თავის დროს და

ადგილას.

რა ყვავილი გიყვარს?

ახალი, ხელუხლელი.

შენ რომ მამია არ იყო, ვინ გრძ-
ება იყო?

არავინ.

სად უფრო გინდუ ცხოვრობდე?

ჩემს ბეჭნიერ, სამშობლოში.

რომელი მწერლის პროზა, უფრო
მოგწონს?

ილია გავჭაბისა.

რომლის პრეზია?

რუსთაველისა, ბაირონის.

ვინ უფრო მოგწონს კაცუაგან ის-
ოორიაში?

მარკავრელი, პარუნ ალ-რაშიდ-

ვინ უფრო მოგწონს ქალთაგან ის-
ტორიაში?

რომანში ვინ ჯირჩევნია კაცთაგან?
ქალთაგან ვინ უფრო მოგწონს
რომანში?

რა სახელები უფრო გიყვარს?

რა უფრო გაულს ქვეყანაზე?

რა შეცდომას უფრო აპატიებ
ჰაც?

რომელი ტაჭი უფრო მოგწონს
„ვეფხისტყაოსნისა“?

რასა სგამ?

ვინ არის ყველაზე ლამაზი ქალი
ქუთაისში?

შენი ცრცოვრების დეჭიზი რა არის?

თამარ... თამარ.

შალვა.

თამარ ბატონიშვილი.

ვახტანგ, დავით, თამარ, სოლომონ,
კახაბერ, ბოცო.

ტყუილი.

სიმზვრალეს.

„მე, რუსთველი ხელობით“...

სულ ჭყალს.

ბ... ბ...

პიშართლე. პატიოსნება.

VIII

უკანასკნელი დროინი მაშინას ტროვრებისა.—ბაბალეს ნამშობი.—გარდაცვალება
და დასაფლავება.

„კაცი არა არის,—თვინიერ გარემოებისა,—წერდა მამია თავი“
ამაღლს ელეონორა შიხეილის ასულს *,—გარემოება ისე ათამაშებს,
როგორც ბურთს ყმაწვილი. შეიკრიბება ერთნაირი გარემოებები,
გვამხიარულებს, გვაციხებს, გვატარებს საცა გვინდა, აღგვივსებს
გულს სიამოვნების გრძნობით, გვაძლევს ყველაფერს შზად, რაც
გვინდა, უსარჯელად და უზრუნველად, ასრე რომ ხანდახან დავი-
ქანცებით კიდევაც მხიარულების სიმძიმის ქვეშ. შეიკრიბება მეორე-
ნაირი გარემოებები და სულ წინააღმდეგი გვემართება ზემოაღწე-
რილისა. მე, როგორც იცი, კარგა ხანია, რაც ვიმყოფები შემოხ-
დუდვილი უკანასკნელ გვარის გარემოებებით“...

ამგვარმა გარემოებებმა, როგორც ვნახეთ, მამია მიწასთან
გაასწორეს ჯერ ზნეობითად და შემდეგ ფიზიკურადაც. უთავბოლო
ცხოვრებამ და გამოულეველმა სმამ მისი ჯანის სიმრთელე შემუსრეს
იმ ზომამდის, რომ იმას გაუჩნდა ფილტვის ავადმყოფება და პირი-
დან სისხლის ლებინება. ამგვარ მდგომარეობაში მაშინ სიკვდილი
ენატრებოდა და, რომ ბოლო მოეღო თავის გაუხარებელ ცხოვრები-
სათვის, არც ამ ყოფაში ჩშლილა ლვინჩს სმას. ურახელ სადღაც

* წერილი 17 თებერვ. 1877 წ.

ვაეგონა, არყით მოვრალმა კაცშა უიჯ წყალში ტანი რომ იბანოს, მოვედებაო, და შთელი ბოთლი არიყი დაელია და რომელში გადა- ფარდნილა, მაგრამ ვილაცას ამოვედანა იქიდან უვნებლად. უკანასკ- ნელად ის გახდა ავად ბათუმში, საცა წასულა გურიიდან როსის* წარმოდგენების სანახავად. იქიდან მამია წაიყვანეს სოფელში ჯაბას- აან და იქ დაჭყო რამდენიმე ხანი. აქ ყოფნის დროს იმას მოუყიდა რუსეთიდან თავზარდამცემი ამბავი, რომ მის შეილს კახაბერს თავი მოუკლავს... ეს იყო უკანასკნელი სამსალი, რომელიც შეისიდა ტან- ჯულ მამას ბოროტბა ხვედრმა. რამდენიმე თვეს შემდეგ ის თვი- თონაც გარდაიცვალა.

მამია გარდაიცვალა ქ. ქუთაისს 25 იულისს *** 1891 წელს. ის მოვდა ერთ ბერებს ფიცრულში, რიონის პირად, ბალახენის ქუჩა- ზე, ვიღაც ბაბალე დედაქაცისას, რომელიც ოდესმე ნამსახური ყო- ფილა დადიან-გურიელებისა, როგორც ეს ზემოთაც მოვიხსენით. იმ ინგლისელის არ იყოს, რომელმაც ნაპოლეონ მეორის საფლავი ნახა, მეც პირველსაც ჩემს ჩასვლაზე ქუთაისში, შემდეგ მამიას გარდაცვალებისა, უნახე ის ადგილი, საცა მამიამ განუტევა სული- სახლის პატრონმა აი რა მიამბო მამიას უკანასკნელ დღეზე.

„სიკვდილის დღეს მამია სახლრდან არ გასულა. საღამო ხანს შემოვიდა მასთან ჯაბა და ორივემ ერთად დიღხანს ილაპარაკე- მამია კარგ გუნებაზე იყო.

მეათე საათზე ჯაბა გამოეთხოვა მამიას და წავიდა. ეზოს რომ გასცილდა; მამიამ დაუძახა:

- ჯაბა!
- ბატონო!
- ხეალ დილის შეინდი მიშოე საღმე და გამომიგზავნე, ფულს მე მივსცემ.

— კი ბატონო, მე თვითონ ვიყიდი და მოგარომევო.
ამ ლაპარაკის შემდეგ ჯაბას ასი ნაბიჯიც არ ექნებოდა გა- დადგმული, რომ მამიამ ერთი ძალზე დაახველა და იმას ყელიდან სისხლი ნაკადულივით გადმოედინა. მე ყვირილი მოვრთე, ჩემს ხმა- ზე ჯაბა დაბრუნდა, ექიმთან კაცი გარბენინთ, მაგრამ, სანამ ხეჩი- ნოე *** მოვიდოდა, მამია სულ დაიწრიტა სისხლისაგან. ის ერთ საათში გათავდა”.

* ერნესტო როსი—იტალიელი მსაზიობი იმ ხანებში საფასტროლოდ ჩამო- სული—ს. ც.

** 6 აგვისტოს ას. სტ.

*** ქუთაისელი ექიმი—ს. ც.

— რა ავადმყოფობით მოკვდა მამია, ამას უჩერენებს შეშდევი მოქლე მოწმობა, შედგენილი ექიმ სამსონ თოლურიასაგან პოლიციაზე წარსადგენად:

25 Июля в 10 ч. вечера Мамия Гуриели скончался от смертельного кровоистечения на почве туберкулезного поражения легких. Д-р Топурия".

მეორე დღესვე, როგორც ჩამოლამდა, მამია წაასვენეს ქუთაისის საკრებულო ტაძარში და იმ დღიდან 28 ივლისამდე იქ ესვენა. ამ რიცხვებში კი იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა უწირა განსვენებულს და უკანასკნელი შენცობა მისცა. საღამოს 6 საათზე მამია აასვენეს წმინდა გიორგის ეკლესიაში, არქიეპის მთაზე, ჩინებულად მორთული ბალდახინით, რომელსაც ამშვენებდა 10—12 გვირგვინი და მათ შორის გვირგვინები ტფილისის და ქუთაისის სააზნაურო სკოლებისა და ქართველი სტუდენტებისა. სანამ მის ცხედარს საფლავი მიაბარებდნენ, მამია დაასვენეს შიგ ტაძარში და აქ უკანასკნელი სიტყვები უთხრეს მას ჩერნომორისკის პოლკის ოფიცერმა მენშიკოვმა, პოეტა გრ. აბაშიძემ და სილოვან ხუნდაძემ (უკანასკნელმა ლექსით). როცა ყოველივე აღსრულდა, მამია დაასაფლავეს მკლესის ეზოში იქ, საცა ტაძრის გარშემო მდებარე სწორე მოუდანი თავდება და იწყება დალმართი, რიონისაკენ დაშვებული, და მიზ ილუსტრულდა მგოსანს მისი გულითადი ნატურა, რომ მას განესვენა იქ,

სად გრგვინვა ფაზის, მარადის მწყრალის,
უდუდუნებდეს ხმას საამურსა...

1897 წ. 14 იანვარი
ცაიში.

დავით ერისთავი



დავით ერისთავი

დავით გიორგის-ძე ერისთავი

რას მოვიფიქრებდი ამ ოცი წლის წინათ, როცა დავით ერის-თავის თხოვნით მამამისის ბიოგრაფიას ვწერდი, რომ თვით და-ვითის ცხოვრების მეისტორიეც გავხდებოდი როდისმე. ჩემს უდროოდ დამიწებულ მეგობარს არ ეჭირა არც ჩვენს მწერლობაში, არც ჩვენს ხელოვნებაში, არც საზოგადოებაში იმდენად შესამჩნევი ად-გილი, რომ მე გულში გამევლო მისი ცხოვრების აღწერა ისე, რო-გორც არა ერთხელ მომსვლია ფიქრად დამეწერა ცხოვრება ილია-სი, აკაკისა, ნიკოლაძის, გოგებაშვილის, სანდრო ყაზბეგის. ბეჭნი-ერი კაცი, რომელსაც ქონება ნებას აძლევდა ეცხოვრნა თავისთა-ვად, დამოუკიდებლად, წევრი საუკეთესო ქართველი საზოგადოე-ბისა, თეატრალი, ფელეტონისტი, მოლექსე, მოსწრებული სიტყვისა-და ეპიგრამების პატრონი, უებარი მკითხველი ქართულ-რუსული ლექსებისა სალიტერატურო საღამოებზე, დავით ერისთავი იყო მისი დროის კაცი, რომლის შინშვნელობა მასთანვე იყო წარმავა-ლი. მისი გამო ჩემს სამახსოვრო წიგნში, რომელიც შეუბრალებელ-მა აკაკიმ როჭოს. დაამსგავსა, ჯიხვის წყალობით სულდგმულს, მე დავითზე თითქმის არც ერთი მოგონება არ ჩამიწერია, სანამ მწერ-ლობაში მედგა ფეხი.

ახლა კი * დრამატიულმა საზოგადოებამ განიზრახა მისი ნა-წერების დაბეჭდვა და მე ვალად დამდო შემედგინა ბიოგრაფია. ვატყობ, რომ მე, როგორც ახლობელს მის მეგობარს, მისი მნიშ-ვნელობა სრულად ვერ დამიტასებრა და ამიტომ მით უფრო დიდი კმაყოფილებით ვასრულებ მონდობილობას.

ბოდიშს ვიხდი. დრამატიული საზოგადოების წინაშე, რომ ამ სასიამოვნო ვალის გადახდა მე ერთობ დამიგვიანდა... რაღა ბევრი დავმალო, დაუდევრობისა ვამო:

* 1904 წელს.—რედ.

დავით ერისთავი დაიბადა სოფელ ხიდისთავს 1847 წელს 28 აგვისტოს.

მამა დავითისა გიორგი, ოოგორც ვნახეთ მისი ცხოვრების აღწერიდან, იყო ჩამომავალი ქსნის ერისთავიანთ სახლისა, ოომელიც ძველად განაგებდა საერისთავოს. დედა იყო ალიხანოვის ქალი, გორში მცხოვრები სომხის ვაჭრისა (ტფილისის საფინანსო საზოგადოებაში და ქალაქის საქმეებში ცნობილი კონსტანტინე ალიხანოვი და დავით ბიძა-მამიდაშვილი არიან). დავითთან ერთად ეყოლა დედამისს მეორე ვაჟი, კონსტანტინე. ახალდაბადებულნი იმდენად მილეულნი თურმე იყვნენ, რომ, ოოგორც გამიგონია, იმათ „სამთლის ბაეშვებს“ ეძახდნენ.

ახალგაზრდა დავითს მამის ოჯახში ყველაფური ბლუჯეულად ჰქონდა, რომ მისი დროის პირობის კვალობაზე კარგი აღზრდა მიუღო.

როცა იმან ფეხზ აიღვა, მამამისის სახლი სავსე იყო ქართული სცენის და მწერლობის მოყვარეთაგან. ის სამი წლისა იყო, როდესაც მამამისისაგან შედგენილმა „ტრუპაშ“ პირველი ქართული წარმოდგენა გამართა ქალაქში, და ჯერ კიდევ ჩაბანას სწავლობრივა დვანაძისაგან, როცა „ცისკრის“ პირველი ნომერი გამოიცა ქვეყნად. ამასთან მამამისს, როგორც მოწინავე თავადიშვილს, ვორონცოვამდის შიწევნილს და მთავარმართებლის საგანგებო მინდობილობათა უმცროს ჩინოვნიკს, შეძლებაცა ჰქონდა და შემოხვევაც შეეთვისებინა სულ ყველაფური, რაც რამ საუკეთესო მოიპოვებოდა თმ დროის საზოგადოებაში, როგორც ზნე, ეტიკეტი, ცოდნა.

მაგრამ, სამწუხაროდ, გიორგის არ შეხვდა დიდხანს ქალაქში ყოფნა და მისი ოჯახი მალე დაიხურა მწერლობისა და თეატრისათვის. ჯერ მიწყდა ორი წლის არსებობის შემდეგ ურნალი „ცისკრი“ (1853 წ. დამდეგს) და მერე, 1855 წელს, დაიშალა ქართული ტრუპაც. დავითის მამა ტფილისიდან რევ ხიდისთავს გადასახლდა.

დავითის ტოლი, მისი კლასების ამხანაგი, ვაწო ერისთავი (რავენა, ივანე რომ ვთქვა, ფიცი, ვერ შიმიშვლებით ვისზე ვლაპარაკობ), რომელსაც შე ვთხოვუ მოეცა ჩემთვის მისი მოგონებანი დავითის სიყმაწვილის შესახებ, მწერს:

„დავითი პირველად გავიცანი 1853 წელს. ერთობ შენარჩ, ჩუმი და თავდაჭერილი ბავშვი იყო ჩემი პატარა მეგობარი. პირვე-

ლად. რომ ენახუ, გამიხმო თავის თოახში და შაჩქენა პატარა ორ-ლანო, რომელიც ის-ის იყო ვილაცას მიეტანა მისთვის, დაატრიალა ორლანოს ხელი და, როცა შიგნიდან ხმა მოისმა, მისი სახე ღიმილ-მა გაანათა. იმ დღიდან დაწყებული ჩვენ დიდხანს ვიყავით ერთად ჯერ ჩვენსა, გორში, საცა გვასწავლიდნენ კერძო მასწავლებლები, მერე პანსიონში გორსავე და ბოლოს დდესაში 1860. წლიდან 1868. მდის:

, „ჩვენსა რომ იდგა, დავითს ყოველ შაბათობით მოსდიოდა შინიდან პატარა ყარაბალული ცხენი და ის საკვირაოდ მამასთან მიდიოდა ხიდისთავს: ამ დროს იმას დედა ცოცხალი არ ჰყავდა დედას დამბლა დაეცა, როცა დავით თხი წლისა იყო.

, „პირველი ჩვენი მასწავლებლები იყვნენ: სამლეოთ წერილისა— მამა ხახანაშვილი, ფრანგული ენისა— ფრ. დორე, რუსული წერი-სა— ტულის პოლკის მწერალი (ეს პოლკი მაშინ გორს იდგა) და ყველა სხვა საგნებისა— ნიკიტინი.

, „ნიკიტინმა და დორემ ბოლო დროს პანსიონი გახსნეს გორ-ში, და ჩვენ ორნივე იმათ პანსიონში მიგვცეს. მშობლებმა“.

1860. წ. დავით წაიყვანეს ადესას. როგორც იმ დროს შეშ-ვენიდა, დავითს, თან გაატანეს მოსამსახურედ მისი გლეხის შვილი ზაქარია რასიტაშვილი. ადგესაში ამ დროს, როგორც დიდხანს შემ-დეგში, ყველა ჩვენების პატრონი, შემწე და გზის შაჩქენებელი იყო ცნობილი ექიმი ვორონცოვის დროისა. ანდრეევსკი და მისი სახლობა. დავით და მისი ამხანაგი ვანო ამ კეთილ კაცთან მიიყვანა. ელიზ-ბარ ერისთავმა, და მისი რჩევით პატარა ერისთავები შეიყვანეს ადესის საუკეთესო პანსიონში, რომელიც ეჭირა ბ. კნერის. აქედან დავით თავისუფალ დროს ხშირად დადიოდა ანდრეევსკისას. 1878 წ. ანდრეევსკის ქალის სიკვდილის გამო დავითმა დაბეჭდა „Тиф, Вест-Нიკ“-ში (№ 66). „Мои воспоминания о семействе Андреевских“, საცა მადლობით იხსენიებს ანდრეევსკის ოჯახს და ამბობს, ყველა კაციასიელები, ისე, ვიყავით ამ ოჯახში მიღებული, როგორც საკუ-თარი შვილებით.

ერთობ რამ ჩინებულ დაწესებულებად სახავს თავის მოგონე ბაში ვანო ერისთავი კნერის პანსიონს. მისი სიტყვით, ეს ჩვეულება რიგი პანსიონი კი არა, უფრო ოჯახია, საცა პანსიონის პატრონის ცოლი ნამდვილი დედაა ბავშვებისა, რომელსაც კვირაში ერთ-ხელ ხშირი საგარცხელი უჭირავს ხელში და ბავშვებს თავს დასტრიალებს, შიგ არაფერი გაუჩნდესო. თვითონ პანსიონის პატ-რონი კნერი პატარა ტანის კაცი იყო თურმე, რომელსაც პანსიო-

ჭერები „Кончик“-ს ეძახდნენ „Кончик идет“-ო რომ დაიძახებდნენ, მთელი პანსიონი სწორდებოდა.

ვანო ერისთავი თავის მოგონებაში წერს:

„კნერის პანსიონში გვასწავლიდნენ ყველაფერს, რაც კი შეადგენს გიმნაზიის კურსს. ამასთან ყოველდღე გვქონდა ფრანგული და ურმანული ენის გაკუთილები და სამჯერ კვირაში ინგლისური ენისა, თუმცა კი ეს უკანასკნელი სავალდებულო არ იყო ჩვენთვის. პანსიონი მშენივრად იყო დადგენილი. კვირაში ორჯერ-სამჯერ გვასწავლიდნენ მხატვრობას, ფორტეპიანოს, ფლეიიტას, სკრიპკას. ხშირად გაიმართებოდა პანსიონში წარმოდგენები რუსულ და ფრანგულ ენებზე და დარბაზში უკრავდა საკუთარი, პანსიონერებისაგან შემდგარი, ორჯერსტრი.

„დავით კარგად სწავლობდა. მახსოვს, პირველად რუსულზე ენის მასწავლებელმა ვობსტმა დაუძახა დავითს და უკარნახა რაღაც მაგიდაზე დასაწერად. დავითმა ლამაზად დაწერა, რაც უთხრეს და თითქმის უმეტნაკლოდ. მასწავლებელმა მოუწონა ცოდნა და მას შემდეგ დავითს მუდამ წარმატება ჰქონდა რუსულ ენაში. ვობსტი შშვენიერი მკითხველი იყო. როცა ის გვიკითხავდა თავის შშვენიერი დიქციით პუშკინს, ლერმონტოვს, გოგოლს, ტურგენევს; მთელი კლასი სულგანაბულად უსმენდა. მე ვფიქრობ, რომ დავითმა კითხვის სიყვარული მისგან დაინერგა გულში. „პერემენის“ დროს დავითი განიმეორებდა წაკითხულს იმ მანერებით და ხმით, რა ხმითაც კითხულობდა მასწავლებელი. თავისუფალ დროზე დავით კითხულობდა ქართულ წიგნებს და ხანდახან წერდა ქართულ ლექსებსაც.

„სხვა-საგნების ჩინებულად მოსწავლე, დავით ნაკლე იყო არით-შეტიკაში, გეომეტრიაში, ალგებრაში და ტრიგონომეტრიაში. ამ საგნებში მე იმაზე წინ ვიყავი და ხშირად ვეხმარებოდი იმას გა-ჭირვების დროს.

„ზემოხსენებულთ გარდა, ჩვენი მასწავლებლები იყვნენ: ის-ტორისა და გეოგრაფისა — მასლოვი, სამღვთო წერილისა — დეევ-სკი, გერმანულისა — გრეიინერი, რომელსაც ვეძახდით „რყჯий ре-ვუნ“-ს, ფრანგული ენისა — ბიუნიონი, ბუნებითი საგნებისა — პაპოვი, მათებათიკისა — ჩეჩეტი. ამათ გარდა გვყავლა მასწავლებელი დანсо-ვაния, ვიქთовაния, ქიმია დო ბიოლოგია, რომელიც ამ საგნებს ასწავლიდა ადესის თითქმის ყველა სას-წავლებლებში. როცა ტანკაობას გვასწავლიდა ეს კაცი, დამა. რომ

გაერჩია კავალერისაგან, იმ ყმაწვილებს, რომელნიც დამას თამაშობდნენ, მკლავზე ხელსახოცს უკეთებდა.

„როცა მექენეს კლასში ვიყავით, 1864 წ. მამაჩემმა ელიზარმა მომწერა, გამემულავნებინა დავითისათვის მამისსიკვდილი. რომ შეუწამე, საწყალმა მთელი ღამე იტირა. ამის შემდეგ დავითმა ვანსიონს თავი დაინება და რამდენიმე ხნით საქართველოში დაბრუნდა“.

1867 წელს დავითმა დაიჭირა ეკზამენი ადესის. რიშელიეს გიმნაზიაში და შევიდა ნოვოროსიის უნივერსიტეტში ჯერ იურიდიულ ფაკულტეტზე და მერე ბუნების მეცნიერებათა განყოფილებაში. აქედან ორი წლის შემდეგ ის გადავიდა პეტერბურგს სამკურნალო აკადემიაში. სამწუხაროდ, ის არც აქ დარჩენილა დიდხანს. 1871 წ., როცა ის იყო მეორე კურსზე, დავით გახდა ავად და აქდემიას სულ გაანება თავი. ამ წელს ის წავიდა საექიმოდ საზღვარგარეთ და შემოდგომაზე სამუდამოდ დაბრუნდა ტფილისს.

II

დავითის მწერლობა.—შთამომავლობით პოეტი.—სხვადასხვა ნაწყვეტები მისი ნაწერებიდან.—ნ. ნიკოლაძის აზრი ერისთავზე.

რაც უნდა ყოფილიყო ცხოვრებაში დავით ერისთავი, ეს სკოლამ დაგვანახა.

უნივერსიტეტი იმას არ გაუთავებია. სკოლას იმისთვის არ შიუცია ის, რის ძალითაც მას შესძლებოდა გამხდარიყო... რა ვიცი რა... ექიმი, ინჟინერი, მსაჯული, ადვოკატი, პროფესორი, ან სხვა ხელობის კაცი, რომლისათვის საჭიროა უმაღლესი სწავლა და დიპლომი. ის გამოვიდა სკოლიდან დილეტანტი, ყველაფრის. ცოტ-ცოტად მცოდნე, წმინდა საჩვენო, საგაზეთო კაცი. ნურავინ ნუ მიწყენს, და რაცი სიტყვამ მოიტანა, არ შემიძლია არ მოვიგონო აქ ის, რომ წარსული საუკუნის ქართული მწერლობა უმეტეს ნაწილად ამგვარ უდიპლომო მუშაკების ხელში იყო (იმათი სახელები მე აქ არ მოშეავ, დავიდარაბის თავი არა მაქვს). დიპლომიანები ან სულ არ წერდნენ ძველად, ან მარტო თავში წერდნენ, სანამ სიყმაწველე უღვიოდათ გულში და გაიტკბობდნენ ადგილს სამსახურში.

მხოლოდ დავითს ჩვენს მიმდინარე მწერლობაში არ ჰქონდა ის ძალი და გამწე მოქმედება მკითხველებზე, რომელიც ჰქონდათ სხვა. მის მედროვე მუშაკებს. ის წერდა უძნიშვნელო რამებს, მართალია, ხალისით სავსეს, მაგრამ წერდა შორი-შორ, ათასშე ერთხელ, „სააშიკოდ, სალალობოდ“.

უურნალ-გაზეთებში მონაწილეობა დავითმა დაიწყო და გაათავა ფელეტონებით. ის წერდა ფელეტონებს, ლექსებით გადაჭრებულს, „დროებაში“, „ივერიაში“, „ტფილისის მოამბეში“. მისი ფელეტონები სავსე იყო ოხუნჯობით, პაროლიებით, ექსპრომტებით, ეპიგრამებით.

ლექსების წერა, როგორც ვნახეთ, დავითმა ჯერ პანსონშივე დაიწყო. მისი პირველი ლექსები იყო ნათარგმნი ლექსები ლერმონტოვისა, ნეკრასოვის, ბარბიესი, ვიქტორ ჰიუგოსი. არც ეს ლექსები და არც ის რამდენიმე ორიგინალური ლექსი, რომელიც დაუწერია იმას 1864 წლიდან 1871-დის, ე. ი. სანამ სასწავლებელს ბრ დაანებებდა საბოლოოდ თავს, არ არიან მაინც და მაინც ხსოვნის ღირსნი. ამ ხანში დაწერილი ლექსებიდან სხვაზე უფრო შესამჩნევია „ეხლანდელი ჭირი“ (მიბაძვა), დაწერილი 1868 წელს, ეს ლექსი შეეხება მაშინ ჩვენში ახლად შემოლებულ სასამართლოს და თავის დროზე წაკითხულ იქნა დიდი ინტერესით. მახსოვს, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა განსვენებულმა ქალანდარიშვილმა ეს ლექსი გადაგვაწერინა შეგირდებს: „დროებიდან“ და ზეპირად დაგვასწავლა. იმ დროიდან შემრჩენია ხსოვნაში.

ჯავრობენ ბევრნი—არ ვმალავ ცუდსა—

რომ ახსენებენ მიროვო სუდსა.

1871 წელს ერისთავი, რუსეთიდან ახლად ჩამოსული, გაერია ტფილისის ქართულ ინტელიგენციაში და იმ დღიდან სიკვდილამდის ერთი საუკეთესო წევრი იყო ამათი საზოგადოებისა. სხვებისაგან ამ წრეში ის განსხვავდებოდა იმით, რომ მაშინ, როდესაც სხვებს მხოლოდ ერთმანეთთან ჰქონდათ კავშირი და გარეშე თავისიანებისა არა ძალა და მნიშვნელობა არ მოელონებოდათ, დავითს სულ მუდამ ჰქონდა ერთობა და მიმოსვლა სხვა წრეებთანაც, როგორც რუსობაში, ისე სომხებში.

ჩამოსულისთანავე რუსეთიდან, 1871 წელს, დავითმა დაიწყო „დროებაში“ ფელეტონების წერა „შთამომავლობითი პოეტის დღიურიდან“. ორის წლის შემდეგ, როცა თავ კონსტანტინე ბებუთოვმა გამოსცა „Тиф. Вестник“-ი (1873 წ.), დავითმა იქაც იწყო წერა იმ-გვარისავე ფელეტონებით, როგორც „დროებაში“, იმავე სახელწოდებით „Наследственныи поэт“. უკანასკნელ გაზეთში ერთხან, როცა ბებუთოვთ წავიდა ქალაქიდან, დავით დარჩა დროებით. რეზაქტორად და გაზეთის ავი და კარგი იმას ეკითხებოდა.

დავითის ნაწერებს ამ ორ გაზეთში ერთი და იგივე ხასიათი აქვს. მის ფელეტონებში ჩვენ ცოცხლად გვხსახება ტფილისის, ქარ-

თული და სიმხტრი საზოგადოება საერთო კრებათა თავად-აზნაურობისა, ქალაქისა, ბანკებისა, სხვადასხვა სწავლულთა და ქველმოქმედთა დაწესებულებათა და სხ.

დავით ამ კრებების ამწერია და მხატვარი, მხოლოდ მოამბის კალმის მაგიერ იმას ხელში კარიკატურის ყარანდაში უჭირავს და ორატარების სიტყვას თავის აწერილობაში განზრას იქითკენ აჭარბებს და აზვიალებს, საითკენაც არის მიღრევილი თვით ორატორი. ამ სტრიქონების წერისას არა მაქვს დავითის ნაწერების კოლექციას და არ შემიძლია მოვიყვანო აქ მრავლად ნიმუშები იმის აწერილობისა. მახსოვს; მაგალითად, მისი სხლომა „განათლების საზოგადოებისა“. ორატორს სასწავლებლები უნდა? ის ათქმევინებცხარე სიტყვას, რომელშიაც ეუბნება საზოგადოებას, რომ ჩვენ ვალს დებულნი ვართ განვანდათლოთ ხალხი, მივსცეთ მას სკოლები, გიმნაზიები და უნივერსიტეტი! ორატორი სამხედრო განათლების და სამსახურის მომხრეა? ის იმას არჩევინებს კათედრიდან, რომ ვისაც შვილები დაებადოს, მაშინვე აკვანში სალდათის მაუდში გაწვიოს და პირზე პატარაობიდანვე იუხტა დააფაროს, რომ შეუყვარდეს სამხედრო სამსახური. ორატორი დავალიანებულია? მისი სიტყვა ეს არის: ბატონებო, მე შიმშილითა ვკვდები, თქვენ სკოლებს მიხსნით! მე მამულს ვკარგავ ვალში, თქვენ უნივერსიტეტზედ ლაპარაკობთ! ახ! ვალებო, ვალებო! და როგორც ოპერეტაში, გააბმევინებს სიმღერას: „ბაღში უარდი რად მინდოდა“-ს ხმაზე:

აბა, სწავლა რათ მიწდა მე,
თუ საგსე ვარ ვალითა მე!
თუ რომა მაქვს კოტრი ჯაბე,
რაც მიშველის სკოლები მე!

ახ, ვალებო, ვალებო!
პრიკაზისა ვალებო!

ვაი! ფულო, რა კარგი ხარ,
მაგრამ სულ სომხებისკენ ხარ!
ჩვენზედ რაზე შემომწყრალხარ,
რას გიშავებთ, ერთი მითხარ,

ახ, ფულებო, ფულებო!
სომხებისა ფულებო!

და სხ. ამგვარუბა. კომედია. „საზოგადო საქმე“ მწვერვალია ამგვარი გადაჭარბებისა. იქ დავითი ათქმევინებს კნეინას: „ვიღაც მასწავლებლები არიან კომიტეტში, სიტყვას არ ამოაღებინებენ კაცს!“

8. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები. II.

„ეგ პედაგოგიურ პრინციპს ეწინააღმდეგებათ!“ „იმ დღეს ეგზამენ-ზედ ვიყავ და მერე ყმაწვილებს კამფეტები გავუგზავნე. წარმოიდ-გინეთ, უკანვე თამიბრუნეს და შემომითვალეს პედაგოგიური პრინ-ციპის ძალით კამფეტების მაგივრად ყმაწვილებს ჩურჩხელა და ფა-ლუსტაკი უნდა ვაჭამოთო!“

ამგვარივე არის დავით რუსულ გაზეთებშიც.

სააზნაურო ბანკის განსხვა რომ მოახლოვდა (1874 წ.), მისი წერის მასალას ეს ბანკი იძლევა. სასამართლოში საჭმე აქვს ქართ-ველს,—პროცესისთვის საჭირო ფული ბანკიდან უნდა აიღოს; ქალს ათხოვებს,—მამული უნდა დაგირავდეს ბანკში და მზითევი იქიდან შემოვიდეს; სულ ყოველ შემთხვევაში, საცა ფული არის საჭირო, იმას პირზე აკერია:

Вот откроют банк дворянский,
в банке все разсудят...

1875 წელს ტფილისის ქალაქის არჩევნების დროს, როცა ქა-ლაქის თავის ადგილს ეცილებოდნენ ერთმანეთს განსვენებული დი-მიტრი ყიფიანი და იერემია არწრუნი, დავითი წერს ნაპოლეონ ამათუნზე, რომელიც იყო თავი მოსარჩეუ არწრუნისა:

На поле он выходит битвы
И перемиалу он поет,
И речь его острее бритвы,
И старики не признает!

-- Нам силы нужны, что б порою
Глава бороться мог слегка—
И тут-же сам стоит горою
За векового старика.

შემდეგ, 1876 წ., როცა ტფილისის კომერციის ბანკში ბანკის გამგეობასა და რჩევას შორის განხეთქილება მოხდა და გამბაროვმა და აბგარ იოანისიანმა თავი დაანებეს გამგეობას, დავითმა პატარა პოემა დაწერა „Гамбароноанисиადა“, რომელშიაც ორი ნაწილი იყო: ერთი „удаление“ და მეორე „возвращение к пенатам“. პირ-ველ ნაწილში, სხვათა შორის, ის წერდა:

Вот перешедши ряд амбаров,
Синой опершись о гранит,
Наш управляющий Гамбаров
С. Абгар. Артемичем стоит.

Не удостоив взглядом,
Твердныю „ власти золотой“,
Он к банку стал надменно задом:
— „Не плюй в колодец, жицый мой!“

მუორე ნაწილში გამბაროვი უბრუნდება ბანკს და, როცა შე-
მოდის, ამბობს:

Я, блудный сын, к тебе вернулся...
Гоняясь праздно за мечтой,
Во всех расчетах обманулся...
Вхожу с повинной головой.

Прости, о бапак, мие прегрешения,
Прости газетную статью,
Прими меня ты без презрения,
Прости мие молодость мою.

მერე მოუტრუნდება ბანკის წიგნებს და ეუბნება:

Привет всем вам, о, nostro conto,
Contocourtanto, арбитраж!
Привет, о loro, о, disconto,
Текущий счет, on call и лаж!

დავით ერისთავი მე გავიცანი 1879 წელს და, რადგანაც აღ-
რინდელს მის მონაწილეობაზე ჩვენს მწერლობაში და მეტადრე
„Тиф. Вестник“-ში არ მქონდა სრული წარმოდგენა, მე ვთხოვე
ნიკო ნიკოლაძეს, მისი დროის უურნალ-გაზეთების ბატონს, დაეწე-
რა რამ მის შესახებ ამ ბიოგრაფიის შესავსებად და დასაბმენებ-
ლად. ნიკოლაძემ უარი მომწერა თხოვნაზე, მაგრამ იმგვარად, რომ
ამ უარშიაც თხოვნის ასრულება გამოდის და ამისთვის მომყავს აქ
ნაწყვეტი მისი პასუხისა შემოკლებით:

„ქმაო იონა... მთხოვ დათიკოს თანამშრომლობაზე „ტფილი-სის მოამბეჭი“ დავწერ ჩემი მოგონება, და აბა როგორ დაიწერება ჩემგან იმ საგანზე რამე ისე, რომ კოტე ბებუთოვის ან ნიკოლინგა არღუთინსკის სურათი არ დავხატო? განა შეიძლება, ეხლა, კოტე ბებუთოვს შევეხო ცალმხრივ, უიმისოთ, რომ სრული მისი ხასიათი, მოქმედება... და სხ. და სხ. არ გამოვსახო?—ათას მაგალითიდან, რომელიც ასაწერი და გასასჯელი მაქვს, ერთს მოვიყვან, და შენ თითონ დარწმუნდები, რომ არა თუ ჩემთვის, შენთვისაც იქნება

շդրութ ան սագրութ ոյուն լրատուկով ծոռցրացուն Շյրա, Ճամսակյուտ-
հեծութ „Ծոյուլուսուն մռամբե՛շի“ տաճամշրոմլուն մերութ.

„Հոգորու առա յրտելու „Խօս. Օօօզրենիւ-Շի ջազեպէլու—
շըրությունու ծեծուոցուն ան սեզա զումես մերութ—1873-Շի հյուն Յո-
րութ լուզացուու յրտաւ ցոյշրոմա սայրութ կազասուու ժրություն
իշե՛շ, լա արամց լա արամց սայրութ շլուլու առ ցացուիու յրտու
մերուց, ան յարտցուլցուն, ան հյուսեցուն, ան սոմեցուն մերուց. ռոմ
ժադցա 1877 լա մուս ասաբէրաւ յարսուսակյուն ցացումցիօվրու, ծեծուոցմա
ամ პորունա ցացունցուա. լազի՛սու ծեծուոցուն ստա՞րուսա „Սա-
տիւ արման ազաւանիք պատկանա Կավկազ“, հոմելշիուց տցալու-
թայլուրաւ ամբուլութնեն, զուտուն սոմեցուն մյօնեցութ, լա մարտո-
սոմեցուն, մոմեցուրա կազասուան ամ մյօւրամեթյ լա մյօւրամեթյ
սայլունցուն պատկանա հաց մոմեցուրա լա տցունուր մատու առա
հա մոմեցուրա. յս ստա՞րու ծեծուրաւ լուց մոմեցուրա լա տցունուր մատու առա
տացածունցուն լա մյօւրամեթյ մյօնու, 1897-Շի, յնուուս սակելու-
տացածունցուն կո լա ապէրունուն ու, մյօնու, յրութուս, գրօնու-
պատելի-ս. հուց յս մյօւրաւ ուստա՞րու լա սոմեցուն սատցուն լուցաւ
սասարցեցու, եռուու հյունուցուն լա մմարեցուելու ստա՞րու վացուութե, լա-
տուուսաւ լա ծեծուոցսաւ մոցնուր յարսուն վոնուան: ծովու, սաց յս
ստա՞րու լա սաց հյունու პորունա-տյու? ծեծուոցմա մոմցնուր, հաս պա-
լունար պայտուն լա սեցասան (յարտցուլցուն), „մարտալու, մալուն սա-
սարցեցու ხար ցանցուուսատցուսու, մացրամ նոյ լա ազություն, հոմ ցանց-
տուց մալուն սասարցեցուու շենուցուսու“. ամ սոմելու յրտամս, հաս-
կայունցուն, մաշինու ցուձասլու ութիւնացուն շերտանու. լա տուկո... լար-
իս ցանցութիւ. մյօնու լա ապաւնութ „Օնզօր“-ո, հոմլուն վոնալմուց ծե-
ծուոցմա լա ամիշաւ, մոցեցեցունցու, ու ոնցուրուց, զուտուն լա նոյուու-
ցեմ յարտցուլցուն լա սանցալու ալցուլութուն. ոնցուրուց յուլու-
լութաւ լա հյուսեցուն մուզուու տացու. ու դրուս ոյու, հոմ ծեծուոցուն
լա արբիրունուն տառսնունիտ ցամարտա ծրամու տություն մուելու յար-
տուլու ոնցուլուց յունուն ստա՞րու վոնալմուց, ծրամու, հո-
մելշիուց ամ եռուու հյունուրաւ ծեծուոցու ծրամունց լա պորուն
սյուրունյաւ սերցու մյուսու. „Ծոյուլուսուն մռամբե՛շի“ մաշին հացու
հյուս: ցուրուց վերուուլմա, այ. վերուուլմա (լուցաւ շեսանունացու վե-
րուուլմա մայքս մուսու, 1876 վլուս, հոմելշիուց մածրալութու, սոմեցուն
հատ ամացրեցու, „Ծոյ. մռամբե՛շի“ հատ մյունանու. մազու „Ծոյ. մռամ-
բուն“ տաճամշրոմլու կո ցանցաւ, հուց մյօնաւ յու ցանցուու!),
ու գոց ցուցեցանուլմա, զուսաւ կո կալմուս նելշիու լա պէրու շեցուլու. ամ
դրուս լա տուկու, հասակայունցուն, ամ եռունշիու մլուրու հուց

„Обзор“-ი რუსეთის ქურნალ-გაზეთობაშ ალტეკცებით მიიღო, დავით ერისთავმა საზოგადოებაში გაავრცელა სიმბოსკის ლექსის პაროდია ჩემ წინააღმდეგ მომართული: „В чаду похвал стольчной прессы... бояюсь родные интересы забросить скоро на чердак!“ იმ ბრძოლის აწერა საჭირო როდია. რა საკვირველია, დათიკო ერისთავი ბევრად უფრო გამჭრიახე და ჭიუიანი იყო, ვინემ დანარჩენი წევრები... ხოროსი. როცა „Обзор“-მა „ტფილისის მოამბეს“ ნამდვილი მიმართულება და მიზანი გამოაქვეყნა, დათიკომ დიდი პატიოსნებით აღშფოთებული წერილი მისწერა ამ გაზეთის რედაქტიის, თქვენთან დარჩენა და ერთად შრომა არ შემიძლიაო, და მართლაც სამუდამოდ მოშორდა მის წრეს, თუმცა მისთვის ეს ბევრად უფრო ძნელი იყო, ვინემ დანარჩენი ჩენი ვითომ მწერლებისათვის, რადგან სომხობასთან მას ნათესავებრივი კავშირი და მატერიალური დამოკიდებულება ჰქონდა მრავალმხროვანი.—ეს ერთი ნიმუში გაჩვენებს, რომ დრო არაა ჯერ ამ საგანგე რამე დავწერო: ნამეტნად რთული, ნამეტნად მდუღარე და ცეცხლამპრიალებელი რამ გამოვაჩემი ნაწერი იმ დროინდელ მოქმედ პირებზე, საქმეებზე, დამოკიდებულებაზე და სხ. და სხ. ცველაზე უფრო გულსაკლავი ის იქნება ამ ძველი ცოდვების სსენებაში, რომ ერთობ და ნამეტნად ცუდ სინათლეში“ ცუდ ფერად გამოიხატება ჩენი „მოწინავე“ ქართველობა. იმ დროისა: ძუძუმწოვარ ბალლებათ გამოვიდენ და არ შინდა, რომ ჩემს მხატვრობას ეს შედეგი ჰქონდეს. ან რა წახდება ვითომ, რომ სულ დავივიწყოთ ეს უხეირო ხანა ჩენი უმეცრებისა? მე შენ გეტყვი, ვითომ მთელი შეცდომის გახსენება ან ახსნა სამერმიოდ ჰქონას გვასწავლიდეს ან შეცდომას აგვაცდენდეს!

....შენგან დაწერილ ბიოგრაფიას, გინდ ვისიმინანიე-ბს, ნება აქვთ შეუხებლად დასტოვონ გინდ უმთავრესი მხარეები დათიკო ერისთავის მოქმედებისა. მე კი არ მომეტევება დათიკოზე რამე დავსწერო და ოპოჩინინი, ან ბებუთოვი, ან გიორგი ჩიქვაძენი, ან გ. თუმანვი ლირსეულად არ მოვიხსენიო. და ეს ერთობ შორს გაგვიტაცებს. მადლობა ლმერთს, დაცხრა ცოტათი საზოგადოებაში მწვავი შეტაცება, გამოწვეული ვანო მაჩაბლის თავხედობით ქართველებს და სომხებს შუა. ჩვენ რა ძალა და უფლება გვაქვს კისმეს შევტაკოთ და ვებრძოდეთ, როცა ამ ბალლურ და ძუძუმწოვარ მდგომარეობიდან ვერ გამოვსულვართ აქნამდი. ლმერთმა ხელი მოგიმართოს, იმ ჩინებული და საცოდავო დათიკო ერისთავის ბიოგრაფიის წერაში, მაგრამ იმედი მაქვს, დამტანხმები, რომ, თუმცა დიდი სიმპატია მქონდა და შემინახავს მისთვის, ნება არა მაქვს მის

ხსოვნას ალა-ალად შევეხო და საბუთიანად, საფუძვლიანად, სინი-დისიერათ არ გამოვსახო მთელი ის წრე, რომელშიაც ის მოქმედებდა „ტფილისის მოამბეჭი“ თანამშრომლობის დროს. ეს დასურათება კი, როგორც პედავ, ერთობ მწვავი იქნება.

დავრჩები შენი ერთგული ნ. ნიკოლაძე“.

„Тифлисский Вестник“-ი რომ მიწყდა, ივანე ფიორევმა და-აფუძნა ქალაქში (1880 წ.) ახალი სატირული ჟურნალი „Фаланга“, რომელშიაც თავნი მონაწილენი იყვნენ: ოპოჩინინი, თხორუესკი, სიმბორსკი და დასაწყისში დავ. ალ. გურამაშვილი. დავით შეუერთდა ამათ და პირველი ნომრიდან დაწყებული თითქმის ყოველ №-ში წერდა წერილებს სათაურით „За добычей“. ერთი ნიმუში ამ წერილებიდან: ქუთაისის სააზნაურო ბანკის არჩევანია. ვიღაც ქალაქელი ჩამოდის არჩევანზე საყურებლად.

— Кого избираете?

— Николая Гогоберидзе.

— А он спит?

— Как спит?

— Так, до трех часов пополудни!

— Нет, он рано встает.

— В банк закладывает?

— Нет, у него собственности нет!

— Вы меня не поняли — я говорю на счет другого банка — т. е. направо, налево.

— Нет, совсем не умеет; даже в „дураки“ никогда не играл.

— В таком случае советую вам его не выбирать, будет плохой управляющий.

ვისზეა აქ გადაკრული, ადვილი გამოსაცნობია, კინც ჩვენი ბანკების ამბავი იცის:

1881 წელს დავითი დანიშნეს გაზეთ „Кавказ“-ის რედაქტორად, ამ გამოცემის ამბავს შემდეგი თავი მოგვითხოვს.

III

დავით „КАВКАЗ“-ის რედაქტორი. — სხვადასხვა მოგონებანი. — დუელი.

1881 წელს რედაქტორის სიკვდილის გამო გაზეთს „Кавказ“-ს განაცემდა გაზეთის კორექტორი კობიაკოვი, რომელსაც ტფილისის გაზეთები დაცინვით „ზაკობიაკოვს“ ეძახდნენ „ზარედაქტორის“ მა-

გიერ. რაც უნდა კარგად წაეყვანა ამ კაცს გაზეთი, ამ წელს შემდეგ რაკი რედაქტორს იჯარის ვადა უთავდებოდა, ახალ წლიდან გაზეთისთვის ახალი რედაქტორი უნდა დაენიშნათ. სხვათა შორის, გაზეთის იჯარით აღება ითხოვა ერისთავმაც. როცა იმან ამ საგნის შესახები თხოვნა შეიტანა კავკასიის მთავარ-სამმართველოში, იმას ჯერ არავისთვის არა ჰქონდა ნათხოვნი გაზეთის თანამშრომლობა. ტფილისის ცნობილ მწერალთაგან მარტო „ტფილისის უწყების“ რედაქტორად ნამყოფ კონსტანტინე ბებუთოვს სთხოვა იმან შემწეობა. ბებუთოვის კალამს ეკუთვნის ის თხოვნა-პროგრამა, რომელიც ერისთავმა წარუდგინა გენერალ სტაროსელსკის, მთავარ-სამმართველოს უფროსს. ამ პროგრამაში, მახსოვს, ბებუთოვი წერდა: გაზეთი ახლა ისეთ დროში მოქმედებს, როცა სასწავლებლიდან უიულ ფერიშ ჯვარი და სახარება განაძევა და ჰპირდებოდა, სხვათა შორის, სარწმუნოების და ეკლესიის მედგრად სამსახურს. გაზეთს შვიდი თუ რვა სხვადასხვა მწერლები თხოულობდნენ და მათ შორის სეთი ცნობილი მწერლები, როგორიც—პალმი (მამა), შავროვი და, არ მახსოვს, რომელილაც პრაფესორი უნივერსიტეტისა, მაგრამ იმ კომისიამ, რომელსაც ჰქონდა მინდობილი იმათი თხოვნის გარჩევა, უპირატესობა ერისთავს მისცა და გაზეთი სამი წლით იმას გადასცეს.

ჯერ გაზაფხულზევე გამოუცხადეს დავითს, რომ იანვრიდან გაზეთი მისი იყო, და დრო საკმაო ჰქონდა, რომ გაზეთისთვის თანამშრომლები მოუწვია, მაგრამ წელიწადი ისე დაილია, რომ იმან ახალი რედაქცია ვერ შეადგინა. ის სულ იმას ანდომებდა დროს, რომ რედაქციის სამყოფი ადგილი როგორმე კარგად მოერთო, გაზეთისთვის ახალი სათაური დაემზადებინა, ქალალდი საკმაოდ დაებარებინა რუსეთიდან და სხ., ესე იგი ცდილობდა მხოლოდ გაზეთის აღმინასტრაციაზე. ამასობაში 1 იანვარი დადგა და სტატიები კი არსად იყო. ნეტაი მეორე ნომრიდან შეიძლებოდეს გაზეთის გამოცემა,—თქვე ერთმა საფრანგეთის მწერალმა, რომელსაც არა ერთი გაჭირვება გამოუვლია ახალი გაზეთების პირველი ნომრის გამოცემით. სწორედ ამას ამბობდა განსვენებული იმ დროს, როცა რაბლეს საათი დადგა და სტამბამ „ორიგინალი“ მოითხოვა. ერისთავმა ჯერ დააპირა პირველი ნომრის მოწინავე სტატიად დაებეჭდა ვლ. მიქელაძის წერილი ლორის-მელიქოვის პოლიტიკაზე, მაგრამ როცა ამის დაბეჭდვა ვერ მოხერხდა რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო, იმან განიზრახა გაეშვა მოწინავედ ჩვეულებრივი წერილი პოლიტიკაზე დინგელშტედტისა (ცენზორის), მაგრამ ახალ

წელიწადს ახალი რედაქციის ხელში ბოლგარიის თნ სერბის შიშ-
დინარე პოლიტიკაზე ბასი ტფილისის საზოგადოებასთან არა-
ფერი რეკომენდაცია იყო რედაქტორისა. და მერე რა რედაქ-
ტორის? ისეთის რედაქტორისა, რომელიც მოწვეული იყო ლიბე-
რალთა რაზმიდან და რომელსაც, როგორც ადგილის მკვიდრს, სა-
მართლიანად ეთხოვებოდა ჩვენი ქვეყნის ავისა და კარგის ცოდნა და
ამ ცოდნის გამოჩენის შემთხვევა ეძლეოდა პირველსაფე მის მოწი-
ნავე წერილში.

დავითს თავის დღეში ფელეტონის მეტი არა დაუწერია რა
გაზეთებში, მაგრამ როცა შემთხვევამ მოიტანა, გაზეთის მოწინავე
სტატია თვითონვე დაწერა; რომელშიაც გამოისახა ნათლად, რა-
გვარი მიმართულებისა უნდა იყოს კავკასიაში რუსულ ენაზე გამო-
ცემული გაზეთი.

ამ სტატია-პროგრამით ერისთავის „Кавказ“-ის პირველი
ნომერი გამოვიდა 1882 წლის 1 იანვარს, ახალის, ლამაზის სათა-
ურით, რომელიც ვაზის ლერწმისაგან იყო შეთხული გრ. ტატი-
შვილის მიერ.

დავითის ახალმა რედაქციამ თავში ვერ დააკმაყოფილა ვერც
მისი შეგობრები და ვერც მეტადრე მტრები. მისმა ოდესმე მეგო-
ბრებმა აი რა უძლვნეს იმას „Гусли“-ს ნომერში:

Сказал ты, завладев „Кавказом“:
„Я изменю сей орган разом

Не буду я таков,
Каким был Кобяков“.

Но доказал твой первый номер,
Что Кобяков в тебе не умер.

ამავე ნომერში დაიბეჭდა პალმის პაროდია „Кавказ“-ის პირ-
ველ ნომერში დაბეჭდილი ფელეტონისა.

თვითონ დავითი გაზეთში ცოტას წერდა: წელიწადში, მგო-
ნია, სამ-ოთხ წერილზე მეტი არ დაბეჭდილა მისი კალმისა გაზეთში,
მაგრამ მცუადინეობდა, რომ გაზეთში მოეწვია სხვადასხვა მწერ-
ლები.

ჭისი მუდმივი თანაშრომელნი იყვნენ: ილია ბახტაძე (ხონელი),
სოფიო დანილოვისა სტ. გულიშამბაროვი, ლინ ძმა დინგელშტე-
დტი, ერიწოვი, გლ. მიქელაძე, სტ. ჭრელაშვილი, სტადლინა, აშ
სტრიქონების უტორი და სხვ. მათგან რედაქციაში გამოგზავნილ
ხელნაწერებს დავითი თითქმის არ ჭითხულობდა.

პოლიტიკურს, მოწინავე წერილებს ჯერ წერდა გაზეთში დინიელშტედტი (ცენზორი) და შერე, როცა ეს გადასახლდა შვეიცარიაში, სტადლინი, მაგრამ მალე სტადლინსაც უნდა დაენებებინა თავი გაზეთში მონაწილეობისათვის და ის რა მიზეზის გამო. ერთ დროს სტადლინის სტატიები სიამოვნებით იკითხებოდნენ ტფილის სის გაზეთებში და ახლაც მის წერილებს დახელოვნებული მწერლის ხელი ეტყობოდა. ითას „შეხვდა მოწინავე წერილების წერა იმ დროს, როცა ტფილისის გაზეთებში საშინელი გინება იყო „მოსკოვის უწყებისა“, რომელიც უმართებულოდ შეეხო საქართველოს დროშას „სამშობლოს“ წარმოდგენის გამო. ამ გაზეთებში „კავკავ“-ისხევაზე მეტს ლალადებდა, რადგანაც „სამშობლო“ მისი რედაქტორის დრამა იყო, და მოსკოვის გაზეთს სულ მიწასთან ასწორებდა.

სწორედ ამ პაპანაქება გინების დროს „კავკავ“-ის რედაქტორი ინახულა გიორგი თუმანიშვილმა, მეგობარმა.

— კნიაზო დავით, ვისი დაწერილია დღევანდელი მოწინავე სტატია?

— სტადლინის.

— იმისივეა, ალბათ, ყველა ის სტატიები პოლიტიკაზე, რომელიც ამ უკანასკნელ ორ-სამ თვეში იბეჭდებოდა გაზეთში.

— დიახ, იმისი და მე ვაკვირვებული ვარ, როგორ ასწრებს ეს კაცი წერას, დღით გიმნაზიაში არის ორ-სამ საათამდის და ნასაღილებს „კრუზოკში“ მიდის, საცა რჩება შუალამემდის, მთვრალი, გაზეთქილი,

— „მოსკოვის უწყებაზე“ სტატია ბი ხომ მისი დაწერილი არ არის?

— არა.

— მადლობა ლმერთს, პურ-მარილის შენახვა მაინც სცოდნია

— რა პურ-მარილია?

— ის, რომ ყველა ის მოწინავე წერილები, რომელსაც შენ ჰქონდავ, გადმოწერილია „მოსკოვის უწყებიდან“.

და აქ თავ. თუმანიშვილმა გადაუშალა რედაქტორს ერთი მეორის გვერდით ქალალდზედ დაწებებული „მოსკოვის უწყების“ და „კავკაზ“-ის სტატიები უკანასკნელ წერტილამდის მსგავსი ერთი მეორესთან.

ეს იყო და ეს. სტადლინს შერე არ გაუვლია რედაქტირიაში, სარდანაც რედაქტორმა გააგდო ის. მადლობა ლმერთს, „მოსკოვის უწყებას“ ეს ამბავი არ შეუტყვია, თორემ შენი მტერი.

დავითს ვრცელი წერილები არ უყვარდა, რომელიც სამ-ოთხ
ნომრებში გაგრძელდებოდა.

ერთხელ შემოვიდა რედაქტირიაში ერთი ახალგაზრდა, ნასწავლი,
ტომით სომეხი.

— გთხოვ, ეს სტატია დამიბეჭდოთ გაზეთში ფელეტონებად, —
სთქვა იმან და გაუწოდა რედაქტორს ვებერთოელა რვეული.

რედაქტორს არაფრად იამა რვეულის სიღილე, მაგრამ ხელნა-
წერი მიიღო და სთხოვა უცნობ დოქტორს — რედაქტორმა თვალი
მოჰკრა, რომ სტატიის ბოლოს იყო მოწერილი „დოკტორ A — ჩანს“ —
ერთი კვირის შემდეგ შემოსულიყო პასუხის მისაღებად.

დანიშნულ დღეს მწერალმა მოიკითხა თავისი ხელნაწერი:

— უკაცრავად ვარ თქვენთან, მაგრამ მარჯვე დრო ვერ ვი-
შოვე გადამეთვალიერებინა თქვენი ნაწერი. გთხოვ, რამდენიმე დღე
შიდევ მომითმინო, — სთხოვა რედაქტორმა.

ორი კვირის შემდეგ ა — ნცმა ხელახლა შემოაღო კარი რედა-
კტირიაში. რედაქტორს არც ახლა ჰქონდა წაკითხული მაგრამ ამის
აღსარებას იმან არჩია „პიჯ ვი ციასენიე“ და თამამად შეუტია:

— თქვენი ნაწერი რედაქტირამ განიხილა და ლირსეულად იცნო
იგი დაბეჭდვისა, მაგრამ...

— მაგრამ?

— რედაქტირა ერთდება მოათავსოს ყოველდღიურ პოლიტი-
კურ გაზეთში სპეციალური წერილები მედიცინის შესახებ.

— დიახ, კარგი, მაგრამ ჩემს წერილში მე კავკასიის მეურნე-
ობაზე და მრეწველობაზე მაქვს ბაასი და არა მედიცინაზე.

— ახ, უკაცრავად, გაისწორა პირი რედაქტორმა, მაგრამ
რაღა გაისწორა?

თურმე, ნუ იტყვით, დოქტორი კი ყოფილა მწერალი, მაგრამ
არა მედიცინისა, არამედ პოლიტიკური ეკონომიკისა.

როგორც ზემოთ ვთქვი, დავითის თანამშრომლებს სრული
ხება ჰქონდათ ეწერათ გაზეთში საჭირობოზოტო საგნებზე ისე,
როგორც იმათ უნდოდათ, და ამ წდობამ ბევრი უსიამოვნება. შეა-
მთხვია იმას.

ერთი ამგვარი უსიამოვნება მოჰყვა შედეგად ილია ხონელის
წერილებს წინააღმდეგ ტფილისის კრედიტის საზოგადოებისა და
მისი თავმჯდომარის ნაპოლეონ ამათურისა.

თავადმა ამათურა ცუდად ხსენება იუკადრისა და გამოუგზავნა
ერისთავს ორი მისი მეგობარი — აბგარ იოანისიანი და ვ..., რო-
მელთაც მოითხოვეს: ან ბოდიში მოეხადა რედაქტირას გაზეთშივე
ხონელის წერილებისათვის, ან ჩარალით გაესწორებინა დანაშაული.

ერისთავს თავის დღეში ხელში იარაღი არ სჭერია, მაგრამ ადგილი, რომელიც ეჭირა, მოვალეობას სდებდა და მოგზავნილებთან მოსალაპარაკებლად აგვირჩია სოსიკო შალიკაშვილი და მე.

მოლაპარაკებამ ჩვენს შორის სამი დღე გასტანა. ჩვენს რჩევაში მაინც და მაინც სისხლი არავის სწყუროდა, ყველას პირისახეზე გვეტყობოდა სურვილი — მოგვერიგებინა მოწინააღმდეგენი, მაგრამ ენას მაინც ის უნდა ელაპარაკნა, რაც სეკუნდანტებს შეეფერებოდა, და ფართიფურთი ბევრი დავხარჯეთ ორიფე მხრით. მეტადრე თავაწევით იყო ჩვენს შორის განსვენებული სოსიკო შალიკაშვილი, თავისთავად მშვიდობიანი კაცი, მაგრამ ჩვენთან შედარებით ნამდვილი ბრეტორი, რომელიც სულ სისხლს თხოულობდა.

ბოდიშის მოხდის ფორმაზე რომ ვერ შევთანხმდით, საქმე იარაღზე მიდგა. დუელის იარაღად ამორჩეულ იქნა დამბაჩა. წინა დღეს დავით წავიდა ქალაქს გარე, ვერისაკენ, რომ ნამდვილად დარწმუნებულიყო, შეეძლო თუ არა იმასაც დამბაჩის ხელში დაჭრა და გასროლა, და რამდენიმე ხანი ტრიალ მინდორში ავარჯიშა თავისი მარჯვენა.

— არა, ვინც სთქვა, ტყვიისა არ მეშინიანო, უტყუვნია, — დამიძახა იმან, როდესაც ამ რეპეტიციის დროს ნიშანში ამოვილე ის და სროლა დავუპირე.

იმ საუამოს ყველა საჭირო თავდარიგი დაჭრილი იყო, დამბაჩები ვიყიდეთ, ექიმები შოვიწვიეთ. ერისთავის მხრით იყო მოწვეული მინკეციჩი, დავითმა წერილი დაწერა სახლობასთან. დაშეორე დილას კიდევ უკანასკნელჯერ შევიყარენით სეკუნდანტები დაუკანასკნელი მეცადინეობა გავსწიეთ, რომ როგორმე მოგვერიგებინა მოწინააღმდეგენი. ეს ჩვენი კრება ნაყოფიანი შეიქნა. ერთმადაუკლო პრეტენზიას, მეორემ წაუმატა ბოდიშს და დუელი მორიგებით გათავდა, რომელსაც მოჰყვა შერიგების სადილი „ევროპის“ ბაღში, აბგარას მშვენიერი სიტყვებით.

უფრო გემრიელი სადილი შე არ მიჰამია.

გაზეთის არენდის ვადა ბოლოზე რომ მიდგა, დავითმა ბევრი იმეცადინა ახალი ვადით დატოვებინათ მისთვის გამოცემა, მაგრამ მისი მეცადინეობა ამაო შეიქნა, გაზეთი გადასცეს ბ. ტებენკოვს.

IV

დავით როტშილდების სამსახურში. — ბაზონესა როტშილდის ვიზიტი.

„კავკაზ“-ის ჩამორთმევით დავითს მოაკლდა 16 ათასი მანეთოწლიური შემოსავალი და თან საპატიო ადგილი გაზეთის რედაქტო-

რისა და გამოცემლისა. ამას იქნით დავითმა ექვსი წელიშადი ზურ-
ცხლა და ეს ექვსი წელი სულ იმის ფიქრში გაატარა, რომ როგო-
რმე უკანვე დაებრუნებინა ეს „დაკარგული საშოთხე.“ 1890 წელს,
როდესაც დავით, თითქმის მომაკვდავი, წაიყვანეს მანგლისს, ის ეუ-
ბნება ბიჭს: „ბიჭო, ფრაკი არ დაგავიწყდეს, დამჭირდება“. გაზეთის
ახლად გამოცემის ვადა მოახლოებული იყო და მანგლისისაკენ
—კოჯორს—იყენენ იმ ზაფხულს ის პირები, რომლებისგანაც დამო-
კიდებული იყო გაზეთის გამოცემა. მაგრამ ბედს არ უნდოდა, რომ
დავით ხელახლა გამხდარიყო „კავკაზ“-ის რედაქტორად.

დავითს საკუთარი ქონება საკმაოდ ჰქონდა, რომ ეცხოვდა, მაგრამ იმას უფრო უადგილობისა და უსაქმობისა ეშინოდა და
ამიტომ, ჩამოართვეს თუ არა „კავკაზ“-ი, ის შეუდევა ახალი საქმის
შოვნას.

ეს ახალი საქმეც მალე აღმოჩნდა, რადგანაც იღბალს სულ
დაგითისაკენ ჰქონდა პირი:

1886 წელს ინუენერმა პალაშკოვსკიმ თავისი ნავთის წარმო-
ება ბაქოში და ბათუმს მიჰყიდა პარიზელ როტშილდებს, სხვათა
შორის, ნიკო ნიკოლაძის საშუალებით, რადგანაც როტშილდებს,
როგორც უცხო ქვეყნის კაპიტალისტებს—ებრაელებს, არა ჰქონდათ
ნება თავის სახელით ეწარმოებინათ საქმე რუსეთში, იმათ შეადგი-
ნეს საზოგადოება, დაამტკიცებინეს წესდება და, როდესაც გამგეო-
ბის წევრების დანიშვნაზე მიდგა საქმე, ნიკოლაძემ წარუდგინა მათ
კანდიდატებად დავით ერისთავი და კოლა ორბელიანი. როტშილ-
დებმა პატივი სცეს ნიკოლაძის რეკომენდაციას და დავითი, ორბე-
ლიანთან ერთად, დანიშნულ იქნა ახალი საზოგადოების გამგეობის
წევრად. არ ვიცი, რა სიტყვებით ელაპარაკა ნიკოლაძე როტშილ-
დებს, მაგრამ, თითქო იქ ვიყავით, ისე მესმის ყურში ნიკოლაძის საუ-
ბარი: L'ancien redacteur du journal officiel... L'ancien procureur...

დავით შევიდა სამსახურში და აპირებდა თავისებურად საქმის
გამგეობას ისე, როგორც წესდება უბრძანებდა, მაგრამ მალე დარ-
წმუნდა, რომ ის საქმის წარმოებისათვის არ იყო არჩეული. საქმე-
შიჰყავდათ თვითონ როტშილდის მოსამსახურე პირთ, რა ღრი იქ-
ური დირექტორები იყვნენ არჩეული საერთო კრებისთვის, უფრო
ფორმისათვის. ათასში ერთხელ თუ შეიხედავდნენ საღმე კანცელა-
რიაში ან წარსლებოდნენ ვისთანმე შუამდგომლობით, თორებ ეს
დირექტორები უმეტეს ხანს საქმის გარეშე იყვნენ.

გამგეობის წევრად ყოფნის დროს 1888 წ. დავითმა მიიღო
ბაქოს ქარხანაში ხელმწიფე იმპერატორი. ოჯახობით.

სიტყვაზე; ამ წელს ჩამოვიდა ქალაქს ბარონი გუსტავ ლოტ-შილდი ცოლით და იმ ბალზე, რომელიც საქართველოს თავად-აზ-ნაურობამ გაუმართა ხელმწიფე იმპერატორს, როტშილდის და და-დავითის ოჯახობა ერთმანეთს გაეცვნენ. ამას შემდეგ ერთ სალაშოს როტშილდის ცოლმა ინახულა დავითის ოჯახობა.

დიდხანს იჯდა სტუმარი დავითისას და, როდესაც იმან წა-სულა დააპირა, მასპინძელი გამოვარდა წინა ოთახში, რომ შეეტყო, თუ ეტლი მზად იყო. დავითს იქ დაუხვდა კომისიონერი, რომელიც ახლდა ბარონესას.

- ფაეტონი ხომ შზად არის?
- როგორ ფაეტონი? განა ქალბატონმა ბრძანა?
- რა დიდად გაგიკვირდათ?
- ის, ბატონო, რომ დღეს შაბათია და ბარონესა შაბათო-ბით ფაეტონში არა ჯდება.

დავითი ისევ შებრუნდა დარბაზში, ვითომდა აქ არაფერიაო, და ძვირფასი სტუმარი სასტუმრო „ლონდონამდის“ გააცილა.

დავითს უნდოდა სამსახურის საქმეთა გამო გადასახლებუ-ლიყო ბათუმს და ყური ეგდო ქარხნისთვის. ის ჩავიდა კიდეც ამის გამო ბათუმში და, მგონი, სახლიც იქირავა, მაგრამ როტ-შილდების მოხელეებმა აქ იმას აგრძნობინეს, რომ ბათუმის ქარხნის და ვაჭრობის წარმართვაში იმას ადგილი არა ჰქონდა. დავითმა ეს ერთ ხანს იუკადრისა და უნდოდა როტშილდებთან წიგნი მიე-წერა, შაგრამ ნაცნობ-შეგობრების რჩევით თავი დაანება.

როტშილდების სამსახურში დავითი დარჩა სიკვდილის დღემ-დის. 1889 წ. ის ამ სამსახურის გამო გაემგზავრა პეტერბურგს, საცა წარსდგა ფინანსთა მინისტრთან და საჯაროდ წაიკითხა ნავ-თის წილმოებაზე მოხსენება.

V

დავით საადგილ-მამულო ბანკის გარშემო

ბევრის ხნით უწინ, ვიდრე „კავკაზ“-ის რედაქტორი გახდე-ბოდა დავითი და როტშილდების სამსახურში შევიდოდა, იმას გული უთქმიდა გამხდარიყო ტფილისის საადგილმამულო ბანკის დირექტორად. ეს ბანკი გაიხსნა 1874 წელს, იმ დროს, როდესაც და-ვითს, 27 წლის ყმაწვილკაცს, უნივერსიტეტში ნასწავლს, ჩვენს მოწინავე საზოგადოებაში შესულს, სრული უფლება ჰქონდა და-კირა ეს იდგალი, შაგრამ, როგორც ამბობენ, ილია ჭავჭავაძეს არ უნდოდა მისი ბანკში ყოფნა და დავითის კანდიდატურა ამიტომ

ჩაიშალა, თუმცა იმას საკმაო მომხრეები ჰყავდა ქალაქში და მეტა-
დრე ქართლის თავად-აზნაურობაში. მეორე არჩევნების დროს და-
ვითის პარტია უფრო ძლიერი იყო, ზაგრამ მისი ბანკში შესვლა
არც მაშინ მოხერხდა. მიზეზი თვითონ დავითისაგან გამიგონია.
ყველაფერი თურმე მზად იყო, რომ ის დირექტორად ამოერჩიათ,
მაგრამ როცა კრების თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ რიგი
არჩევანზე მიღება, წამოდგა თავ. გრიგოლ ორბელიანი და თქვა:
ახალი კაცები სად ვეძებოთ, ვინც არიან ბანკში, ვინც გაიცვნეს.
იმის საქმეები, ისევ იმათ ვთხოვოთ დარჩენენ სამსახურშით. გრიგოლ
ორბელიანის წინააღმდეგ ლაპარაკი ვერავინ გაბედა, კახელებმა
მისცეს ორბელიანს ბანი, „დარჩენენ, დარჩენენ“, იგრიალა საზოგა-
დოებამ და არჩევანი გათავდა par acclamation. დავითი და მისი
პარტია რიყეზე დარჩენ.

არჩევანი რომ გათავდა, კრებაში დაიწყეს ჩვეულებრივი მი-
თქმა-მოთქმა.

— ტივებით და ნავტიკებით ჩამოვიდნენ ქართლელი? მეკენჭე-
ები, მაგრამ ვერა გააწყეს რაო,— იძახდენ კახელები.

— ქიზიულ ვირებით ჩამოსვლას ტივით მოგზაურობა არა
უჯობიაო? გულს იკეთებლნენ ქართლელები.

ამ არჩევანის მომგონემ, ილია ჭავჭავაძემ, მიამბო შემდეგი
სცენა.

კრება-რომ აიშალა, დარბაზში ჯგუფ-ჯგუფად დაეწყვენენ ამომ-
რჩევლები და ლაპარაკობდნენ. ერთი ჯგუფიდან, რომელშიაც ერია
დავითი, ილიას შემძეგი დიალოგი დრვითსა და მის ამომ-
რჩეველს შორის.

— კაცო, ეს რა მიყავით?

— ასეა, კნიაზო, მტკვარი განა სულ დაღმა მიდის? ხანდა-
ხან აღმაც მიედინებაო,— უპასუხა ამომრჩეველმა.

როგორც პირველად, დავითი თავის ამოურჩევლობის მიზეზად
ხდიდა ილია ჭავჭავაძეს. ამიტომ, თუმცა ის დიდი თაყვანისმცემელი
იყო ჭავჭავაძის ნიჭისა, როგორც პოეტისა, ის არ თანაუგრძნობდა
მას, როგორც საადგილმამულო ბანკის მმართველს და, როგორც
ასეთს, ხშირად იხსენიებდა პგიებით მწერლობაში. 1876 წელს, რო-
დესაც ნიკოლაძემ კრიტიკულად განიხილა ბანკის ანგარიში და
თქვა, რომ ბანკს ორჯერ მეტი სესხი გაუცია ქალაქის მამულებზე,
ვიდრე სოფლის მიწებზე, დავითი წერდა გაზეთში: Когда г. Никола-
дзе заметил, что банк имеет более оснований именоваться горо-
дским кредитным обществом, то председатель правления Зем-

ельного банка Кн. И. Чавчавадзе ответил в своей статье (с куплетами, он без этого не может писать) следующими знаменательными словами: Что из этого? Хотя апельсин и желтого цвета, но из этого, конечно, не следует, что бронза, будучи вдвое желтее апельсина, имеет вдвое больше оснований называться апельсином".*

და ბოლოს ღილადჰუმფდა:

Как вам нравится эта померанцевая логика апельсиновой премудрости? სხვაგან და სხვა შემთხვევაში დავით—რამეთუ კაცნი ვართ—პირდაპირ ჰემობს ჭავჭავაძის დაუდევრობას ბანკის საქმე-ებში.

როდესაც გაზეთ „დროებაში“ დაიწყეს საადგილმამულო ბანკის წეს-წყობის წინააღმდეგ ღალადი, იმ დროს, როცა ამ გაზეთის რედაქტორი იყო თვით ილია ჭავჭავაძე, ბანკის მმართველი, დავითმა დახატა „ფალანგაში“ ამგვარი კარიკატურა: გაზეთის რედაქციაში ზის რედაქტორი ილია ჭავჭავაძე, ქართულად ჩაცმული, ყურთმაჯებით. მას მიუახლოვდება ევროპიულ ტანსაცმელში გამოწყობილი ბანკის მმართველი ილია ჭავჭავაძე, თავით-ფეხამდი აღჭურვილი იარაღებითა, და დაუმიზნებს ღამბაჩას ამ სიტუაციით:

„Г. редактор, вы оскорбили меня, как управляющего Тифлисским земельным банком, прошу назначить место, время и оружие“.

ბევრი ნაღვლობდა, რომ დავითის შესვლა არ მოხდა საადგილმამულო ბანკში. ამ სამსახურისათვის იმას ბევრი კარგი თვისება ჰქონდა,

VI

დავით—თეატრალი.—დავით—რეჟისორი.—დავით—პიესების მთარგმნელი.—კოტე მესხის მოგონებანი

1883 წ., როცა ქართულ წარმოდგენებს მოუხშირეს და მოუხშირეს, დავითმა მითხრა ერთ სალამოს: დღეს თეატრში ვერ წავალ; მას აქეთ, რაც ქართული წარმოდგენები დაიწყო, ეს პირველად არის, რომ ვაკლდებიო.

და მართლაც, დავით სულ ყოველ სალამოს თეატრში იყო აუცილებლად პირველი რიგის სავარძელზე. თუნდ ერთი და იგივე პიესა ათჯერ ეთამაშნათ—იმ დროში ამდენი პიესებიც არ იყო—

*.) Тифлисский Вестник

დავითი მაინც თეატრში იყო, მისი სამი მანეთი თეატრის კასაში მიღიოდა.

თეატრის სიკვარულიც იმას მემკვიდრეობით ჰქონდა ჩანერგილი გულში. არც ერთ პირველ წარმოდგენას არ დაჲკლებია ის რუსულ ენაზე, არც ერთ ოპერას, არც ერთ სამწერლო და მუსიკალურ საღამოს. რომ ცოტანი დადიოდნენ თეატრში და, თუ დადიოდნენ, დაბალი ფასის ჯდგილებს იჭერდნენ, დავითს ეს დიდად სწყინდა. ალექსანდრე მატინოვი რომ აირჩიეს ტფილისის ქალაქის თავად, დავით წამოდგა უურნალისტების მაგიდიდან, მიუახლოვდა არჩეულს, მიულოცა და უთხრა: ამას იქით მაინც იმედია, რომ თეატრში პირველ წყობაზედ დაბრძანდებით (სულ მეორე წყობაზე იჯდა).

ტფილისის თეატრში დავით მარტო მაყურებელი არ იყო.

ის იღებდა მონაწილეობას¹, რუსულ სცენისმოყვარეთა წარმოდგენებშიაც. 1877 წელს დავითმა ითამაშა „კრუზოპში“ ჩაცის როლი გრიბოედოვის კომედიაში. სიტყვაზედ: ეს კომედია დიდად უყვარდა დავითს და გრიბოედოვის იუბილეის წელს, 1879 წ., გამოსცა „Горе от ума“ ახალი ვარიანტებით, რომელიც ვილაც ქართველის ოჯახში შენახულა გრიბოედოვის დროიდან. იმ იუბილეს გამო დავითმა გრიბოედოვის შესახებ წაიკითხა ჭრცელი წერილი ერთს დიდ კრებაზე.

ქართული თეატრისათვის დავითი ჟავითი ჟაუფასებელი კაცი იყო. ერთა იმ ვიწრო წრეში, რომელთაც განაახლეს ოცდახუთი წლის დავიწყების შემდეგ ქართული სცენა, მამამისისაგან დაფუძნებული. ამ წრეს შეადგენდნენ: დიმიტრი ყიფიანი, მისი ქალი ელენე, ბაბო ხერხეულიძისა, რაფიელ ერისთავი, ნიკო ავალიშვილი, კოლუბანსკი და ბოლოს ჩვენი არტისტები: საფაროვისა, გაბუნია, მაშო ყიფიანი, კორინთლისა, კოტე ყიფიანი, აბაშიძე, მესხი, ალექსი-მესხიშვილი, ყაზბეგი, ცაგარელი, შიშნიაშვილი და ზაალ მაჩაბელი თავისი განუშორებელი ყურთმაჯებით. ამავე წრეს ეკუთნოდნენ არა არტისტთაგან: გიორგი თუმანიშვილი, ალ. სარაჯიშვილი და იოსებ ბაქრაძე.

როცა 1879 წელს ჩვენმა თეატრმა ფეხი იიღვა და ქვეყანაზე გაჩნდა ულვაშმოპარსული ქართველი აქტიორი (პირველი ქართველი აქტიორი, რომელმაც ახაცვალა თავისი ულვაშები ქართულ სცენას, იყო, ვანებ, კოტე ყიფიანი), თეატრის საქმეების გამგედი აირჩიეს ამხანაგობა, რომელსაც წინაპირველად შეადგენდნენ დიმ. ყიფიანი, ნიკო ავალიშვილი, გიორგი თუმანიშვილი, ალ. სარაჯი-

შვილი და იოსებ ბაქრაძე, არტისტული მხარე სცენისა — ჩეუი-სორობა — მიანდეს დავითს.

დავითმა მოჰკიდა ხელი ქართულ თეატრს, მაგრამ თეატრის წარმატებისათვის საჭირო იყო ქარგი პიესები და ეს პიესები არ-საღ მოიპოვებოდა, ერთს ინტერმედიაში, რომელიც დაწერა და-ვითმა ვასო აბაშიძის ბენეფისისათვის, დავითი თვითონ ალაპარა-კებს აბაშიძეს ამ საგანზე: „...პირველი ესა, რომ არა არის რა სა-თაშაშო... მოდი და ამოირჩიე ჩვენს რეპერტუარში ხეირიანი პი-ესა!... გადაჰქექ, გადმოჰქექ და ვერას იპოვნი. ისეთი უაზრო პიე-სებია, რომ შათი ყურება კაცს შეაწუხებს, ისეთი ძველი, რომ ყველამ ზეპირად იცის!“ შერე ჩამოატარებს დავით მობენეფისეს პიე-სის სათხოვნელად რათიელ ერისთავთან, აკაკი წერეთელთან, ვანო მაჩაბელთან, დავით ერისთავთან და ბოლოს ანჩისხატისუბნელთან (ჩვენს დაუვიწყარ პეტრე უმიკაშვილთან), მაგრამ უნაყოფოდ. აი რა სიტყვებით ალაპარაკებს დავითი ბენეფიციანტს პეტრესთან: „ბო-ლოს აიღებ ქუდსა და გასწევ ანჩისხატისუბნელთან. მიხვალ, დაუკა-კუნებ ძველებურად ალაყაფის კარებს... ახვალ აიგანზე... შეს-ჩივლებ შენს „დგმოიარებას“, ერთი მიშველე რამეო, ბატონო პეტ-რეო!.. რაო? პიესა დაგიწერონ?.. ჯერ ერთი მითხარი, ჯამა-გირი რა გაქვსო?.. ეტყვი თვეში ექვსი თუმანი მაქვსო... „ახლა მაგდენ ჯამაგირს რომ იღებ, ცოტას ვერ გადასდებო, რომ წიგნი დაბეჭდო რამეო?— „ფიი!— იტყვი გუნებაში. რას ამბობს ეს კაცი, რა დროს წიგნის ბეჭდვაა!.. არა, ბატონო პეტრე, მაგ ლაპარაკს თავი დავანებოთ... ერთი თუ შეიძლება, ჩემი ბენეფისისათვის პიესა და-მიწერეთ... პიესაო? შარშან არ იყო დაგიწერეთ, მაგრამ რა გამოვი-დაო? არაფერი!.. თქვენ, შვილებო, უკაცრავად მოხსენებაა, შარლა-ტანები და მალჩიშკები ბრძანდებითო; ორი სიტყვა ვერ დაგისწავ-ლიათ ზეპირათაო... შენ არ იყავი, რომ ჩემს პიესაში „შუქის“ მა-გირ „ბუქს“ ამბობდიო?.. განა ლირისი ხართო, რომ თქვენთვის კაცმა იშრომოსო? აი, თუთხმეტი წელიწადია თავში. ერთი პიესის პლანი მაქვსო... ის დრო უნდა წარმოვადგინოო, როდესაც ქვეყანა ჯერ არ დაარსებულიყო, მერე ვთ ითამაშებსო? თქვენ, შვილო, პამპულაობის მეტი არა. იცით რაო!.. გინდაო განა მეორედ „ფა-ლანგაში“ დამხატონო? გირჩევ, ბენეფისის მაგიერ არსენას ლექსი გამოსცეო“.

აი რა მდგომარეობაში იყო ჩეენი რეპერტუარი. რომ გამოე-ხსნა ტრუპა ამ უპიესობისაგან, დავითი თვითონ შეუდგა. იმათ... თარგმნას სხვადასხვა ენებიდან.

დავითმა თარგმნა შემდეგი კომედიები: „მეორედ გაყმაწვილება“, „სადაო მფლობელობა“ . „გეო, მინას და კამპანია“. „საძაგელი“, „პარიზელი ბიჭი“, „მშვენიერი ელენე“, „კეთილი და უმანქოანგელოზი“, „დაროებითი სიყვარული“, „დავიდარაბა, ანუ ორლანო და ლეკვი“ და ბოლოს „სამშობლო“, ყველა, თარგმნილი პიესების ბატონი.

დავითი იყო ჩვენი ნორჩი თეატრის ნამდვილი ლალა. მისგან ნათარგმნი პიესების როლებს ის თავის ხელით უწერდა არტისტებს და უბეჭდავდა გექტოგრაფით.

და რა სიხარულით და სიყვარულით ეგებებოდა დავითი ყოველს ახალ ნიჭის ჩვენს სცენაზე — კოტე ყიფიანს, ვასო აბაშიძეს, კოტე მესხს, ვლ. ალექსი-მესხიშვილს, მარიამ საფაროვისას, ნატო გაბუნიას! მახსოვს, კოტე მესხი რომ გამოვიდა პირველად სცენაზე (თამაშობდნენ „მოტიას“), დავით სიხარულისაგან აღარ იყო. გაათვეს თუ არა წარმოდგენა, ის შევარდა კულისებში და გადაეხვია ნიჭიერ მოთამაშეს.

მე ვთხოვე კოტე — მესხს შეეწია ჩემთვის თავისი მოგონება დავითის მონაწილეობაზე ქართული სცენის საქმეებში და აი რა მომწერა ნიჭიერმა მსახიობმა: „ძალ იონა, 1879 წელს გათავდა ჩვენი აქა-იქ ლოლიალი და სცენისმოყვარეების ძებნა ქართული წარმოდგენების გასამართავად. სექტემბრის თვეში პირველი სეზონი გავხსენით. ქართველი საზოგადოება, მწერლები, მოღვაწენი, ხალხი ალტაცებით მიეგება ჩვენს ნორჩ დასს, მაგრამ ყველაზე უფრო ალტაცებული, ალფროთოვანებული იყო დაუვიწყარი დავით ერისთავი!

ნამდვილი მოყვარული თეატრისა და ხელოვნებისა, თვითონაც არტისტი და დეკლამატორი, განვითარებული გემოვნების, ცოხალი ხასიათის პატრონი დავითი სათავეში გვიდგა!

პირველ ზაფხულშივე ოძისში გადაეთარგმნა და გადაეკეთებინა ოთხი თუ ხუთი პიესა და ჩამოიტანა სეზონისათვის. შევუდექით რეპეტიციებს. დავითი ჯარასავით დატრიალდა. აქ როლს არიგებდა, იქ დეკორაციებს ამზადებინებდა, ერთს ინტონაციას უსწორებდა, მეორეს როლის ხასიათს უხსნიდა, მესამე მკერვალთან მიჰყავდა და ტანთსაცმელს ურჩევდა.

სულ ჩვენთან იყო და, როცა მოგვშორდებოდა, მაინც ჩვენ საქმეს, თეატრის საქმეს, აკეთებდა — გამოურბენდა. თავის ნაცნობებს და თეატრში იწვევდა: აბა, მოდით ნახეთ, რა ნიჭიერად ითამაშებენ ჩვენი არტისტები და ნამდვილ სიამოვნებას მიიღებთო!

წარმოდგენის საღამოს დავითის მლელვარებას და ფაცაფუცს საზღვარი არა ჰქონდა... ცდილობდა, ყველაფერი წესიერად ყოფილიყო.

თუ წარმოდგენა კარგად მიდიოდა, სიხარულისაგან აღტაცებული იყო. შემოიყვანდა კულისებში დიდ ბობოლებს და გვაცნობდა... გვაქებდა იმათთან, ერთს აბონემენტს მიაჩეჩებდა, მეორეს ბენეფისისთვის მეტ პრემიას გადაახდევინებდა, მესამეს გაცხარებული უმტკიცებდა, რომ ჩვენი საქმე სამკვიდრო საქმეა; პენსნერა-მოხსნილი, რომელსაც გაცხარებით ხელსახოცით ასუფთავებდა, თვალგაბრწყინებული გაცხარებით და სხაპასხუპით შოლაპარაკე დავით — ჩანდა, დიდ სიხარულს და სიტკიცებას გრძნობდა, როდესაც კარგად ვთამაშობდით. მაგრამ თუ წარმოდგენა ცუდად მიდიოდა... ეს დიდი შთაბეჭდილების კაცი მოილუშებოდა, დადუმდებოდა, სახე სულ ეცვლებოდა და განუზომელად წუხდა. მგლოვიარე სახით იჯდა დირექტორის ლოჟის კუთხეში და ეტყობოდა, რომ არტისტებზედაც, მაყურებლებზედაც უფრო ის იტანჯებოდა...

1881 წელს, კარგად მახსოვს, მარიამობისთვეში, „დროების“ რედაქციაში ვიყავით ჩემი ძმა სერგეი, სანდრო ყაზბეგი, ვ. აბაშიძე, მე და კიდევ ორი სამი განეთის თანამშრომელი. გაიღო კარები და დავითი შემოვიდა სოფლიდან ახლად დაბრუნებული. ყველას მაშინვე ერთი აზრი მოგვივიდა, რომ დავითს უსათუოდ ახალი რამ ექნებოდა დაწერილი თეატრისათვის, და თითქმის ერთი ხმით მივაძახეთ:

— აბა, რა მოგვიტანე? რა დავვიწერე?

— მომაქვს, მომაქვს! — მლელვარებით და აჩქარებით მოგვაძახა დავითმა. — დასხედით და ყური უგდეთ.

და დავითმა წაგვიტითხა „სამშობლო“. შენ ჩვენთან იყავი ამ კითხვის დროს და კარგად გეხსომება, რა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე დრამამ.

არც ვაცივეთ, არც ვაცხელეთ, ჩვენ მაშინვე შევუდექით „სამშობლოს“ დადგმის მზადებას. დავით და მისი მეგობარი მიხეილ ბებუთოვი გვწრთვილნენ ყოველს რეპეტიციაზე. დავით მეტადრე მკაცრი იყო, თუ ქართულ სიტყვის დაამაზინებდა ვინმე სცენიდან. —

— რა უბედურებაა, ეს „იერთი“? სთქვი: ერთი, ერთი! — მომახებდა ის, როცა შემხვდებოდა ამ სიტყვის წარმოთქმა რეპეტიციაზე. იმერლებს ჩვეულებად გვაქვს: „ერთს“ პირდაპირ გარკვევით ვერ ვიტყვით ყოველთვის ისმის ეს ზედმეტი „ი“.

— ახლა შენ, მიუბრუნდებოდა მეორე არტისტს, „მაცრუნცუნებს“ რა არის? რა ლმერთი გიწყრება! მაძრწუნებს, მაძრწუნებს! —

ყველაზე პირველად ქართველმა ჯეტიორში ქართული ენა უნდა იცოდეს! თორებ ეს რასა ჰგავს!

ერთ ჩვენს ამხანაგს ჩვეულებად ჰქონდა რამდენიმე ასოს ჩაყლაპვა. მაგ. „ვილაპარაკოთ“-ს მაგიერ—სცენიდან გამოისმოდა „გიჭლაკოთ!..“ ან „პატარას“-ს მაგიერ—„პატრა“ და სხვა. უნდა გენახა, ამისთანა რასმეს რომ გაიგონებდა, როგორ შეხტებოდა ჩვენი დავითი.

დიდი მომზადებით „სამშობლო“ წარმოვადგინეთ და ამ პირველი წარმოდგენის შემდეგ დავითის სახელი დაუვიწყარი შეიქნა.

შორს წამიყვანს პირველ წარმოდგენაზე მაყურებელთა აღტა-ცების აღწერა და ათასი წვრილმანის მოგონება, მხოლოდ არ შემიძლია არ გავხსენო დავითის თვალებზე სიხარულის ცრემლები, როდესაც არტისტებმა ხელით ავიყვანეთ ის და ისე გამოვიყვანეთ თეატრიდან.

როდესაც დაფითმა „კავკაზის“ რედაქტორობას მიჰყო ხელი, ჩვენთან ისეთი მუდმივი კავშირი აღარ ჰქონია, ნაგრამ მაინც ჩვენი იყო, ჩვენი თეატრის წინ წაწევას შეჰქაროება. ვენთან წუხდა, ჩვენთან მხიარულობდა.

თუ ვინმე ჩვენგანი ან დაწერდა რასმე, ან გადათარგმნიდა— მივირბენდით დავითთან და წაუკითხავდით. ხან მოგვიწონებდა, ხან გვიძაგებდა შრომას, მაგრამ მაინც ყოველთვის წაგვაზალისებდა—ხოლმე შემდეგი შრომისათვის...

არ მახსოვს იმაზე მეტად თეატრისა და ხელოვნების მოყვარული კაცი. იმის უდროოდ გარდაცვალებით ჩვენი თეატრი ბევრად დაქვეითდა!!“

კოტე მესხისაგან მე უფრო ვრცელ მოგონებას ველოდი განსვენებულ დავითზე, მაგრამ, რომ ასე ცოტა შესაწირავი მივიღე იმისაგან, ამაში მე თვითონა ვარ დამნაშავე: მარტო ერთი საღამო მივეცი ვადა ამის დასაწერად. გვიან მომივიდა აზრში, რომ ქოთნის ამბავი კოვზისათვის უნდა მეკითხა.

VII

სამშობლო

„სამშობლო“ რომ არ დაეწერა დავით ერისთავს, არც მისანაწერების კრებული დაიბეჭდებოდა და არც ეს ბიოგრაფია. სხვა ტიტული იმას ბევრი არა ჰქონდა რა, გარდა ამ პიესის ავტორობისა მომავალ მოდგმათა. საყურადღებოდ. გოეტემ ვერტერი დაწერა და მეორე დილას შესანიშნავ კაცად გამოიღვიძო, — თქვა-

ვილაცამ: დაახლოებით იგივე ითქმის დავიჩი ერისთავშე და შის პიესაზე. „სამშობლომ“ ერისთავი ერთბაშად განასხვავა და გახდა შესამჩნევ კაცად ჩვენს მწერლობაში. სამშობლოსათვის დადგა „სამშობლო“, — დაწერა განსუენებულის ძეგლზე აკაკიმ და უწოდა მის პიესას „ძლვნად და საკურთხად სამარადისოდ“. არც ერთ ფე-ლეტონსა არც ერთ ლექსს არ შეეძლო ისე შორს განეთქვა მისი სახელი, როგორც „სამშობლოს“ წარმოდგენას. ვისაც, ერთხელაც არის, გაუგონია „სამშობლო“ და უწახავს ის შემაძრწუნებელი სცე-ნები, საცა სვიმონ ლეონიძე პირველად დაინახავს ლევანის გაჭრილ-ხელს, საცა მეტეხის ციხეს შეესევა. შაჰ-აბაზის ჯარი; საცა ლევან მიათრევს ქეთევანს ფანჯარასთან და უყვირის „აქ მოდი, აქ დასტკბი შენის საქმითა“ და მერე რაღაცნაირის სატანურის სიაშლებით დაახ-ლის პირზე მოლალატე ქეთევანს ყელზე მობჯენილ ლეონიძის სიტ-უვებს: „ვინც უნდა იყოს დამნაშავე, დაჰკა, ლევან, მით სამშობლოს იცავ, გული გაუჰე, მით საქართველოს იხსნი!“ ო, ვამბობ, ვისაც ეს უწახავს, იმას სამშობლოს დამწერი არ დაავიწყდება. ოცი წელიწადია, რაც პირველად წარმოადგინეს „სამშობლო“, მას აქეთ ვის და სად არ უთამაშინა ეს დრამა, მაგრამ პიესა დღესაც არ ჩამოსულა რე-პერტუარიიდან* და მას ჯერ-კიდევ სულგანაბული უყურებს მთელი ჩვენი გრი.

დავითს ტიტო ქრისტიან მაჭაწონდა სარდტა პიესა. და უნდოდა იმისი ქართული სცენისათვის გადმოკეთება, მაგრამ ჯილდხანს ვერ შეურჩია იმას შესაფერი მომენტი საქართველოს ისტორიიდან: ერთ დროს პიესა გადასცა გარდასაუეტუბლად განსუენებულს დიმიტრი ყიფრანს, მაგრამ ამან პიესას ხელი არ მოჰკიდა. ბოლოს ერთისავე გადაწყვიტა, შაჰ-აბაზის დრო გაეხადა პიესის შინაარსად და, რა გარდიკითხა ამ ლვისისრისხვა კაცზე „ქართლის ცხოვრება“, მიკუ ხელი დრამის წერას, ჭ. ი. თარგმანს. იმას იქით იმას ბევრი არა პერნდა რა თავსატესი, მარტო ქართული სახელებილა სკიროდა იმ დროებისა და ეს სახელები: როინ, ესტატე, ზაზა, გოგია დია-კონი იმან აიღო პლატონ იოსელიანის წიგნიდან „მეფე გიორგის ცხოვრება“. თარგმანი ერთ კვირაში გაათავა. ეს იყო 1881 წლის ზაფხულში.

წერას რომ მლიჩია, დავითმა „სამშობლო“ მწყორდული კრებაზე წაიკათხა „დროების“ რედაქციაში, რომელიც მაშინ მუხრან-ბატო-ნის სახლის შეა-სართულში იყო მოკრუნჩეული, გოლოვინის პროს-

* მხედველობაში მიიღეთ დრო, როცა ეს წალენებულ იყერებილა.—რედ.

კექტზე*. კრებაზე მეც ვიყავი და ნათლად მახსოვეს, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დავითის მშვენიერმა კითხვამ მსმენელებზე. მეტადრე ბედნიერნი იყვნენ კითხვაზე დამსწრე არტისტი—აბაშიძე და მესხი.

არტისტთა წრემ მაშინვე იგრძნო, რაც რამ მანანა ევლინებოდა ზეციდან ჩვენს დამშეულ სცენას, და მაშინვე შეუდგა პიესის დადგმას.

მაგრამ დადგმას დეკორაციები და კოსტუმები უნდოდა, ე. ი. სპირდებოდა ფული, და ეს ფული იმ დროს არავის მოეძეოდა ჩვენში... იგანე მუხრან-ბატონს გარდა, რომელსაც მაშინ საკუთარი ბანკი ჰქონდა გახსნილი. არტისტებმაც იერიში მუხრან-ბატონზე მიიტანეს. ყველაზე წინ ვაჟკაცურად გაემართა მისკენ ვასო აბაშიძე და მას მიჰყვნენ მისი ამთანაგები.

— აბა, რა გნებავთ, რა თეთრი მოგიტანიათ? — შეეკითხა იმათ ხუმრობით მუხრან-ბატონი, როცა არტისტები შემწკრივდნენ მასთან.

ამათ თავისანთი გაჭირვება უამბეს და სოხოვეს მიეცათ ბანკიდან ექვსი თვის ვალით 50 თუმანი „სამშობლოსათვის“ საჭირო დეკორაციებისა და ტანისამოსის დასამზადებლად.

ჯერ დღეს** რა კრედიტი აქვს ჩვენს არტისტს, თორემ ამოცი წლის წინათ ქართული აქტორის თამასუს რომელი ბანკი აიღებდა, მაგრამ მუხრან-ბატონს მოეწონა მათი სითამამე და ფული მისცა.

— აჲა, ესეც თქვენი 50 თუმანი, მაგრამ ერთი კი უნდა დატრიალდე შენებურადო, — უთხრა აბაშიძეს გამოთხოვებაზე მოხუცმა ფეოდალმა.

ფული რომ იშოვეს, ჩვენმა არტისტებმა დაიწყეს ტანისამოსის და დეკორაციის მზადება და შეუდგნენ როლების განაწილებას და სწავლას. მეტების ციხის და სხვა საჭირო დეკორაციების დახატვა მიანდვეს იტალიელ ჯუსტის, ტანისამოსი შეაკერინეს გაგარინის მხატვრობით. რეჟისორობა ჯერ იყისრა თვითონ ერისთავმა და შემდეგ, როცა წარმოდგენის დრო მოახლოვდა, დავითის თხოვნით სტატკოვსკიმ დაიბარა. ალექსანდრებოლიდან იყო თუ საიდანლაც მიხეილ ბებუთოვი, ინუენერი, ჩინებული რეჟისორი და მცოდნე სცენისა, და ამას გადასცა.

* ახლა რუსთველებს პროსპ.—რედ.

** ამ შრომის დაწერის დროს — რედ.

პირველი წარმოდგენა „სამშობლოსი“ გაიმართა 20. იანვარს
1882 წ. სახელმწიფო თეატრში. მტკვრის ნაპირას. წარმოდგენისას:
ნურას მკითხავთ,

მისა მნახაესა ნახული აღარა მოეჭონების.

ეს პირველი წარმოდგენა კი არ იყო „სამშობლოსი“, ეს იყო პი-
რველი ნამდვილი წარმოდგენა ქართულ ენაზე. მე პირველად ამ სა-
ლამოს გამიარა ტანში ურუანტელმა და ვიგრძენი ჭეშმარიტი კმაყო-
ფილება ქართული ხელოვნებისაგან. საფაროვისა, ავალიშვილისა,
აბაშიძე, გაბუნია, მესხი, მესხიშვილი, ყიფიანი—ერთიერთმანეთზე
უკეთესნი იყვნენ. თეატრი იმტვრეოდა შედუღებული ხალხის ტაშის-
კვრისა და ვაშას ძახილისაგან. წარმოდგენა რომ გათავდა, ავტორს
დაფნის გვირგვინი მიართვა საზოგადოებაშ ატლასის აფიშით და
ბებუთოვს დაფნისავე ჩანგი ამგვარივე აფიშით. როცა ეს ორი გა-
მოვიდნენ თეატრის კარიდორზე, საზოგადოებაშ აიტაცა ისინი და
ხელდახელ წაიყვანა ეკიპაჟამდის; აქ უცდიდა იმათ გალერეიდან ჩა-
მოსული ხალხი, რომელმაც ავტორი და რეჟისორი ნაბიჯ-ნაბიჯ გა-
აცილა ბენგალის ცეცხლით და ტაშის კვრით ერისთავის სადგომამ-
დის ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მაყურებლებით მთლად გაი-
ჭედა მიხეილის ხიდი, ასე რომ ერთ დროს მოძრაობა მთლად შე-
ჩერდა. ლამის მეორე საათზე წარმოდგენის ყველა მონაწილე არტის-
ტები ვახშამზე ისხდნენ ერისთავის სახლში და გამარჯვებას ულო-
ცავდნენ ერთმანეთს.

ორა დღის შემდეგ, 22 იანვარს, წარმოდგენა მეორეჯერ გაი-
მართა. როგორც ამ წარმოდგენაზე, ისე სხვებზე, რომელნიც მოჰ-
ყვნენ ზედიზედ, თეატრში ტევა აღარ იყო.

ტფილისის შემდეგ წარმოდგენები გაიმართა ქუთაისს, ბათუმს,
ფოთს და სხ. ქუთაისის საზოგადოების თხოვნით ერისთავი ქუთაის-
შიაც დაესწრო პირველ წარმოდგენას. თეატრში მყოფმა საზოგადოე-
ბაშ აქაც იმგვარი პატივი მიაგო ბედნიერ ავტორს, როგორც ტფი-
ლისში. საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც
მესამე მოქმედებაზე ყიფიანმა მუხლი მოიყარა და საქართველოს,
დროშით ხელში დაიწყო ილია ჭავჭავაძის:

ლმურთო მაღალო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია.

ერთი წილი საზოგადოებისა ფეხზე წამოდგა. ეს იმას ნიშნავს.
რომ მწერალი თითით სწვდა მსმენელის გულში პატრიოტულ სიმებს.

„სამშობლოს“ წარმოდგენას მარტო ესთეტიკური სიამოვნება
კი არ მოუგვრია ქართული საზოგადოებისათვის, „სამშობლო“ იმ-

თაა განსხვავებული ყველა სხვა დრამატიული თხზულებიდან, რომ ამ დრამამ დაამთავრა ის. პატრიოტული ღლზრდა ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც „დროებამ“ დაიწყო და „დედა-ენამ“ ვერ მოათავა, რომ მამული და სამშობლო ენა უნდა უყვარდეს კაცს, ამას თითო წვეთით „დროების“ ყოველ ნომერში შესვამდა მკითხველი. მას სოდეს 1881 წ., როცა აბასთუმნიდან მოვდიოდი ქალაქს, „მიხაილოვის* სადგურზე ერთი მოსამსახურე — „დროების“ მკითხველი — კატლუსი რომ დამიდგა წინ, დაბალი ხმით ჩამელაპარაკა: — მამულისთვის სასარგებლო რამე გააკეთე?

ეს ის დრო იყო, როცა ქალაქებში მოსამსახურე ათასობით ბიჭები შეადგნდნენ უმეტეს ნაწილს ქართული გაზეთის მკითხველებისას, რომელთაგან შემდეგში უნდა გამოჩენილიყო ახლა აქა-იქ ფეხმოდგმული მესამე წოდება. მაგრამ „სამშობლომ“ სამშობლოს სიყვარული განაგრძო იმ წრეებშიაც, რომელთაც კითხვა არ იცოდნენ და მარტო თვალ-ყური ჰქონდათ ამ სიყვარულის სცენაზე დასანახად და გასაგონად.

სარდუმ რომ „სამშობლოს“ წერა დაიწყო თავისთავს ამგვარი კითხვა დაუდგინა: „რომელია“ ყველაზე დიდი მსხვერპლი, რომელიც კაცისაგან შეეწირვის მამულს და ამ კითხვას პასუხიდებისა: ოჯახის ბედნიერებაო. „სამშობლოში?“ ყურით გესმის და თვალით ხედავ, რომ ოჯახის ბედნიერება მარტო თავმოყვარეობაა, რომ ნაშდვილი, მაღალი, ერთადერთი დიალი გრძნობა მამულის ერთგულება, მამულისათვის თავის განწირვაა.

ამის გამო სვიმონ ლეონიძის მსხვერპლის ნახვას სცენაზე ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ იგი ულვიძებს კაცს და ზრდის იმაში ამ დიად გრძნობას — მამულის სიყვარულს.

ეს გრძნობა საზოგადოა მთელი კაცობრიობისათვის, თაყვანსაცემია ყოველი სულდგმულისათვის.

მაგრამ — ეს ქვეყანა ასეა შექმნილი — ამ გრძნობის გამოხატვაში ჩვენს სცენაზე, საქართველოს დროშის დანახვამ, რომლის ვარშემომუხლმოდრეკილნი ლოცულობდნენ კურონხეულნი მამულის დამცველნი, სულ სხვა გრძნობა გამოიწვია „Моск. Вед.“-ის კონესპონდენტის კალმის ქვეშ. გაზეთი უმართებულოდ შეეხო ქარისულ დროშას, ამან გამოიწვია ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამდლოლ შაქრო მაღალაშვილის საყვედური გაზეთ „Голос“-ში. საქმეში წაერიცხნენ ტფილისის გაზეთებიც და გაიშართა გაცხელებული პაერობი. „ფალანგაში“ დაიბეჭდი ურისთვის. შესახებ შემდეგი ლექსი.

* ახლანთილი ხაშური. — რედ.

В порыве молодечества.
Б патриотическом чаду,
Не отыскав отечства,
Его ты занял у Сарды.

ეს ლექსი მოსკოვის გაზეთმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა,
მაშინ „ფალანგამ“ დაბეჭდა, რომ ჩვენ სულ იმ აზრით არ დაგვი-
ბეჭდდა ეს ხუმრობა, რა აზრიც „Моск. Вед“. -ის გულში აქვსო.

უველა ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ „სამშობლოს“ წარმო-
დგენა აკრძალეს და დრამა ქართულ რეპერტუარიდან იქნა გაძევე-
ბული, სანამ ბაბო ავალიშვილის თხოვნით მთავარმართებელმა შე-
რემეტიევმა ხელახლა ნება არ მისცა მისი დადგმისა არტისტის
ბენეფიტზე.

დაქასრულ; კიდევ ერთი სიტყვა „სამშობლოს“ შესახებ. არა
ერთისაგან გამიგონია: დაჭრი ერთისთავის რაო? პიესა ხომ მისი
დაწერილი არ არისო? მართალია, პიესა არ არის მისი დაწერილი, იგი
მხოლოდ გადმოკეთებულია სარდუსაგან, მაგრამ განა ამით უარიყოფა-
დავით ერთისთავის მნიშვნელობა? როგორ? კაცმა მთელ საქართველოს
ტანში თითქო ელექტრონის ძალა გაუტარა, ლამის ისტორიაში არ
ჩააგდო თავი, და თქვენ ამბობთ ეს არაფერიაო? თუ ეს ასე ადვილი
იყო, რატომ თქვენ არ მოსძებნეთ და არ გადაკეთეთ ამგვარი პიესი,
ოქვე კურთხეულის შვილებო!

VIII

დავით — მკითხველი

დავით ერთისთავზე არ შეიძლება ლაპარაკი იმ საზოგადოებას-
თან, რომელიც იმას იცნობდა, ისე, რომ არ შეეხო მის კითხვას. არც
ერთი საქველმოქმედო რუსულ-ქართული სამწერლო სალაშო არ გა-
მართულა ტფილისში მისი ცხოვრების უკანასკნელ 20—25 წლის
განმავლობაში, საცა დავითი არ ყოფილიყო თავ-მკითხველად.

უმეტეს ნაწილად ამ საღამოებზე ის კითხულობდა რუსულ ლექ-
სებს; რადგანაც ქალაქის რუსულ-ქართულ-სომხურ საზოგადოებაში,
რომელიც იკრიბებოდა ამ საღამოებზე, რუსული უფრო სჭრიდა, ვის
დრე ქართული, და ამასთან ქართული ლექსები, მარტო მარკვლები-
შეთანხმებაზე დამყარებული, რუსულ ტონიურ ლექსებთან შედარე-
ბით უფრო ძნელი წასაკითხი იყო. ნურავის ნუ დაკლდება გულს ამის
თქმაზე, რადგანაც რაც ქართულზე ვთქვით, იგივე ითქმის ფრან-
გულ ლექსებზედაც და საცა ამათი ითქმება, დედ, იქ ჩვენიც იყოს-

დავითის ქართული კითხვა მე არ გამიგონია სცენიდან. ერთ
სალამოს, როდესაც დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანს“ ვადარებდით სხვა-
დასხვა ვარიანტთან (1881 წ.), დავითმა წაიკითხა კრებაზე ერთი
თავი რუსთველს ქმნილებისა, მაგრამ მისი კითხვა სრულებით არა-
ფრით არ განსხვავდებოდა სხვა უბრალო კითხულობდა ვახტანგ ორბე-
ლიანის „იმედს“ და ილია ჭავჭავაძის „გრითხელ მე და პაპაჩემს“.
საზოგადოდ ქართულის კითხვაში იმას გაცილებით შორს სჯობნიდნენ
განსვენებული მაჟია გურიელი და მისი კითხვის მასწავლებელი გრი-
გოლ დადიანი (კოლხიდელი).

რუსულ კითხვაში კი დავითს ბადალი არა ჰყავდა ქალაქში,
ქალაქის საზოგადოებამ პირველად გაიგონა მისი რუსული დეკლა-
მაცია ტფილისის კლასიკურ გიმნაზიაში 1871 წელს. ამ წელს ქა-
ლაქს ჩამოვიდა ცნობილი რუსი მწერალი გრაფი სოლოგუბი და
ხელმწიფე იმპერატორის კავკასიაში ჩამოსვლის გამო დაწერა ლექ-
სი „ალავერდი“. დავითმა ამ ლექსის პასუხად დაუწერა მას ლექ-
სი „იახშიოლ“, რომელიც თვითონ წაიკითხა საჯაროდ გიმნაზიის
დარბაზში, დირექტორ ულიაბოვსკის თხოვნით. სოლოგუბის
ლექსი საუცხოო რამ ლექსია და, რაღაც მის „ალავერდს“
თითქო ზედ ასხია დავითის „იახშიოლ“, მე მომყავს აქ ეს ჩინებული
ლექსი, რომელიც მე დიდხანს ვეძებე, სანამ არ წავაწყდი გაზეთ
„Кавказ“-ის კოლექციაში (1871 წ. № 120).

С времен давним давно отжитых,
Нреданьем Иверской земли,
От наших предков знаменитых
Одно мы слово сберегли.
В нем нашей удали начало,
Товарищ счастья и беды,
Оно всегда у нас звучало.
Аллаверды!

Когда досуг кавказский теша.
Простор давая бурдюкам,
В кружке усордном азариша
Гуляет авонко по рукам,
Неугомонно ходит чаша,
И вплоть до утренней звезды
Песется голос толумбаша:
„Аллаверды, аллаверды!“

Аллаверды—Господь с тобою—
Вот слова смысл, и с ним не раз

Готовился отважно к бою
Войной взволнованный Кавказ.
Ходили все мы к схваткам новым,
не дожидаясь череды,
Хвала погибшим, а здоровым — аллаверды!

Одной природой мы богаты,
Но, как в прошедшю века,
У нас под сенью каждой хаты
Есть уголок для кунака.
Наш каждый гость дается Богом,
Какой бы ни был он среды,
Хотя бы в ру比ще убогом,
Аллаверды, мой друг, аллаверды!

Но если гость — отец державный..
Земиому солнцу кто не рев?
Педиумутся на пир заздравный
Казбек, Эльбрус и Аарат,
И грянет дружно всем Кавказом
На все нарецья, все лады,
Одной душой, единым разом,

Аллаверды!

Он осенил нае благодатью.
Детей и жен он наших спас,
Он помнил и меньшую братью.
Он к просвещению двинул нас,
Благословен-же будь судьбою!
Тобою мы сильны и горды,
Великий царь, Господь с тобою,

Аллаверды!

ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ, რასაკვირველია, ახალგაზრდა
დავითის ლექსი არად გამოჩნდება და ამიტომ აქ მხოლოდ თუ
უკანასკნელ ტაებს მოვიუვაბ იმის „იახშიოლიდან“. თოხ პირველ ტა-
ებში დავით ეუბნება პოტს, რაგვარად იცვალა ჩვენი ქვეყანა მას
შემდეგ, რაც ის აქტია წავიდა რუსეთს, და შემდეგ განაგრძობს:

На кахетинское невзгода,
Его не любит уж Тифлис.
Теперь у нас явились мода
На дженку, портер и касис.
Забыта также азарпеша,
Что дух народа изобрел,
Что вызывало предков — тема —
„Аллаверды“ и „яхши-ел“.
И сами вы не те уж стали,

И вас не узнает Кавказ;
Мечты на паре вас примчали,
Вы позабыли тарантас;
К чему бросать, он же сломался,
На путь прекрасный он вас вел,
„Аллаверды“ ваш вам удался,
А мы ответим: „яхши-ел!“

тазис დროზე ეს „ალავერდი“ და „იახშიოლ“ დიდს მოდაში იყო ტფილისში. კოტილიონი ისე არ გათავდებოდა, რომ „ალავერდი“ თუ „იახშიოლი“ არ წარედგინათ ასარჩევად ერთმანეთის-თვის დამა-ქავალრებს.

ამ ლექსის წაკითხვას მოჰყვა სხვა ლექსები სხვადასხვა დროს.

უფრო ხშირად დავით კითხულობდა შემდეგ ლექსებს: „Жрец“ მაიკონისა, „Белое покрывало“ გარტმანისა, „Грешница“ ტოლს-ტოისა, „Казимир Великий“ პოლონსკისა და სხვა.

1883 წ. იმან წაკითხა სცენიდან საგანგებოდ მისთვის დაწერილი პოემა აპაჩინინისა „Святая Нина“, ჩემი გეგმით შედგენილი.

ამას მოჰყვა ლექსი „Кузнец“ კოპესი. ეს იყო მისი უკანასკნელი კითხვა.

მე ვნახე პირველად დავით რუსული ლექსის მკითხველად 1880 წ. დამშეუღებელი ქაზიკის სასარგებლოდ გამართულ საღამოზე. ამ საღამოს იმან წაკითხა შემთხვევის შესაფერი ლექსი პოლონსკისა „Казимир Великий“, საცა სწორედ დამშეუღებზე ლაპარაკი.

ეს იყო ტფილისის საზაფხულო თეატრის სცენაზე. თეატრი სავსე იყო ქალაქის რჩეული საზოგადოებით სამეფო ლოები ბრძანდებოდა დიდი მთავარი ოჯახობით. რომ გამოფიდა სცენაზე, დავითმა მძიმედ თავი დაუკრა დიდ მთავარს და დაიჭირა:

В расписных санях, ковром покрытых,
На распашку в бурке боевой,
Казимир, крульпольский, мчится в Краков
С молодой веселой женой,

შაგრამ რა დაიჭირ? თითქო ბასრის ხმლით გააპო დამძიმებული თეატრის პარტი და მისი წმინდა, მაღალი, ზარისებრ კრიალა ხმა, ძლიერი ფილტვებისაგან ამოსუნთქვილი, შეიჭრა მსმენელთა ყურში და გულში. მკითხველმა პირველსაცე ნახტომიდან დაიმორჩილა მსმენელები. ათასი თვალი მიაჩერდა იმას და იჭერდა ყოფელ-გვარ მის მოძრაობას. დავითი ფრაკია იყო გამოწყობილი, იმას ხელში ეჭირა შაპო-კლიაკი, რომელიც, კითხვის მოთხოვნილებათა გამო, ხან მარჯვენა ხელში ეკავა, ხან მარცხენაში, ხან იღლიას ქვეშ.

ნეს ხან ფართოდ გაშლიდა ხელებს, ხან გულზე დაიკრავდა ზა მაღლა აისვრიდა მარჯვენას, ხან ერთ ნაბიჯს უკან გადასდგამდა და მთელი კორპუსით იქითკენ იწეოდა, ხან წინ მიიწევდა მუქარით და მრისხანებით. როცა ის ჩავიდა იმ ადგილას, საცა მეფე ამბობს:

Завтра же в подры в корысти вашей
Я моя амбара отопру,
Вы... лжецы! глядите, я, король ваш,
Кланяюсь за правду гусятну.

იმან ძალზე მაღლა ასწია ხმა და სიტყვები „Вы... лжецы“ ისე თქვა, რომ თავის მოძრაობამ—თავის მოძრაობა იყო დავითის მთავარი ჟესტი—მეფის გარეშე მყოფი ამალაც დაგვანახა და მეფის ჭყრომაც.

მთელმა თეატრმა აღტაცებით მიიღო დავითის კითხვა. ერთო თდენ სიმბორსკი არ იყო მონაწილე ამ აღტაცებისა.

— Тоже берется за чтение... хлебец.

დავითმა ლექსში:

„Выгодно свой хлебец продают“ ხმა უკანასკნელ მარცვალზე აუწია, მაშინ როდესაც პირველზე ნდომებია.

დავითის კითხვა არ იყო ის ხელოვნური ლეგუვესებური კითხვა, რომელიც ერთგვარად კარგი გასაგონია როგორც ორი-სამი კაცის წინ, პატარა ვიწრო თახახში, ისე დიდი თეატრის ზარბაზში 500-600 მსმენელის წინაშე. დავითი უფრო საჯარო მკითხველი იყო, თუ შეიძლება ისე ითქვას, იყო მკითხველი-ტრიბუნი, რომელსაც ჰქონდა სამისო ძლიერი ხმა და ენერგიული მიხვრა-მოხვრა.

ჩემი ფიქრით, დავითის კითხვის საიდუმლოება ხმის აწევ-და-წევაში უფრო უნდა ეძიოს კაცმა. ის ისე მკაფიოდ მარცვლავდა სიტყვებს, როგორც ბევრი სხვა, ისე „მსუქნალ“ იტყოდა ამ სიტყვებს, როგორც უმეტესობა სცენაზე მკითხველებისა, მაგრამ სიტყვების აწევ-დაწევის შენ მარტო მას ჰქონდა, მისი კითხვის საიდუმლოებას შეადგენდა. საცა ლექსში გამოხატული ვნება მიაღწევს უმაღლეს ხარის-ხამდის, დავით ისე-მაღლა სწევს ხმას, რომ თქვენ წინ გიდგიათ არა მოცულილი მოთამაშე, არამედ თვით ის ვნებული, რომლის ხმა იმდენადვე მაღლალია და მღალადებელი, რამდენად მაღალია მისი გაჭირვება. კრბეს ლექსში „Кузнец“, როდესაც დამშეულ მჭედელს ამ-ხანაგობის ღალატობას დასწამებს ვიღაც ოხერი და ეს უმისოდაც შეწუხებული და მოთმენიდან გამოსული უამოიწვევს ცილისმწამე-ბელს დუელში, პოეტი ათქმევინებს მჭედელს:

„Вдруг я сжал меж рук
Мой горячий лоб, и крикнул: „Ну, пускай семья
Пропадет голодной смертью! На работу я
Не пойду, но за обиду ты заплатишь,—да,
Бог свидетель! Будем драться мы как господа;
Драться здесь, сию минуту. Чем? да молотком?
Ближе шпаг и пистолетов нам ведь он знаком.
Вы, ребята, секунданты. Пара не одна
Молотков надежных в этой куче чугуна
Верно сыщется... Ну, живо, по местам! А ты,
Ты подлецкий оскорбитель честной нищеты,
В руку плюнь, долой рубашку и ступай ко мне!“

როდა აქ ჩავიდოდა დავით, ის წამოისვრიდა მჭედლის ბრაზს
შეელი მისი მკერდით, რაც რამ ძლიერება გააჩნდა მის ფილტვებს.
ოქვენ წინაშე გედგამ გაშმაგებული კაცი, რომლის ყვირილისაგან
ტანზი ურუანტელი გაუვლიდა კაცს. უმეტესობა კაცობრიობისა ის
თავდაჭერილი ფილოსოფოსი არ არის, რომელმაც უთხრა თავის
ღოსტაქარს: მაგრად ნუ მომიჭერ ფეხს, ოორემ მომტეხო, და რო-
ცა ფეხი მართლა მოსტეხა, აუმლვრევლად უსაყვედურა: აკი გითხარ,
მოსტეხ-მეთქი. უმეტესობა კაცობრიობისა ისეა შექმნილი, როგორც
შენ და მე, მეითხველო. ფეხი რომ მოგვტეხონ, ჩვენი ღრიალისა-
გან მთელი უბანი შეჯერებულ იქნება.. დავითიც მჭედლის მუქარას
კი არ კითხულობდა, ყვიროდა, და მთელი თეატრი თითქო შიშ-
ქვეშ სულგანაბული ისმენდა პოემაში გამოხატულ დრამას. როცა
კითხვა გათავდებოდა და მსმენელები მიიღებდნენ შვებას, მათ აღ-
ტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. შეკუმშული სიამოვნება ერთბაშად
გაიშლებოდა და ტაშისცემისა და ვაშა-ვაშას ძახილისაგან თეატრი
ალარ იყო.

ერთხელ, როდა დავითმა გაათავა ამ ლექსის კითხვა და თეა-
ტრი ამ ყოფაში იყო, გაბო ტერ-სტეფანოვმა, მეორე ჩინებულმა
მეითხველმა, თქვა:—„Это не чтение, а игра“. ეს შეიძლება მარ-
თალი შენიშვნაც იყოს, მაგრამ თლონდ კი დიდი შთაბეჭდილება
მთავრის მსმენელზე ლექსისა და რაც გინდა ის დაარქვით კითხვას,
თუნდ „კითხვა“ და თუნდ „თამაში“.

დავით ხმის ამაღლებით განასხვავებდა იმ სიტყვებს და ფრა-
ზებს, რომელთათვისაც უნდოდა მიექცია იმას მსმენელის ყურადღება,
რომლების ქვეშაც ხაზი უნდა გაესვა იმას. როდესაც არქეოლოგიუ-
რი კონგრესი მოიწვიეს ტფილისის ქართულ-სომხურ თეატრში, და-

ვითმა წაიკითხა თხორუესკისაგან საგანგებოდ დაწერილი ლექსი,
რომელიც ასე იშევებოდა:

Привет вам, гости дорогие

ამ ლექსიდან მე მარტო ეს ორი ტაეპი მახსოვს:

И небо, вечно голубое,

И южной неги рай!

იმიტომ რომ დავითმა ამის წაიკითხვაზე პათეტიურია აუშია
ხმა, თითქოს ასე თქვათ: ი ნჰებო ვეეჩნო გოლუბოე..

დავით თვითონ გრძნობდა, რომ მისი კარგი კითხვის საიდუმ-
ლოება ამ ხმის აწევაში იყო და ერთს წიგნში პეტერბურგიდან ისა-
სწერს მის უმახლობელეს მეგობარს:

„Вчера мы были с Цагарели на литературном вечере, на
котором читали все лучшие литераторы, в том числе Полонский
и Майков. Я с страшным нетерпением ждал появления Майкова и,
когда он вышел, у меня сделалось биение сердца! Он очень сим-
патичный старик и превосходно читает; другие же литераторы
понятия не имеют о чтении. Два раза его заставляли читать;
когда в третий раз вызвали, то он обратился к публике с во-
просом: „что вам прочесть? Я не выдержал и крикнул „Жреца“. Но,
к сожалению, он извинился, что наизусть не знает, а тома, в
котором помещено это стихотворение, у него не было с собою.
Фофанов тоже читал, хотел подражать мне, возвысил голос,
но ни к селу, ни к городу, так что вышло комично и публика
разсмеялась!“

მშვებივრად კითხულობდა დავით ფრანგულ ლექსებსაც. ჯერ
უკოლიდანვე ახსოვდა იმას მონოლოგი რასინის „ფედრიდან“ იბო-
ლიტის სიკვდილზე და ხშირად გვიკითხავდა ზეპირად;

A peine nous sortons des portes de Trezéne,
Il était sur son char; ses gardes affligés
imitaient son silence, autour de lui rangés:
Je suivait tout pensif le chemin de Mycènes;
Sa main sur ses chevaux laissait flotter les rênes;
Ces superbes coursiers, qu'on voyait autrefois
Pleins d'une ardeur si noble obe à sa voix,
L'oil morne maintenant, et la tête baissée,
Semblaient se conformer à sa triste pensée.

ერთი უკანასკნელი სიტუაცია დავითის კითხვაზე. დავითს დო-
დად ეშინოდა, რომ თავის რუსულ კითხვაში ცუდად არ წარმო-

ეთქვა ასო „ლ“, და მართლაც იშვიათ ქართველს შეუძლია წარმო-
თქვას წუნდაუდებლად ეს ასო. აბა, სცადეთ და წარმოთქვით ხმა-
მალლა პუშკინის ლექსიდან:

Скинъ мантилию, ангел милый...

კარგად წარმოსთქვით? შეიძლება, მაგრამ კარგად სთქვით თუ
არა, ეს ბუნებით რუსს უნდა ჰყითხოთ. პარიზში მე მყავდა ერთი-
ნაცნობი, გვარად ედანოვი, რომელიც მეუბნებოდა, შენ რომ რუსი
არა ხარ, ეს იმაზე გეტუობა, სიტყვაში ცელოვე „ლ“-ს ვერ ამბობ
რუსულადო.

ათი წლის შემდეგ იგივე გავიგონე შე დავითისაგან.

IX

დავითის აზრი ჩვენს მწერლებსა და მწერლობაზე.

თეატრისა და კითხვის მოყვარე დავითს შემდეგ არ შემიძლია
არ შევსჩერდე ჩვენი მწერლობის მოყვარე დავითს და არ მოვა-
გონო მკითხველებს ზოგიერთი მისი მოკლე ლექსები და მოსწრებუ-
ლი სიტყვები.

ჩვენს მწერლობაში — უურნალისტებში — დავითს, რასაკვირვე-
ლია, ყველაზე უფრო მოსწონდა და უყვარდა ნიკო ნიკოლაძე, რო-
მელსაც კალამი სამ ენაზე უჭრიდა. ნიკოლაძის ნიჭიც ფართოდ
და მძლავრად გაიშალა იმ დროებში, როდესაც დავით გამოვიდა
ცხოვრებაში, ე. ი. სამოცდაათიანებში. კითხვის მცირებულების
ამ წლებში „დროებას“ და „Тиф. Вестник“-ს კითხულობდა
და ამ ორ გაზეთში თავი მწერალი და ძალა ნიკოლაძე იყო. დავი-
თის შეგობრობა ნიკოლაძისადმი ამ დროებიდან იწყება „Тиф. Вес-
тник“-ის ერთსა და ერთს ნომერში 1873 წელს დავითი უერს ნი-
კოლაძეზე:

В те дни, когда Иван Тарханов
В „кружке“ лягушек потрошил
И библиотекарь Наш Иванов
Нам их на блюде подносил

В те дни, исполнен скептицизма,
Злой дух какой-то нам предстал.
И кличкой новой скандализма
Наш ум свободный он смущал,
Не кушая он компаньи сыр Бри,
Антоном был он уличен.

Превозносия комедию „Джибрід“.
 „Дроэбы“ каждый фельетон,
 Не верил только финансистам,
 Проценты Моши признавал,
 И доморощенным банкирам
 В душе фиаско предвещал.
 Порой и в суд он забирался
 С надеждою полной на судьбу
 И, проиграв процесс, он клялся,
 Что суд решает на фуфу!
 Что нашу гласность, все газеты
 За мягкий тон он осуждал,
 И все ва личности памфлеты
 В „Кребул-Дроэба“ он писал.
 Как Боборыкин знал Европу,
 Знаком был также с Лабуле,
 Жал руку Диккенсу, Троллоппу,
 Ледрю-Роллену и Мишле.
 Таков был демон, дух изгнанья,
 Что над журналами витал
 И лучших дней воспоминания
 Он „между прочим“ называл.

ნიკოლაძეც დიდად აფასებდა დავითის ნიჭს. „დროების“ ერთს
 ფელგტონში, რომელშიაც ქართველ ბრერლებს უძღვნა მან თავისი
 ლექსები, ის წერს დავითზე:

უცხო ქვეყნის ცივ შვილებს შვა გამოვზრდილვარ მე ქართველი,
 ნიკიერმა პოეტმა მშვა ნიკიერი დამცინველი,
 ბრძოლა მძულს და მიყვარს ტკბობა, გამარჯვების ტკბილი შვებით,
 მასწავლეთ, მაშ, თუ გწამო ძმობა, ვინ იმარჯვებს თავის ხელით,
 ისე რომ ბრძოლა არ შეხვდეს, არ დასჭირდეს მტკიცე შრომა,
 და სიცოცხლეში ელოდეს მას მხოლოდ ტკბილი განცრომა.

მამია გურიელის თქმისა არ იყოს, ვიწრო წრეში ნიკოლაძეც
 მეფეა და მე არ შემიძლია არ ვუთხრა ამ ლექსის დამწერ მეფეს
 ბუალოს სიტყვები: „Sire, rien n'est impossible à Votre Majesté,
 vous avez voulu faire de mauvais vers; vous y avez pleinement
 réussi de premier coup!“ *

თანამედროვე კახმული მწერლობის ბატონად დავითს მიაჩნდა
 თავ. ილია ჭავჭავაძე, რომელმაც, მისი აზრით, „მსოფლიო კატ-

* თარგმანით ასვ იქნება: „ხელმწიფეო, თქვენი აღმატებულებისათვის
 არაფერია შეუძლებელი, თქვენ მოისურვეთ დაგეშერათ ცუდი ლექსები და თქვენ,
 ეს უცბად შესძელით!“ — ს. ც.

ეთქვა ასო „ლ“, და მართლაც იშვიათ ქართველს შეუძლია წარმო-
თქვას წუნდაუდებლად ეს ასო. აბა, სცადეთ და წარმოთქვით ხმა-
მალლა პუშკინის ლექსიდან:

Скинь мантилию, ангел милый...

კარგად წარმოსთქვით? შეიძლება, მაგრამ კარგად სთქვით თუ
არა, ეს ბუნებით რუსს უნდა ჰქითხოთ. პარიზში მე მყავდა გრიტი
ნაცნობი, გვარად ედანოვი, რომელიც მეუბნებოდა, შენ რომ რუსი
არა ხარ, ეს იმაზე გეტუობა, სიტყვაში ცელოვე „ლ“-ს ვერ ამბობ
რუსულადო.

ათი წლის შემდეგ იგივე გავიგონე მე დავითისაგან.

IX

დავითის აზრი ჩვენს მწერლებსა და მწერლობაზე.

თეატრისა და კითხვის მოყვარე დავითს შემდეგ არ შემიძლია
არ შევუჩერდე ჩვენი მწერლობის მოყვარე დავითს და არ მოვა-
გონო მკითხველებს ზოგიერთი მისი მოკლე ლექსები და მოსწრებუ-
ლი სიტყვები.

ჩვენს მწერლობაში — უურნალისტებში — დავითს, რასაკვირვე-
ლია, ყველაზე უფრო მოსწონდა და უყვარდა ნიკო ნიკოლაძე, რო-
მელსაც კალამი სამ ენაზე უჭრიდა.. ნიკოლაძის ნიჭიც ფართოდ
და შძლავრად გაიშალა იმ დროებში, როდესაც დავით გამოვიდა
ცხოვრებაში, ე. ი. სამოცდაათიანებში. კითხვის მცოდნე საქარ-
თველო ამ წლებში „დროებას“ და „Тиф. Вестник“-ს კითხულობდა
და ამ ორ გაზეთში თავი მწერლალი და ძალა ნიკოლაძე იყო. დავი-
თის მეგობრობა ნიკოლაძისადმი ამ დროებიდან იწყება „Тиф. Вес-
тник“-ის ერთსა და ერთს ნომერში 1873 წელს დავითი წერს ნი-
კოლაძეზე:

В те дни, когда Иван Тарханов
В „кружке“ лягушек потрошил
И библиотекарь Наш Иванов
Нам их на блюде подносил

В те дни, исполнен скептицизма,
Злой дух какой-то нам предстал
И кличкой новой скандализма
Наш ум свободный он смущал,
Не кушал он компаньи сыр Бри,
Антоном был он уличен.

Превозносил комедию „Джибрэль“
 „Дроэбы“ каждый фельетон,
 Не верил только финансистам,
 Проценты Моша признавал,
 И доморощенным банкирам
 В душе фиаско предвещал.
 Порой и в суд он забирался
 С надеждою полной на судьбу
 И, проиграв процесс, он клялся,
 Что суд решает на фуфу!
 Что нашу гласность, все газеты
 За мягкий тон он осуждал,
 И все на личности памфлеты
 В „Кребул-Дроэба“ он писал.
 Как Боборыкин знал Европу,
 Энаком был также с Лабуле,
 Жал руку Диккенсу, Тролоппу,
 Ледрю-Роллену и Мишле.
 Таков был демон, дух изгнанья,
 Что над журналами витал
 И лучших дней воспоминания.
 Он „между прочим“ называл.

ნიკოლაევი დიდად აფასებდა დავითის ნიჭს. „დროების“ ერთს
 ფელეტონში, რომელშიაც ქართველ მწერლებს უძღვნა მან თავისი
 ლექსები, ის წერს დავითზე:

უცხო ქვეყნის ცივ შვილებს შვა გამოვზრდილვარ მე ქართველი,
 ნიჭიერმა პოეტმა მშვა ნიჭიერი დამტინველი,
 ბრძოლა მძულს და მიყვარს ტკბობა, გამარჯვების ტკბილიშვებით,
 შასწავლეთ, მაშ, თუ გწამთ ძმობა, ვინ იმარჯვებს თავის ხელით,
 ისე რომ ბრძოლა არ შეხვდეს, არ დასკირდეს მტკიცე შრომა,
 და სიცოცხლეში ელოდეს მას მხოლოდ ტკბილი განცრომა.

მამია გურიელის თქმისა არ იყოს, ვიწრო წრეში ნიკოლაევი
 ძეფეა და მე არ შემიძლია არ ვუთხრა ამ ლექსის დამწერ ძეფეს
 ბუალოს სიტყვები: „Sire, rien n'est impossible à Votre Majesté,
 vous avez voulu faire de mauvais vers; vous y avez pleinement
 réussi de premier coup!“ *

თანამედროვე კაზმული მწერლობის ბატონად დავითს მიაჩნ-
 და თავ. ილია ჭავჭავაძე, რომელმაც, მისი აზრით, „მსოფლიო კავ-

* თარგმანით ასე იქნება: „ხელმწიფეო, თქვენი აღმატებულებისათვის
 არაფერია შეუძლებელი, თქვენ მოისურვეთ დაგეწერათ ცუდი ლექსები და თქვენ,
 მს. უცმად შესძელით!“ — ს. ც.

შანი“ შემოიტანა ჩვენს მწერლობაში. „კაცია ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“ და „აჩრდილი“ არის საუკეთესო ქმნილება ჭავჭავაძისა. მეტადრე მოსწონდა დავითს მისი წმიდა ქართული ენა. ქართული ენით წერა მარტო ილია ჭავჭავაძემ იცის და რაფერ ერისთავმათ, წერს ის ერთს წერილში „მაჭანკლის“. შესახებ („За добычей. Фаланга, № 22—1881 წ.). სხვისი ქართულისა იმას ბევრი არა სწამს რა, მეტადრე იმერლებისა. „დროება“ იმერლების ხელში იყო და „იმერული გაზეთი“ იყო („Тиф. Вестник“, 1874 წ., № 12). ნიკოლაძე რომ გამოესარჩილა ახალთაობას თავის წერილში „ახალი ახალთაობა“, დავითმა დაუწერა იმას: „пожелаем и мы всего лучшаго этой молодежи и будем надеяться, что она будет знать лучше родной язык, чем ея защитник („Тиф. Вест“, 1873 წ., № 82).

ჩვენს ბელეტრისტიკაში, დავითის აზრით, საპატიო აღგილი უჭირავს ანტონ ფურცელაძეს. იმას დიდად მოსწონს ფურცელაძის „მაცი ხვიტია“. მეტადრე უქებს ის ანტონს ქართველი მებატონის ცხოვრების ხელოვნურად აღწერას („Тиф. Вест.“, 1873 წ., № 93).

ჩვენს მგოსნებში, გარდა ორბელიანისა და ნიკო ბარათაშვილისა, იმას მოსწონს აკაკი წერეოელი და გიორგი ჭალადიდელი.

წერეთელო აკაკია,
გნებავს ებლა შენ რაკია
გამოვიცნო არაკია,
შენგან ნალაპარაკია.

ელალობება ის ერთ ლექსში იკავის.

საზოგადოდ კი დავითს არ უყვარდა, რომ ჩვენს უურნალ-გაზეთობაში ბევრი ლექსი იბეჭდებოდა. კოშედიაში „საზოგადო საქმე“ ის ათქმევინებს ლევანს: „რაც ქართული ენა გაჩენილა, არა ყოფილა ისეთი კაცი, რომ ლექსი არ ეწეროს. ლექსს წერდა მე-ფე, სახლთუცესი, სარდალი, მოლაშქრე, მდივანი, თავადი, აზ-ნაური, გლეხი! ლექსი და სიმღერა—ეს იყო ჩვენი დევიზი! ვარდ-ზამბაზი, ია-ვარდი, ბულბულთ ცეფა, სევდის ბალი—აი, ჩვენი ნაღვა-წი! ერთი მითხარით, განა დრო ჰქონდათ სხვა რამეზე ეფიქრათ? რომ შემეძლოს, კანონს გამოვცემდი და ლექსის დამწერს ციმბირს გავაგზავნინებდი!“

დავითმა ქართული კარგად იცოდა, თუმცა წერით კი იმდენი ბევრი არა უწერია რა. ერთი მოგონება ამ ცოდნის გამო.

ერთხელ უწმიდესი სინოდის კანტორაში რაღაც შემთხვევისა გამო კრება იყო ქართული ენის მცოდნეთა და სხვათა შორის კრებაზე დავითიც მიიწვიეს.

ჩვენები რომ შეიყარნენ, ჩვენებურად დაიწყეს ლაპარაკი, ესე-
ტგი, მოურიდებლად. რაღაც საგანზე გამწვავებული ბასი ატყდა.

— ეს ასე არ არის, — თქვა ვიღაცამ.

— ეს ასე არის, — თქვა განსვენებულმა არქიმანდრიტმა მა-
კარიმ:

— არა, ეს ასე არის, — დაიტინა პირველმა.

— მაშ წტყუანძჭ მ...ი სჭაშოსო, — ამოიყარა ჯავრი გულიდან
მამა არქიმანდრიტმა და მის მოპასუხეს პირზე მიახალა ის შესანი-
შნავი სიტყვა, რომელიც გენერალმა კამბონმა /გაუგზავნა/. ინგლისე-
ლებს ვატერლოოს მინდორზე.

მეორე დღეს ღირსმა არქიმანდრიტმა შეინანა თავისი სიტყვა
და ბოდიში მოიხადა, სხვათა შორის, დავით ერისთავის ჭინაშე,
რომელთანაც ის მოვრდა „Кавказ“-ის რედაქციაში. აკაკიმ რომ
შეიტყო, რისთვისაც მოვიდა არქიმანდრიტი რედაქციაში, თქვა:
მაკარი შემოსულა გუშინ რედაქციაში და უთქვამს ერისთავისათვის:

— წუხელი რომ ვსთქვი კანტორაში, ის თქვენთან დარჩეს,
კნიაზო დავით, გთხოვ, გაზეთში არ ჩაგდოო.

განეთში კი არ ჩაუგდია, მაგრამ სიტყვით კი მთელ ქალაქს
შოსტო ერისთავმა მაკარის სიტყვა, ამგვარი ანეგდოტები მისთვის
ჰური იყო.

X

დავით ჭერბი კაცი. — მისი შინაურობა. — ავადმყოფობა და გარდა-
ცხალება.

მას აქეთ, რაც დავითი რუსეთიდან ჩამოვიდა 1871 წ., ის მუ-
დამ ქალაქში ცხოვრობდა, გარდა ზაფხულის თვეებისა, რომელსაც
ატარებდა სოფ. ოძისს თავის მამულში და ხანდახან წყლებზე:
ბორჯომ-აბასთუმანს, ან პიატიგორისკის ჯგუფებზე.

მის ოჯახს შეადგენდა: დედინაცვალი მართა თარხნიშვილის
ასული, მეულლე მარიამ ზაქარია სარაჯიშვილის ასული (ჯვარი-
დაიწერა 10 თებერვალს 1875 წ.) და ერთადერთი ქალი ლიზა,
რომელმაც ჩამომავლობითი სიყვარული ქართული მწერლობისა-
დმი უკვე გამოიჩინა ამ დღეებში მით, რომ გახდა რედაქტორი ქართუ-
ლი საყმაწვილო უურნალის „ნაკადულისა“. ვინც თქვა: ჯინჭრის
ნაძირალზე ჯინჭარი ამოვაო, ეს სწორედ გიორგი ერისთვის მემკვი-
დრეებზე უთქვამს: პაპა, მამა და შვილი — სამი მოდგმა — ყველა რე-
დაქტორები და მოყვარენი ქართული მწერლობისა.

დავით იყო სიტყვის კაცი, ბეჯითი, მუყაითი, ხარჯში თავ-
ჭაპერილი (ფულის ყაირათი ალიხანოვებიდან მოსდევდა). მოწე-
რილ წიგნს პასუხის გაცემა რომ უნდოდა და ვიზიტს მაგიერი ვი-
ზიტი, ჩვენში ეს ყველაზე უფრო იმან იცოდა. ის ყველაფერს თავის
დროზე აკეთებდა. ორბელიანის თქმისა არ იყოს, იმას ერთჯერაც
არ უთქვამს: „მერე გავაკეთებ, ხვალ გავაკეთებ; აბანოდან რომ მო-
ვალ, მერე გავაკეთებ.“ სიტყვა „დამავიწყდა“ მისითვის არ არსე-
ბობდა. მისი საათი ქალაქის ზარბაზანს ჯიბრს უწევდა. თერთმეტ
საათზე დავითი უთუოდ ბულვარისაკენ მიედინებოდა ნელის ნაბი-
ჯით, თითქო ტანის ზიდვა ემძიმებოდაო, განუშორებელი ჯოხით
მარჯვენა ხელში და პენსნეთი. თუ გაივლიდით მასთან, ლაპარაკის
დროს შეატყობით, რომ იმას ერთ ყურში სმენა ჰქონდა დაკარ-
გული.

დავით იყო მოძრავი კაცი, მუდა ახალის მძებნელი. სულ
ყოველგვარი გამოგონება თუ ახლად გამოცემული საინტერესო წიგ-
ნი დავითს სხვაზე უწინ უნდა ჰქონდა. ყოველი ახალი კაცი სხვა-
ზე უწინ უნდა გაეცნო.

პირველი ტელეფონი ქალაქში იმან გააკეთა დავით სარაჯიშვი-
ლის სახლიდან, სასახლის ქუჩაზე, მთავარსამმართველოს სტამბაშ
დის; ლორის მელიქოვის ქუჩაზე პირველ გექტოგრაფზე ტფი-
ლისში მისი ნაწერი დაიბეჭდა, პირველი თავის საკრეპი მაშინა იმას-
მოუვიდა.

ქალაქში ჩამოსული უცხო ქვეყნის მწერლები პირველად მას-
ეცნობოდნენ, ერთმა პირველთაგანმა გაიცნო იმან ქალაქს ახლად
ჩამოსულნი გერმანელი მწერლები ბარონესა სუტნერი და ლეისტი-

ლეისტი რომ ჩამოვიდა ქალაქს, ჩვენმა მწერლებმა ისე მიიღეს
ის, როგორც ევროპის მწერლობისაგან მოგზავნილი ვინმე დესპანი,
გაუმართეს სადილები, პიკნიკები, წარმოდგენა. ილია ჭავჭავაძემ
სადილი რომ გაუკეთა — რა ვიცი, როგორლაც ეს არ მავიწყდება —
სადილზე მარტო ლეისტი იყო ფრაკით და „რეჩები“, წვნიანი რომ:
არ იყო გათავებული, ისე დაიწყეს. ერთი კახშამი; სხვათა შორის,
დავითმაც გააკეთა. გაბუნიას ქალი მღეროდა; თარი, ჭიანური,
დაირა, ლეკური, ფორტეპიანო, მოსწრებული სიტყვები ამშვენებ-
დნენ საღამოს, რაფიელ ერისთავი ტოლუმბაში იყო.

შახსოვს, დავით ჭეზელის სადლეგრძელოზე რომ მივიდა ჯერი

— დავით, კეკე ზელით არ მოკვდებაო, დაუძახა მასპინძელმა.

— რას ამბობ, მასპინძელო, ვაკეზე ლიზა სჯობდაო, გაუს-
ჭორა ზმა განსვენებულმა რაფიელმა.

ბევრი ზმებია და მოსწრებული სიტყვები დავითისა, რომელიც
არ დაიბეჭდება.

ერთ ქალს, რომელმაც ბალიში გაუგზავნა იმას, დავითი
სწერს:

Недумка, право, мне не надо!
Не то хотел-бы я желать!
Если б я мог вам это слово:
Без слога первого сказать!

ამაზე მოხერხებულად არც ერთს აშის არ უთქვაშს. თავის
საყვარლისათვის „დჟშვა“-ო.

კოლა ერისთავს, რომელმაც უჭვი მიიტანა დავითს კარგი პო-
რტრეტი გადაეღო თავისი აპარატით, იმან გაუგზავნა ჩინებული
შურათი ზედწარწერით:

„ეხლაც იტყვი, ჩემო კოლა,
რომ არა ვარ მე ოსტატი?
გატყდი და სთქვი რუსულათა:
„პროტიფ რაუნა ნერა პრატი!“

ერთ ბარათაშვილს, რომელიც ამბობდა, ჩემი მამული ქოთა-
ში სწორედ სამოთხეაო, დავითი ეუბნება: თუ ეს აგრეა, რატომ
თქვენი დედ-მამა იქ არ დამარხეთ, კნიაზო.

ამ სიტყვისაგან მოტანილ დამარხების ბსენებით ვათავებ დავით
ერისთავის ცხოვრების აღწერას. სულ მოულოდნედად, ერთა გაციე-
ბის შეძლევ ბათუმში, დავით მძიმე ავად გახდა ინფლუენციით,
ავადმყოფობა გაუჩნდა ჭაჭებში, და 11 (23) ოქტომბერს 1890
წელს ის გარდაიცვალა ტფილისში, დაბადებიდან 43 წლისა.

სული ტებილია! დავითის სიკვდილის წინადლებში ხმა გავრ-
ცელდა ტფილისში, რომ ითანე კრონშტადტელი * მოდის ქალაქს-
და, ეს რომ შეიტყო დავითმა, მაშინვე მიუგზავნა კაცი ქნ. ალექს,
სანდრა მელიქოვისას, რომ როგორმე მოხერხებინა კრონშტადტის
დეკანოზს ენახა ავადმყოფი, მაგრამ იმის ჩამოსვლის ხმა ტყუილი
გამოდგა.

დავით დაასაფლავეს ქალაქს, კალოუბნის ეკლესიის გალავანში, **

* მას სასწაულთმოქმედებას მიაწერდნენ, როგორც ჭმინდანს.—ს. ც.

** ეს ძეგლი ამჟამად გადატანილია მთაწმინდის მწერალთა პანთეონში.
ზოლო იმ ადგილას, საცა ეს ძეგლი და კალოუბნის ეკლესია იდგა, აგებულ იქნა
რუსთველის სახელობის კინოთეატრი—ს. ც.

საჯარო ბიბლიოთეკის პირდაპირ. რომ ჩაიაროთ იქითკენ, თქვენ
თვალწინ წარმოგიდგებათ, ქუჩიდანვე, დავითის მშვენიერი
ძეგლი—იმისი ბიუსტი თეთრი მარმარილოსაგან იტალიაში გამო-
ჭანდაკებული ხოდაროვიჩის გეგმით. ახლო რომ მიხვიდეთ ძეგლთან,
ზედ მეორე ძეგლს დაინახავთ, რომელიც აგებულია განსვენებულის
საფლავზე აკაკისაგან. ეს მეორე ძეგლია ოთხ-ტაეპიანი ლექსი შესა-
ნიშნავი მგოსნისა:

ძლვნად და საკურთხად სამარადისოდ
საიმედვეულო და საიმსოფლო,
ღირსმა ერის-ძემ, თვით ერისთავმა,
სამშობლოსათვის დასდგა „სამშობლო“.

6 დეკემბერი 1904 წ.

ცაიში.

გიორგი ჭალაძილელი



ଶୀଘ୍ରମାତ୍ର କାନ୍ଦିବାବୁ (ଅପ୍ରାଚ୍ୟାନିକ)

ზოორგი მაჟსიმეს-ძე კოჩაშვილი

(ჭილადი დელი)

* * *

„მიყვარს ფაცხა“ ვინც პირველად იმღერა ქართულ სცენაზე და „მახსოვეს პირველად“ ვინც საყმაწვილო წიგნებში დაბეჭდა და ორმოცა წლის განმავლობაში ეს ლექსი ჩვენს ბავშვებს ასწავლა და აზეპირა, ჭალადიდელის სახელიც მათ შექმნეს ჩვენს მწერლობაში. იმ დროებიდან დაწყებული დღემდის ეს სახელი სულ ყოველთვის სმენია ქართველ მყითხველს, მაგრამ ის, რაზედაც უნდა დამჭარებულიყო თვით სახელი ჭალადიდელისა, როგორც მგოსნის—მისი ლექსთა-კრება—არსად იყო და ამის გამო ყველა იმ ქართველ მწერალთა და მწერლობის მოყვარეთ, რომელთაც უწერიათ ან ულაპარაკნიათ ჭალადიდელზე და ქებით უხსენებიათ იგი—აკაკის, ნიკოლაძეს, დიმიტრი ერისთავს, ნიკო დადიანს, დავით ერისთავს, ხახაშვილს, ფანცხავას, ილია ჭილიას, ჯანაშვილს, „შევითვატყველ“, მხოლოდ ბანი მიუკითხათ იმ პოპულარობისათვის; რომელიც შექმნეს გარეშე ჭალადიდელის სახელისა „ფაცხის“ სიმღერამ და ერთმა მისმა პატრიოტულმა ლექსმა.

I

ქოჩაქიძეების წინაპარი.—გიორგის დაბადება.—მისი დედ-მამა.

ქოჩაქიძეების წინაპარს საქართველოს მატიანე პირველად იხსენიებს მეთორმეტე საუკუნეში, თამარ მეფის დროს „ოდეს ზაქარია მხარგელმა ბრძო ხორასნერთა დროსა თამარ მეფისასა, ამბობს ძველი ხელთნაწერი, პროფესორ ჩუბინაშვილისაგან გამოქვეყნებული“, მაშინ ქოჩანველი მთავრის ძე, მცირე ყრმა, მღიყვანა მძევლად. ესე ყრმა მონათლეს ქრისტეანედ და დაასახელეს ოდიშში და იწოდა თავადად ქოჩაქიძედ“. ჩვენი ქვეყნის მთავარი მატიანე „ქართლის ცხოვრება“ ქოჩაქიძეს არ იხსენიებს, როცა მოგვითხრობს ზა-

* ინ. შურამალი „ივერია“, 1884 წ., № XI-XII, გვ. 137.

ქარია შხარგრძელის გალაშქრებას ერაყს და ადგილსა ხვარასნისათა, მაგრამ საკმაოდ ნათლად აგვიწერს ამ გალაშქრებას. „აშ ბრძანოს მეფობაშინ თქვენმან—მოახსენეს მეფეს მხარგძელმა ზაქარია სიასა-ლარშა, მსახურთ-უხუცესშა ითანებ და ვარამ გაგელმა—რათა არა ცუდად ვაუქმოთ სპანნი თქვენნი და დავიწყებასა მიეცეს სიმხნე მათი, არამედ აღვამხედროთ ერაყს, რომ გვარსა ზედა რომელ არს ხვარასანს რათა სცნან ყოველთა სპათა აღმოსავალისათა ძალი და სიმხნე ჩვენი: აშ უბრძანეთ სპათა საქართველოსათა, რათა მზა იყვნენ ლაშქრად ხვარასანს დალათუ არავინ ქართველთაგანი მიწევნილ არს მუნ ხვარასანს და ერაყს არამედ ბრძანე რათა ნიკოფსიით დარუ-ბანდამდის აღიჭურვნეს და მზა იყვნენ საომრად *“. მეფემ ნება დარ-თო დიდებულთა და ქართველობა გაელაშქრა ხორასანს. სხვა მა-ტიანეს სხვა წყაროებიდან შეუტყვია, რომ ქოჩაქიძის წინაპარი ამ გალაშქრებიდან მოსულა პირველად საქართველოში „ქუშანგიდან“ ანუ „ქოჩანგიდან.“

შორეული ჩამომავალი ამა თუ სხვა წინაპრისა, გიორგი ქოჩა-ქიძე (ჭალადიდელი) დაიბადა 15 ივნისს 1847 წ. სოფ. ფერსათს, იმერეთში.

დედა გიორგისა, მართა, იყო ასული ელიზბარ მოსიძისა, ფერ-სათის მცხოვრების; მამა, თავადი მაქსიმე ბერის-ძე ქოჩაქიძე—ჭალა-დიდის მებატონე. ყალაწვილობის დროს მაქსიმე დიდხანს ახლდა საფრანგეთის კონსულს გამბას, რომელსაც ეკუთვნის შესანიშნავი აღწერილობა კავკასიისა „Voyage dans la Russie meridionale“ ** ამასთან—ვარდციხეს—მაქსიმემ სხვა სიკეთესთან ფრანგული ენის ცოდნაც შეიძინა. ქუთაისის გიმნაზიის საქმეებში მე ვნახე ერთი მისი, წიგნი დაწერილი ფრანგულ ენაზე. რუსულის უცოდინარი, მაქსიმე სწერდა გიმნაზიის დირექტორს ლევანდას ფრანგულად:...***

J'ai l'honneur de vous adresser un certificat de docteur qui atteste la maladie de mon fils Georges. J'ai espoir en vorte bienveillance et que le retard apporté aux études de mon fils ne sera pas, grâce à l'intérêt particulier, que vous portez à la jeunesse mingrélienne, prejudiciable à son avenir****

* „ქართლის ცხოვრება“, გამოცემა ბროსესი, ნაშ. 2, გვ. 328.

** სამხრეთ რუსეთში მოგზაურობა.

*** საქმე იო ალფავიტი № 37.

**** თარგმანით: მაქს პატავი ჭარმოგიდგინოთ ექიმის მოწმობა, და-მადასტურებელი ჩემი შვილის გიორგის ავადმყოფობისა. თქვენი კეთილგანწყო-ბილების იმედი მაქსი, რომ ჩემი შვილის სწავლაში ჩამორჩენა არ იქმნებს გაგ-ლენას მის მომავალზე. თქვენი გამსაკუთრებული ყურადღების გამო, რასაც თქვენ იჩენთ საწევრელოს ახალგაზრდობისადმი.

ამბობენ, გამბას ცოლს უნდა ეშვილა მაქსიმე, მაგრამ ამან კათოლიკობის მიღებაზე უარი განაცხადა და მისი შვილად აყვანა არ შედგა. შემდეგში, როცა დავით დადიანი გამთავრდა სამეგრელოში, ამან მაქსიმე დანიშნა თავის წარმომადგენლად, ან, როგორც იმ დროში ამბობდნენ, სამეგრელოს ვექილად ტფილისში და ქოჩაქიძემ რამდენიმე ხანი ამ თანამდებობაში გაატარა. მერმე მაქსიმე, როგორც გამოცდილი და ნიჭიერი მოხელე, დავით დადიანმა და-ნიშნა მარტვილის მაზრის მდივანბეგად. დავით დადიანი დიდად თურნე პატივს სცემდა მაქსიმეს. ტირილში რომ თავის მაგიერ კაცს გაგზავნიდა, მისგან განაგზავნი კაცი ან გრიგოლ ტარიელი იყო (დადიანი), ან მაქსიმე ქოჩაქიძე, რომელთაც უქებდნენ ენაწყლიანობას სამძიმრის თქმაში. ესეც ერთი საქმე იყო ჩვენს ქვეყანაში.

რუსის მთავრობა რომ დამკვიდრდა სამეგრელოში შემდეგ გლეხთა ამბოხების დაწყნარებისა, მაქსიმე დაინიშნა სენაკის კომის-რად, ე. ი. სენაკის პოლიციის მოხელედ. აქ ის დიდხანს არ დარჩენილა. ერთი წლის შემდეგ მაქსიმე მიუბრუნდა შინაურობას და მთელი მისი სიცოცხლე იმან შვილების აღზრდას შესწირა.

II

სამეგრელოს პირველი სასწავლებელი რუსულ ენაზე.—პირველი სწავლულები.—გიორგის შესვლა ქუთაისის გიმნაზიაში.—მისი ამხანაგები.

გიორგის სწავლის დრო რომ დაუდგა, სამეგრელოში მარტო ერთი სასწავლებელი იყო და ეს სასწავლებელი სწორედ იშ მაზრაში არსებობდა, რომელსაც განაგებდა მამამისი, მდივანბეგი მაქსიმე ქოჩაქიძე. ვამბობ მარტვილის სასულიერო სასწავლებელზე.

მარტვილის სასწავლებელში, რომელიც დაფუძნდა 1830 წელს „განვითარებისათვის სასულიეროთა ყრმათა“, როგორც სწერდა სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს კავკასიის მთავარმართებელი პასკევიჩი—ერევანსკი*, გარდა „სასულიეროთა ყრმათა“ იზრდებოდნენ სამოქალაქონიცა. 1852 წ. ამ სასწავლებელში სწავლობდა 37 სასულიერო წოდების ბავშვი და 5 სამოქალაქო. სამოქალაქონი ჯერ კიდევ ცხენსა და უნაგირს უფრო ეტანებოდნენ და ქორ-მიმინოს, ვიდრე სწავლას. მაქსიმე ქოჩაქიძეს შეეძლო მისი შვილი ამ სასწავლებელში შეეყვანა, მაგრამ, როგორც ქობულეთში იტყვიან, ის „ნაკითხი“ კაცი იყო და ნამყოფი და ამის გამო მარტვილის სწავლას.

* წერილი 8 თებერვ. 1830 წ. № 620. ნახე ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში. Дело Канц. Владетеля Мингрелии № 2406/80.

თს არ დასჯერდა თავის შვილისათვის. იმან განიზრახა გუგზავნა გიორგი ტფილისს.

სამეგრელოს გარეშე სწავლის მაძიებელნი ამ დროს იშვიათნო იყვნენ. ვინც ცხენისწყალს გაღმა სკოლაში გაპირებდა შესულას; იმას მთავრის მოწმობა უნდა წაელო, რომ ნება ჰქონდა გარეშე სკოლებში შესვლისა და ამგვარი მოწმობა სულ რამდენსამე კაცსლა ჰქონდა გატანილი. მთავრის კანცელარიის საქმეებიდან ჩანს, რომ ამგვარი მოწმობა ეთხოვნათ მთავრისათვის: საჭილაოდან კონსტანტინე ნანეიშვილს, მარტვილიდან ალექსი სტეფანეს დე ჭალაგანიძეს, ბანძილიან ალექსანდრე ხიტუს დე ფალავას*. ზეპირგადმოცემით გამიგონია! ამგვარივე მოწმობა გაუტანიათ მთავრის კანცელარიიდან რამდენსამე თავად-აზნაურს—დადიანს, ჩიჩუას, ფალავას, ლოლუას, გაბუნიას. როგორც გამიგონია გრიგოლ გურიელისაგან, მთავარმა დავით დადიანმა გაუჭირა ტარიელ დადიანს ამგვარი მოწმობის მიცემა. კონსტანტინე გაბუნიამ, მელიტონ დადიანმა, ანდრია გეგეჭკორმა; ლევარსაბ ლოლუამ, რომანოზ გაბუნიამ მოწმობა დაუბრკოლებლად მიიღეს და პირველმა მეგრელებმა დაამთავრეს სწავლა პირველმა ორმა ქუთაისის გაზრის სასწავლებელში და მესამემ ტფილისის სასულიერო სემინარიაში. ამათ სიას რომ დავსძინოთ მარტვილის სასწავლებელში სწავლადამთავრებულები: ევგენი დგებუაძე, კოსტალშიბაია, ანდრონიკე სალყარა, იოსებ გაბუნია და გრიგოლ ანჯაფარიძე, ჩვენ თვალწინ დაგვიდგება ჯვაფი იმ მეგრელებისა, რომელთაც პირველად მიიღეს სწავლა რუსულს ენაზე აგებულ სასწავლებლებში.

მაქსიმე ქოჩაქიძეს განუზრახავს თავისი გიორგი ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის პანსიონში მიეცა და ამის შესახებ საჭირო თხოვნა გაეგზავნა იმას კავკასიის მთავარმართებელთან.

პასუხად ამა თხოვნისა სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს მოუვიდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ბარონ ნიკოლაი შაგან შემდეგი წერილი:

Милостивый Государь

Кн. Давид Леванович! **

Директор Канцелярии Наместника Кавказского препроводил
на мое заключение докладную записку Мингрельского Владения

* ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში იხ. Дело канцелярии Владе-
теля Мингрелии, № 89-149.

** 23 დეკემბერი 1852 წ. № 2652.

Мартвильского Окружнаго мдиванбega праторщика кн. Максима Кочакидзе о принятии сына его Георгия, имеющаго 6 лет от ро-ду в благородный пансион при Тифлисской Дворянской гимназии. Вследствие сего имею честь покорнейше просить Вашу Светлость, приказать об'явить просителю, что на основании Полож. о Кавк. Учеб. Округе, в Тифлисском пансионе не полагается воспиты-вать на казенныи счет сыновей Мингрельских князей и дворян, но в благородном пансионе при Кутаисской гимназии определено для них пять вакансий и назначение на оныя пансионеров пре-доставлено усмотрению Вашей Светлости.—При этом нужным считаю присовокупить, что Кутаисский пансион имеет быть от-крыт в конце 1854 или 1855 года, т. е. тогда, когда сын князья Кочакидзе достигает надлежащею возрастом для приема в заведе-ние положенного.

Примите уверение в отличном к Вам почтении и таковой-же преданности,—Барон Николай*.

ამ წერილის თანახმად, გიორგი ქოჩაქიძე მიიღეს ქუთაისის გიმნაზიის პანსიონში 7 სექტ. 1859 წელს. პირველ ხუთ წელს გა-ათავა გიორგიმ მოსამზადებელი და პირველი ოთხი კლასი; მეხუთესა და მეექვეში ის სწავლობდა ორ-ორ წელს და მეზოდე კლასი დამ-თავრა 1869. წელს (მერვე კლასი მაშინ არ იყო).

* თარგმანით:

მოწყალეო ხელმწიფევ,
თავ. დავით ლევანიშვილი

კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორმა გადმოგზავნა ჩემს სა-ხელშე სამეგრელოს სამფლობელოს—მარტვილის ოლქის მდივანბეგის პრაპორჩივ თავ. მაქსიმე ქოჩაქიძის მოხსენებითი ბარათი დასკვნისათვის მისი შვილის გიორგის, დაბადებიდან 6 წლის, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის კეთილშობილ თა პანსიონში მიღების შესახებ. ამის გამო მაქვს პატრი უმორჩილესად ვთხოვო თქვენს უგანათლებულესობას, უბრძანოთ გამოუცხადონ მთხოვნელს, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის დებულების საფუძველზე, თბილისის პანსიონში არ ეკუთხნით აღიზარდონ სახელმწიფო ხარჯზე სამეგრელოს თავადებისა და აზნაურთა შვილები, ხოლო ქუთაისის გიმნაზიის კეთილშობილთა პანსიონში მათთვის არის ხუთი ფაკუნძისა და იქ პანსიონერთა ჩარიცხვა თქვენი ბრწყინვალების შეხედულებაზეა მინდობილი. ამასთანავე საჭიროდ ვსთვლი დავძინო, რომ ქუთაისის პანსიონი უნდა გაიხსნას 1854 წლის დამლევს ან 1855 წელს, ე. ი. მაშინ, როდესაც თავადი ქოჩაქიძის შვილი მიაღწევს ამ დაწესებულებაში მისაღებად დადგენილ სათანადო ხნოვანობას.

მიიღეთ რწმუნება თქვენდამი ღრმა პატივისცემისა და ასეთივე თავდადე-ბულებისა—ბარონი წიკოლა.

სხვადასხვა დროს მასთან ერთად სწავლობდნენ: ლევან ჩიჩუა, ჭამიტრი დადიანი, შანშე მხეიძე, დავით ჩხოტუა, რომან მაჭავალიანი, ვარლამ ერისთავი, ივანე მესხი, მიხეილ და ივანე გეგიძეები, როსტომ წერეთელი და თომა ჩიკვაიძე.

III

გიორგი გიმნაზიის პანსიონში.—მისი ავადმყოფობა.—როგორ აშავ-
ლიდნენ ჰიმნაზიაში ქართულ ენას.—სტეფ. ძიმისტარიშვილის და
ლევან ჩიჩუას მოგონება

ბევრს, ქოჩაქიძის თანამედროვეს, ვსთხოვე დაეხატა ჩემთვის
ამ წერილში მოსათავსებლად ქოჩაქიძის დროინდელი სწავლა გიმნა-
ზიაში და ოვითონ ქოჩაქიძის სურათი; მაგრამ ჩემი აჯა ვერავის შე-
ვასმინე, გარდა განსვენებულ სტეფანე ძიმისტარიშვილისა. ქოჩაქიძის
ამხანაგი ივანე მესხი ერთ ხანს მპირდებოდა თავის მოგონებას, მაგ-
რამ როცა დამიგვიანა და დამიგვიანა, მე იმას დანაპირების ამოსა-
ლებად საერთო ნაცნობი მიუჩინე ბოქაულად,— „სუდებნი პრისტა-
ვად“, მაგრამ როცა ჩეენი ნაცნობი მეორეჯერ მისულა მასთან, ივა-
ნეს ასე ეთქვა: ნამდვილ „სუდებნი პრისტავს“ რა წაულია ჩემგან,
რომ შენ გაგატანოო“ და არა დამახმარა რა ამ წერილისათვის.

ღმერთმა ისევ სტეფანე ძიმისტარიშვილს უშველოს, მე მხო-
ლოდ იმან დამიხატა გიორგის დრო გიმნაზიაში და თვით გიორგის
სურათი.

სტეფანეს აღწერილობით გიორგი ჩლიერ კარგი და მოხდენილი
ყმაწვილი კაცი იყო, მარჯვე, მოსწრებული, ბურთის სამაგალითოდ
მოთამაშე, ჩინებული გიმნასტიორი, ფეხმარდი, იმ ზომამდის ფეხ-
მარდი, რომ გაქცეულ გიორგის, როგორც ამბობენ, დალიანის მწე-
ვარიც ვერ დაეწეოდა. მისი დაახლოვებული მეგობრები იყვნენ: ლე-
ვან ჩიჩუა და როსტომ წერეთელი, სამნივე სამხედრო მისწრავებით
გამსჭვალულნბ, საბოლოოდ სამნივე ამ სამსახურში შესულნი. იმ
დროის გიმნაზიაში ლევან აბაშიძის მეთაურობით მოსწავლეთაგან
შემდგარი მოქეიფე ჯგუფი არსებობდა და ამ ჯგუფში გიორგი ქო-
ჩაქიძეს თვალსაჩინო ადგლი ეჭირა. ერთ სალამოს—ეს სხვისაგან
მაქვს განაგონი—ეს ჯგუფი გადახდილი ფაეტონით მიადგა თურმე
ერთს პატივცემულ ოჯახს, რომელშიაც რამდენიმე ქალიშვილი იყვ-
ნენ და ეშიოთ წალებულთა დაიწყეს სერენადის მღერა. ღიღხან-
თურმე იმღერეს, სანამ ქალიშვილებმა თუნგის წყლით არ გიუგრი-
ლეს ამათ ზემოდან მათი გულის სიმხურვალე. ვარლამ ერისთხვს

დღესაც უნდა ახსოვდეს რაც დღე დაადგა ამ სალაშოს მოქეიფეთა ჯგუფს.

ბურთში, ჭიდაობაში და ქვიფში გართულ ქოჩაქიძეს ძიმისტა-რიშვილი სწავლის ნაკლებობას უჩივის. „ცუდად სწავლისათვის“ ერთ დროს გიორგი ვითომ სულ უნდა დაეთხოვათ გიმნაზიიდან, მაგრამ ივანე მოსიძის და გიორგი გვათუას თხოვნით ის ხელახლა მიეღოთ სასწავლებელში. რომ დავეკითხე ამ საგანზე გიორგი გვა-თუას, იმან შემდეგი შიამბო: მეხუთე კლასში იყო თუ მეექვსეში, კარგად არ მახსოვს, გიორგი მძიმე ავად გახდა და მე წაშიუვანეს მის მოსარჩენად ბორჯომში, საცა იმას ექიმობდა დიდი მთავრის მკურნალი ლიუბაუ. სხვათა შორის, მახსოვს, ეს ექიმი სკიპიდარს გვანებინებდა გიორგის ოთაში. რამდენიმე თვის შემდეგ, როცა გიორგი მომჯობინდა, ის ჩემოვიყვანეთ ქუთაისს, მაგრამ გიმნაზიის დირექტორს არ უნდობდა მისი მიღება და მხოლოდ როცა იმას გა-მოესარჩლა გრიგოლ დადიანი*, გიორგი მიიღეს გიმნაზიაში, რომე-ლიც იმან სრულად დაამთავრა 1869 წელს.

ქართულ ენას გიმნაზიაში ჯერ ასწავლიდა ივანე მოსიძე, მკვიდ-რი ბიძა გიორგისა, და შემდეგ დეკანზი ქუთათელაძე. მოსიძე ჩი-ნებული მცოდნე იყო ქართული ენისა და თვითონ წერდა ლექსებს. ქუთათელაძის დროს კი რარიგად მიღიოდა ქართული ენის სწავ-ლება, ამას ძიმისტარიშვილი აგვიწერს საგანგებოდ ამ წიგნისათვის დაწერილ შემდეგ სცენაში.

„სცენა წარმოადგენს სასწავლებლის ოთახს და მის მიღამოს. მასწავლებელთა ოთახიდან გამოდის ოთხმოცდაათი წლის ლრმად მოხუცებული გრძელ თეთრწვერა მასწავლებელი. ერთ ხელში უურ-ნალი (ტომარავი) უჭირავს და მეორეში სათვალე, ძლივს მიღის კლასში. კლასილან გამოგზავნილია ორი-სამი ყმაწვილი და უყარაუ-ლებს მასწავლებელს. ყმაწვილები დაინახავენ თუ არა მასწავლებელს, ასტეხენ სიცილს და ხმაურობას; ერთი მათვანი შეირბენს კლასში და დაიწყებს ყვირილს: „ბატონი მოდის, ბატონი მოდის“. ჯანარ-ჩენი ორი გამოუძლვება მასწავლებელს, ერთი უურნალს ჩამოართ-მევს, მეორე შენდობასა სთხოვს, ხელზე კოცნის და ასე მიიყვანენ კლასის კარებამდი, სადაც სხვ. ყმაწვილებიც მიესალმებიან.

პირ. ყმაწვილი. მაღლობა ლმერთს, ბატონო, შშვიდობით მო-ბრძანდით!

მეორე. ლმერთო, დიდხანს გვიცოცხლე ბატონი,

მასწავლებელი. ჩუმად იყავით, ბავშვებო, თორემ აგერ ინს-პექტორი მოდის.

* მწერლობაში კოლხიდელი — ძმა სამეგრელოს მთავრის დავით დადიანისა.

მესამე. ბატონი, თურმე დირექტორიც უკან მოჰყვება.

მასწავლ. შენ, უბედურო, რას ცელქობ? დაწყნარდი, თორემ კარცერში ჩაგსვამ.

ყმაწვ. ბატონი, ოლონდ თქვენ გვიბრძანეთ და ამას (უჩვენებს ამხანაგზე) შეაფში შევამწყვდევ.

მასწ. შენ რა გვარისა ხარ, ბოშო?

ყმაწვ. მე, ბატონი, ერისთავი გახლავარ.

მასწ. იცი, ბოშო, შენი გვარი საიდან წარმოსდგა?

ყმაწვ. არ ვიცი, ბატონი.

მასწ. მაშ ყური შოშაპყარ: შენი გვარი წარმოსდგა ერისა და თავისაგან. ერი ჰქვია ხალხს; შენს წინაპრებს მეფეები ხალხის ან ერის უფროსად — თავკაცად აყენებდნენ. და აქედან მომდინარეობს თქვენი გვარი ერისთავი.

ყმაწვ. ბატონი, მაშ თქვენც ამეების (ამხანაგებზე უჩვენებს) თავად მე დამნიშნეთ.

მასწავ. შენ თავად კი არა, ბოლოთაც არ გამოდგები.

ყმაწვ. ბატონი, შენი კირიმე!

მასწ. კარგია, ნუ ლაყბობ.

ყმაწ. ბატონი, ამის გვარი საიდან წარმოსდგა?

მასწ. ეს რა გვარისაა?

ყმაწვ. მე, ბატონი, გოგობერიძე გახლავარ.

მეორე ყმაწვ. მე ვიცი, ბატონი, გოგობერიძის გვარი საიდან წარმოსდგა.

მასწ. აბა, სთქვი.

ყმაწვ. გოგობერიძე წარმოსდგა, ბატონი, გოგოსაგან და ბერისაგან.

მასწ. დააცხვრე ენა შენი ბოროტისაგან და ბაგენი შენი ნუ იტყვიან ზაკვასა.

ყმაწვ. ბიჭო, გამოაცხვე ენა შენიო, ბატონი ბრძანებნ.

მასწ. გამოაცხვე კი არა, შე უბედურო, ნუ ლაქლაქობ მეთქი (მიუბრუნდება მეოთხე ყვაწვილს), ბოშო, შენი გვარი?

ყმაწვ. კანდელაკი, ბატონი.

მასწ. პირველდაწყებითი სახელი რომელია?

მეორე ყმაწვ. ევაა, ბატონი, ევა.

მასწ. ვისი ევა, რისი ევა, რას ტუტუცობ, ბიჭო?

ყმაწვ. ბატონი, როგორ არ იცით? ჩვენი ევა, აღაშის ცილი. პირველ დაწყევლილი ის არის. ადამი რომ შეაცდინა და ლელვი აქამა, ლმერთმა დასწყევლა ევა და უბრძანა: მწუხარებითა და კუსუნებითა შენითა შობდე შვილსა შენსაო.

მასწ. ხა, ხა, ხა! ჰო, შე სულელო, პირველდაწყევლილი ქი
არა, პირველდაწყებითი სახელი კანდელაკის გვარისა, ე. ი. სათავე
ამ სიტყვისა რომელია, საიდან წარმოსდგა?

ყმაწვ. კანდელაკის სათავე, ბატონო, ნიკურაძე, პირველდაწ-
ყებითი ნიკურაძე გახლავს და აქედან წარმოსდგა კანდელაკი.

მასწ. საიდან იცი შენ ეს, ბოშო?

ყმაწვ. მამაჩემისაგან გამიგონია.

მასწ. ჰომ, ცხონდა მამა შენი! მართალი ფთქვამს. ეს კანდე-
ლაკები კულაშელი ნიკურაძეები არიან. მხოლოდ დროთა ვითარე-
ბის გამო კანდელაკებად მონათლულან.

ერთი ყმაწვ. მეორეს. ბიჭო, ყოვლისფერი სცოდნია ჩვენს
ბატონს: ერისთავი, გოგობერიძე, კანდელაკი, ნიკურაძე და ვინ იცის
კიდევ რამდენი ეცოდინება.

მეორე ყმაწვ. რას ლაპარაკობ? მაშ, ასი წელიწადი ტყვილად
იცოცხლა, რომ ამისთანაები არ იცოდეს ხელობა რა იყო?

მასწ. (მოაგონდება, რომ გაკვეთილი უნდა მისცეს მოსწავლე-
თა) შენ რა გვარი ხარ? ჰკითხავს სხვა ყმაწვილს.

ყმაწვ. მე, ბატონო, ჩიკვაიძე გახლავარ.

მასწ. მე გიარნახებ და შენ სწერე დაფაზე.

ყმაწვ. რას მიტრაბახებ, ბატონო?

მასწ. გიდიკტოვეც, გიდიკტოვეც, ახლა ხომ გაიგე ქართული.
არიან ნიშანი მართლწერისანი (ყმაწვილი ვერ ახერხებს წერას;
მასწავლებელი ცარცს გამოართმევს და თითონ ხელის კანკალით
განაგრძობს), რომელნიც ცხადსა ბრწყინვალებასა მოგვცემენ ანუ
სიტყვისა, ანუ ლექსისასა, ანუ ასოსასა, რომელთაცა ნიშანი და
სახელი არიან ესენი: მძიმე, წერტილი, საკითხავი, შემკვრელი,
გარდასატანი, ფრჩხილი, სხოლიო, მახვილი, ბრჯგუ, კრებული, გან-
საკვირველი, საუფლო, სამთავრულო და საზოგადო. ეს ნიშნები ზე-
პირად დაისწავლეთ, ბავშებო.

ყმაწვ. (უჩენებს რვეულს) ეს, ბატონო, მე დავსწერე.

მასწ. ამას ღრამატიკული კანონები აკლია; აქ უნდა დაუსვა
წერტილი.

ყმაწვ. ბატონო, მე წერეთელი კი არა, ჩიკვაიძე გახლავარ.

მასწ. ნუ ბრიყვობ, მათხოვე კარანტაში.

ყმაწვ. არ მაქვს, ბატონო, კარანდაში დავკარგე.

მასწ. დავკარგე რა ქართულია? უნდა სთქვა კარანდაში წარვ-
სწყმიდე. ბავშვებო, თქვენს მამებს ჰკითხეთ, იქნება ჰკალმასობა ქონ-
დეს და მომიტანეთ.

11. ა. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II:

ყმაწვ. ჩეენი მამები რა საჭიროა, ბატონი, კურცივის მაღა-
ზიაში მეტი რა არის?

მასწ. რას ამბობ, ბოშო!

ყმაწვ. კალბასი, ბატონი, კურცივის მაღაზიაშია. პონშონი*
სულ იმას არ სჭამს?

მასწ. შე უგუნურო, კალბასი კი არა, კალბასობა. კალმასობა
საკითხავი წიგნია”...

ეს სურათი ძიმისტარიშვილისა დაადასტურა გიორგის ამხა-
ნაგმა ლევან ჩიჩუამავ და თავის მხრით დასძინა:

გმირთა დრო იყო ჩეენი დრო. წერეთლის ბალში ჩეენ რომ
ბურთაობას გავმარითავდით, ჩეენი მომრევი არავინ იყო. ხანდახან
ზემოდან ჩამოდიოდნენ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლენი, მაგ-
რამ ჩეენთან ვერც ისენი ხდებოდნენ რას და ვერც ქალაქის მობურ-
თალნი. ერთხელ ამბავი მოგვიტანეს, ვითომ ერთი ჩეენი გიმნაზიელი
შესულიყოს მხიარულების სახლში და იქ ეს ყმაწვილი გაელახათ
ვილაცაებს. ეს რომ შევიტყვეთ, ვიგრიალეთ გიმნაზიელებმა, მივვარ-
დით იმ სახლს და სულ ერთიანად მივლეწ-მოვლეწეთ მანდაურობაო.

ქართულს გარდა ამ დროს გიმნაზიაში თათრულსაც გვასწავ-
ლიდნენო, — თქვა ლევან ჩიჩუამ. თათრულის მასწავლებელი იყო ომარ
ეფენდი, ჩალმიანი, ხალათით მოსილი, ახირებული კაცი იყო ეს
მასწავლებელი. ჩეენს ამხანავს კალმიგოროდსკის, რომელიც ცუდად
სწავლობდა თათრულს, იმან პანლურის სიმწარე ამ სიტყვებით
აგრძნობინა. „ია თუდა თებე დამ, ნა გალავა ფაიდოთ“, დაემუქრა
თურმე მოსწავლეს მასწავლებელი, თუ კარგად არ ისწავლი გაკვე-
თილსაო.

როგორც ჩანს გიმნაზიის საქმიდან, გიორგიმ ჩინებულად
იცოდა ისტორია (4), გეომეტრია (5), ფიზიკა (4), გეოგრაფია (4),
ქართული ენა (5), მხატვრობა (4). რუსულში კი ის სუსტი ყოფილა.
საშუალო ნიშანი, ეგზამენის დროს მისგან მიღებული, იყო $\frac{37}{17}$. ამის
გამო გიორგის გიმნაზიის პედაგოგების რჩევამ ატესტატის მიცემაზე
უარი უყო. გიორგი გამოვიდა გიმნაზიიდან 15 ივნისს 1869-წ.

IV

ნესტორ წერეთლის და გიორგი ლოლობერიძის სალაშობი ქუთაისში.—

მიღრევილება საჭართველოს ინტელიგენციისა საზღვარგარეთ სწავ-
ლისადმი.— გიორგის ჭასვლა რუსეთში.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ერთხანს ვერ გამოირკვა,
რაგვარად უნდა წარმართულიყო ქოჩქების მომავალი.

* ფრანგული ენის მასწავლებელი იყო.

სამოკუთანი წლების ბოლოს ქუთახეში რაშტენიშე ოჯახი იყო, საცა თავს იყრიდა იმ დროის ქართველი საზოგადოება. თავად-აზ-ნაურობას და სამსახურის კაცებს ფიანდაზად ჰქონდათ გაშლილი სტუმ-რობით განთქმული ოჯახი გუბერნიის მარშლის ნესტორ წერეთ-ლისა, თავისი ლპინითა და თამაშობით საღამ-საღამოობით. ქართული მწერლობის და საქმეთა მოყვარე საჭოვადოება, ის, რასაც ეძა-ხიან ქართველ ინტელიგენციას, იყრიბებოდა გიორგი ლოლობერი-ძესთან, რომელსაც კვირაში ერთი დღე ჰქონდა დანიშნული—jour-Fixe—და ამ დღეს, საღამოობით, მის სახლში ეს საზოგადოება მარ-თავდა სალიტერატურო საღამოს, საცა იქითხებოდა ჩვენი მწერლების ახალი ნაწარმოებნი. სხვათა შორის, ამ საღამოებში ხშირად კითხულობდა თავის ლექსებს მამია გურიელი. დანიშნულ დღეს აქ შეხვდებოდა კაცი აჭარის, დიმიტრი ბაქრაძეს, პეტრე ნაკაშიძეს, სოლომონ ლეონიძეს, ეროთე სიდამონოვ-ერისთავს, დავით ბაქრა-ძეს, დათა ერისთავს, გერასიმე კალანდარიშვილს და სხვათა, რო-მელთაც ჩვენი მწერლობის სიყვარული გულში ჰქონდათ დანერგული*. აქ ნახავდა კაცი, თუმცა იშვიათად, გიორგი წერეთელს, ნიკო ნიკო-ლაძეს და სერგეი მესხის, შემცველთა და დამფუძნებელთა ახალის გაზეთისა და ეჭრნალის, რომელნიც უფრო ტფილისში ცხოვ-რობდნენ...

თავის დროზე ამ საღამოებმა კარგი ზეგავლენა იქონიეს ქუ-ზაისის ახალგაზრდობაზე. მოზარდი თაობა უფროსის კლასებისა, თუ საშუალო სასწავლებელში სწავლადამთავრებულნი, „ულვაშაშ-ლილნი, წვერგამო“ აქედან სწავლობდნენ, რომ არა პურითა მხო-ლოდ შეეძლო კაცს ცხოვრება, რომ მამულის შეილთათვის, გარდა საგნების შესწავლისა და სამსახურის ერთგულებისა, საკირო იყო ეროვნული გრძნობის აღზრდა. და განმტკიცება, სიყვარული ქართული ენისა, მწერლობისა, ისტორიისა და კულტურისა.

კალადიდელმა სავსებით ისარგებლა ამ ვიწრო წრის ზედგავ-ლენით. იმან ჯერ ისევ გიმნაზიაში დაიწყო ქართული ლექსების წერა და ორი წლის განმავლობაში დაწერა ლციოდე, უმეტეს ნაწილად მამულის სიყვარულით გამსჭვალული ლექსი, და ეს ლექსები, ჯერ კი-დევ ახალი ხილი ჩვენში, „დროებამ“ სიამოვნებით დაუბეჭდა მას.

მაგრამ რა რომ გიმნაზია გაათავა გიორგიმ, იმას ან სწავლის გაგრძობა ეჭივრებოდა უმაღლეს სასწავლებელში, ან სამსახურში სადმე შესვლა. ათასში ერთხელ ლექსების წერა და უსაქმოდ ყოფნა

* დავით ბაქრაძისაგან განაგონი.

არ იყო მიზანი „ცხოვრებისა გიშნაზიაში სწავლადამთავრებულა-
სათვის.

მაგრამ გიშნაზიაში სწავლადამთავრებული ქართველობა, უმაღ-
ლესი განათლების მოწურნე, ამ დროს, ცოტა არ იყოს, გამოურკვე-
ველ მდგომარეობაში იყო. მოწინავე ქართველთა საზოგადოებაში იმ
უამად გავრცელებულიყო ის აზრი, რომ რუსეთის მაღალი სასწავ-
ლებლები აძლევენ ქვეყანას მარტო ჩინოვნიკებს და არა ქვეყნასათვის
გამოსადეგ მუშავთა, და ამის გამო მოსწავლეთა შორის დაიბადა ის
აზრი, რომ ვისაც უნდა რამე სარგებლობა მოუტანოს ჩვენს ქვეყა-
ნას, ვინც ზრუნავს არა მხოლოდ თავის სარგებლობაზე, არამედ სა-
ქართველოს აღორძინებაზე, ის უნდა მიესწრაფოდეს სასწავლებლად
არა რუსეთში, საცა სწავლა-განათლება გადმოტანილია ევროპიდან
არამედ პირდაპირ ევროპაში. იმ დროს „დროების“ რედაქტორი
სერგეი მესხი თავის გაზეთში წერდა: „ჩვენი უკანასკნელი. თაობა
ათასი მაგალითით დარწმუნდა, რომ ჩინოვნიკობა არც საკუთრივ
იმათ და არც, საზოგადოდ, იმათ სამშობლო ქვეყანას მაგდენ სარ-
გებლობას არ აძლევს და კუთილს არას ჰმატებს. ეს მოსაზრება დი-
დი ხანია ცხადი და აღვილად შესამჩნევი უნდა ყოფილიყო იმათვის,
რომელნიც გონებით დაბრმავებულნი არ იყვნენ, და ჩვენ ნასწავლ
ჩინოვნიების ცხოვრებასა და ყოფაქცევას ხედავდნენ. მაგრამ ნათქვა-
მია: ჭეშმარიტება სწორი გზით არასოდეს არ მოინახებაო. რაკი
ჩვენი ახალთაობა ნამდვილად დარწმუნდა, რომ ეს ძველი გზა ყო
ველ შემთხვევაში გამოუსადეგარი და ხანდახან მავნებელი გზა იყო,
შეუდგა ახალი გზის მონახვას და ამ ახალი თაობის საქებრად უნდა
ვსთქვათ, რომ ეს ახალი გზა იმათ მალე მონახეს. ეს გზა დასავ-
ლეთ ევროპის გზა არის.

ყოველგვარი ცოდნისა, განათლებისა, ცხოვრების გაუმჯობესე-
ბისა და წარმატების წყარო ჯერჯერობით დასავლეთი ევროპაა.
ყველა ხალხი, და მათ შორის რუსებიც, ამ წყაროს ეწაფებიან და
აქედან გამოაქვთ ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა, კაცის მანუგე-
შებელია და წინ წამწევი ხალხთა ცხოვრებაში. თავის თავისა და
თავის ქვეყნის წინ წაწევა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ევროპის
ცხოვრება ლა მეცნიერება კარგად და ჭეშმარიტად გაუცვნია. გაუ-
ნათლებელსა და ლარიბ საზოგადოებას მხოლოდ ის კაცი მოუტანს
სარგებლობას, რომელიც თვითონ ევროპულ სწავლა-მეცნიერებაში
განვითარებულია და თავის თვალით უნახვაც და შეუსწავლია სილა-
რიბის მომსპობი და კეთილდღეობის მომნიჭებელი სახსრები. სხვა
არა იყოს რა, უბრალო დანახვაც განათლებულ ერთა ცხოვრებისა.

და შეცნიერების ნაყოფისა არა მცირედ სარგებლობას მოუტანს თსეთი ქვეყნის შეილს, როგორიც ჩვენია“ *.

ქოჩაქიძესაც გული უთქმიდა წასულიყო ამ გზით საზღვარგარეთ, საცა ამ დროს ბევრი ქართველი მოხარდი თაობა იყო წასული და საცა ახლაც ემზადებოდნენ ბევრნი მისნი ახლო ნაცნობნი ქალნი და კაცნი ქუთაისიდან და ტფილისიდან, მაგრამ უსახსრობამ დასძლია და ბიძამისის, გიორგი გვათუას, რჩევით და შემწეობით გიორგი ნაცვლად ევროპისა წავიდა რუსეთს.

როგორც მიამბო კირილე ლორთქიფანიძემ, 1869 წელს, აგვისტოს თუ სექტემბერს, ქოჩაქიძე და კირილე შეხვდნენ ერთმანეთს ადესაში და იქიდან ორივე ერთად პეტერბურგს გაემგზავრნენ.

V

გიორგის სამხედრო სამსახური

1870 წელს, 14 აგვისტოს, გიორგი შევიდა სამხედრო სამსახურში. ჯერ ის განწესდა კონსტანტინეს სახელის მეორე სამხედრო სასწავლებელში იუნკრად და შემდეგ მიხეილის სახელის არტილერიის სასწავლებელში იუნკრადვე. ამ სასწავლებლიდან 1873 წელს გიორგი გამოვიდა პირველი აფიცრის ჩინით კავკასიის გრენადერის არტილერიის ბრიგადაში. კავკასიის მთავარმართებელმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის-ძემ, მისწერა სამხედრო სასწავლებელთა უფროსს, ახალგაზრდა გიორგი გაეწესებინათ მისი სახელობის არტილერიის ბრიგადაში. დიდი მთავრის სურვილი სასწავლებელთა უფროსმა მყისვე აღასრულა.

როცა ატყდა ომი რუსეთსა და ოსმალოს შორის და კავკასიის ჯარი შეესია ოსმალოს მცირე აზიაში, გიორგი მიჰყვებოდა იმ კორპუსს, რომელმაც გადააბიჯა რუსეთის საზღვარი 1877 წლ. 12 აპრ. ლორის-მელიქოვის ხელქვეით.

ყარსი რომ შეკრა ჩვენმა ჯარმა, გიორგი ბლოკადაში ტრიალებდა.

ზივინში რომ დიდი სისხლის ღვრა მოხდა 13 ივნისს, 1877 წ. და რუსის ჯარი დამარცხდა, გიორგი ძლივს გადურჩა სიკვდილს.

ალაჯანის მალლებში ლორის-მელიქოვის სარდლობით, კიზილთაფაში ზაქარია ჭავჭავაძის ხელქვეით, დევებოინუს და არზრუმში

* იხ. „ნაწერები სერგეი მესხისა“, გვერდი 107.

გეიმანის და ტერგუჯასოვის ჯარუბში გიორგი თავის არტილერიას
ბეჯითობდა.

ამ ბრძოლაში გამარჯვებისათვის გიორგის მისი ფართო მკერ-
რი დაუმშვენეს წმინდა გიორგის ჯვრით.

ომი რომ გათავდა, 1879 წელს, გიორგი გადაიყვანეს რუსეთს,
ქვეითა ჯარის სამოსწავლო ბატარეას სამუდამო კადრში და შემ-
დეგ, 1888 წელს, დანიშნეს მიხეილის სახელის არტილერიის სასწავ-
ლებლის ბატარეაში უმცროს აფიცრად. 1882 წლიდან გიორგი
გადააწესეს ლეიბ-გვარდიის პირველი არტილერიის ბრიგადაში ბა-
ტარეის უმცროს აფიცრად. 1887 წელს დანიშნეს 36 არტილერიის
ბრიგადის პირველი ბატარიის კომანდირად და 1895 წელს, 12 მარტს,
შე-30 არტილერიის ბრიგადის მეორე დივიზიონის კომანდირად.

ეს იყო უკანასკნელი მისი თანამდებობა სამხედრო სამსახურში.

როგორცა ჩანს გიორგის ნამსახურებითი სიიდან, პოლკოვ-
ნიკი თავადი გიორგი ქოჩაქიძე იყო კავალერი ორდენებისა: მეორე
ხარისხის სტანისლავასი, მეორე ხარისხის ანასე, მეოთხე ხარისხის
ვლადიმირისა და მეოთხე ზარისხის წმიდის გიორგისა.

ამავე ნამსახურებითი სიიდას ჩანს, რომ სამსახურის დროს
გიორგის არა ერთხელ მისცემია მინდობილება მთავრობისა, შეემოწ-
ებინა სხვა აღგილებში ან ბატარიების მზადყოფნა, ან სამაგალითო
შობილიზაცია არტილერიის საჩქარო პარკებისა, ან სროლი ბანაკში.

გიორგის ძმამ ანტონმა წამიკითხა ერთი კონფიდენციალური
წერილი მიხეილის სახელის არტილერიის აკადემიისა და სასწავლებ-
ლის უფროსისა, მიწერილი გიორგისთან 17 ნოემბერს, 1890 წელს.
რადგანაც ეს წერილი ეხება კავკასიის სამხედრო სფეროში ცნო-
ბილ ს—დონ ექ—ძეს და ახასიათებს გიორგის სამსახურს, ვერცდავ აჭ-
აშ წერილის ნაწყვეტს:

Милостивый Государь,
Георгий Максимович!

Его Императорскому Высочеству генерал-фельдцехмейстеру
благоугодно было назначить на службу во вверенную вам бата-
рею отчисляемаго от артиллерийскаго училища за неуспехи в
науках юнкера Э—дзе.

Великий князь уверен, что вы, как бывший офицер, воспи-
татель артиллерийскаго училища, обратите должное внимание на
Э—дзе, поддержите его в нравственном отношении и понудите

приготовиться к экзамену, для которого он должен будет прибыть в Петербург весной*.

გიორგის დახმარებით, ეს ყშაწვილი ჩინებული მოემზადა და
მან დიღი წარმატებით გაათავა სასწავლებელიც და აკადემიაც.

გაზეთ „Русский Инвалид“-ში 10 აგვისტოს 1890 წელს არის მოყვანილი ცნობა გიორგისაგან გამოგონილ ბორიანზე, რომლის სა- შუალებით მდინარე ოქას გადაატარეს ამ წელს მეცნმეტე კორპუსის არტილერია.

აი რას წერენ ამ გაზეთში:

„В полк 36-й пехотной дивизии в течении летних сборов сего года произведено было по несколько упражнений в переправе подручными средствами как охотничьих команд, так и строевых частей пехоты с их обозами I разр.; но затем недоставало навыка переплавлять также и артиллерию, на что и было обращено внимание командира 13-го корпуса. С приходом артиллерии в дивизионный лагерь в г Орел начались как в пехоте так и в артиллерии опыты по выработке необходимых спорсвок для переправы. Приемы переправы, применяемые охотничьими командами, основаны на использовании местными небольшими лодками и разным подручным материалом; как то: жердями, досками и проч., коих может и не оказаться в данном месте в необходимом числе, поэтому надо уметь изворачиваться лишь предметами своего снаряжения. В этом отношении очень подходящим средством для пехоты является предложение фельдфебеля Л.—Гв. Семеновского полка Чагина о вязке членков из полотнищ солдатских палаток. Но и для этих членков требуется жерди а потому жела,тельно решение вопроса, основанное на использовании исключительно материалом войсковым, без сторонней помощи. Такое ре-

* ତାର୍କ୍ଷମାନିତ:

ମନ୍ତ୍ର୍ୟାଲ୍ୟର କ୍ଷେତ୍ରମଣିକା,
ଗିରିରଙ୍ଗର ମାହିସିମୟୁଳ-ଦୀପ,

მისმა იმპერატორებითი უზალდესობამ, გვერალ-ფელდცემენსტერმა, კეთილ
ინება დაენიშნა სამსახურში თქვენდამი რწმუნებულ ბატალიიში მცუნიერებათა
ჭარუმატებლობამათვის სუარტილერიო სასჭავლებლიდან გარიცეული იუნკე-
რი ე—ძ.

დიდი მთავარი დარწმუნებულია, რომ თქვენ, როგორც ყოფილი ოფიცერი, აღმსრდეთ საარტილერიო სასწავლებლისა, შიაქცევთ სათანადო ყურადღებას ე—ძეს, ხელს შეუწყობთ მას ზნეობრივად და აიძულებთ მოემზადოს გამოცდებისათვის, რისიც კი ამ განატებულს უნდა ჩამოვიდეს პეტერბურგში.

шение и предложено на днях командиром I-й батареи 36-й арт. бр., подполковником князем Кочакидзе, по мысли коего связан был паром из дышел и передковых коробов, предварительно опорожненных. На этом пароме 27-го июля переправлена батарея вполне успешно; тот же паром может служить и для переправы пехоты*...

სამწუხაროდ, სხვა მასალები არა გამაჩნია რა, გარდა ამ მშრალ წელთა და თანამდებობათა აღრიცხვისა, რომ ქოჩაქიძის სამსახურის აღწერისათვის რაიმე ხალისის მიცემა შემცდლოს. არც ერთი მისი მიწერ-მოწერა ჩემ ხელთ არ ყოფილა, არც ერთს მასზე მოგონებას. ჩემამდის არ მოუღწევია. ვიტყვი მხოლოდ, რომ ქოჩაქიძეს სამსახურში ყველანი დიდი პატივისცემით და სიყვარულით ოურმე ეცყრობოდნენ. თვით მთავარსარდალი კავკასიის ჯარებისა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე აფასებდა მის ნიჭის და ბეჯითობას. ერთხელ, როცა მთავარსარდალს მოხსენდა გიორგის ჯვარზე წარდგინება, დიდმა მთავარმა უთხრა გიორგის ბიძაშვილს, მისი კანვოის კომანდირს გიორგი გვათუას:

* ତାଙ୍ଗମାନିରେ

36 დივიზიის პოლუში ამა წლის საზაფრულო შეკრების დროს ჭარმობებული იქნა დამტკიცებული მდინარეზე გადასვლის რატიონიმე გარჯოში, როგორც მოხალისე კომანდების, აგრეთვე ქვეითა ჯარის მწყობრი ნაწილების თავიანთი I სარისხის საბარგულებით; შაგრამ შემდეგში აკლდათ ჩვევები არტილერიაც გადაეტანათ, რაზედაც მე-13 კორპუსის კომანდირის მიერ იქნა მიქვეული ყურადღება. ქალ. ორიოლში სადივიზიო ბანაკში არტილერიის ჩამოსვლისთავე დაწყოცდები, როგორც ქვეითა ჯარში, აგრეთვე არტილერიაშიც, მუინარეზე გადასვლისათვის აუცილებელ საშუალებათა გამონაზვისა. გადასვლის ხერხებს, რომელსაც მოზალისე კომანდები იყენებდნენ, საფუძვლად ედვათ ალიბლობრივი პატარა ნავების და სხვა დამზადებული მასალების. გამოყენება, როგორიცაა: ლატანები, ფიცრები და სხვ., რომლებიც შეიძლება არც კი აღმოჩნდეს საჭირო რაოდენობით ამ ადგილზე, ამიტომ საჭიროა დაცვეთ იოლად წასკოდ მხოლოდ საკუთარი მოწყობილობის საგნების გამ ყენებით. ამ მიმართულებით შეტაც ხელსაყრელ საშუალებას ქვეითა ჯარისათვის წარმოადგენს სემიონოვის პოლკის ფლერების ჩაგინის წინადადება ჯარისკაცთა კარვების ნაჭრებიდან პატარა ნავების გაკეთების შესახებ. მაგრამ ამ პატარა ნავებისათვისაც საჭიროა ლატანები, რისთვისაც სასურველია საკითხის იშგვარად გადაჭრა, რომ დაცვებულით მხოლოდ და მხოლოდ ჯარის ნაწილების მასალებით სარგებლობას, სხვა დახმარების გარეშე. ასეთი საშუალება წამოაყენა [ამ დღეებში მე-36 არტ. ბრ. I ბატარიის კომანდირმა პოლბოლკოვნიკმა თავად და მა ქოჩა ქიდება, რომლის ჩატვირთვით შეიკრა ბორანი რამინარებისა და გოდრებისმაცვარ ყუთებისაგან. ამ ბორანით 27 ივლისს ჭარმატებით იქნა გადაყვანილი ბატარია; ასეთი ბორანი შეიძლება მოემსაცუროს ქვეითა ჯარის გადაყვანასაც.]

— შე დიდად შოხარული ვარ, რომ ჩემგან ხელდადებული ქოჩაქიძე ასეთი კარგი ოფიცერი გამოდგაო.

და ყოველს შეყრაზე გიორგისთან დიდი მთავარი მოიკითხავდა მას ქართულად:

— კამარჯობა!

VI

გიორგის პარველი სიყვარული.—მისი დაცოლშვილება და განქორწინება.—გიორგის შეილი.

ჯერ ისევ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა გიორგი, როცა ის დაუახლოვდა ერთს, ქალთა სასწავლებელში ნასწავლ, ვაჭრის ქალს და ყმაშვილობის აღტაცებით აღინთო მისდამი სიყვარულით. როგორც ამბობენ, თვით ამ ქალსაც, რომელსაც გიორგი იხსენიებს თავის ლექსებში ანბით და ნარობით, მოსწონდა გიორგი, მაგრამ როდესაც მგოსანმა ხელი სთხოვა ბანოვანს, მან პასუხად თურმე გასცა: ჯერ მაღალი სასწავლებელი გაათავე და მერე გამოგყვებით.

ამ ურთიერთობას მოჰყვა ჯერ რუსეთში სასწავლებლად წასვლა და შემდეგ ომი, ე. ი. განშორება და დავიწყება.

ონს შემდეგ გიორგის სულ სხვა წრეებში შეხვდა ყოფნა. ამ წრეებში ომგადახდილი ვაჟკაცი, რომელსაც მკერდს უმშვენებდა წმინდა გიორგის ჯვარი, სახით ლამაზი, მხიარულებით, სიცოცხლით აღსაგსე, ამასთან ჩინებული მემუსიკე და მხატვარი, გიორგი იყო სასურაველი სასიძო და მალე ის აქ შეეყარა მის საბეჭდოს. პეტერბურგში ყოფნის დროს გიორგიმ გაიცნო ნაფიცი ვექილის სტეფანე ეჭერსკის ქალი ანა და იმაზე ჯვარი დაიწერა 1 ოქტ., 1884 წელს.

ამ ქორწინებიდან გიორგის 1885 წლის 31 ივლისს ეყოლა ვაჟი, ბორისი.

სამწუხაროდ, გიორგის საოჯახო ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, თუმცა ცოლ-ქმარს ერთმანეთი დიდად უყვარდათ. წვრილ-წვრილი შინაური უთანხმოება, რომელიც თავიდანვე აუტყდათ გიორგისა და მის სიმამრის, თანდათან გამწვავდა და მალე საქმე იქამდის მიეიდა, რომ სიძე სამუდამოდ განშორდა სიმამრის ოჯახს და მამის მორჩილი ასული დაუბრუნდა დედ-მამის ოჯახს, თუმცა ქმრის სიყვარული ისევ ისე ძალზე ულვიოდა იმას გულში. 1889 წელს გიორგი და მისი ცოლი ერთმანეთს განშორდნენ და განქორწინდნენ.

იძდროინდვლ გიორგის ჭაშასოერო წიკნში, რომელმაც ჩვენაში მოაღწია, არის აწერილი, რამდენად ემძიმებოდა გიორგის ამ განქორწინებისათვის საჭირო მოთხოვნილებათა ასრულება. ის სამი-ოთხი წლის განმავლობაში უწინააღმდეგებოდა ამ განქორწინებას, მაგრამ ბოლოს, რომ ვერა გახდა რა, იძულებული შეიქნა თანხმობა განეცხადებინა.

განქორწინების შემდეგ გიორგის ნაცოლარი მისთხოვდა სხვა ქარს, პეტერბურგის ოლქის სასამართლოს წევრს ველიჩკოს, მაგრამ ნამდვილი მეგობრული განწყობილება გიორგისადმი იმას სამუდამოდ ჰქონდა გულში დამარცული. როგორც გაღმომცა გიორგი გვათუამ, ცოლი არა ერთხელ მოსულა გიორგისთან და მოუყვანის მასთან სანდხავად მისი შვილი ბორისი. იგივე განწყობილება ქმრის სახელისა და ხსოვნისადმი სიამოვნებით შევნიშნე მე გასულ წელს*, როცა გიორგის ცოლი ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა. შვილის საქმეთა გამო ის გაფაციკებით თვალყურს ადევნებდა, სხვათა შორის, გიორგის თხზულებათა გამოცემასაც.

გიორგის შვილმა ბორისმა სწავლა-განათლება მიიღო პეტერბურგის მაღალ სასწავლებელში—უჩილიშე правоведения და მას შემდეგ, რაც სამხედრო სამსახური გაათავა, ხელმწიფე იმპერატრიცას კირისირის პოლქში შევიდა მოხელედ სახელმწიფო კანცელარიაში, საცა დღესაც განაგრძობს სამსახურს. აღზრდის პირობათა გამო ბორისმა ქართული არ იცის, მაგრამ ქართული ენის სიყვარული მას მამის სიყვარულთან აქვს შეკავშირებული. გასულ წელს** ბორისი ჩამოვიდა ჭალადიდს მამის საფლავის თაყვანსაცემლად.

ცოლ-შვილის დაშორებამ საშინელი ცუდი გავლენა იქონია გიორგის ხასიათზე. მოვიდნენ მასთან ცოლ-შვილი და ბედნიერება მოუტანეს, წარვიდნენ და ბედნიერება მისი თან წაიღეს. მუდამ მხიარული გიორგი ამას შემდეგ მოეშვა, შეიქმნა მუდამ მოღვრემილი, მდუმარე.

— მამისა რცხვენოდა და განქორწინების შემდეგ მთელი ათი წელიწადი სახლს არ შოკარებია გიორგიო, — მითხრა მისმა ქმამანტონმა.

VII

რა პირობებში და რა ენით უწერია ჭალადიდელს.

თუ შართალია ლათინური თქმულება „პეტი იბადებაო“, არა ნაკლებ მართალია ისიც, რომ პოეტი, თუნდ დედის ნაშობი, თუ

* 1912 წელს—რედ.

** ქალადიდში ჩამოსულა 1911 წელს.—ს. 6.

იმას ხელს არ უწყობს გარშემომშელუდველი გარემოება, ვერ იხეირებს ისე, როგორც ვერ იხეირებს მცენარე, სინათლესადა სითბოს მოკლე ბული. გამოაკელით ჩვენს დროებას ის, რაც არ იყო ქუთაისში სამო-კიანი წლების ბოლოს, როცა ფეხს იღვამდა ჭალადიდელის მწერლო-ბა: გაზეთი, ურნალი, დრამა, კომედია, მოთხრობა, საჯარო კითხვა, საჯაროდ ლაპარაკი, მხატვრობა, ქანდაკება, მუზეუმი, ყოველდღიუ-რი, ყველასათვის ხელმისაწვდენი, ქუჩა-ქუჩა მოარული ილუსტრაცია, ერთი სიტყვით, გამოაკელით ჩვენს დროებას სხვადასხვაობა თანამედ-როვე ხელოვნებისა და ოქვენ თავქვე დააყირავებთ ახლანდელ სიტყვა-კაზმულ მწერლობას, ლრუბელს გაუვლებო სამწერლო მაგიდაზე ისეთ ნიჭიერ მგოსნებს, როგორიც იყვნენ და არიან: გრიშა აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ევდოშვილი, შანტიაშვილი, აბაშელი, რუხაძე, ქუჩი-შვილი და სხვანა ახალთ-ახალნი, ნორჩი მოლექსენი, რომელთა ნაწერებს სიამოვნებით კითხულობს ჩვენი საზოგადოება. ეს იმიტომ, რომ სულ ყველა ესენი შვილნი არიან დროებისა და გარეშე ჩამო-თვლილის პირობებისა სამწერლო ნიადაგზე ესენი, ისე, როგორც სხვანი, თავს ვერ იჩენდნენ. ჭალადიდელიც შვილი იყო დროებისა და რადგანაც მის დროს აქლდა ხსენებული პირობები, მისი ნიჭის ძლიერებაც... შუაზე გაიყო. მხოლოდ ხალხს შეეძლო გარეშე ამა-პირობათა თავისუფალი თქმა და შემოქმედება. ხალხის შემოქმედე-ბის საუნჯეს, როგორც ნეგატივს, საქართველოს ბუნების სიმშვე-ნიერებმ, საქართველოს ბედმა და უბედურებამ, ქართველი ქალის, გოგონას მოხიბლავმა სიმშვენიერებმ გარედან შუქი შეანათა და ხალხური ლექსი დაიბადა თავისთავად, თითქო. ისე, როგორც იბა-დებოდა ხმა სფინქსისა, როდესაც იმას დაჰკრავდა დილის მზე. დაამხვეთ ეს პირობები და კერძო პიროვნებაც, როგორც ძლიერი მწერალი, კარგავს თავის ლირსებას.

შეუსაბამო პირობებში მყოფ ჭალადიდელს რაც უწერია, ამას თვით მკითხველი იცნობს.

მე აქ ნებას ვითხოვ შევეხო მხოლოდ მის ენას, მის ქარ-თულს.

ქართული ენა ჭალადიდელს არ უსწავლია არც შინ, საცა ლა-პარაკობდნენ მეგრულად, და არც სკოლაში, როგორც დავინახეთ ძიმისტარიშვილის წერილიდან, რადგანაც მთელი თავისი ცხოვრება მას გაუტარებია უცხოეთში, არტილერიის ოფიცირებსა და ჯარის-კაცებს შორის.

სამეგრულოს ოჯახებში, ოდიშს, წარსულ საუკუნეში ქართულად არ ლაპარაკობდნენ. ქართულად საუბრობდნენ მხოლოდ მთავრის

სასახლეში, საცა დედოფლები გამოულევლად პნ ქართლ-კაზეთილან იყვნენ, ან იმერეთილან, ან გურიილან, ან რაჭილან და დედოფლის მსახურთა, ამის გამო, ყველას ქართულად უნდა ელაპარაკათ. ქართულადვე ლაპარაკობლნენ სასახლეში მთავრის მხლებელნი და მოსამსახურენი, რაღვანაც ესენა უმეტეს ნაწილად ლეჩხუმლები იყვნენ, თანამდებობის კაცნი, სასულიერო პირნი, მთავრის კანცელარიის მსახურნი, გარეშე სტუმარნი. მთავრის სასახლეს ბაძვიდნენ რამდენიმე ჭარჩინებულნი თავადისშვილნი, უმეტეს ნაწილად მთავრის სახლიდან გამონაყოფნი, გურია-იმერეთის სიძეები. დანარჩენ ოჯახებში კი ჩველანი მეგრულად ლაპარაკობდნენ.

და მეგრელებმა... ამას წინეთ „გრდემლში“ (წიგნი 1) ერთი მცირე მოთხრობა წავიკითხე ვ. ბარნოვისა სახელიდ „თებერას დანიშნული“. ამ მოთხრობაში, რომელშიაც სულ 35 ფურცელია, მე წავაწყდი 100 სიტყვას, რომლის მნიშვნელობა ან სულ არ მცოდნია, ან მცოდნია და ოდნად, ბუნდოვანად. რომ ანკეტა მოვახდინე, აღმოჩნდა, რომ ამ მოთხრობაში უცნობი სიტყვები შეხვედრით მეგრელებს: გიორგი გვაზავას 77, დუტუ მუგრელს 54; იმერელ მიხა ნადირაძეს 101 და გურულ ნოე ულენტს 131. რისგანაა, რომ გურულსა და იმერელს ამდენი უცნობი სიტყვა შეხვდა შიგა და შიგ ბარნოვის მოთხრობაში არ ვიცი (პროვინციალიზმით თუ აისწნება, უკეცელია; აბა, გიგა ყიფშიძემ წაიკითხოს ეს მოთხრობა, ან სოფრომ მგალობლიშვილმა, ან ნიკო ლომოურმა, თუ იმათ ერთი უცნობი სიტყვა იპოვონ შიგ), მაგრამ ის კი ვიცი, რომ მეგრელებს ამდენი უცნობი სიტყვა იმიტომ დაუხვდათ მოთხრობაში, რომ ეს სიტყვები იმათ არც შინ გაუგონიათ, არც სკოლაში, არც ცხოვრებაში. ამდენი სიტყვა რომ ამგვარ პატარა მოთხრობაში აკლიათ იმათ, თქვენ თვითონ უნდა წარმოიღვინოთ, რამდენად ლარიბი უნდა იყოს საზოგადოდ მათი ქართული ლექსიკონი. ლარიბი ლექსიკონი! ე. ი. ლარიბი სახსარი აზრთა სხვადასხვაობის და ფერადობის გამოსათქმელად.

სამოციან წლებში, როდესაც გიორგის სამწერლო ენა იბადებოდა, ჩვენი ახალი ქართული მწერლობა არც ისე ლარიბი იყო, რომ გიორგის არ შესძლებოდა ამ მწერლობის ენით ესარგებლნა, მაგრამ მაშინდელი ნაწარმოებნი ქართული მწერლობისა ჩვენში არ იყვნენ გავრცელებულნი, არავისა არ იყოს, იყვნენ და არა იყვნენ..

იყვნენ დაწერილნი:

„მგზავრის წერილები“ ილია ჭავჭავაძისა — 1861 წელს,

„გლახის ნაგებობი“ — 1862 წელს.

„კაცია ადამიანი?“ — 1863 წელს.

აკაცის „საიდუმლო ბარათი“ — 1860 წელს.

გრიგოლ ორბელიანის „ანტონს“ — 1827 წ.

ბარათაშვილის „ბულბული ვარდზე“ — 1834 წ.

რაფიელ ერისთავის პირველი ლექსები — 1852 წ.

გიორგი ერისთავის „გაყრა“ — 1850 წელს.

მაგრამ სულ ყველა ამ ნაწერებს სამოციანების ბოლოს ჯერ კიდევ არ ჩაუწევიათ სამეგრელომდის.

იბეჭდებოდნენ ამ ღროს ტფილისში უურნალებიც და გაზეთებიც, მაგრამ არც ამ გამოცემებს ჰქონდათ გახსნილი გზა სამეგრელოსაკენ. ერთადერთი ქართული გაზეთი „დროება“ 1869 წელს სულ იბეჭდებოდა 240 ცალი.

ამგვარ ატმოსფეროში დაბალებული და ალზრდილი, ჭალადიდელი ვერ ასცდა ყველა იმ ნაკლს, რომელიც საზოგადო იყო მისი ღროის მეგრელებისათვის. ქართული ენის უცოდინარობისგან ის ვერც დედის იმერლობამ იხსნა და ვერც დეკანოზმა ქუთათელაძემ.

მისი ლექსები გადაჭრელებულია სიტყვებით: „ლუქმა პურს თავს აჭმევს“, „გულსა მკვდარია“, „გატინთრაქულა“, „გულს არ უჯის“, „მგრძნობარე“, „უგრძნობარე“, „მშფოთარე“.

რითმის გულისათვის ის „მდიდარის“ მაგიერ ხმარობს „მდიდარეს“, „ლრეს“ მაგიერ წერს „ლროს“.

ხაჭაპური და ქადური ერთს თანახმის ულელში ჰყავს შებმული და სხვადასხვა.

სუსტი ქართულით, მორცხვად, მორიცებით შემოდგა ფეხი ჭალადიდელმა ქართულ მწერლობაში, მაგრამ იმ ქვეყანაში, საცა ყოველი ჭაცი ლექსის წერს, სამოციანების ბოლოს] ჩვენში როგორ-ლაც ლექსი ძვირობდა და ჭალ ზიდელის ლექსი შეიქმნა საცილო, ხელიხელ საგოგმანები. ჯერ კ' თი გაზეთი რომ დაბეჭდავდა მის ლექსს, მეორე გაზეთი, დამშეულ ივით, ამ ლექსს მთლად იმეორებდა. მისი ლექსები „ქება შრომას“, „დარჩენილი ჩერქეზი“, „მოგონება“, „ჩემი ანა“, „ნეტარ არს კაცი“, „ელეგია“ ჯერ „დროებაში“ დაიბეჭდნენ და მეორე „სასოფლო გაზეთში“. 1870 წელს, მახსოვს, ტფილისის სემინარიაში ქართულის მოყვარე მოწაფე ისეთი არავინ იყო, რომელსაც ზეპირად არ სცოდნოდა გიორგის პატრიარტული ლექსი.

ქალაქელი ბიჭი ვარ,
საყვარელი მეცა მყავს

ეს ლექსი რვეულიდან რვეულში გადადიოდა სასწავლებელში.

ზიკო დადიანის და ალექსანდრე ხახანაშვილის ახრი ჭალადიდელზე.—
დიმიტრი ერისთავის ლექსი.

ჭალადიდელის ცხოვრების აღწერა არ იქნება სრული, თუ არ
შოვიგონეთ აქ ის, რაც თქმულა იმის შესახებ სხვადასხვა დროს ჩვენს
თუ რუსულ მწერლობაში. ბევრის ნაოქვამიდან მოგვყავს აქ მხო-
ლოდ რამდენიმე, სულ სამი, რომელთაგან ერთი ეკუთვნის ნიკო
ტარელის-ძე დადიანს, მეორე,—პროფესორ ხახანაშვილს და მე-
სამე—დიმიტრი ერისთავს.

ნიკო დადიანმა ჭალადიდელზე შემდეგი აკროსტიხი დაწერა:

გირის და ლხინის ტალკვესი ჭართველისათვის ლექსია,
აშით მოსთქვაშს და მოილხენს —ეს მისი ყოფის წესია!
ლამპრად მვზნებარე ტალანტი ამ-კაცში ცას უთესია,
ამხედრებული პეპასხე არავის უდარესია,
დრო-შეხამებით მოლექშე საერთ ყრძნობის მკვნესია;

იმღერა სევდა-რეულად, საგანი წმიდა, ზესია;
დადუმდა უცებ; გავკვირდით, ვსთქვით: რა ქმნა, ან რა წესია?
ეწვია სენი მოშლისა? თუ აწ სთქვას უკეთესია,
ლამაზი, ტურფა. შაირი, ხომ ზნითაც აწ უბრძნესია!

პროფესორშა ხახანაშვილმა თავის თხზულებაში **Очерки по ис-
тории грузинской словесности** შემდეგი აღგილი უძღვნი გიორგი
ჭალადიდელს:

Младшим современником плеяды грузинских писателей, высту-
пившим на литературное поприще в эпоху падения крепостного
права, был поэт кн. Г. М. Коцакидзе, первые произведения кото-
рого относятся к концу 60-х годов. Двадцатилетним юношей он
выступил бойкими стихотворениями — „Дроэба“, „Кребули“, „Мна-
тоби“. Его дебюты сопровождались решительным успехом; — в нем виде-
ли достойного преемника кн. И. Чавчавадзе и кн. Ак. Церетели.
Стихотворения его, появившиеся в „Дроэба“ (1869—1870), в
журнале „Кребули“ и в календарях С. Месхи („Нико и Нино“ и
др.) быстро распространились в народе путем устной передачи и
распеваются поныне под звуки чиануры во всей западной Грузии.
Его стихотворение „Проводы сына в школу“, ставшее обычной
песней детей, приобрело ему огромную популярность той искрен-
ностью чувств и простотой их изображения, которая вообще от-
личают его произведения.

За тридцатилетний период литературного творчества он написал немного, не то, что написал, пока разбросано в повременных изданиях и не имеется сборника его стихотворений. Основой тон его творчества, это — любовь к родине, расцвету которой он готов был „пожертвовать жизнью“. Этот лайт-мотив проходит через все его произведений. Звучный стих, легкий язык, теплота настроения сообщают его излюбленной идее такую искренность и привлекательность, которая полна и чарами поэтической красоты. Отличительную черту его музы составляет тонкое знание души человека и редкая способность проникнуть в народную психологию. „Песня“ (на мотив „Кало Хабардано“) — образец понижания городским обывателем любви к родине; песню согревает идея привязанности к возлюбленной и готовности лечь костью за нее. В параллель же этой песне „Пацка“ рисует гостеприимного, добродушного крестьянина в плетеной избушке, среди бедной сельской обстановки остающегося верным хранителем традиции своей страны. Школьная песня внушает бодрящее чувство, мысль о непрерывном труде и приобретения знаний. Будучи поэтом-гражданином по преимуществу, отвечая на запросы дня, отстаивая необходимость широкого образования, для блага народа, Чаладидели был истинным художником в тех мелких стихотворениях, где он берется очергить картины горных пейзажей. Такова его маленькая чудная лирическая пьеса, посвященная горному водопаду».

* ταრგმანი

ბოეტი გ. მ. ქოჩაქიძე იყო უმცროსი თანამედროვე ქართველი მწერალითა იმ ჯდუფისა, რომელიც ბატონიშვილის დაცემის ეპოქაში გამოვიდა ლიტერატურულ ასპარეზე. მისი პარველი ნაწარმოები კერძოსან 60-იანი წლ. ბოლოს. ოცი წლის კაბუკი გამოვიდა მკვირცხლი ლექსებით „დროებაში“, „კრებულში“, „მნათობში“ — არაჩვეულებრივი წარმატების მქონე დებიუტებით. მასში ხედავდნენ ი. ჭავჭავაძის და აკ. წერეთლის ლიტერატურულ მემკვიდრეებს. მისი ლექსები, გამოქვეყნებული „დროებაში“ (1869—1870), უზრ. „კრებულში“, და სერ. მესხის კალენდრებში ხალხში სწრაფად კრცხულებული. მათ დაჟღედე მღვრიან მთელ დასავლეთ მაკანთველობში. მისმა ლექსმა „დედის დარიგება“, რომელიც ბავშვთა ჩვეულებრივ სიმღერად იქცა, მიანიჭა პოეტს დიდი პოპულარობა იმ გრძნობების გულწრფელობისა და მათი მარტივი გამოწარულებისათვის, რითაც საზოგადოდ ჟასლება მისი ნაწერები.

ლიტერატურული შემოქმედების თცდაათწლიან პერიოდში მან დაწერა ციტა, მაგრამ ისიც, რაც დაწერა, ჯერჯერობით გაფანტულია სხვადასხვა გამოცემებში და მისი ლექსთა კრებული არა გვაქვს. მისი შემოქმედების ძირითადი ჭალოა სიყვარული საჭმობლოსადმი, რომლის გაფურჩვნისათვის ის მზად იყო „სი-

თავ. დიმიტრი ერისთავმა უძლვნა ჭალადიდელის ხსოვნას შემ-
დეგი ჩინებული ლექსი:

სასტიკსა ქარსა ჩრდილოეთისას
ცით აიტანდა წაზი ყვავილი,
ჭალადის ტურფა წალკოტთა შორის
აღმოფენილი და გაფურჩქვნილი?

დასჭინა ყვავილი... შეჩერდა ძერა
კეთილშობილის მგოსნისა გულის...
ვერდა მოვისმენთ კვლავ ტკბილსა მღერას-
ძმობის, ერთობის და სიყვარულის,,

ვერ გავიგონებთ ახალსა ჰანგებს,
მაგრამ ძველებსა წომ ზოლი მღერის?
მღერის ყანაში, მღერის ლაპინის დროს
სადიდებელად მგოსნის სახელის...

ქართველსა დედას უღეიძებს გრძნობას,
მგოსანო, შენი მაღალი ოწმენა,
და დასჩიჩინებს იგი წირჩის შვილსა:
„გიყვარდეს, შვილო, სამშობლო ენა!“

ძენი-ასულნი ივერიისა
და-ძმურად ურთერთს უარდაპატვევიან
და, ვით შენ გწადდა, სამშობლო ქვეყნის
ასაყვავებლად ერთად იღწვიან..

ცოცქლე შეეწირა. ეს მთავარი მოტივია გატარებული მთელ მის ნაწარმოებში. მეღვრი ლექსები, უბრალო ენა და მცრდნობელობა აჩიპებს მის საყვარელ იღებს ისეთს გულურუსელობასა და მიმზიდებულიას, რომელიც მომზიბლელია და ჯადოსნური პოეტური მშენებისათვის.

მისი მუხის განმასწვავებელ თვისებას შეადგენს ადამიანის სუჟისკვეთების კარგი ცოდნა და წალჩის ფსიქოლოგიაში ჩაწვდომის არაჩვეულებრივი ნიჭი. „სიმღერა“ („ქალო წაბარდანონ“-ს მოტივზე) ქალაქის მცხოვრებელთა სამშობლოსადმი სიყვარულის შეგრძების ნიმუშია; მის სიმღერას ათბობს შეყვარებულისადმი ერთგულებისა და თავდადებისათვის მზადყოფნის იდეა. ამ სიმღერის პარალელი „ფაცხა“ გვიჩატავს მოწნულ ქოხში მცხ. გულკეთილ გლეხს, რომელიც დარჩენილია, სოფლის დარიბულ პირობებში, ძველი ტრადიციების შემნახველად. სასკოლო სიმღერა („მოგონება“) გვინერგავს მხნე გრძნობებს, მუდმივი. შრომის უნარს და ცოდნის შეძენას აზრებს. იყო რა უმთავრესად პოეტი—მოქალაქე, უპასუხებდა დღიურ მოთხოვნილებებს, წალჩის საკეთილდღეოდ, იცავდა ფართო განათლების აუცილებლობას, ჭალადიდელი იყო ნამდვილი მზატგარი იმ პატარა ლექსებში, საცა ის იბრძვის დარატოს მთის პეიზაჟების სურათები. ასეთია მისი პატარა, საუცხოო ლირიკული პიესა, რომელიც მიძღვნილია მთის ჩანჩქერისადმი.

გერთილმა თესლმა შენის სიტუაციისამ
უცხო ნაყოფი აღმოაცენა.

„ასწლოვან მუხად“ იგი გარდიქმნა,
ქვეყანაც ჩვენი მთალად დაამზევენა...

ამაყად წელში ის გამართულა...

„არღა ჩაპლუნავს აწ მძიმედ თავსა“,
მწვანე ფოთოლნი ამო შრიალით
ქართველს ეტყვიან შენსა ამბავსა:

„აჭ, ჩემს ჩრდილს ქვეშ, უკუნის ძილით
სძინავს მგოსანსა ჭალადიდელსა;
შე ვარ იმისი მაღალი სული,
აღმოცენილი კოლხიდის ველსა...“

და ვინც ჩემს ჩრდილქვეშ თავს შეაფარებს,
ქვის გულიც ჰქონდეს, მყის გაუთბება:
იგი გაიგებს, თუ რა ტკბილია
მამულის ტრფობა და ერთგულება!“

სხვების ნაწერებიდან ციტატებს თავს ვანებებს, მაგრამ ესეც
კია, აკაკის ხომ სხვა არ ეთქმის. „ილია ჭილიას ნაწერებმა“ მოი-
გონეს და მეც აქ ვიმეორებ აკაკის სიტყვას გიორგის შესახებ: ჭა-
ლადიდელმა თავისი ნიჭი ზარბაზნის კვამლში, გახვიაო. დიდი მგო-
სანი ნალვლობდა, რომ ნივთიერმა ხელმოკლეობამ და იმ გარემო-
ებამ, რომ სალიტერატურო შრომა ჩვენში უზრუნველს არ ყოფს მუ-
შაკს, ჭალადიდელის ნიჭი მოაკლეს ქართულ მწერლობას...

IX

გიორგის გარდაცვალება.—მისი ჩამოსვენება რუსეთიდან და დასაფლავება

ის ავადმყოფობა, რომელმაც გადაიტანა განსვენებული გიორ-
გი—ასტმა—დიდი ხნიდან აწუხებდა მგოსანს. სიკვდილამდის ერთი
წლის წინათ ის ჩამოვიდა რუსეთიდან სამშობლოს, მაგრამ ავად-
მყოფობა ისე შორს იყო წასული, რომ ვერც ცხოველმყოფელმა საშ-
შობლოს ჰაერმა და ბუნებამ ჯშველეს რა იმას. გიორგი გარდაიც-
ვალა 1 (13) აპრილს 1898 წ. ქალაქ მინსკში, საცა იდგა მეორე-
ლივიზიონი ოცდამეტითის არტილერიის ბრიგადისა, რომლის კომანს
დირად ის იყო დანიშნული 1895 წელს. 24 მაისს გიორგის
ცხედარი ჩამოასვენეს მინსკიდან ქალაქ ფოთს და აქედან წაასვენე

* „ივერია“ № 97/98.

12. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II.

სენაკით სამშობლო სოფელ ჭალადიდს, საცა 26. (7 ივნ.) იშ თვეს იგი დაკრძალეს*. როგორც ფოთში, ისე სენაკსა და ჭალადიდში განსვენებულის ცხედარს დიდძალი ხალხი დაუხვდა სიტყვებითა და გვირგვინებით. ჩინებული სიტყვა წარმოთქვა ფოთს იაკობ ფანცხავამ. ამ სიტყვაში განსვენებულის ლექსი

„გამაცოცლე, მანატრე“

ი. ფანცხავამ ამგვარად თარგმნა: საფლავშიაც რომ ვდნებოდე, იქიდანაც კი, დარწმუნებული ვარ, საფლავს ამოვარლვევ და ქართლოსის შვილთა საზოგადო ფერხულში მეც მონაწილეობას მივიღებ, თუკი აყვავებულ სამშობლოს მოვესწრებიო.

სამშობლოს ნატვრა იყო უკანასკნელი ოხვრა განსვენებული მგოსნისა მისთვის უცხო ქვეყანაში. მისკენ მიისწრაფოდა იგი, როცა ამბობდა:

მოვკვდები, ხელს დაჭირულ,
მასვე ჩავეხუტები.

5 აპრ., 1913 წ.

ფოთი.

* ამჟამად ჭალადიდელის ნეშტი გადმოსვენებულია ქ. ცხაკაიაში (ახალსენაკში), საცა მშვენიერი ძეგლი აღმართეს.—ს. ი.

ରାଜ୍ୟବଳୀ

କଲିନ ପ୍ରାଚୀକାରାଧୀ

(ମୋହନେଶ୍ୱର)



ଓঁ মোহাম্মদ আব্দুল হাতে

ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან

როგორც აკაკის, „კაცია-აღამიანის“ დამწერსაც მწერლობაშიც მარტო ილაა რომ დაეძახოს, მგონია, არა წახდეს-რა. ოუ რუსულად ილია გრიგოლის-ძე ითქმის, ჩვენთვის მარტო ილია, როგორ-ლაც, უფრო მოხერხებულია, უფრო ჭართვული.

ილია იყო ლარიბი თჯახის შვილი. იმ ხანებში, როცა ის დაიბადა (1837 წ.), ჭავჭავაძიანთ გვარში დოვლათიანი სახლი მარტო ერთი სახლი იყო — ალექსანდრე გარსევანის შვილისა, საქართველოს მგოსნის, რომლის თჯახისაგან გამოვიდნენ სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე, ნინა გრიბოედოვისა, თამარ ბატონიშვილი — ერეკ-ლეს მეულლე, ბარონესა ნიკოლაი და სხვ. ამ დროებში „კნიაზიანთ“ თჯახს კახეთში მარტო ალექსანდრეს თჯახს ეძახდნენ. სხვების სიმდიდრე მარტო პური. და ლვინო იყო. ილიას მამა გრიგოლიც, შექსპირის თქმისა არ იყოს, მარტო სისხლით იყო მდიდარი და არა ქონებით. მეტსახელად გრიგოლს თურმე პაჭუას ეძახდნენ. გრიგოლი ერთ დროს თურმე მსახურობდა ნიუეგოროდის დრა-გუნის პოლკში და რამდენადმე განათლებული კაცი იყო. დედამისი, სახელად მაგდანი, იყო სომხის ქალი, ბებურიშვილის ასული.

როგორც დავით ერისთავს, ილიასაც არა ერთხელ სმენია მისი ხასიათის თვისების ახსნა სომხის ქალის შვილობით.

ერთხელ, როდესაც ილია დუშეთში მომრიგებელ შოსამარ-თლედ იყო და ერთ სადილზე რაღაც შემთხვევის გამო სიტყვა წარმოთქვა, ეს სიტყვა სხვაზე უფრო ერთ სომეხს მოეწონა.

— უჰ, შენი ჭირიმე, კნიაზო, კარგი იმიტომა ხარ, რომ დედა სომეხი გყავსო, — უთხრა იმას სომეხმა.

— საკვირველია, თქვენმა მზემ, შენ დედაც ცომეხი გყავს და მამაც და ასეთი თავხედი გამოსულხარ, — მიუგო გულნაკბენმა პო-ეტმა.

ილიას პატარაობაზე თვითონ მისგან არა ერთხელ გამიგონია, რომ იმან წერა-კითხვა სოფლის მთავრისაგან ისწავლა, რომ დედამისი სხვადასხვა მოთხრობებს და „ვეფხისტყაოსანს“ უკითხვა-

და იმას და სხ. მაგრამ ამაებზე მე აქ არ ვილაპარაკებ გრძლად, ჩადგანაც ამაზე თვითონ მან დაწერა თავის მოკლე ავტობიოგრაფიაში.

შეთერთმჯრე წელი რომ დაუდგა ილიას, ის ქალაქს ჩამოიყვანეს და ვიღაც რაევსკის პანსიონში მისცეს, აქედან იმან იწყო სიარული გიმნაზიაში და რა დაამთავრა მერვე კლასი, გაემგზავრა პეტერბურგს 1857 წელს, საცა შევიდა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

სანამ ქალაქს ჩამომიყვანდნენ,—გვითხრა ერთხელ პოეტმა (გოგებაშვილთან, სადილზე),—მე ხშირად მაციებდა და ტყლიპი გამიღიდდა (აბსტრუქცია მქონდაო, თქვა), ქალაქს რომ ჩამომიყვანა მამაჩემმა, ყველა ექიმი დამასიეს, მაგრამ ვერას გახდნენ რა. მაშინ ვიღაც ერთი ფერშალი მომიყვანეს ავლაბრიდან. კაბა ეცვა, თავზე კარტუზი ეხურა, ჩოფურა იყო. რომ ხატვა ვიცოდე, დავხატავ, ისე ცოცხლად მახსოვს იმის სურათი. იმან წამალი დამალევინა. წამისვა ტყლიპზე რაღაც და სთქვა: თავის დღეში ამას არ გააციებსო და მართლა, მას აქეთ ჩემთვის არ გაუციებიაო,—დასძინა პოეტმა.

ჩვენ რომ რუსეთს მივდიოდით და კავკასიონის მთებზე ვიწყეთ ასვლა,—გვითხრა სხვა დროს ილიამ,—მლეთის დაშვებაზე შემოგვეყარა გრიგოლ ორბელიანი, რომელიც რუსეთიდან ბრუნდებოდა ტფილის. გრიგოლი ფეხით მოდიოდა, ჩვეულებრივად ზურგს უკან ხელშეწყობილი, პირმლიმარე, დაფიქრებული; დაშორებით მოსდევდა მას ნელის ნაბიჯით თავისი ეტლი. ჩვენ რომ დავინახეთ პოეტი თავისი ელემენტით—კავკასიის მთებით და ლრუბლით გარშემოზღვილი, ალტაცებით ვთქვით ერთმანეთში: სწორედ ესლა, ამ დამშვიდებულ გულზე, ლექსს რასმე უწერს ამ მშვენიერს გამოიყენა, და იმ დროიდან დაწყებული სიკვდილამდის ილია იყო თაყვანისმცემელი გრ. ორბელიანისა.

* *

როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტში ილიას ყველაფრით განსხვავებული დრო შეხვდა. ტფილისში ის რომ ჩამოვიდა პირველად, აქ ვორონცოვისაგან დანერგილ ხეს ნაყოფი გამოელო, „ცისკარი“ გამოიცა.

ქართული თეატრი დაარსდა.

უურნალმა და დრამამ ცოტაოდნად ქართული საზოგადოება გამოაღვიძა.

თუ ეს ვამოღვიძება ყველგან თვალსაჩინო არ იყო, თუ დაბლა ხალხს სულ ისევ სძინავდა, მაღლა წრეებში, განათლებულ სა-

ზოგადოებაში, ქართველმა კაცმა თვეალი გაახილა. ამ საზოგადოებას იღიაც ეკუთვნოდა, როგორც ვიმნაზიის მოწაფე.

ნიადაგი და ატმოსფერო კარგი ჰქონდა მომავალ შეოსანს, რომ ამ პირობებში მას ჩანერგოდა გულში მამულისა და ენის სიყვარული.

ილიას რუსეთშიც განსხვავებულ დროს შეხვდა მისვლა. როგორც ჩვენს დროში, შემდეგ იაპონიასთან წაგებული ომისა, სულ ყველათვერი რყევაშია და მიისწრაფის ახალი საუკეთესო ცხოვრებისადმი, ისე იმ დროს, შემდეგ ევროპის კოალიციისაგან დამარცხებისა, რუსეთი ახალი წესწყობილებისადმი მიისწრაფოდა, თავიდათავი მოთხოვნილება მაშინდელი საზოგადოების საუკეთესო ნაწილისა იყო გლეხთა განთავისუფლება.

უნივერსიტეტი სათავეში ედგა იმ დროისათვის საქირო რეფორმების შემოლების საქმეს და სწორედ მაშინ, როცა გლეხთა განთავისუფლების საქმე თავდებოდა, სტუდენტებმა არეულობა მოახდინეს.

ამ არეულობას მოკეთები ილიას საქართველოში დაბრუნება.

რეფორმის წინაუროებში აქ ილიას ან რა ადგილის შოვნა შეეძლო თავის ცოდნისა და აზრების საქმეში გამოსაყენებლად, უურნალ-გაზეთობა ამ დროს ჯერ საქმე არ იყო.

„ცისკარი“ კი იბეჭდებოდა, მაგრამ უურნალს მკითხველი არ ჰყავდა. დაბეჭდილ ნომრებს რედაქტორი თვითონ უგზავნიდა გავლენიან, მწერლობის მოყვარე ნაცნობებს: გრძგოლ ორბელიანს, გიორგი მუხრან-ბატონს, მიხეილ თუმანიშვილს, კოლხიდელს, პლატონ იოსელიანს და მათი შემწეობით დიდი გაჭირვებით არსებობდა ის თვითონ, მისი მესტამბეები და მისა უურნალი. თანამშრომლებისათვის ფული არ მოეძეოდა რედაქტორს და არც იყო მოსალოდნელი ახლო მომავალში, რადგანაც საზოგადო ცხოვრების პირობები ასეთი იყო მაშინ საქართველოში.

სამშობლოში ჩამოსულ ილიას გზაზე სვეტი დაუხვდა, რომელზედაც ეწერა: მარჯვნით წახვალ, — ჩინოვნიკი იქნები და მაძლარი, მარცხნით წახვალ, — მწერალი იქნები და მშიერი.

რომ მარჯვნით წასვლა, ე. ი. შესაფერი ადგილის შოვნა, არც ისე ადვილი იყო იმ დროს, ბუნებრივმა მიღრეკილებამ ილია წაიყვანა მარცხენა გზით. ილიამ ჯერ ცოტა ხანს „ცისკარში“ ბეჭდა მისი ნაწერები და შემდეგ, 1863 წელს, საკუთარი უურნალი „საქართველოს მოამბე“ გამოსცა.

ამ უურნალში დაბეჭდა პირველად ილიამ „ქაცია ადამიანი“; „გლახის ნაამბობი“, „რამდენიმე სურათი ყაჩალის ცხოვრებიდამ“ და ბევრი ჩინებული ლექსი.

აქვე დაიბეჭდა ნაწერები ვიქტორ პიუგოსი, პრუდონისა, ბასტიასი, ბელინსკისა.

ახალმა უურნალმა ახალი სიტყვა გააგონა ქართველ საზოგადოებას. ეს სიტყვა მით უფრო დიდი მნიშვნელოვანი იყო და დრო ზე ნათქვამი, რომ საქართველოშიც მზადდებოდა ამ დროს გლეხთა განთავისუფლება ორი წლის წინათ რუსეთში მოშედარი.

ახალი სიტყვა ძველებს არ მოეწონათ.

და ატყდა ძველსა და ახალს შორის კამათი, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ გამოიწვია ილიასა და გრიგოლ ორბელიანის ცნობილი პოლემიკა.

ძველ თაობას არ მოსწონდა არც ილიას უურნალი და არც ილიას სიტყვები. ამ დროის თავად-აზნაურთა ყრილობაზე, როგორც ქრისტეფორე მამაცაშვილი მოწმობს, ერთს კრებაზე, საცა ილია ამტკიცებდა, რომ გლეხი მჩქიანად უნდა გავათავისუფლოთო, ვიღაც თავადი იმას ხანჯლით მიერჩდა თურმე ისე, როგორც გაბრიელ ეპისკოპოსს დაუპირა მოკვლა ვიღაც კანდელაკმა ქუთაისში იმავე მიზეზის გამო.

* * *

„საქართველოს მოამბე“ რომ გამოვიდა, ბატონიშვილს ერეკლეს წაეკითხა უურნალი და ეთქვა თავისიანებში: დემოკრატიული უურნალი არისო.

სასახლის კაცს, გიგო სუმბათაშვილს, ამისთვის ყური მოეკრა, დაეხსომებინა და, როცა შემთხვევამ ნება მისცა, ეთქვა ილიასთვის:

— ილიავ, წავიკითხე შენი უურნალი და უნდა გითხრა, დემოკრატიული იქნები არის.

- როგორ თუ დემოკრატიული იქნები?
- ისე, დემოკრატიული იქნები!
- მაშ რა გინდა იყოს?
- არისტოკრატიული.
- ეს თუნდ ბატონიშვილს ერეკლეს ეთქმის, მაგრამ შენ რადა ჩემი?
- ვითომ და რათაო?
- აბა, რა გაქვს შენ არისტოკრატიული იქნები, აი, თუ გინდა არავი (დიდი შნოს პატრიოტი არ იყო).

— თავი კი განზე იყოს, მაგრამ შენი ქურნალი კი მარც დემოკრატიჩესკი არის,— განუმეორა სუმბათაშვილმა.

„საქართველოს მოამბემ“ ზემოთქმული მიზეზების გამო დიდ-ხანს ვერ იცოცხელა. საშუალება რომ შემოაკლდა, ილიამ „საქართვე-ლოს მოამბის“ გამოცემას თავი ანება. მარცხენა გზით სიარული-საგან რომ არაფერი. გამოვიდა, ილია მარჯვნისკენ გაემართა.

„ლიბერალობა ოქროს ჯაჭვზე გასცევალა“ *

* *

1864 წლის დამლევს ილია გაგზავნეს იშერეთს, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ. აქ დაევალა მას გამოერკვია, რა ურთიერთობა სუფევდა მემამუ-ლეთა და გლეხეკაცთა შორის, ბატონიყმობისაგან წარმომდგარი.

როცა ბატონიყმობა მოისპო და საგლეხო დაწესებულებები დამკვიდრდა ტფილისის გუბერნიაში (4 ნოემბერი 1864 წ.), ილია დანიშნეს მომრიგებელ შუამავლად დუშეთის მაზრაში.

ამაზე უკეთეს ადგილს ილიასთვის კაცი ვერც კი წარმოიდგენ-და. მომრიგებელი შუამავალი, კანონმდებლის აზრით, გლეხეკაცის მაშაა, მისი „მფარველი ანგელოზი“, როგორც ამბობდნენ იმ ხა-ნებში, როცა თანამდე ობა არსდებოდა. კანონი იმას ავალებს: რა-როს სოფელ-სოფელ და ადგილზე გაარჩიოს ნაბატონევთა და გლეხ-თა შორის მომხდარი ცილობა. ის არის ობლის პატრონი, სოფლის მართვა-გამგეობის მეთვალყურე, მასწავლებელი და მოძღვარი გლეხ-კაცობისა. ილიაც სწორედ სააჭისოდ იყო დაგეშილი და მერე ის დაინიშნა მომრიგებელ შუამავლად არა საღმე სომხეთში, როგორც დღეს არის, მაგალითად, გადავარდნილი ილია ჭურნია; დუტუ მეგრელი, არამედ თავისიანებში, არაგვის პირად, მცხეთიდან ორ ნაბიჯზე, მთიულეთის ახლო, მყინვარის კალთებზე, სადაც ის პოუ-ლობდა ყოველგვარ მასალას როგორც მგოსანი, ენის მოყვარე, მა მულის ერთგული; მარტო მთიულეთი და მისი პოეზია რად ლირდა მგოსნისათვის და ილიას მისი ადგილი არა სხვა სახელმწიფო სამ-სახურზე არ უნდა გაეცვალა, მაგრამ არ ვიცი, რა იყო მიზეზი, რო-ცა ჩვენში შემოვიდა სასამართლოს რეფორმა (1868), ილიამ შუამა-

* ეს სიტყვები გრ. ორბელიანს ეჭუთვის. იხ. ლექსში „პასუხი შვილთა“ ილიას შესახებ ნათქვაში:

„სიტყვა — სიტყვაა,
საქმე ფი — სულ სხვა...
ოქროს ჯაჭვი სჯობს თავის უფლებას“...—ს. ც.

კლობას თავი დაანება რა ის დანიშნულ იქნა დუშეთის მომრიგებელ მოსამართლედ.

მომრიგებელ შუამაულად ყოფნის დროის ამბავი მე არა გამოგონია რა ილიასაგან. მხოლოდ, ერთხელ, როცა ჩინოვნიკების ქუდის კაკარდაზე ჩამოვარდა სადღაც ლაპარაკი, ილიამ მთიულების გულუბრყვილობის ნიმუშად გვიამბო, თქვენთან პატივი, ბატონებო, და შედეგი;

„პოსტედნიკად რომ ვიყავი, ერთხელ ანაზღეულად მთიულეთს შომიხდა მისვლა, საცა კვირა დღეს ხალხი მოგროვილიყო ერთს სოფლის სასამართლოში. რაღაც საქმის გამრ მე მამასახლისს ვუბრძანე დაებარებინა ერთი გლეხი, რომელიც შორიახლო იდგა იქიდან. მამასახლისმა ბრძანება გზირს გადასცა. გზირი იქვე მიღვა განზე და, რაც ძალი და ლონე გააჩნდა, ხმამაღლა დაუძახა დაბარებულს. დაბარებულმა, დაბლიდან იყო თუ მაღლიდან ხმა მისცა გზირს და მათ შორის გაიმართა ამგვარი მიძახილ-მოძახილი:

- გიბარებენ ჩქარა.
- ვინ მიბარებს?
- ჩინოვნიკი.
- ვინ ჩინოვნიკი!

— აი, ქუდზე რომ ქათმის სკ—ვით რაღაცა აქვს, ის გიბარებს“.

ამის მომვონე ილია იტყოდა, ვითომდა ნაპოლეონის გენერალმა ვატერლოს მინდვრიდან სიტყვა რომ შეუთვალა ინგლისელებს, რით იყო ამ სიტყვაზე უფრო გემრიელიო?

მომრიგებელ მოსამართლედ ყოფნის დროიდან მოგონება უფრო საინტერესოა.

თვითონ ილიამ გვიამბო:

— მოსამართლედ რომ ვიყავი, ერთი გლეხი მიწას ედავებოდა ყაზბეგს.—ბატონო, მიწა ჩემია, თეიმურაზ მეფის დროსა მაქვს ნაყიდი, მოწმეცა მყავს და ახლა ყაზბეგი მართმევს, მიშველე, დამიფარეო,—შემომჩივლა გლეხმა.

მე დავიბარე გლეხისაგან ნახსენები მოწმე.

— შენ მოწმე ხარ, რომ ესა და ეს მიწა ამ გლეხსა აქვს ნაყიდი თეიმურაზ მეფის დროს?

— დიახ, შენი ჭირიმე, მოწმე ვარ, თუნდ დამაფიცეთ, ფრჩილის საკვეთი ამილია.

თურმე ძველი ჩვეულება ყოფილა, როცა მიწას იყიდდა ვინმე, დამსწრე მოწმეს ფრჩილს მოსჭრიდნენ—ამისთვის გასარჯელოს აძლევდნენ იმას—და ეს მოწმე ვალდებული იყო უფროსი შვილისა—

თუ ეამბნა პშ ნასყიდობის ამბავი. შვილი შვილიშვილს გადასცე-
მდა და ამგვარად ნასყიდობის ისტორია გადადოდა მოდგმიდან მოდგმაზე. თუ ვისმეს შვილი არ ეყოლებოდა, იმჟორების უნდა ეა-
მბნა, ვინც გვარში უფროსი იქნებოდა.

ილიას ეს ჩვეულება მეტად არ გაეგონა, ძლიერ მოეწონა და
მოწმის ჩვენების თანახმად საღაო მიწა გლეხს მიუსაჯა.

ყაზბეგმა აპელაცია გადაიტანა, საცა წერდა: შომრიგებელში
მოსამართლემ მკვდრები ააყენა მიწიდან და ჩეენება ჩიმოართვაო,
Мертыых допрашивавает-с.

ამაზე ილია იტყოდა: ბაბილონში აგურზე იპოვეს წარწერა,
ეს და ეს მაზული ნასყიდია და ამ ნასყიდობის მოწმეა ესა და ეს,
რომლის ფრჩხილი ამ აგურში არისო. გატეხეს აგური და შიგ ფრჩხი-
ლი ნახესო.

მეორე მოგონება, მოსამართლისაგან განაგონი: ერთხელ ილი-
ამ ერთი ძმის მაგიერ მეორე გაასამართლა და საპატიმროში ჩასვა.

ვიღაც ზაქარიას ბრალდებოდა ხეების მოპარვა. საქმის გარჩე-
ვის დროს მოსამართლემ ბრალდებულის გვარი მოიკითხა.

- მე გახლავარ, ბატონო, — წამოიძახა გლეხმა.
- შენ წაიღე ხეები?
- დიახ, ბატონო, წავიღე.

რაკი დანაშაული ეჭვს გარეშე იყო, იქვე განჩინება დავწერე
და ბრალდებული საპატიმროში გავგზავნე. ჯერ ვიდევ საპატიმროში
ყოფნა არ, გაეთავებინა დასჯილს, რომ ჩემთან მოფიდა მისი ძმა.

- შენ ვინა ხარ?
- ესა და ეს ზაქარია გახლავარ, ბატონო!
- როგორ ზაქარია, ის ხომ ციხეში არის?
- არა, შენი ჭირიმე, ციხეში ჩემი ძმა გავგზავნე. მე საქმეები
მშონდა ქალაქში და არ მეცალაო, — უპასუხა გლეხეკაცმა.

შომრიგებელ მოსამართლედ ილია დარჩა 6 თუ 7 წელი.

* * *

1874 წელს ილიაშ სულ გაანება თავი სახელმწიფო სამსახურის
და შეუდგა ტფილისის საადგილმამულო ბანკის საქმეს. ამ წელს
ტფილისის თავად-აზნაურთა კრებამ ის აირჩია კომისიის წევრად,
რომელსაც დაევალა ბანკის წესდების შედგენა და როცა ეს წესდე-
ბა თავად-აზნაურობამ მოიწონა, ილია მათივე მინდობილობით გა-
ემგზავრა პეტერბურგს და იქ მისი მეცალინეობით ეს წესდება დამ-
ტკიცდა. შემდეგ, 1875 წელს, ამ წესდების თანახმად, ტფილისში გა-

იხსნა საადგილშამულო ბანკი და ილია არჩეული იქნა ამ ბანკის
გამგეობის თავმჯდომარედ.

ამის შემდეგ ილიას გაეხსნა ფართო ასპარეზი მოღვაწეობისა
სიქარტულოს საქმეთა სასარგებლოდ, ამ დღიდან მთელი ოცდათი
წლის განმავლობაში ტფილისში ქართული საზოგადო საქმე ისეთი
არა დაწყებულა რა, საცა ილია თავკაცად არ ყოფილიყოს, თავ-
მრჩევლად, საქმის გადამწყვეტად. ვიდრე დიმიტრი ყიფიანი ცოცხა-
ლი იყო, ვიდრე გაბრიელ ეპისკოპოსი მეტყველებდა, ვიდრე გრი-
გოლ ორბელიანი ზემოდან დაყურებდა ახალ თაობათა, ილია ჭავ-
ჭავაძეზე მალლა კიდევ თუ იხსენებოდა სხვისა სახელი, მაგრამ მას
შემდეგ. რაკი ესენი მიიცვალნენ, ილია დარჩა პირველ კაცად სა-
ქართველოში.

ამას იქით ილია არის: ილია ბანკირი, ილია რედაქტორი,
ილია წერაკითხვის საზოგადოების თავმჯდომარე, ილია დრამატი-
ული საზოგადოების თავმჯდომარე, ილია სათავადზანაურო სკოლების
გამგეობის წევრი, თავმჯდომარის ამხანაგი, ილია მწერალი, ილია
მოლექსე, ილია წარმომადგენელი ქართული მწერლობისა, მასპინ-
ჭლი უცხოელ სტუმარ-მწერალთა და სხვა და სხვა.

მე აქ ილიას ცხოვრებას არა ვწერ, ილიას ცხოვრების მასა-
ლას ვაკუჩებ, რომელიც ან თვითონ ილიასაგან გამიგონია, ან მის
თანამედროვეთაგან მსმენია, ან მე თვითონ ჩემი თვალით მინახავს
და ამიტომ ჩემს ნანახს და განაგონს ილიას ცხოვრებიდან მე აქ
მხოლოდ დაახლოვებით ქრონოლოგიურად, მაგრამ მაინც უსისტე-
მოდ ვწერ. მე ხომ მეწვრილმანე ვარ ქართული მწერლობისა და
ჩემგან შეკრებილი წვრილმანებით მე თქვენ ილიას სურათი ზოგი-
ერთ შემთხვევაში მაინც თუ ნათლად დაგანახეთ, ჩემს ვალს ქარ-
თულ მწერლობაში მოხდილად მივიჩნევ.

* * *

მე გავიცანი ილია პირველად 1879 წელს.

თმ წლიდან დაწყებული დღემდე მისი სიკვდილისა მე ილიას.
კეთილგანწყობილებას არ მოვკლებივარ. პირველ ოთხ-ხუთ წელს,
როდესაც ტფილისში ვცხოვრობდი, მე მასთან უფრო ხშირი მისვლა-
მოსვლა მქონდა ჯერ როგორც წერა-კითხვის საზოგადოების გამ-
გეობის წევრს და საქმის მწარმოებელს და შემდეგ როგორც გაზე-
თების თანამშრომელს.

სამწუხაროდ, იმ პერიოდიდან ჩემს სამახსოვრო წიგნში თით-
ქმის არათერი არ ჩამიწერია ილიას ცხოვრებიდან. მაშინ ჯერ არ
მქონდა განზრახული შემედგინა ჩვენი მწერლების ცხოვრების აღ-

წერა და ბევრი რჩქ თლიას ცხოვრებიდან, რასაც დღეს შეეძლო
მისი ბიოგრაფიის გახალისება, მე მიმავიწყდა. მხოლოდ შეძლებული,
როცა მე მივყავი ხელი ორბელიანის, ბარათაშვილის, გორგი ერის-
თავის და სხვათა ცხოვრების აღწერას, მე ყოველს შეყრაზე ილიას
ვუყურებდი და ვუსმენდი ორგორც მსხვერპლს, „მუშტრის თვალით“,
და როცა იმისგან მოვდიოდი შინ, მის ნალაბარაკევს ვწერდი ჩემს-
სამახსოვრო წიგნში.

სულ ყველაფერი, რასაც აქ მოვახსენებ მსმენელს, ან არის ამო-
ლებული ჩემი სამახსოვრო წიგნიდან, ან თვითონ საკუთარი ჩემი
მეხსიერებიდან და არაფერი არ უჩევია აქ, რაც სხვის კალამს-
ეკუთვნოდეს, სხვისი ნაწერებიდან იყოს ამოლებული.

მაგრამ არც კი ვიცი, საიდან დავიწყო წერა, რა რიგზე ამო-
წერო სამახსოვრო წიგნიდან ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრე-
ბიდან.

მგონია, ისევ ისა სჯობია თავიდან დავიწყო, „ათადაშ-ბაბადაშ“,
როგორც თვითონ ილიას უყვარდა თქმა, ესე იგი, შინ ნიერი მას-
თან და ჯერ შინაური კაცი დაგანახოთ.

* * *

ილია ჯერ იდგა ახალ ბებუთოვის ქუჩაზე, სტაროსელსკის.*
სახლის პირდაპირ, მერე, ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში, ის
გადავიდა კუჭიას, თავის დის ლიზა საგინოვის სახლში, მოლო დროს
იმან იყიდა საკუთარი სახლი ანდრიუევის ქუჩაზე.

ილიას არ ჰქონდა ფართოდ გაშლილი სტუმრიანი სახლი. მას-
თან თქვენ ვერ შეხედებოდით ქალაქის მაღალ საზოგადოებას,
Великосвѣтская публика-ს. მის სალონში თქვენ შეეყრებოდით
მხოლოდ მწერლებს, არტისტებს, საზოგადო მოღვაწეთ, ქალთაგან
მარტო ნათესავებს.

თუ რამე სალამო გაქეთდებოდა მასთან, ან წვეულება იქნე-
ბოდა, მომსვლელები ამათ წრიდან იყო.

ილია იყო თავაზიანი კაცი, პურმარილიანი, მომლხენი. მას პი-
რადად და მის სუფრას, რომელსაც ქართული კერძი თავის დღეში არ-
განშორებია, მუდამ ქართველი მოსამსახურენი მსახურებლენ. სა-
ქართველოს საუკეთესო კაცს და მამულის მოყვარეს მუდამ, სწავ-
ლული და მამულის მოყვარე მოსამსახურე ებედებოდა.

* სტაროსელსკი ილიას ქვისლი იყო.—ხ. ც.

თეითონ ილიამ გვიგმბო: ერეკლე ბატონიშვილს ვაჟი რომ და-
ბადა, დილადრიანად ჩემთან შემოიჭრა ბიჭი და ჩვენ შორის ამ-
გვარი დიალოგი გაიმართა:

- მომილოცავს, ბატონო!
- რა, ბიჭო?
- ბატონის რძალს ვაჟი ეყოლა ამ დილას.

* * *

1884 წ. იყო თუ 85-ს, როცა ილია წამოვიდა სამეგრელოს
მთავრის ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად, ილია ისე გამხიარულდა
რომ ბანძას მექი ფალავასას * და ჩემთან ცაიშვი ** სულ „ფარინა,
ფარინა“ იმღერა და ფერხულით გული შეიჯერა.

ილია აუჩქარებელი კაცი იყო, დინჯი, მძიმე. აუჩქარებელი
ხშირად ნიშნავს ზარმაცს და ეს თვისება — ზარმაცობა — ღმერთო შენ
შეგცოდე და ილიას ცილისწამებად არ უნდა მიეთვალოს.

დიმიტრი ყიფიანმა მისწერა იმას ერთხელ ქვიშეთიდან სამ-
დურავი, რას უგვიანებ წერა-კითხვის საზოგადოების საქმეებსო. სხვა რომ ვერა მოახერხა რა თავის გასამართლებელი, ილიამ პასუხად
მისწერა მხცოვანს პატრიოტს: არაფერია, ყველაფერს; მოვას-
წრებთო, — რუსთველმა სთქვაო:

„თქმულა, სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა.“.

მეორე მაგალითი: 1890 წელს, როცა ქალაქმა ბათუმმა ითხო-
ვა, ტფილისის სააზნაურო ბანკს ნება მისცემოდა მიელო გირაოდ
ბათუმის მამულები, ფინანსთა მინისტრი ქალაქს ჩამოვიდა, მაგ-
რამ ილია არ წარსდგა მასთან და არ წარუდგინა ამ საგანზე მოხ-
სენება. როცა ამის გამო საქმის გადაწყვეტა დაგვიანდა და ილიას,
უსაყვედურეს, რატომ მინისტრი არ ნახეო, პასუხად თქვა: ვერც
ჩემი მისვლა დააჩქარებდა საქმეს და ვერც ჩემი მიუსვლელობა
დააბრკოლებდა.

* * *

მაგრამ ილია, როგორც ეს შეეფერება პოეტს, ხშირად და
ადვილად მოდის აღტაცებაში და ეძლევა პათოსს ხანდახან სულ
უბრალო მიზეზების გამო.

* მექი ფალავა — ვექილი, საზოგადო მოღვაწე. მემამულე სოფ.: ბან-
აში — ს. ც.

** ცაიშვი სოფელია სამეგრელოში, სადაურიც ი. მეუნარგია იყო. — ს. ც.

— гоа... зеर წარმოიდგენ — мითხრა ერთხელ იმან, — რაღაც შემთხვევის გამო, ბრაზილიის იმპერატორმა დონ-პელრომ შეუთვალა ვიქტორ ჰიუგოს (აქ მგოსანი წამოდგა ზეზე და გამოიკიმა. მთელი მისი სიმაღლით) შენი ნახვა და გაცნობა მწადიანო. ამის პასუხად ჰიუგომ შეუთვალა მეფეს: მე საღარბაზოდ არავისთან არ დავდიგარო. მაშინ იმპერატორმა და მისმა ტახტის მემკვიდრემ თვითონ ინახულეს დიდი მგოსანი. ვიზიტის დროს, როცა მასპინძელმა სიტყვაზე „თქვენო უდიდებულესობაო“ უთხრა მეფეს, მეფემ სიტყვა შეაწყვეტინა მგოსანს. და უთხრა თავის მემკვიდრეს: — Сын мой, помни, здесь нет другого Величества, кроме Виктора Гюго...

ეს სიტყვები ილიამ დიდის ამბის-უოფით წარმოთქვა, ეტყობოდა სიხარული, რომ ქვეყნის მმართველი ასეთგვარად ემორჩილებოდა სიტყვისა და ლექსთა მეფეს, როგორიც იყო ჰიუგო.

* *

ლაპარაკში ილია უძლევებელი იყო. მის დიალექტიკას, მის მოწრებულ სიტყვებს, მის მდიდარ ლექსიკონს ჩვენს ქართველობაში წინ ვერავინ უდგებოდა. ვის არ ახსოვს მისი სიტყვები საადგილმა-მულო ბანკის წევრთა საზოგადო კრებებზე წინააღმდეგ ძმათა მაჩაბელთა, ბევრი გრძნობდა, რომ სიმართლე ვანო მაჩაბლისაკენ იყო, მაგრამ ილიამ დაამარცხა ის თავის დიალექტიკით და მოსწრებული სიტყვებით.

აი ერთი მაგალითი ილიას უძლეველობისა ლაპარაკში. „ვის-რამიანის“ ბეჭდვა რომ იწყებოდა, უკანასკნელი რედაქციის დაღენა და ვარიანტების ერთიერთმანეთთან შეთანხმება მიანდვეს ილია ჭავჭავაძეს, პეტრე უმიკაშვილს და ალ. სარაჯიშვილს. ერთს უძველეს ვარიანტში ამათ დაინახეს, რომ უ-ს ბრჯგუ არა აქვს. ილიას მეტი რა უნდოდა, ჩვეულებრივის ალტაცებით იმან დაიურინა უუბრჯგულ დავბეჭდოთო. უმიკაშვილი ფიითონ თაყვანისმცემელი იყო ყოველგვარი არქაული ფორმისა, მაგრამ, ასე გასინჯეთ, იმასაც კი შეეშინდა ამგვარი გარდაწყვეტილებისა. რადგანაც კორექტორი ის იყო, ეშინოდა ბრჯგუს განდევნა იმისათვის არ დაეწამებინათ, იმან დაწერა. ამ საგანზე დადგენილი გაღაწყვეტილება და ხელი მოაწერინა. ილიასა და სარაჯიშვილს. მერე წიგნი დაიბეჭდა.

მაგრამ შენი მტერი, ის რომ დაიბეჭდა, თქვენ თვითონ გადაშალეთ წიგნი და დაინახეთ შიგ რაები სწერია. წარმოიდგინეთ, რა სიტყვები გამოვიდოდა, თუ ბრჯგუ არ ექნებოდა უ-ნით დაწერილ სიტყვებს: ჩვენ, —ჩუენ; მოსვენება — მოსუენება; გამოკვება — გამო...

— ილია, ეს რა გიქნიათ, როგორ დაგიბეჭდიათ! — ჰკითხეს პოეტს.

— წარმოიდგინეთ! მე რომ რუსეთში ვიყავი, პეტრეს გაუკეთებია. პეტრე, ეს რასა ჰგავს, როგორ დაგიბეჭდია?

— მე ისე დავბეჭდე, როგორც შენ გადასწყვიტე.

— თავის დღეში მე ამგვარი დაბეჭდვა არ მითიქრია.

— გიფიქრია კი არა, გითქვამს კიდეც და ხელიც მოგიწერია! — უთხრა გაჯავრებით პეტრემ და გაიხსნა უბის ჯიბე, ამოილოხელმოწერილი ბარათი და თვალწინ დაუდვა.

— თავის დღეში მე ეს არ მითქვამს, მე სხვარიგად დაწერილი მეგონა, — უთხრა მაინც ილიამ და იმდენი ილაპარაკა, სანამ საწყალი პეტრე დამნაშავედ არ გამოიყვანა.

* * *

ილია ხელმოჭერილი კაცი იყო, სულ იმას ჩიოდა, მეტი აღარ ვართ ამ საქველმოქმედო საღამოების გამო, საცაა ჩვენდა სასარგებლოდაც უნდა გავმაროოთ წარმოდგენაო და სხვ. ამგვარები. უცნობი ქალი ან კაცი რომ მოვიდოდა მასთან იმას სულ იმის ეშინოდა, ვაითუ ფული მთხოვოსო. ერთხელ სააღვილმამულობანქში მასთან მოვიდა პლატონ იოსელიანის ცოლისაგან მოგზავნილი ქალი. ილიას ეგონა მთხოვნელი არისო და მიღების უარზე დადგა, მაგრამ მოგზავნილმა შემოუთვალა: პლატონ იოსელიანისაგან დარჩენილი ნაწერი მომაქვს თქვენს უურნალში დასაბეჭდადო და პოეტს გადასცა „მეფე გიორგის ცხოვრება“, იოსელიანისაგან შედგენილი, შეძლებ „ივერიის“ ნომრებში დაბეჭდილი*.

მაგრამ ამ ხელმოჭერილ კაცს სულ არაფრად მიაჩნდა პსოპითა და ათასობით ფულის წაგება ბანქოს თამაშში.

ოთხმოციანი წლების დამდეგს ილია თითქმის ყოველ საღამოს თამაშობდა. ჩვეულებრივი იმის პარტნიორები იყვნენ: გიორგი შარვაშიძე** (დიმიტრიჩი), კონსტანტინე რეიტერი, კოლა ერისთავი, დავით ავალიშვილი. კრუულებში ან კლუბში ის ხშირი სტუმარი არ იყო. იქ თუ წავიდოდა ის მხოლოდ ზაფხულობით. წე ხშირად გამოესულვარ დილაადრიანად ალექსანდრეს ბალში და შევყრივარ ილიას კუკიიდან მომავალი შეძლებ მთელი ლამის თამაშში გატარებისა.

* ვანო შაჩაბლისაგან განაგონი.

** ტფილისის გუბერნატორი 80-იან წლებში — ს. ც.

განსვენებულ ილია ხონელისაგან გამიგონია: ილიაშ შთელი ღამე თურმე ითამაშა სადღაც კლუბში და ათას ხუთასი მანეთი წა-აგო. შინ რომ დაბრუნდა და ეტლის გასასტუმრებლად ქისა ამოი-ლო, შიგ ნაშალი ვერ იპოვა, ერთი თუმნიანილა შერჩენოდა იმას გაუტეხელი.

— ეჭ, საცა სხვა წავიდა, ესეც წავიდესო,— გაივლო მგოსანმა გულში და გაუწვდინა ქუჩერს თუმნიანი:

— აპა, წაიღე, — უთხრა პოეტმა.

— ბატონო, აქ ერთი თუმანია.

— არაფერია, წაიღე, განუმეორა მან.

— გეტუმბა, კნიაზო, წუხელის მოგიგიათ, ღმერთმა ყოველ-თვის ასე მოგაგებინოსო,— დაუმადლა სულგრძელ მგოსანს თვალ-გაპრიფლებულმა ქუჩერმა.

* *

ახლა უნდა გადავიდე ილიას რედაქტორობაზე და გაზეთზე, მაგრამ ჯერ მოისმინეთ ეს რამდენიმე ნაწყვეტიც ჩემი დღიური-დან ა ბალო rompu.

გაზეთ „ივერიის“ გამოცემას რომ მოჰკიდა ხელი ილიამ, ის დიდ ფაცაფუცში იყო. მე იმ ღროს პეტერბურგში ვიყავი ღროე-ბით და რაღგანაც გაზეთში თანამშრომლობა მქონდა ალთქმული, (სხვათა შორის, გაზეთში უნდა დაწყებულიყო. ჩემგან შეკრებილი ის-ტორიული და სამწერლო ნაკვესების ბეჭდვა, რომელზედაც ფსევ-დონიმად ლელო ეწერათ. თვითონ სათაური „ნაკვესი“ ილიასაგან არის უამოგონილი, მაგრამ ფსევდონიმი არ მოსწონდა). 20 დეკ. 1885 წელს ილია მწერდა ტფილისიდან:

„დაგვანებე, ჩემო იონავ, თავი და დაგვაობლე ამისთანა გა ჭირვების დღეს... მაგრამ რა გაეწყობა? თურმე სოფელი ასეა. თუმ-ცა შენ ბევრს გვაკლიხარ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით და ვჩირკედელაობთ 1-ს იანვრისთვის. ვნახოთ, ღერძი ბედისა რო-გორ დაიწყებს ტრიალსო. გიგზავნი გამოცხადებულს და უველგან გაგზავნილ უწყებას ჩვენი ახალი გაზეთის გამოცემის თაობაზედ. ზოგიერთმა ჩვენგან ახლად შემოღებულმა სიტყვებში და ტერმინებში მოწონების და დაწუნების ღალადი მოჰტინეს ჩვენს სალიტერატურო არე-მარეს. ჩვენ ვნუგეშობთ და ვამბობთ: Значит, свет нас заметил. უარარაობას კიდევ ესა სჯობია. ახ, ნეტავი ეხლა ჩვენთან იყო, ყინვამ მაგ უმაღურ და უსიხარულო ქვეყნისამ გული არ გაგიყინოს და არ დაგვღუპოს შენდაში მსასოებელნი.

13. ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები, II.

შენი ფსევდონიმი არც ერთი არ მომეწონა. აქ მოვიგონეთ ორი ფსევდონიმი: 1. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“, თუმცა გრძელია, მაგრამ შენზედ ზედგამოჭრილია; 2. „აბედი“, ვითომ ნაკვესმა შენ ცეცხლი მოგიყიდა როგორც აბედს და შენ ჩვენ გაღმოგვეცი. ეს უჯანასკნელი კარგია, მაგრამ აკავი წერეთელს საბუთს მისცემს ქართული აბედი რუსულ ინდ-ად გადააქციოს; მაინც შენ სხვის სადილების მაძებარს გეძახოდა და დაგცინოდა. ორში ერთი ამოირჩიე და ტელეგრამით მაცნობე.

ასოებისათვის ფული საჭირო არ არის, რადგანაც თვითონ ასოები აქ ჩამოვასხმევინეთ და ძალიან ცოტა განსხვავება აქვს მანდაურებთან; წიგნები რაც საჭირო იყო დავიბარეთ, ვიდრე შენი წერილი მომივიდოდა.

ნიკოლაძესა სახოვე და შეეხვეწე ჩემს მაგიერ ჩვენს გაზეოთს თავისი ნაწერებით შეეწიოს. მომიტევოს ამ უამაღ; რომ საკუთარს წერილს არა ვსწერ, ეგ იმისთანა კაცი არ არის, რომ ამის გამო გაგვიწილდეს და გულიდან ამოილოს ჩვენი გაზეოთ, წვრილმანმა წვრილმანს მოუკიდოს ცეცხლი.

ქალალდის თაობაზე სერგერიაკოვს * წერილი წიგწერე და პასუხს ველი. ჯერ-ხანად იივი ინიციატივის ქალალდს ვიხმართ.

კაცო, რატომ არა გვწერ, — ეგ ჩვენი მუხრან-ბატონი რას სჩა-დის და როგორ მიჰყავს ჩვენი საზოგადო საქმეები? შენგან მიკვირს და მეოცება. ლქურთსა ვთხოვ, რომ სამერმისოდ არც ერთი შემემ-სხვას შენგან და არც მეორე. ასე, ჩემო იონავ, იყავ მშვიდობით და დღეგრძელობით და არ დაივიწყო, რომ შენ ერთად-ერთი მეგო-ბარი გყავს და ის ერთად-ერთი — შენი ილია ჭავჭავაძე *.

P. S. მოუთმენლად ველი შენს სტატიას. ოლიკომ მოგიკითხა. მოიკითხე ყველანი, ჩემი ნაცნობები“.

„იგერიის“ პირველი ნომერი გამოვიდა I იანვარს 1886 წ.

„იგერიის“ რედაქცია ამ დროს კუკიის ქუჩაზე იყო მოთავსებული. პოეტის დის ლიზა საგინოვის სახლში. დაბლა იყო გამარ-თული გაზეთის სტამბა, მაღლა იყო რედაქცია და იდგა თვით რე-დაქტორი.

რომ ახვიდოდეთ მეორე სართულზე, მარცხენა კარებს შეყავდით თქვენ გაზეთის რედაქციაში და მარჯვენას ილიას სადგომში. სადგომის ყურეში, შესვლისთანავე, მარცხნივ იყო რედაქტორის კაბინეტი — გატარა ტანის ოთახი — სწორედ ისე იყო მოწყობილი როგორც ქ

* ილია სერგერიაკოვი — იქრომჭედლიშვილი (1835—1898) — ს-ც.

შეუფერებოდა მის პატრიონს — პოეტს და მამულის მოყვარუე რედაქტორს.

შეხვიდოდით თუ არა კაბინეტში, ყველაზე უწინ თქვენს ყურადღებას იქცევდა ფერადი სურათებით აჭრელებული ჭერი ოთახისა. ჭერის ოთხ კუთხეზე იყო დახატული ფართო მედალიონები: მეფე ლუარსაბისა, დიმიტრი თავდადებულის, გიორგის — თამარის მამისა და დავით ალმაშენებლისა, შუაში იდგა წმინდა ნინოსი.

კედლებზე ეკიდა: მეფე ერეკლე, გორგასლანი.

კედლებზედვე: სოფლის გლეხები და ყასაბი გაბაევისა, მურალიოს გრავიურა, მითოლოგიური სურათები.

კაბინეტი სავსე ძყო შეკაფებით, მაგიდებით, წიგნებით, ქანდაკებებით.

რომ მიიხედ-მოიხედავდით, დაინახავდით: ერთგან შექსპირის ბიუსტს, სხვაგან გიორგესას, კიდევ სხვაგან რუსთველისას, გარიბალდისას.

აქა-იქ კედლებზე: კაკაბს და ხოხობს.

და რაღანაც ნამდვილ ქართველს ძველთაგან ანდერძად უწერის, თქვენ ამ კაბინეტში ნახავდეთ რვა ყანწს. ერთი მეორეზე უდიდესს.

მთავარი მაგიდა კაბინეტში სავსეა რაგინდარათი: წიგნებით გაზიერებათ, სამწერლო იარაღებით, სულ ყველაფერი ამ დიდ მაგიდაზე არეჭულ-დარეჭულია, რომ აქაც გამართლებულიყო ნათქვამი პოეტურ დაუდევრობაზე. აი აგერ დიდი ამომშრალი საწერელი, რომელშიაც ვიღაცას მეორე მომცრო ტანის საწერელი ჩაუდგამს, აი შვლის ქანდაკება, რომელსაც რქაზე პოეტის ჩაჩი აქვს წამოცმული. აი ვადაშლილი წიგნი, პაპიროსის ნაშტვით შუაგულში, აი გლობუსი, საანგარიშე; სათვალე, გაზეთის როიგინალები, ვე-ეპერთელი წითელი კარინდაში...

თუ სარამოა, ამ მაგიდასთან თვითონ რედაქტორი ზის და აქ ამ ვიწრო ქარხანაში მზადდება დღეს ის აზრი, რომელიც ხვალ შეიძლება სახელმძღვანელოდ გახდეს ყველა ქართველისათვის ბაქოდან დაწყებული სოხუმამდის და კავკასიის გარეთაც.

როგორც გაზეთის თავი — მესვეური ილია დიდად ნაყოფიერი იყო. ის ბევრსა წერდა და გრძლად წერდა. გრძლად წერა, სამწუხაროდ, მისი ნაკლულევანება იყო.

გაზეთი წიგნი არ არის, რომ კაცი დაუჯდეს იმას და იყი-თხოს. გაზეთის სტატია თუ ჟურნალის სტატიად გახადა კაცშა, რაც უნდა კარგად იყოს ის დაწერილი, თავის ლირსებას ჰქარგავს.

გაზეთი თქვენ ბულგარზე სადმე იყიდეთ, გზა-გზა მიმავლად იმას თვალი გადაავლეთ, ან მიჯექით სადმე, რომ ზელტერის წყლით სიცხიდან სული მოიბრუნოთ და უფრო მეტი ხანი მოანდომეთ იმას, რომ წაიკითხოთ ტელეგრამები, ახალი ამბები, მცირე შენიშვნები და ბოლოს თუნდ მეთაური წერილიც, თუ ის მოკლედ არის დაწერილი. მაგრამ თუ ეს წერილი გრძელია, არა ადვილად საკითხი, გაყოლებით დაწერილი, წინასიტყვაობით, სხვადასხვა წინადადებით ერთმანეთში აცმულ-გადაბმული, რომელსაც აჭრელებენ „როგორცა ვთქვი“, „რომელიც რომ“ და სხვა ამგვარები, თქვენ იმას ვერ წაიკითხავთ.

და თუ წაიკითხავთ, ლმერთმა მშვიდობა მოგცეთ, ბევრი დრო გქონიათ.

უმეტესობა კი, ათი მკითხველიდან ცხრა, ამ სტატიას არ წაიკითხავს.

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის თუ შაირზე შარტო თქვარუსთველმა, ალბათ იმიტომ, რომ მეთორმეტე საუკუნეში არც გაზეთები იყო და არც მოწინავე სტატიები.

მე ხელთ არა მაქს ილიას გაზეთის „ივერიის“ კოლექცია და მაგალითს აქ ვერ მოვიყვან, მაგრამ ისე მახსოვს; რომ იშვიათია ილიას მოწინავეს არ ეჭიროს გაზეთში ორი-სამი სვეტი, ხან თხი, ხუთი, ექვსი.

გაზეთს ქვეყანა კითხულობს და ქვეყანას ამ გაუთავებელი სტატიებისათვის არა სცალია.

ფრანგები იტყვიან: quand vous voulez dire: il pleut, dites il pleut. ეს ქართულად ასე რთარგმნება: თუ გინდათ თქვათ, რომ წვიმს, თქვით წვიმს. და ნუ მოჰყვებით „ათარან-ბაბადან“, ნუ დაიწყებთ ციდან, ღრუბლიდან, ჰაერიდამ, სთქვით მოკლედ: წვიმს.

ასევე ითქმის საზოგადოდ იმგვარ მეთაურ წერილებზე, რომელსაც ექუთვნოდა. ილიას წერილები, ეს წერილები მოკლედ და პირდაპირ ვერ ეუბნებოდნენ მკითხველს იმას, რისი თქმაც მის დამწერს უნდოდა და რაც, როგორც პირებს, მას შეეძლო.

მეშინია, მეტის თქმა არ გამომივიდეს, მაგრამ არ შემიძლია შემთხვევით არ ვისარგებლო და ამ გრძელ მოწინავეებზე ორი-სამი სიტყვა კიდევ არა ვთქვა. ყოველი გაზეთის წომერი, რომელშიაც გრძელი მოწინავე წერილია დაბეჭდილი, წვალებაა ჩემთვის.

საფრანგეთის ერთი დიდი ფილოსოფოსი ოგიუსტ კონტი ამბობს: მწერალს არ უნდა ჰქონდეს უფლება ათაბაშის მერთხველი იავის სურვილისამებრ, წეროს როგორც იმას უნდა, ყველაფერი

ვანონს და ზომას უნდა ემორჩილებოდეს, უნდა იყოს განსაზღვრული, რომ ყოველ ფრაზაში ქვემდებარე იყოს, შესმენილი, დამატებითი სიტყვა და კიდევ არ მახსოვს რა და შემდეგ ფრაზა თავდებოდეს, მძიმე დაქსმოდეს. როცა მე ვხედავ ოთხი-ხუთ სვეტიან მოწინავე წერილებს გაზეთში, მეც ის ცხოვრებაში განუხორციელებელი ფიქრი მომდის, როგორც კონტს, რომ შეიძლებოდეს ამ გრძელი მოწინავეების შემოკლება თუნდ ისეთგვარად როგორმე, როგორც, მაგალითად, სახელმწიფო სათათბიროში ამოკლებენ ორატორის სიტყვებს ხუთი წუთის ლაპარაკის შემოლებით.

ჩემი იდეალი გაზეთის მოწინავე წერილების მწერლისა არის საფრანგულის უურნალისტი უირარდენი. აი. როგორ ახასიათებს უირარდენის წერას საფრანგეთისავე მწერალი დანკური:

„ის (უირარდენი) იწყებს რამე საგანზე ლაპარაკს, წამოაყენებს წინ ერთს აზრს, თეზისს. მოუსვამს კალამს და ორ სტრიქონში საჭმის ექსპოზიცია მზად არის. ორი-სამი სტრიქონი და უირარდენი შუაგულ კითხვამდის არის მიწევნილი. ამის შემდეგ ის გადადის დასკვნაზე, ის წინდაწინ ხედავს, თუ თქვენ მასთან არა ხართ თანახმა და თქვენ კენ მოიწევა. თქვენ შეიძლება ამაზე ესა და ეს მითხრათ; ახ, რაგვარად მებრალებით, — და ის მტვრად აქცევს თქვენს ნათქვამს, ან დაანახვებს სხვებს, რომ თქვენი ნათქვამი მტვრად აქცია და გასწევს და გასწევს. კიდევ ორი სტრიქონი. გათავდა? არა. იმას კიდევ აქვს სათქმელი უკანასკნელი სიტყვა, კიდევ უნდა გაისროლოს უკანასკნელი ისარი. ახლა შაინც გათავდა? არა. ერთი სტრიქონი კი დევ და ამ სტრიქონში სულ ბევრი-ბევრი სამი სიტყვაა, ხანდახან ორი და ხშირად ერთი. ჰა, და გათავებულ მოწინავეს ხელი მოაწერა“.

ამგვარად ილიას არ უწერია.

ილია — რედაქტორი თავის ნაწერს სანამ დასაბეჭდად გაგზავნილეს, უკითხავს თავის თანამშრომლებს და ყოველგვარ რჩევას სიამოვნებით ითვისებს.

ნინო მუხრან-ბატონის * დასაფლავების გამო მოწინავე წერილი რომ დაბეჭდა ილიამ „ივერიაში“, მეორე დღეს მკითხა:

— წაიკითხე ჩემი წერილი?

— წავიკითხე გუშინღამვე სტამბაში და ძალიან მომეწონა. მხოლოდ რომ გინებებიათ და სამღვთო წერილის სიტყვაც ჩაგეტანებიათ შიგ შრომისმოყვარე ქალის თაობაზე დაწერილი, წერილი ბევრს მოიგებდა.

* და დავ. დადურანისა, ივანე მუხრან-ბატონის მეუღლე — ს. ც.

— რა სიტყვები?

— ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა.

— ოხ, მართლა რომ კარგი იქნებოდა, და რატომ ეს სიტყვები არ მიაწერე, რაკი სტამბაში მოხვედრიხარ,— მითხრა ნალვლით რედაქტორმა, საზოგადოდ დეკლამაციის მოყვარემ.

სხვის ნაწერებს ის თავაზიანად ეპყრობა, მხოლოდ ენის მხრით რედაქტორი ულმობელია, მეტადრე იმერეთიდან გამოგზავნილი კორესპონდენციების და წერილების კითხვის დროს.

ენის მხრით ილია მართლა რომ კანონმდებელია ქართული ენისა.

ვიღაცამ უსაყვედურა ვიქტორ ჰიუგოს: ეს სიტყვა ფრანგული არ არისო.

— არ არის, მაგრამ იქნებაო,— თავმოწონებით უპასუხა საფრანგეთის დიდმა მგოსანმა.

იგივე ითქმის ილიაზე და ქართულ ენაზე.

სანამ ილიამ არ დაუშალა ჩვენებს, ჩვენში ამბობდნენ „უფალი კერესელიძე“, უფალი მესხი, ეს „უფალი ან იყო ამოლებული სამღვთო წერილიდან, ან იყო ნათარგმნი რუსული სიტყვიდან „Господин“ ილიამ თქვა „უფალი მესხი“—ს თქმას „ბატონი მესხი“—ს თქმა არა სჯობიაო? და ეს „სიტყვა მას აქეთ დაკანონდა ჩვენში და ამ სიტყვას ისე მაგრად აქვს მოკიდებული ფესვი ჩვენს ენაში, რომ მას ვერ განდევნის ახლა ჩვენი ენიდან ვერც „ამხანაგი“ და ვერც „მეგობარი“, ისე, როგორც ვერ განდევნეს ფრანგული ენიდა „მონსიე“ ვერც დიდი რევოლუციის citoyen-მა და ვერც კომუნის Compagnon“—მა.

მისგან მოგონილ სიტყვათაგან მახსოვეს: სულთა-სწრაფვა, თვალთა ხედვის ისარი.

იმას არ მოსწონს იმერელთა წერილებში სიტყვები—„ვლებულობ“, „ამნაირად“, საცა ეს სიტყვები მოხვდება ილიას, მაშინვე შლის და სამაგიეროდ ზემოდან აწერს, სიტყვებს: „ვიღებ“, „ამგვარად“.

საცა ჩვენ ჩვეულებრივად ვწერთ „მაგრამ“ს, ილია ხშირად „გარნა“—ს წერს.

იმასვე ეკუთვნის; მგონია, ეს „ჰესიადის“, რომელსაც ეხლამდის ვერ შევთვისებივარ, რომელიც არც ერთ ძველ წიგნში სადმე არ წამიკითხავს, არც ხალხში გამიგონია სურამის აქეთ მაინც. გადაღმაც არ ვარ დარწმუნებული, რომ ხალხში „სჩადის“ ითქმოდეს, შეიძლება თქვან ჩადის, სიტყვიდან ჩასვლა, მაგრამ „ჰესიადის“ ქალაქში უნდა იყოს გაზვიადებული.

როგორც რედაქტორს, ილიას მუდმივ ერთი აზრი აქვს: გაშე-
თ არავის პირადობას უმართებულოდ არ შეეხოს. ამ მხრით ის
დაშინებულია გაზეთ „დროების“ განურჩევლობით.

სხვისი პირადობის დამცველს თავის გაზეთში, ილიას არ უნ-
დოდა, რომ თვითონ უმართებულოდ ეხსენებინა ვინმე სხვის გა-
ზეთში. როდესაც ნიკოლაძემ „ჩივის ინივრენის“-ში ერთი წე-
რილი დაწერა მისი პიროვნების შესახებ, ილიამ თავი შეურაცხყო-
ფილად პირინია და ორი თავისი ამხანაგი მიუგზავნა სეკუნდანტებად-
ნიკოლაძეს—კოლა ერისთავი და სოსიკო შალიგაშვილი. მას პასუხად
ჭავჭავაძეს გაუგზავნა ორი თავისი ამხანაგი, დათიკო გურამიშვილი და
ნიკოლოზ სიმბორსკი * და მათ შორის გაიმართა დუელი. მოწინააღ-
მდეგენი დადგნენ ბარიერზე გატენილი ფიშტოებით და ყველაფერი
იმ წერტილამდის იყო მიყვანილი, საცა ტყვია უნდა გავარდნილიყო,
მაგრამ ამ დროს სიმბორსკიმ შერიგების უკანასკნელი სიტყვით მი-
მართა დუელიანტებს და დუელი მორიგებით დამთავრდა.

არ ვიცი, ამ ორში ვინ ვის მოსთხოვა ბოდიში, რადგანაც მა-
თი შერიგების ოქმი არ გამოქვეყნებულა. როგორც გამიგონია,
ჭავჭავაძეს უნდა ეთქვას: მე შეურაცხყოფილად მივიჩნიე ჩემი თავი
მარტო იმისათვის, რომ ნიკოლაძეს თუნდ ერთი წამით შეეძლო ეფი-
ქრა,— რაც „ივერიაში“ დაიბეჭდა, ის ჩემი თანხმობით იყო,
ნიკოლაძეს ამაზე უნდა ეთქვას: თუ ეს ასეა, მაშ, რაც მე ჩემს გა-
ზეთში ვთქვი ჭავჭავაძის შესახებ, უკან მიმაქვსო.

რედაქტორზე და გაზეთზე ლაპარაკს აქ ჩვენ უნდა დავურთოთ
აკაკის სიტყვებიც.

აკაკი თამარაშენში იყო მაჩაბლისას და დაძინების დროს
„ივერიას“ კითხულობდა. კითხვის დროს აკაკის მიეძინა და გაზეთს
სანთლიდან ცეცხლი მოედო.

— ფუ, ფუ, ფუო—და ერთის ყოფით გააქრო ალი პოეტმა,

— მადლობა ლერთს, წყალნარევი გაზეთია, თორემ ვერ და-
ვიქრობდიო, — აამა მგოსანმა ილიას მოწინააღმდეგე ბანკის დირექ-
ტორს.

* *

ილიას, როგორც ბანკირს, ქართულ მწერლობასთან დაზელოფ-
ნებასთან კავშირი არა აქვს და ამიტომ მის მოლვაწეობაზე ტფი-
ლისის საადგილმამულო ბანკში მე აქ დიდს არას ვიტყვი. პოეზია
და ანგარიში, ქნარი და „ჩოთქი“ როგორლაც ერთმანეთთან ვერ მი-

* რუსი პოეტი.

დიან, გარნა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ილია საზოგადო მოღვა-
წელა რომ მისმა გონებამ და შრომამ მისგან დაწყებული და წარ-
მართული ბანკი იმ ზომამდის მიიყვანა, რომ დღეს* ბანკის დამფუ-
ძნებელთ უკვე დაუბრუნდა უკანვე ძირითადი თანხა და როგორც
ახლა, ამ წასვლაზე ტფრლისში შევიტყვე, შარშან ბანკს ჰქონდა იმდე-
ნი შემოსავალი, რომ ოთხასი ათასი მანეთის ზარალი დაუფარავთ
და კიდევ დარჩენილა წმინდა შემოსავალი ორასი ათასი მანეთი.
ილიას ბანკის მოგებით უდგია დღეს სული ტფილისის ყველა თავად-
აზნაურთა საზოგადო დაწესებულებათ.

დრო და ადგილი ნებას არ მაძლევს აქ ილიას ნაწერებზე ვი-
ლაპარაკო და ამით ვათავებ ამ ჩემს მოგონებას პოეტის ცხოვრები-
დან, თუმცა სამახსოვრო წიგნში ჯერ კიდევ არ გამომლევია მასალა
ილიას შესახებ.

* *

დასასრულ, ორი-სამი სიტყვა ილიას საგურამოში ცხოვრებიდან.

ილია ყოველ ზაფხულს ამოდიოდა საგურამოს, დასასვენებლად,
აქ ჰქონდა იმას ერთი პატარა ქვის სახლი, რომელიც გადაჰყურებდა
არაგვის ხეობას. სახლის წინა აივნიდან მგოსანს თვალწინ ედგა
მშვენიერი ჭანორამა კავკასიის მთებისა და ქვემოთ არაგვის ხეო-
ბისა.

ილია აქ ისვენებდა ქალაქის საქმეთაგან დამაშვრალი. ყოველ
20 ივლისს მის დღეობაზე აქ მოდიოდა მასთან მოსალოცავად დიდ-
ძალი ხალხი ქალაქიდან და ხანდახან იმერეთიდანაც.

აქ, საგურამოში, უახლოვდებოდა ილია ხალხის ცხოვრებას და
უნდა.

ყოველ შეყრაზე და გამოლაპარაკებაზე სოფლის ხალხთან ილიას,
როგორც ფუტკარს, საზრდო გამოჰქონდა ხალხიდან თავის სიტყვა-
ერებისათვის.

დღეს ამა და ამ გლეხშა ლაპარაკში ესა და ეს ჩემთვის უც-
ნობი სიტყვა თქვაო, — იტყოდა მგოსანი. ერთ ამგვარ სიტყვად,
მახსოვს, იყო სიტყვა პეიტარი. აზრით გამოდიოდა; რომ პეიტარი
კაცის წოდება უნდა ყოფილიყო და რომ ჩავიხედეთ, ლექსიკონში
აღმოჩნდა, რომ პეიტარი საქონლის ექიმს რქმევია.

ხალხი. იყო ილიასთვის წყარო მოკამკამე ენისა და გამოთქმისა.

შენიშვნები

300 ჩირაგი და პირველი მრისთავი

აღნიშნული ნარკვევი პირველი სერიოზული და ვრცელი ლიტერატურული შრომაა ავტორისა, რომელსაც იგი შეუსრულებია სახელოვანი დრამატურგის შეიძლის, თვით დრამატურგისა და მწერლის, დავით ჭრისთავის თხოვნით. ამის შესახებ ცნობას ავტორივე იძლევა ქვევით, როცა ის თავის „უდროოდ დამიწებული მეგობრის“ დავით ერისთავის, ამ „დიდი მამის შვილის“, ბიოგრაფიის შერას შეუდგება (იხ. ამ წიგნის გვ. 107).

ნარკვევი დაწერილია 1883—4 წლების მანძილზე, როცა დავით ერისთავი გახეთ „კავკაზის“ ოუკიალური რედაქტორი იყო და ა. მეუნარვიაც იმავე ორგანოს რედაქტორის წევრა და ხელმძღვანელ რედაქტორიც გიორგი ჭრისთავის თხზულებათა იმ გამოცემისა, რომელსაც ეს ნარკვევი წინასიტყვაობის სახით დაერთო.

გიორგი ერისთავის ეს „თხზულებანი“ 1884 წლს გამოციდა (იხ. თ. გიორგი დავითის ძის ერისთავის თხზულება, მეორე გამოცემა, ტფილისი, 1884). ეს იყო მწერლის ნაწერების მეორე და მეტად საყურადღებო გამოცემა, რომელსაც დართული ჰქონდა გარდა აღნიშნული ვრცელი ბიოგრაფია-გარჩევისა, აკაკი წერეთლის შესანიშნავი წინასიტყვაც, საცა ბრწყინვალე პოტად და მწერლად, თანამედროვეთა „გზისმაჩვენებლად და წინმსბროლლად იხსენიებს იგი გიორგი ერისთავს, რომელმაც „სამარადისოდ სახსოვარი საგანძურო რამ შესძინა თავის სამშობლოს“. „Летопись Грузии“-ს ავტორი ბ. ს. ესაძე ამ გამოცემას ჩამოყალიბების და დანართის ეძახის და დიდად აფასებს როგორც ერისთავის პიროვნებასა და ღვაწლს, აგრეთვე მეუნარვიას მიერ შედგენილ და ამ კრებულს დართულ დიდი დრამატურგის ბიოგრაფიას *.

დროის კვალობაზე ამ იშვიათი გეშოვნებით გაფლარშებულმა და გამოცემულმა წიგნმა შესაფერი გამოხატულებაც ჰპოვა მაშინდელ პრესაში. 1884 წლის № 126, 127-ში გახეთმა „დროებამ“ ბიბლიოგრაფიის სახით ვრცელი ფელეტონები მიუძღვნა. ამ გამოცემას: აღნიშნულ ფელეტონებში საკმაოდ ვრცლად არის გაშუქებული იონა მეუნარვიას შრომაც გიორგი ერისთავის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

იმ ვრცელი ფელეტონებიდან ჩვენ აქ მოვლოდ მოკლე ამონაწერს მოვიყენთ, საიდანაც ირკვევა, რომ „დროების“ აზრით: „გ. ერისთავის თხზულებათა კრებულში—ახალი და შესანიშნავი ის არის“, რომ მას წამძღვარებული აქვს ორი ნარკვევი, წინასიტვა და კრიტიკული შენიშვნა, —„ერთი—მოკლე, მაგრამ დარჯაკში გატარებული და შვიდწილად გაწმენდილ სიტყვებითა და აზრით მოქსოვილი, მეორე,—ვრცელი, მოსაზრებული და დამჯდარი კრიტიკული ფამოკვლე-

* იხ. Летопись Грузии, вып. I, стр. 357.

ვაა, რომელშიაც ავტორს დაშვრილებით ვამოუქიებია პოეტის ყოფა-ფხოვრება, მისი თანამედროვე საზოგადოების წეს, ჩვეულება და თავისებური ჩასი დაუდია პოეტის ნაწარმოებისათვის. პირველი—ჩვენი ნიჭიერი და გამოჩენილი პოეტის აკაკი წერეთლის მკვირცხლ კალაშს ეკუთვნის და მეორე—ადგილობრივ ქართულ-რუსულ პრესაში ცნობილ მწერალს იონა მეუზნარგიას „...“.

უფრო ქვევით, განმარტავს რა ფელებობის ავტორი იმდროინდელ ქართულ მწერლებაში კრიტიკის უჯონლობით გამოწვეულ მდგომარეობას, დასძენს: ჩვენს ლიტერატურაში იონა მეუნარგიას კრიტიკული პირველი ნაბიჯი ლიტერატურიშნავი მოვლენაა და მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს ვუშინასწარმეტყველო ბ. მეუნარგიას, რომ ამგვარი შრომა მისთვის შესაფერი იქნება“...

„დროების“ ამ, უდაოდ სწორი, შეფასების დიაგნოზიც და სურვილიც გამართლდა, როგორც ვიცით, ი. მეუნარგიამ თავისი მონაწილეობა ქართულ მწერლობაში ძირითადად ზემოაღნიშნული ყანრით განსაზღვრა.

გ. ერისთავის ცხოვრების „აღწერასა“—პოეტის თხზულებათა კრებულში დართულსა*—და აქ მოქცეულს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ამ გამოცემისათვის იგი შევამოწმეთ სათანადო წყაროებთან (ავტორის უბისა და სამარსკოვრო წიგნები, იმდროინდელი პერიოდიკა, თარიღები და სხ.), შევასწორეთ ბეჭდვის პირობებში შაშინ დაშვებული შეცდომები და ზოგიერთი რუსიციმი და აგრეთვე რამდენიმე აუცილებელი სქალიდც მივეცით. ნარკვევის წასიათის ზოგი ადგილებიც წინამდებარე გამოცემის ხასიათს შევუფარდეთ.

შამია გურიელი (ფაზელი)

შამია გურიელი. პირადი ნაცნობი და მეგობარი იყო იონა მეუნარგიასი რომლის უბის წიგნები აწრელებულია პოეტის ცხოვრების სამახსოვრო შტრიჩებით. მათი შეტანა ამ შენიშვნაში საჭირო არ დარჩა, რაფი ისინი მამიას ბიოგრაფიის ავტორს თავის შრომაში („მამია გურიელი“) თავ-თავის ადგილას გამოუყენებია, გარდა ამ ერთისა, რომელიც აღმდეგ „სანაკვესოდ“ თუ დაიტოვა მამიასთვის. ესეც აქ არის: „მამია გურიელი რომ პირველად ჩამოვიდა ცოლიანად ქუთაისს, გრ. დადიანს „ვეფერისტყაოსნას“ სიტყვებით უთხრა:—ქაჯეთით მომყავს ჩემი მზე, ჩემი ლაშვართა მსობელი“. ამ პირადი ურთიერთობისა და შემდეგ პოეტის ნათესავ-მეგობრების შემწეობით დაგროვილი მასალების მიხედვით ეს პატარა, მაგრამ მეტად მოხდენილი მონიგრაფია ავტორს დაუმთავრებია 1897 წლის 14 იანვარს, სპეციალურად იმ გამოცემისათვის, რომელსაც შემდეგ იგი დაერთო (იხ. „თხზულებანი მამია გურიელისა (მ. ფაზელისა) —ლექსები“, ქუთაისის ამხანაგობისაგან გამოცემული. ქუთაისი—1897 წ. გვ. 40ტ, ცალკე აღნიშნული მონიგრაფიისა—L VI (56)—).

ამ კრებულშიც მთლიანად იმავე ტექსტის მიხედვით იბეჭდება. ზოგ ტექსტულურ და პირვანდელ გამოცემაში გაპარულ შეცდომათა შესწორების გარდა სხვა ცვლილება არ მოგვიხდენია. ჩვენს მიერ დართული სქოლიობები აღნიშნულია ინიციალებით, ან „რედ“. თარიღები დატოვებულია ძველი სტილით. მამია გურიელის თხზულებათა სრული კრებულის გამოსვლას განეთმა „Новое обоз-

* აღნიშნული „აღწერიდან“ ნაწილი, უმთავრესად გ. ერისთავის ნაწერების მიმოხილვა, წამძღვარებული აქვს 1910 წ. დავ. კილოსანიძის მიერ გამოცემულ „ქართული მწერლობის შესასწავლად საკლასო სახელმძღვანელოს“ სახელმწიფო „თ-დი გ. დ. ერისთავი. რჩეული თხზულებანი“. თბილისი, 1910.

рение" Шესანიშნავი და საკმაოდ ვრცელი ბიბლიოგრაფია უძღვნა. აქედან ჩვენ
ამოვწერთ მხოლოდ იმ სტრიქონებს, რომლებიც აღნიშნულ კრებულს დართულ
იონა მეუნარგიას მიერ შედგენილ მამიას ამ ბიოგრაფიულ ნარკვევს შეეხებია:

"Сборнику стихотворений предложен биографический очерк, составленный г. И. Менаргия с обычной обстоятельностью и талантливостью. Жизнь М. Гуриели протекла, можно сказать, перед глазами грузинского общества. Все мы были свидетелями в высшей степени печального curiculum vitae несчастного поэта. Но чтение полной его биографии все же производит потрясающее впечатление. До слез больно читать скорбную повесть о тем, как обстоятельство и судьба губят эту богато одаренную природу" *.

დავით ბიორგის-ძე მრისთავი

მონოგრაფია იბეჭდება დავ. ერისთავის „ნაწერების“ კრებულში ჭინასიტ-
ავად დართული ტექსტის მიხედვით (იხ. თავ. „დავით ერისთავის ნაწერები, ქარ-
თული დრამატიული საზოგადოების გამოცემა- ტფილისი, 1907 წ., LIII გვ.) რო-
გორც თვითონვე აღნიშნავს ნარკვევის შესავალში, ავტორს არა ჰქონია აზრად
დაწერა ბიოგრაფია დავ. ერისთავისა, რომელსაც, მისივე აზრით, მის „უდ-
როვდ დამიწებულ მეფობარს არ ეყირა არც ჩვენს მწერლობაში, არც ჩვენს ხე-
ლოვნებაში, არც საზოგადოებაში იმდენად შესამჩნევი ადგილი“.

ამით აისწერა ის გარემოებაც, რომ „ახალ მწერალთ ყოვნის მკრებს“
(ნიკო დადიანის სიტყვებია) — იონა მეუნარგიას თავის ყველაზე მახლობელ და
თანამოკალმე დავით ერისთავზე ძალიან ცოტა, ან სულ არაფერი აქვს ჩაწერილი
სამახსოვრო ჭიგნაკებში, რასაც თვითონაც ნანობს. იმიტომ, რომ მისა შეფასება
მეგობრისადმი ერთობ მყაცრი გამოდგა და შემდეგ დავ. ერისთავის გარდაცვალე-
ბისა იგრძნო იგი.

მართალია, დავ. ერისთავისაგან მეტს მოითხოვდნენ. ნიკო დადიანმა ხომ
ჭირდიპირ მიმართა თავის „შაკიდურებში“, — „დიდი მამის შვილი არის, მეტს
მოვითხოვთ მისგან ჩვენაო“, მაგრამ ის, რაც მოგვცა ერისთავმა, მაინც გახდა სა-
ქმარისი მისი, სახელის სკვდავსაყოფად ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში
დავ. ერისთავი პუბლიცისტი, მახვილი ფელეტონისტი და უურნალისტიც რომ
არ ყოფილიყო, მისი გაზრიცეულებული და ორიგინალური პიესებიც კმაროდა
ამისთვის. მისმა „სამშობლო“ ხომ მთელი ეპოქა შექმნა ქართულ სცენაზე. სწო-
რად შენიშნავს მეუნარგია: „სამშობლო“ რომ არ დაწერა დავით ერისთავს, არც
მისი ნაწერების კრებული დაბეჭდებოდა და არც ეს ბიოგრაფიაო.

ამგვარად, უდროვდ გარდაცვლილმა დავ. ერისთავმა თუ მთლიანად არა,
ნაწილობრივ მაინც მოასწრო „დიდი მამის შვილობის“ გამართლება. ეს ამაგი
ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დათასა დრამატურგის ნაწერების კრე-
ბულის გამოცემით. ამ ჭიგნში მოქცეული ბიოგრაფიული ნარკვევიც მათი შეკვე-
თით შეუსრულებია ავტორს. ჩვენმა ცნობილმა პუბლიცისტმა გ: მ. თუმანიშვი-
ლმა მთელი ეს გამოცემაცა და თანდართული ბიოგრაფია, სამართლიანად, — შეა-
ფასა დავ. ერისთავის ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის არასაკმარისად. გაზეთ „თე-
მის“ 1911 წ. № 36-ში მოთავსებულ სტატიაში „თავ, დავ. ერისთავის ნაწერები
და მისი ბიოგრაფია“, გიორგი თუმანიშვილი აღნიშნავს:

* იხ. „Нов. Обзор.“ № 457I, 1897 გ.

„ამ ოციოდ წლის შინათ გარდაიცვალა ცნობილი მწერალი ქართულ და რუსულ ენაზე თავ. დავ. ერისთავის შვილი და თვითონაც ჭრამატურგი, „სამშობლოს“ დაწერი, ცნობილი პატი, ფელეტონისტი, უურნალისტი დაცვენაზე მკითხველი, საზოგადო მოღვაწე. მრავალმხრივი მოღვაწეობა განსვენებულისა, მის სიცოცხლის დროს, ბევრ ლაპარაკს გამოიწვივდა ხოლმე საზოგადოებაში და მწერლობაში, მაგრამ რაც გარდაიცვალა, მისი ძოლვაწეობა არავინ ჯეროვნაც არ გაიხსნა. არ ეღირსა არც ბიოგრაფიის, არც თხზულებების გაცემას. მხოლოდ წარული წლის დამსჭვას ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ შეჰქრიბა მისი დრამატიული ნაწერები და ერთ წიგნად გამოსცა. წიგნს დაემატა ბ-ნ ი. მეუზარგია საგან შედგენილი ბიოგრაფია.

ეს კრებული დრამატიული ნაწერებისა სრული არ არის. მას აკლია „მნევნიერ ელენეს“ თარგმანი... ბიოგრაფიასაც ბევრი რამ აკლია, როგორც ამას ქვევით დავრნახავთ...

... გარდა დრამატიულ თხზულებებისა, დავ. ერისთავს პერნედა კიდევ ბევრი ისეზი ნაწერი, რომელთაც აქაშდის არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. მისი მოთხრობა „წყლებზე“ (დაბეჭილი: 1878 წ. „კრებულში“), ლექსები აქა-იქ გაფანტული ძველ გაზეთებში, ზოგიერთი ფელეტონები „თბილისის მოამბეზი“, „ფალანგაში“, „კუკუაზში“ და ქართულ გაზეთებში, ქერძო წერილები სხვატასწვა მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთათვის მიმართული—ყველა ეს დაწერილია ნიკიერად და შეეძლო შეედგინა რამდენიმე წიგნი, რომელსაც დიდი სიამოვნებით წაიკითხავდა ეზლა არამც თუ ძველი თაობა, რომელსაც კარგად ახსოვს დავით ერისთავი და მისი გავლენა თანამედროვებზე, არამედ ახალგაზრდობაც, რომელიც მას არ იცნობს სრულებრით.

მოღვაწეობა დავ. ერისთავისა მრავალმხრივი იყო... ბიოგრაფიაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ 1879 წ. და 1880 წ.. დავ. ერისთავი იყო კავკასიაში უმთავრესი წარმომადგენელი „სახალხთაშორისო ტელეგრაფის სააგენტოსი“ და ამასთანავე გაზერ „გოლოსის“ რედაქციონანყოფილების გამგე... დავ. ერისთავი თავის მსგაომარეობით სარგებლობდა, რომ მოწერია უკეთესი თანამშრომლები და სააგენტოსა და „გოლოსის“ საშუალებით დაცვა ჩვენი ქვეყნის ინტერესები მმართებლობისა და რუსეთის საზოგადოების და მწერლობის წინაშე...

ბიოგრაფიაში საკმაოდ არ არის ნათქვამი აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავ. ერისთავმა არა მარტო თარგმანა პიესები ახალ ქართულ თეატრისათვის, მან მიიღო აგრეთვე მონაწილეობა თვით თეატრის ორგანიზაციაში. მართალია, პიესების არჩევა და მათი გადაკეთება ბევრ დროს არ თმევდა, მაგრამ ის მაინც ასწრებდა მიელო მონაწილეობა სცენის გამჯებლობაში. სამუდამო რეჟისორობაზე უარი თქვა, მაგრამ როდესაც კი თავისუფალი დრო ჰქონდა, რეჟისორობდა, მეტადრე თავის პიესების წარმოდგენის დროს. ზოგჯერ ჰკრეფტა არტისტებს და ასწავლიდა კითხვას სცენაზე...

... დავ. ერისთავი ნიჭიერი მწერალი იყო, მახვილი კალამი პერნედა. უყვარდა მწერლობა და საზოგადოებისათვის სამსახური, უყვარდა შრომა და ზოგჯერ ბრძოლასაც არ ერჩდებოდა, თუ დარწმუნებული იყო, რომ ბრძოლა ნაყოფიერია”...

ამ გამოცემისათვის ჩვენ მთლიანად ამ ნაწერების კრებულში დართულ ტექსტს დავემყარეთ, რაკი მისი ავტოგრაფები ვერ მოვიპოვეთ. გარდა რამდენიმე შენიშვნისა, მნაშვნელოვანი შესწორება არ შევიტანია, ხოლო, რუსული ციტატების თარგმნა მათ თავისებურებათა გამო რომ მიზანშეუწონელია, ამაში შეიძლება დაგვეთანხმება.

გიორგი მაშაბეგის-ძე ქოჩაჭიძე

(ჭალადიდელი)

ჯერ კიდევ 1901 წელს უთხოვიათ ჭალადიდელის (ქოჩაჭიძის) ძმებს ალექსანდრეს და ანტონს ი. მეუნარგიასათვის—დაწერა რამე ჭალადიდელზე.—(ის 1901 წლ. 29 აგვ. წერილი გოგებაშვილთან, საქართვ.. მუზეუმის ფონდი № 1745), მაგრამ ეს თხოვნა, უმასალობისა და უდროობის გამო, 1912 წლამდე შეუსრულებელი დარჩენილა. ამ წელს სოფ ჭალადიდში ჩამოსულ განსვენებული პოეტის მეუღლეს, ანა სტეფანეს ასულ ეზერსკის ქალს და პოეტის შვილს ბორისს ეს. საკითხი არ არის განუახლებიათ.

მაშინ ფოთში მყოფ ნაფიც ბიოგრაფს ი. მეუნარგიას ეს დავალება მიუღინდა და საჩქაროდაც შეუსრულებია. მუდამ დინჯად მომუშავე და მწერლის ცხოვრების ყოველგვარი—წერილმანის მაძიებელი ავტორი, ამ „დაჩქარებით“ უკმაყოფილო, შრომის შესავალშივე წერს: „დღეს, როცა ჩვენი მწერლობისათვის საჭირო შეიქნა საბოლოოდ განსაზღვრული და საფუძველზე დამყარებული აზრი გამოითქვას ყველა იმ მწერალთა და პოეტთა შესახებ, რომელიც სამოციან წლებში განახლებულ მწერლობას წინ ეწეოდნენ, ჭალადიდელის ერთ წიგნად შეკრებისა და ბეჭდვის მოთხოვნილებაც დაიბადა. ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად პოეტის შვილმა ბორისმა და ძმებმა ალექსანდრემ და ანტონმა დამავალეს მე მათი მამის და ძმის ნაწერების ერთად შეკრება და დაბეჭდვა, ზედ დართვით მისი ცხოვრების აღწერისა.

ჭალადიდელის ლექსების შეკრებას და დასაბეჭდად გამზადებას დიდი შრომა არ მოუზოვია ჩემგან, რადგანაც ეს შრომა უკვე გაეწია ჩემზე ადრე და ჩემზე უკეთ ბ—ნ თეთრ სა ა ხ ი კ დ ა ს. მე მხოლოდ მისგან შეკრებილ მასალას, ფოთელ მწერლობის მოყვარეთა რჩევით, გამოვაკელი ოციოდე ლექსი, რომელიც არც თვით მეოსანს უცენია ღირსად დაშეჭრისა (არ დაბეჭდილა შემდეგი სათაურის ლექსები: „აბა თუ იცრობთ“, „შშვიდობით“, „ბედნიერინი“; (ვარიანტია), „მგელი ცხვრის ტყავშია“, „საყვარული“. „X-ს“, „კეთილშობილი არშიყი“, „ჩიქორთულა ლექსი“, „ოდეს უძლური“, „ამაყს. მეგობარს“, „გახსოვს ტურფავ“, „მე ხშირად მესმის“, „წევბი მეტად ხარობდნენ“, „ვის რა უჯის“, „მშიერი შვილი“, „გუდა, თხა და ძაფი“, „ვარი დარჩება ვირადა“, „ნიზმარინ“, „Сергей“ და სხვ.—აღნიშნული ლექსების ავტოგრაფები ამჟამად ზუგდიდის მუზეუმში დაული ინონ შეუნარგიას არქივში ინახება—ს. ც. ც.).

„ცხოვრების აღწერისათვის“ კი თუმცა რთული არ იყო გიორგის ცხოვრება, მე ცოტა შრომა არ დამჭირებია. დაძიება სხვადასხვა დაწესებულებებში (სხვათა შორის ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში) და დღეს, როცა ამ ნაწერს უგზავნი დასაბეჭდად სტამბაში, გამომცემლის დეზიო. ანაჩქარები, ვერძნობ, რომ ცხოვრების აღწერა არ არის სრული, რომ ეს აღწერა, დრო რომ მქონოდა, იქნებოდა უფრო შეხავებული-ჩენი. მწერლობისა და ისტორიისათვის საჭირო მასალებით, დედი ჩანია ფიქრად მქონდა, გიორგის ცხოვრების აღწერით მესარგებლა

და შეგრებულ მწერალზე ბაასის დროს ქართულ-მეცნიულის ურთიერთობაზედაც ჩემი აზრი აქ დალაგებით გამომეთქვა, მაგრამ, ჩემდა წამტუხაროდ, სწორედ მა-შინ, როცა მე უნდა შემეტყვინა გიორგის ცხოვრების აღწერა—ბოდიშს ვიხდი ამის თქმისათვის—თვით ჩემი ცხოვრება შევცალა მოულოდნელად დროთა მდი-ნარებამ და „თუ რაც მინდოდა ვერა ვთქვი“, აპატიეთ ჩემს მდგომარეობას“ (იხ. თხზულება გიორგი მაქსიმეს-ძე ქოჩაქიძისა (ჭალადიდელის)—გამომცემლობა „იმერეთი“, ქუთაისი → 1913, გვ. 3).

მიუხედავად ამ მდგომარეობათა და სხვადასხვა ხელასშემშლელ პირობათა-ი. მეუნარებიამ ძირითად ად მაინც შესძლო დაკაფიცილება მოთხოვნილებისა,— პოეტის ცხოვრების მოკლე, მაგრამ თიოქმის აუცილებელი საკითხების გაშუქებით, ეს ბიოგრაფია დაერთო აღნიშნულ გამოცემას, რომელსაც ქართველი მკითხველი საზოგადოება გულთბილად მიეგება. ამის დამადასტურებელია ყველა ის რეცენზიები და ბიბლიოგრაფიული წერილები, რომელებიც განხეულია მაშინდელს პერიოდი-კაში (გაზეთები: „იმერეთი“ 1913 წ., № 81, იქვე № 86; „თემი“ 1913 წლ. № 128 „კოლჩიდა“ 1913 წლ. № 1), საცა, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ: „არა მგო-ნია მოიპოვებოდეს ქართული წ. კ. მცოდნე, „დედა-ენასა“ და „ბუნების-კარზე“ აღზრდილი ქართველი, რომ არ იცოდეს გ. ჭალადიდელის „მოკონება“, „სიმღერა გარდახვეწილისა“, „ფაცხა“ და სხვ... უფრო ქვეით, ჭალადიდ ელის „მორცვი“ პოეზიის მოკლე ანალიზის შემდეგ რეცენზიაში აღნიშნულია: რაკი ბავშვობიდანვე ასე, შეზრდილ-შესისხლორცებული ვართ ამ ლექსებთან და ისინი მარადებამს გვა-ხსოვს, ბუნებრივია იკითხოს მკითხველმა: ვრო არის მათი ავტორი, რა კაცი იყო იგი, სად და როგორ გაიზარდა და დასტოვა თუ არა გარდა ამ სამი ყველასა-თვის ცნობილი ლექსისა სხვა ნაწერი და ან როგორია ისინი?..

ამას კითხულობდა და კითხულობს დღემდი ყველა, ვინც კა იცობს და არ ცინბს სხვა მის ლექსებს, რომელიც დაბეჭდილი იყო 60—70-იან წლების ქარ-თულ პერიოდულ გამოცემებში („დროება“, „მნათობი“, „საბოფლო გაზეთი“ „კრეული“, „მრამბე“ და სხვ.), მაგრამ თანამედროვე მკითხველისათვის ყველა, იქ დაბეჭდილი ნაწერი ხელმიუწვდომელია.

„ჩვენს მშერლობაში ცნობილმა ბიოგრაფია, ბ. იანა მეუნარებიამ, თავისი ინიციატივით, ჭალადიდელის მეულლისა და შვილის ბორისის დავალებით, შე-აგროვა ყველა მისი დაბეჭდილ-დაუბეჭდავი ჩაწერები, დაალაგა იქინი ქრიონ-ლოგიურად...“ იონა მეუნარებიამვე იკისრა მგოსნის ცხოვრების აღწერა, მისი ვრცელი ბიოგრაფიის შედგენაც“ (იხ. „კოლჩიდა“, 1913 წ. № 1). და თუ რატომ არც ისე ვრცელი გამოვიდა ეს ბიოგრაფიაც, ამის შესახებ თვითონ ბიოგრაფიის არგუმენტია უნდა გავიზიაროთ.

ნარკვევის ტექსტის შესწორება შემდეგია: ავტორის შესავალი ცატატის სახით შენიშვნებში გადმოვიტანეთ, რუსულ დოკუმენტებს ქართული თარგმანიც მივეცით სქოლიოში და რამდენიმე ქველი გამოცემის დროინდელი შეცდომა და რუსეთიში შევასწორეთ.

„ნანახი და განაგონი“ ილიას ცხოვრებიდან“

„ნანახი და განაგონი“ მოგონებაა ილიაზე და არა ბიოგრაფია. ის უფრო საბიოგრაფიო მასალებია, სხვადასხვა დროს სამახსოვრო წიგნებში ჩაშერილი და დანაგროვი, ხოლო შემდეგ ილიას გარდაცვალების წლისთავზე ფოთში და ქუთაისში 1908 წ. გამართულ საღამოებისათვის საეციალურად ერთ მოხსენებად „მოქუჩჩავე ბული“ და წაკათხული.

„მე აქ ილიას ცხოვრებას არა ვწერ.—განაგრძობს ავტორი—ილიას ცხოვ-რების მასალას ვაჭუჩებ, რომელიც ან თვითონ ილიასაგან გამიგონია, ან მის თანა-შედროვეთაგან მსმენია, ან თვითონ ჩემის თვალით მინახავს და ამიტომ ჩემს-ნანახ და განაგონს ილიას ცხოვრებიდან მე აქ მხოლოდ დაახლოებით. ქრონოლოგიურად, მაგრამ მაინც უსისტემოდ ვწერ... და თუ ჩემგან შეკრებილის წვრილმანებით მე-თვევნ ილიას სურათი, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, ნაოლად დაგანახეთ, ჩენს ვალს ქართულ მწერლობაში მოხდილად მივიჩნევო“...

ავტორის ეს სწორი და მართებული განსაზღვრა საკსებით უნდა გავიზია-როთ, ხოლო ჩვენის მხრით დასაძენი ბიბლიოგრაფიული ცნობები შემდეგი იქნება მოგონება, რომლის ავტოგრაფი ზუგდიდის მუზეუმში მოვიპოვეთ, პირველად უურნ. „მნათობში“ (იხ. № 5—6, 1937 წლ.) იქნა ჩვენს მიერ გამოქვეყნებული მცირე კომენტარებით და შემდეგ ცალკე წიგნაკად გამოცემული ზუგდიდის მუზე-უმის მიერ (იხ. იონა მეუნარგია—ნანანი და განაგონი ილიას ცხოვრებიდამ—სოლ-ცაიშვილის რედაქციით და შენიშვნებით—თბილისი 1937 წ.), რასაც დართული აქვს: შ. შენგელის შესავალი წერილი, ჩვენა „რამდენიმე შენიშვნა“ და აღნიშ-ნული მოგონების 1908 წ. ფოთში და ქუთასაში მოხსენებად წაკითხვის გამო-ატესილ სრულიად უმართებულო და შეუფერებელი პოლემიკის გასარტვევად სა-ჭირო დამატებანი, რითაც დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია საქმის ნაშდვილ-ვითარებაში დაერკვეს.

ცოდ: ცაიშვილი

3560 30 856.

894.63.09
2 601

ИОНА МЕУНАРГИЯ
ГРУЗИНСКИЕ ПИСАТЕЛИ

II

Детюниздат Наркомпроса ГССР

Тбилиси 1944

(на грузинском языке)